(ისტორიულ-შედარებითი ანალიზი)

წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია ქართველურ და დაღესტნურ ენათა ისტორიულ-შედარებითი ფონეტიკისა და ლექსიკის საკითხები, კერძოდ: სხვადასხვა ლოკალური რიგის სიბილანტთა სუბსტიტუცია ქართველურსა და დაღესტნურ ენებსა და დიალექტებში, ქართული დიალექტური ლექსიკა და საერთოქართველური ფუძეების რეკონსტრუქციის ზოგიერთი საკითხი, თანხმოვანთა გადაწვევის საერთო წესი ქართველურ ენებსა და დიალექტებში, სიბილანტურ ფონემათა შეთავსებადობის წესი საერთოქართველური ფუძეების ძირისეულ სტრუქტურებში, დიალექტური პოზიციის პრინციპი და ქართველურ ენობრივ ერთეულთა ურთიერთმიმართების ზოგიერთი საკითხი, მორფემათა შესატყვისობისათვის ქართველურ ენებში, სიბილანტურ ფონემათა სისინა და შიშინა სახეობების მონაცვლეობისათვის ქართველურ ენებსა და დიალექტებში;

ნაშრომში გადმოცემულია სიბილანტურ ფონემათა შემცველი ახალგამოვლენილი ასეულობით საერთოქართველური ფუძე, წარმოდგენილია ასევე ასეულობით ქართველური ლექსემის ეტიმოლოგია და, ზოგადად, საერთოქართველური ლექსიკა გაანალიზებულია როგორც ტრადიციული, ისე ავტორის მიერ დადგენილი ბგერათშესატყვისობის ახალი წესების გამოყენებით.

ნაშრომის ერთი ნაწილი ეთმობა სიბილანტურ ფონემათა სისტემის ანალიზს დაღესტნურ ენებში. კერძოდ, განხილულია სიბილანტურ სპირანტთა და აფრიკატთა სისტემის შედგენილობის საკითხი დაღესტნურსა და ქართველურ ენებში, გაანალიზებულია დაღესტნურ ენათა შედარებითი ფონეტიკის ზოგიერთი საკითხი, შეჯერებულია „კავკასიური ბგერები“ და დაღესტნურ ენათა ფონემატური სისტემა, გამოვლენილია და გამიჯნულია „სისინასიბილანტური“ და „შიშინასიბილანტური“ დაღესტნური ენები და დიალექტები; დაძებნილია დაღესტნურ ენებსა და დიალექტებში სიბილანტურ სპირანტთა შესატყვისობები, შესწავლილია სიბილანტურ ფონემათა სუბსტიტუციის საკითხი დაღესტნურ და, საერთოდ, იბერიულ-კავკასიურ ენებში.

ნაშრომში განხილულია ქართველოლოგიაში გავრცელებული თეორია საერთოქართველურ ფუძეებაში არსებულ სიბილანტურ ფონემათა (სპირანტთა და აფრიკატთა) სამი რიგის არსებობის შესახებ. აღნიშნულია, რომ სამი რიგის (მაჭავარიანი 1960) თეორიის შექმნამდე ქართველოლოგიაში ტრადიციული იყო მოსაზრება ორი რიგის სისინა და შიშინა სიბილანტთა არსებობის შესახებ (ჩიქობავა, როგავა). ამ თეორიათა კვალობაზე დასმულია კითხვა: რას უნდა გამოეწვია ქართველური ენების შესატყვის ფუძეებში ქართული სისინა სიბილანტების ექვივივალენტებად ზანურ-სვანური როგორც სისინა, ისე შიშინა სიბილანტების არსებობა? გამოთქმულია მოსაზრება, რომ ამ მოვლენას საფუძვლად დაედო მიზეზთა კომპლექსი და ამიტომ ქართველოლოგიაში ამ მიმართულებით გამოთქმული მოსაზრებების გათვალისწინებით მოცემულია სხვაგვარი ინტერპრეტაციის მცდელობაც.

ნაშრომში, პირველად ქართველურ შედარებით ენათმეცნიერებაში, წარმოდგენილია ბგერათშესატყვისობის ახალგამოვლენილი რიგი— ქართული **ჟ**: მეგრულ-ლაზური **ჟღ**: სვანური **ჟღ** – და ათეულობით საერთოქართველურ ფუძეთა ბგერათშესატყვი-

სობის საფუძველზე ქართველური ფუძეების დონეზე აღდგენილია აქამდე ქართველოლოგიაში საექვოდ მიჩნეული 9 სპირანტი.

ნაშრომის თემას წარმოადგენს ქართველური და დაღესტნური ისტორიულ-შედარებითი ფონეტიკისა და ლექსიკის სხვადასხვა საკითხები სიბილანტურ სპირანტებთან და აფრიკატებთან მიმართებით, კერძოდ: ქართველურ და დაღესტნურ ენებში (დიალექტებში, კილოკავებში, მიკროენობრივ ერთეულებში) სისინა და შიშინა სიბილანტთა (სპირანტ-აფრიკატთა) ბგერათშესატყვისობის, ამ ფონემათა განაწილების საერთო წესების, საერთოქართველურ და საერთოდაღესტნურ ფუძეენათა დონეზე ამოსავალი საერთო ფონემების, მათი ცალკეულ ფუძეში შეთავსებადობის წესი და ამის გათვალისწინებით ფუძეების დონეზე აღდგენილ არქეტიპში ცალკეული ლოკალური რიგის და არა სხვადასხვა ლოკალური რიგის სიბილანტური ფონემების რეკონსტრუქციისა და სხვა საკითხები.

პრობლემა მდგომარეობს ქართველური და დაღესტნური ენების ისტორიულ-შედარებითი ფონეტიკის არაერთი მნიშვნელოვანი საკითხის არასრულ კვლევაში, რაც ძირითადად გამოწვეულია სათანადო მასალის უქონლობის გამო, ვინაიდან ქართველურ და მრავალრიცხოვან დაღესტნურ ენათა შორის მხოლოდ ქართულმა სალიტერატურო ენამ და, მეტნაკლებად, უდიურმა (როგორც ძველი ალბანურის მემკვიდრე ენამ) შემოგვინახა საანალიზო ლექსიკის ათასი-ათასსუთასწლოვანი სახე, თუმცა ფუძეების ქრონოლოგიურ დონეზე არქეტიპების სარეკონსტრუქციოდ ეს არ არის საკმარისი.

ისტორიულ-შედარებითი მეთოდით, როგორც მონათესავე ენათა ამოსავალი ვითარების აღსადგენად აუცილებელი სანდო მეთოდით, ქართველური და დაღესტნური ფუძე-ენების ფონემატური სისტემების სრულფასოვანი რეკონსტრუქცია, მიუხედავად ამ მიმართულებით დღემდე შექმნილი არაერთი მეცნიერულად ღირებული გამოკვლევისა, კვლავაც ქართველოლოგიისა და, ზოგადად, კავკასიოლოგიის გადაუდებელი ამოცანაა.

პრობლემის აქტუალობას განსაზღვრავს სიბილანტურ სპირანტთა და აფრიკატთა და, საერთოდ, ფონემატური სისტემის რეკონსტრუქციის საჭიროება ქართველურ და დაღესტნურ ფუძე-ენათა დონეზე, რაც აუცილებელია იბერიულ-კავკასიური ენების ისტორიულ შედარებითი ფონეტიკისა და ლექსიკის ძირითად საკითხთა სრულფასოვანი ანალიზისათვის. პრობლემის აქტუალობას განსაზღვრავს ასევე სიბილანტურ ფონემათა მიხედვით ქართველური და დაღესტნური ენების „სისინასიბილანტურ“ და „შიშინასიბილანტურ“ ენებად კვალიფიკაცია სიბილანტთა შესატყვისობის მიხედვით. კერძოდ, დაღესტნურ ენათა უმრავლესობა „სისინასიბილანტური“ ენებია. აქტუალობას განსაზღვრავს აგრეთვე სიბილანტთა შესატყვისობების დადგენის კვლადაკვალ საარტიკულაციო ბაზისის გადაწვევის მიმართულების წესის დადგენა ქართველურსა და დაღესტნურ ენებში და სხვა.

კვლევის მეცნიერულ სიახლეთაგან ერთ-ერთი გულისხმობს საერთო-ქართველური ფუძეების ძირისეულ სტრუქტურებში სიბილანტურ ფონემათა შეთავსებადობის გარკვეული წესის დადგენა-დაზუსტებას. კერძოდ, ცალკეულ ძირში თუ ძირისეულ მორფემაში დაუშვებელი იყო ორი ან ორზე მეტი სიბილანტური ფონემა – სპირანტი ან აფრიკატი, მაგრამ ბუნებრივი იყო რომელიმე ცალკეული რიგის სიბილანტთა ცალკეულ ძირში თანაარსებობა. ნაშრომში განისაზღვრა სიბილანტთა შეთავსებადობის ამ წესის მოქმედების ქრონოლოგიური დონე, რომლის შემდგომ ეტაპზეც უნდა მომხდარიყო ფუძე-ების დიფერენციაცია.

სათანადო მასალის მოხმობით ნაჩვენებია ხსენებული წესის კანონზომიერი ხასიათი და გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეს წესი დარღვევის არცერთ მაგალითს არ იცნობს.

ზემოთქმულის შესაბამისად, გადაისინჯა ქართველოლოგიაში საერთოქართველური ფუძე-ენის დონეზე აქამდე რეკონსტრუირებული ის არქეტიპები, რომლებშიც სხვადასხვა რიგის სიბილანტური ფონემებია დაშვებული. ნაშრომში დადგენილია და დაზუსტებულია სიბილანტურ ფონემათა შესატყვისობები. დადესტნურ ენებში განსაზღვრულია „სისინასიბილანტური“ და „შიშინასიბილანტური“ ენები. დაზუსტებულია აგრეთვე საარტიკულაციო ბაზისის გადაწვევის მიმართულება; განსაზღვრულია სხვადასხვა ლოკალური რიგის სიბილანტა მონაცვლეობა ქართველურსა და დადესტნურ ენებსა და დიალექტებში.

ნაშრომში, პირველად ქართველოლოგიაში, ახალგამოვლენილი ათეულობით საერთოქართველური ფუძეების ბგერათშესატყვისობის საფუძველზე დადგენილია ბგერათშესატყვისობის ახლი რიგი და, შესაბამისად, ქართველური ფუძე-ენის დონეზე რეკონსტრუირებულია მანამდე საეჭვოდ მიჩნეული ფონემა.

საკვლევე მასალას წარმოადგენს: ქართველური და დადესტნური ენების, დიალექტების, თქმებისა და სხვა მიკროენობრივი ერთეულების სიბილანტურ ფონემათა შემცველი ლექსიკა.

კვლევის მეთოდად გამოყენებულია: აღწერითი, ისტორიულ-შედარებითი და სტრუქტურული კვლევის მეთოდები.

კვლევის თეორიული ღირებულება მდგომარეობს საკვლევე მასალის აქტუალობაში, რაც ქართველური და დადესტნური ენების, როგორც „სისინასიბილანტური“ და „შიშინასიბილანტური“ ენების, კლასიფიკაციას ახლავს. ნაშრომი მნიშვნელოვან თეორიულ ღირებულებას იძენს იბერიულ-კავკასიურ ენათა ფონოლოგიური სისტემისა და ფონოტაქტიკის წესების განსაზღვრის თვალსაზრისით, ასევე ზოგადი ენათმეცნიერებისთვისაც, ვინაიდან სიბილანტა შესატყვისობების დადგენასთან გარკვეულ კავშირშია ამ ფონემათა საარტიკულაციო ბაზისის გადაწვევის მიმართულების წესი და სხვა.

კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები მნიშვნელოვანია იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერებისა და ზოგადი ენათმეცნიერების თვალსაზრისით. განხილული საკითხები ნათელს ჰფენს ქართველური და დადესტნური ენების სიბილანტურ ფონემათა განაწილების საერთო წესს, არკვევს ამოსავალ საერთო ფონემებს, ამ ფონემათა შეთავსებადობის წესს და ამის გათვალისწინებით ფუძე-ენის დონეზე აღდგენილ არქეტიპებში შესაძლებელს ხდის ცალკეული რიგისა და არა სხვადასხვა ლოკალური რიგის სიბილანტური ფონემების რეკონსტრუქციას. ჩატარებულ სამუშაოს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქართველურ და დადესტნურ ენათა ფონოლოგიური სისტემების ურთიერთმიმართების თვალსაზრისით, ასევე მთლიანად იბერიულ-კავკასიურ ენათა ფონოლოგიური სისტემის აღდგენის თვალსაზრისითაც. ამ ენობრივი ერთეულების მასალათა დიაქრონიული და სინქრონიული კვლევისას გამოვლინდა ის საერთო წესები, რაც არსებითია ამ ჯგუფებისათვის, დადგინდა სხვაობანი, რომლებიც, ჩვენი აზრით, გვიანდელია – მეორეულია, თუმცა ქართველური და დადესტნური ენების ისტორიულ-გენეტიკური ურთიერთობის საკითხი ნაშრომში განხილვის თემას არ წარმოადგენს.

ნაშრომში გამოყენებული მეთოდები და მიღებული შედეგები შეიძლება დაინერგოს ისეთ სასწავლო-საღმრთა კურსებში, როგორცაა „ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკა“, „დადესტნურ ენათა შედარებითი გრამატიკა“, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი“, „იბერიულ-კავკასიურ ენათა შედარებითი გრამატიკა“, „იბერიულ-კავკასიურ ენათა ფონოტაქტიკის წესები“ და სხვა. ვფიქრობთ, ქართველურ და დადესტნურ ისტორიულ-შედარებით ფონეტიკაში ჩატარებულ კვლევას ახლავს მეთოდოლოგიური ღირებულებაც, რადგან შესწავლილი და დასკვნების სახით წარმოდგენილი მასალა შეიძლება ღირებულად აღმოჩნდეს მთლიანად იბერიულ-კავკასი-

ურ ენათა ოჯახის ფარგლებშიც.

ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავისა და დასკვნითი ნაწილისაგან.

პირველ თავში – „სიბილანტურ ფონემათა სისტემა ქართველურ ენებში“ – განხილულია ამ ენებში რეგულარული ხასიათის კანონზომიერი შესატყვისობები სხვადასხვა ლოკალური რიგის სიბილანტებში, თანხმოვანთა გადაწვევის საერთო წესი ქართველურ ენებსა და დიალექტებში, სიბილანტურ ფონემათა შეთავსებადობის წესი საერთოქართველური ფუძეების ძირისეულ სტრუქტურებში, სიბილანტთა შესატყვისობების ცალკეული საკითხები, ბგერათშესატყვისობის ზოგიერთი საერთო წესი იბერიულ-კავკასიურ ენებში, თანხმოვანთა საარტიკულაციო ბაზისის (საწარმოთქმო ადგილის) ერთი მიმართულებით – წინა რიგიდან უკანა რიგისკენ-გადაწვევის წესის დადასტურების საკითხი ქართველურ ენათა სათანადო მონაცემების მიხედვით, დუბლეტურ ფუძეებში სხვადასხვა ლოკალური რიგის სიბილანტთა სუბსტიტუციის წესი, დიალექტური პოზიციის პრინციპი და ქართველურ ენობრივ ერთეულთა ურთიერთმიმართულების ზოგიერთი საკითხი, სხვადასხვა ლოკალური რიგის სიბილანტთა მონაცვლეობისათვის ქართული ენის დიალექტებში და ქართველურ ფუძე-ენაში ამოსავალი ფონემების რეკონსტრუქციის ზოგიერთი საკითხი, მორფემათა შესატყვისობის საკითხები ქართველურ ენებში.

ამავე თავში წარმდგენილია ბგერათშესატყვისობის ახალი რიგი ქართველურ ენებში და ფუძე-ენაში კიდევ ერთი სიბილანტური ფონემის რეკონსტრუქციის საკითხი.

მეორე თავში – „საერთოქართველური ლექსიკა სიბილანტთა შესატყვისობის მიხედვით და ქართველური ეტიმოლოგიები“ – გადმოცემულია ბგერათშესატყვისობის კანონზომიერი წესების გათვალისწინებით პირველად გამოვლენილი ის საერთოქართველური ფუძეები, რომლებიც სიბილანტურ ფონემებს შეიცავენ და, ასევე ის ფუძეები, სადაც დახუსტებულია მანამდე არსებული დაკავშირებანი სიბილანტურ შესატყვისობასთან მიმართებით, ასევე: ქართველური ეტიმოლოგიები სიბილანტურ სპირანტთა და აფრიკატთა შესატყვისობების გათვალისწინებით, საღვთისმეტყველო ტერმინთა ეტიმოლოგიის საკითხები, ქართული ენის დიალექტებში შემონახული საერთოქართველური ფუძეები და სხვა ლექსიკურ-ეტიმოლოგიური მასალა.

მესამე თავში – „სიბილანტურ ფონემათა სისტემა დაღესტნურ ენებში“ – განხილულია ამ ფონემათა შედგენილობის, ბგერათშესატყვისობის, საერთოდაღესტნურ ფუძე-ენაში სიბილანტურ სპირანტთა და აფრიკატთა რეკონსტრუქციის, სიბილანტურ ფონემათა სუბსტიტუციისა და სხვა საკითხები, დაღესტნურ ენებში, დიალექტებში და მიკროენობრივ ერთეულებში.

ამავე თავში წარმოდგენილია დაღესტნური ენებისა და დიალექტების კლასიფიკაცია სიბილანტური ფონემების მიხედვით, კერძოდ, დაღესტნურ ენათა უმრავლესობა მიჩნეულია „სისინა-სიბილანტურ“ ენებად, რამდენიმე ენა და დიალექტი კი „შიშინა-სიბილანტურად“.

ასევე გამოვლენილია სიბილანტურ სპირანტთა რეფლექსები დაღესტნურ ენებში და წარმოდგენილია ამ ფონემათა რეკონსტრუქციის ახლებური მიდგომა დაღესტნური ფუძე-ენის დონეზე.

ამავე თავში წარმოდგენილია სიბილანტურ აფრიკატთა სისტემა დაღესტნურ ენებში და, ზოგადად, სიბილანტურ ფონემათა სუბსტიტუციის საკითხები იბერიულ-კავკასიურ ენებში.

დასკვნა მოიცავს სიბილანტურ ფონემათა სისტემის შედგენილობის, ბგერათშესატყვისობის, ამ ფონემათა სუბსტიტუციისა და ქართველური და დაღესტნური ფუძე-ენების დონეზე სიბილანტურ ფონემათა რეკონსტრუქციის საკითხთა ახალიზის შე-

დეგებს.

ნაშრომის I თავი მოიცავს სიბილანტურ ფონემათა სისტემის აღწერითი და ისტორიულ-შედარებითი მიმართებით ანალიზს ქართველურ ენათა და დიალექტთა მასალის გათვალისწინებით. პარაგრაფების სახით გამოყოფილია და განხილულია ქართველურ ენათა ისტორიულ-შედარებითი ფონეტიკის სხვადასხვა საკითხი სიბილანტურ ფონემებთან დაკავშირებით, კერძოდ:

1. სიბილანტურ ფონემათა სისტემის სინქრონულ დონეზე ანალიზი ქართველურ ენებსა და დიალექტებში;

2. სიბილანტურ ფონემათა სისტემის დიაქრონულ დონეზე ანალიზი ქართველურ ენებსა და დიალექტებში, რაც თავის მხრივ, მოიცავს ისტორიულ-შედარებითი ფონეტიკისა და ლექსიკის არაერთ მნიშვნელოვან საკითხს, მათ შორის, ესაა: სხვადასხვა ლოკალური რიგის სიბილანტთა სუბსტიტუცია ქართველურ ენებში და დიალექტებში, ქართული დიალექტური ლექსიკის როლი და მნიშვნელობა საერთოქართველური ფუძე-ენის სიბილანტურ ფონემათა სარეკონსტრუქციოდ, დიალექტური პოზიციის პრინციპი და ქართველურ ენობრივ ერთეულთა ურთიერთმიმართების საკითხი, სიბილანტთა შესატყვისობის საკითხები ქართველურ ენებში, სიბილანტურ ფონემათა საარტიკულაციო ბაზისის ერთი მიმართულებით გადაწვევის წესი ქართველურ ენებში და დიალექტებში, სიბილანტურ სპირანტთა და აფრიკატთა შეთავსებადობის წესი საერთოქართველური ფუძე-ენის ძირისეულ სტრუქტურებში, ბგერათშესატყვისობის ახალგამოვლენილი რიგისათვის ქართველურ ენებში და ფუძე-ენაში სიბილანტური სპირანტის რეკონსტრუქციის საკითხი, მორფემათა შესატყვისობისათვის ქართველურ ენებში, საერთოქართველური ფუძე-ენის დონეზე სიბილანტურ ფონემათა სისტემის რეკონსტრუქციის საკითხი და სხვა.

ქართველოლოგიაში გაგრძელებული თეორიის მიხედვით საერთო-ქართველურ ფუძეენაში უნდა არსებუდყო სიბილანტურ ფონემათა (სპირანტთა და აფრიკატთა) სამი რიგი:

1. წინა რიგი: სისინა (ზ ს ძ ც წ) სიბილანტები;
2. შუა რიგი: სისინ-შიშინა (ზ' ს' ძ' ც' წ') სიბილანტები;
3. უკანა რიგი: შიშინა (ჟ შ ჯ ჩ ჭ) სიბილანტები;

აქედან წარმოდგა ქართველურ ენებში სიბილანტთა შესატყვისობის ცნობილი წესი:

1. საერთოქართველური – სისინა: ქართული – სისინა: ზანური – სისინა: სვანური სისინა;

2. საერთოქართველური – სისინ-შიშინა: ქართული – სისინა: ზანური – შიშინა: სვანური – შიშინა;

3. საერთო-ქართველური – შიშინა: ქართული – შიშინა + ველარი ტიპის თანხმოვანთკომპლექსი: სვანური – შიშინა + ველარი ტიპის თანხმოვანთ-კომპლექსი (Machavariani 1960; მაჭავარიანი 1965).

ქართველურ ენათა სისინა და ზანურ-სვანურ შიშინა სიბილანტთა ამოსავლად ფუძეენაში სხვადასხვა რიგის (სხვადასხვა ბუნების) ფონემათა არსებობაზე მიუთითებდა ვ. პოლაკი (ოლაკ, 1955). ასევე სიბილანტთა შესატყვისობის მეორე რიგისა-

თვის ამოსავლად სისინ-შიშინა სიბილანტა ნაცვლად შიშინა სიბილანტიანი კომპლექსები ივარაუდეს კ. შშიდტმა (შცჰმიდტ 1961; 1962), გ. წერეთელმა (წერეთელი 1965), ი. მელიქიშვილმა (მელიქიშვილი 1980, 2001).

სიბილანტა სამი რიგის თეორიის შექმნამდე ქართველოლოგიაში ტრადიციული იყო მოსაზრება ფუძეენაში ორი რიგის – სისინა და შიშინა – სიბილანტა არსებობის შესახებ (Чикобава 1948; როგავა 1960).

კვლავაც დაისმის კითხვა: რას უნდა გამოეწვია ქართველური ენების შესატყვის ფუძეებში ქართული სისინა სიბილანტების ეკვივალენტებად ზანურ-სვანური როგორც სისინა, ისე შიშინა სიბილანტების არსებობა?

ვფიქრობთ, ამ მოვლენას საფუძვლად უდევს არაერთი მიზეზი, შედიდება ითქვას, მიზეზთა კომპლექსი. შესაძლებლად გვესახება ქართველოლოგიაში ამ მიმართებით გამოთქმული მოსაზრებების გათვალისწინებით სხვაგვარი ინტერპრეტაციის მცდელობაც.

სიბილანტა შესატყვისობაში გამოვლენილი ზოგიერთი წესის მიხედვით, ვფიქრობთ, ქართველურ ფუძეენაში დამატებითი რიგის (შუა რიგის – სისინ-შიშინა) სიბილანტა დაშვების საჭიროება არ ჩანს.

ამას გვაგვარაუდებინებს რამდენიმე მიზეზი. მათ შორის, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანია: ძირეულ მორფემათა შემადგენელი სიბილანტების შეთავსებადობის პრინციპი და დიალექტური პოზიციის პრინციპი.

ძირეულ მორფემათა შემადგენელი სიბილანტების შეთავსებადობის პრინციპი გატარებულია როგორც საერთოქართველური ფუძეენის ძირეულ მორფემებში, ისე ცალკეული ქართველური ენის დონეზე აღდგენილ არქეტიპებშიც. ამ პრინციპს საფუძვლად უდევს ერთი კანონზომიერება: არც ერთი დამაჯერებლად რეკონსტრუირებული პრაფორმა (საერთოქართველური ფუძეენის დონეზე აღდგენილი არქეტიპი) არ შეიცავს შუა რიგის (სისინ-შიშინა) სიბილანტთან ერთად წინა რიგის (შიშინა) სიბილანტს, ისევე როგორც ცალკეულ არქეტიპში დაუშვებელია წინა რიგის (სისინა) და უკანა რიგის (შიშინა) სიბილანტთა თანაარსებობა. ცალკეულ არქეტიპში სხვადასხვა რიგის სიბილანტთა დაუშვებლობაზე მიუთითებენ გ. მაჭავარიანი (მაჭავარიანი 1965) და ჰ. ფენრიხი (ფენრიხი, 1978). ფუძეენაში შუა რიგის (სისინ-შიშინა) სიბილანტთა არსებობის შემთხვევაში კი ასეთ სიბილანტთა სიახლოვის (შეთავსებადობის) გამო როგორც წინა რიგის (სისინა), ისე – უკანა რიგის (შიშინა) სიბილანტებთან (წარმოთქმის ადგილის მიხედვით) სავსებით დასაშვები იყო ცალკეულ არქეტიპში სისინ-შიშინა სიბილანტის როგორც სისინა, ისე შიშინა სიბილანტთან თანაარსებობა, თუმცა, დაუშვებელია სისინა სიბილანტის შიშინასთან თანაარსებობა.

ეს ვითარება არა მხოლოდ ქართველურ ფუძეენაში, არამედ ცალკეულ ქართველურ ენაში რეკონსტრუირებულ პრაფორმათა რეინტერპრეტაციის საშუალებასაც იძლევა.

ქართული წყერ-ი („წყერი“): ზანური წვანჯ-ი/წვანდ-ი: სვანური ერ ფუძეთა შესატყვისობის მიხედვით უნდა ვივარაუდოთ ასეთი პროცესები: წვანდ - < წვანჯ - < *ჭ ანჯ - < *ჭ აჯ - < ჭ არ - (ზანურში) და ერ - < *ჰ ერ - < *ჭ ერ - (სვანურში). ე. ი. ქართველურ ფუძეენასა და ქართულში გვექნება სისინა (წ) სიბილანტიანი ფუძე, ხოლო ზანურსა და სვანურში მისი შიშინა (ჭ) შესატყვისის შემცველი ფუძე.

ქართული სიძე: ზანური სინჯა/სინდა (მეგრ.), სიჯა (ჭან.): სვანური ჩიჟე შესატყვისობის მიხედვითაც ზანურში ამოსავლად წინა რიგის (სისინა) ს სპირანტიანი ფუძე ვერ მიიჩნევა, ვინაიდან იმავე ფუძეში უკანა რიგის (შიშინა) ჯ სიბილანტი გვხვდება. ამდენად: სინდა<სინჯა<*შინჯა<*შიჯა. ამას ამკარად უჭერს მხარს სვანური ფუძე –

ჩიუე. რომელშიც ორივე სიბილანტი შიშინაა, ე.ი. ერთი რიგისაა (**ჩიუე** < *შიჯე) და არ აღდგენს სიბილანტთა შეთავსებადობის წესს. აღდგენილ პრაფორმებში ერთი რიგის სიბილანტთა თანაარსებობის ეს წესი არაერთი არქტიპის ახლებური რეკონსტრუქციის საფუძველს ქმნის: საერთო ქართველური *ცუარ: ქართ. ცუარ- ზან: ცუნჯ- < *ჩუნჯ- < *ჩუჯ- < *ჩუოჯ-; საერთო-ქართველური *ძეწნ-: ქართ. ძეწნ-: ზან: ზიჭონ- < *ძიჭონ- < *ჯიჭონ- და სხვ.

სხვაგვარ ინტერპრეტაციას მოითხოვს ასევე საერთოქართველური ფუძე-ენის დონეზე აღდგენილი ის არქტიპები (*ძარც'უ- „ძარცვა“, *ძეშა „შეშა“, *ძეც'ხ- „ცეცხლი“, *ზაშუ- „შაშვი“), სადაც თითოეული ფუძისათვის სხვადასხვა რიგის სიბილანტებია რეკონსტრუირებული, რაც არღვევს ცალკეულ არქტიპებში სიბილანტთა შეთავსებადობის ზემოხსენებულ პრინციპს. ამ პრინციპის სასარგებლოდ მეტყველებს ქართველოლოგიაში რეკონსტრუირებულ პრაფორმათა სინშირულ-რაოდენობრივი მიმართება: თუ სხვადასხვა რიგის სიბილანტები სულ ხუთიოდე არქტიპშია წარმოდგენილი (რომელიც არ არის საყოველთაოდ გაზიარებული და მოეპოვება აღტერნაციული დაკავშირებები), ერთი რიგის (საერთო, საზიარო რიგის) სიბილანტთა შემცველი არქტიპების რაოდენობა ხუთ ათეულს სცილდება (იხ. არქტიპთა საძიებელი, წიგნში: ფენრიხი, სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი, 2000).

დიალექტური პოზიციის პრინციპი (ქართველურ დიალექტთა გავრცელების ადგილის ერთმანეთთან სიახლოვე-სიშორის მიხედვით) გულისხმობს როგორც ზანურში, ისე სვანურში დიალექტთა (თქმათა) ლექსიკის ისეთ თანაარსებობას, რომელიც შეაპირობებს ამ ენებში საერთოქართველურ შიშინა სიბილანტიან ფუძეებთან ერთად სისინა სიბილანტების შემცველი ფუძეების არსებობას. ეს ვითარება ნაწილობრივ ქართულ დიალექტებშიც გამოვლინდა.

მიუხედავად იმისა, რომ ზანურსა და სვანურში ქართული ენა-დიალექტებიდან შესული არაერთი ფუძე გვხვდება, რომელიც სისინა სიბილანტს შეიცავს, მრავალ ზანურ-სვანურ ფუძეში ქართველური ფუძე-ენის სისინა სიბილანტის ასევე სისინა (იდენტური) ეკვივალენტია შენარჩუნებული.

ქართველურ ენებსა და დიალექტებში სისინა სიბილანტთა განაწილება და მათი ეკვივალენტების ჩამოყალიბება სხვადასხვა დიალექტურ არეალსა და სხვადასხვა ქრონოლოგიურ საფეხურს გულისხმობს:

ქართველური ფუძე-ენის დიფერენციაციის პირველ საფეხურზე წინა რიგის (სისინა) სიბილანტები უცვლელადაა წარმოდგენილი ქართულ, ზანურ და სვანურ დიალექტებში.

ქართველური ფუძე-ენის დიფერენციაციის მეორე საფეხურზე ზანურ და სვანურ იმ დიალექტებში, რომლებიც არ ემიჯნავენთან ქართულ დიალექტებს, სისინა სიბილანტების ეკვივალენტებად ჩამოყალიბდა შიშინა სიბილანტები, ამასთანავე ქართულ დიალექტებთან მომიჯნავე ზანურ-სვანურ დიალექტებში ისევ სისინა სიბილანტებია წარმოდგენილი, ხოლო შუა ზოლში, რომელიც მომიჯნავე და დაცილებულ (პერიფერიულ) დიალექტებს შორისაა მოქცეული, ჩამოყალიბებას იწყებს შიშინა სიბილანტები, მაგრამ შენარჩუნებულია სისინა სიბილანტებიც.

ქართველური ფუძე-ენის დიფერენციაციის მესამე საფეხურზე ქართულ დიალექტებთან მომიჯნავე ზანურ-სვანურ დიალექტებშიც ნაწილობრივ ჩამოყალიბდა შიშინა სიბილანტები, მაგრამ სისინა სიბილანტიანი ლექსიკის დიდი ნაწილი კვლავაც შენარჩუნებულია.

ამ პერიოდში, როგორც ჩანს, ჩამოყალიბებას იწყებს შესატყვისობა ხმოვნებს შორის, რომელმაც გარკვეულწილად შეხლულა შესატყვისობის ჩამოყალიბება თან-

ხმოვნებს შორის (სისინა სიბილანტთა შიშინად გადაქცევის პროცესი). სვანურში ამ მიმართებით ფართო გასაქანი ეძლევა ფონეტიკურ პროცესებს: უმლაუტიზაციას, აფრიკატიზაციას, დეზაფრიკატიზაციას.

დროთა განმავლობაში ზანურ და სვანურ დიალექტებში ხდება დიალექტურ ფორმათა ერთგვარი შერევა-გადანაწილება, ანუ სესხება: სისინა სიბილანტიანი ფუძეები მკვიდრდება შიშინა სიბილანტიანი დიალექტების ზოლშიც – ზოგ შემთხვევაში პარალელური ფორმის, ალომორფის სახით, სხვა შემთხვევაში კი ასეთ ფუძეებში ფონეტიკური პროცესების ნიადაგზე სისინა სიბილანტთა გაშიშინებით ან სემანტიკური გადაწვევისა და დატვირთვის წყალობით შენარჩუნებული ამოსავალი ფონემური (სისინასიბილანტური) სახით.

სანიმუშოდ მოგვყავს ერთი ძირი (ძ-) და მისგან ნაწარმოები ფუძეები (ძ-ევ-ს; მ-ძ-ევ-ალ-ი, ძ-ებ-ა; გან-ძ-ებ-ა...), რომლებიც აშკარად მიუთითებენ ქართველურ ფუძეენაში არა სხვადასხვა ბუნების (სისინა და სისინ-შიშინა: ძ და ძ') ფონემათა, არამედ ოდენ სისინა ძ ფონემის არსებობაზე.

ერთი მხრივ, საერთო-ქართველური *ძ- (სისინა) სიბილანტის უდავო ეკვივალენტია ქართულ-ზანურ-სვანური იდენტური (სისინა) ძ- სიბილანტი:

ქართ. ძ-ევ-ს: ზან. ძ- / ძ-უ (მეგრ.), ძ-უნ, ზ-უნ (ჭან.); სვან. ზ- /ზ-ი (ზ<ძ). მეორე მხრივ, საერთო-ქართველური *ძ (ასევე სისინა და არა – სისინ-შიშინა) სიბილანტის ასევე უდავო ეკვივალენტები ჩანს ქართული ძ- (სისინა) და ზანურ-სვანური ჯ- (შიშინა) სიბილანტები:

ქართ. ძ-ევ-ს: ზან. ჯ-ან-უ/ჯ-ან-უ „წევს“ (ეტიმოლოგიურად: „ძევს“). ამავე ძ- ძირისაგან ნაწარმოებ სხვა ფუძეებშიც სისინათა შესატყვისად ზანურში შიშინა სიბილანტი დაჩნდება:

ქართ. მ-ძ-ევ-ალ-ი (ძ-ევ-ს): ზან. ჯ-ალ-ი;

ქართ. გან-ძ-ებ-ა, გან-ა-ძ-ო: ზან. გონ-ჯ-ამ-ა „გახსნა; გაღება“..., გან-ჯ-უ, გან-ჯ-უ „გახსნა; გააღო“... (ეტიმოლოგიურად: ერთმანეთისაგან „განაძო“).

ქართულში ძ-ევ-ს / ძ-ებ-ა-ს პარალელურად გვაქვს დ-ევ-ს / დ-ებ-ა და მასთან ეტიმოლოგიურად დაკავშირებული ჯ-ედ / ჯ-დ-ომ-ა, სადაც შიშინა ჯ- სიბილანტია წარმოდგენილი. დ- /ძ- / ჯ- ბგერათმონაცვლეობის მიზეზი მათი სხვადასხვა დიალექტური წარმომავლობაა, რომელსაც ადრინდელ ქართველურ ფუძეენაში ერთი ფონემა ჰქონდა ამოსავლად.

ასეთი პროცესების დაშვებას ქართველურ ენებსა და დიალექტებში შესაძლებლად მიიჩნევა ამ ენათა ნარეკობის თეორიის ავტორი ნ. მარი: „Скрещение диалектических явления происходило не только в пределах каждого языка, особо скрещивались различные языки одной и той же группы, отличались диалектические явления других групп~ (Март 1914: 8).

ეს მაგალითები ცხადყოფენ, როგორც შიშინა ჯგუფის (ზანურ-სვანურ), ისე სისინა ჯგუფის (ქართულ) ენა-დიალექტებში წარმოდგენილ საერთო ქართველურ ფუძეებში შიშინა სიბილანტების პარალელურად სისინათა არსებობას. ქართულის (და არა მხოლოდ ქართულის) სხვა მაგალითებშიც ეს ვითარება ჩანს ამოსავალი: ხვეტა / ხვეწა / ხვეჭა, ტილი / წილი / ჭილი, თიკანი / ციკანი, ფრცხილი / ფრჩხილი, დავსობა / დახშობა, ბრწყალი / ბრჭყალი, ხიწვი / ხიჭვი, პატარა / პაწია / პატუა და სხვა ფუძეთა მონაცვლეობის მთავარი მიზეზი უფრო დიალექტურ ვარიაციაში უნდა ვეძიოთ და არა იმდენად მათ სიმბოლურ (ექსპრესიულ) ხასიათში.

ბგერათმეცნიერების ახალგაზრდა მკვლევარი რიგისათვის ქართველურ ენებში. ქართველოლოგიაში ჯერჯერობით არ არის გამოვლენილი ბგერათმეცნიერების ისეთი რიგი, რომელიც იქნებოდა უდავოდ არგუმენტი ქართველურ ფუძეენაში **ჟ** ფონემის დასაშვებად (**ჟ** ფონემის შემცველი საერთოქართველური ფუძის ერთეულ შემთხვევაზე მიუთითებენ გ. კლიმოვი (ქართ. **ჟღრ-ობა**:- ზან. (მეგრ.) **ჟღირ-აფ-ა**) და ვ. შენგელია (ქართ. **ჟლეტ-ა**; ზან. (მეგრ.) **ჟგარტ-უ-ა / ჟგართ-უ-ა**).

ვფიქრობთ, საერთოქართველურ ლექსიკაში მოიპოვება არაერთი ფუძე (სავარაუდოდ – ორ ათეულამდე), რომელიც შესაძლებელს ხდის ბგერათმეცნიერების ახალი რიგის – **ქართული ჟ: ზანური ჟღ: სვანური ჟღ** – დადასტურებას და ამ შესაძლებლობიდან გამომდინარე – ქართველურ ფუძეენაში ***ჟ** ფონემის რეკონსტრუქციას.

მიუხედავად იმისა, რომ ფუძეენაში აღადგენენ სიბილანტურ ფონემათა ორ, სამ და ოთხ როგორც კი, ყველა ქართველოლოგი უდავოდ მიიჩნევს წინა რიგის (სისინა) ***ზ *ს *ძ *ც *წ** (ორი სპირანტი, სამი აფრიკატი) და უკანა რიგის (შიშინა) ***შ *ჯ *ჩ *ჭ** (ერთი სპირანტი, სამი აფრიკატი) სიბილანტთა დაშვებას, რაც დასტურდება ქართველურ ენებში ისტორიულად და თანამედროვე ეტაპზე არსებული მონაცემებით. როგორც აქედან ჩანს, ნაკულულია შიშინა სიბილანტური რიგი: სათანადო საერთოქართველური ფუძეების დაუდასტურებლობის გამო არ არის რეკონსტრუირებული ***ჟ** ფონემა, არადა – წინა რიგის (სისინა) მჟღერი ***ზ** სპირანტის არსებობა ბუნებრივად გულისხმობს უკანა რიგის (შიშინა) ასევე მჟღერი ***შ** სპირანტის დაშვებას და ამით შიშინა სიბილანტურ რიგში ცარიელი ადგილის შევსებას.

ასევე, ქართველოლოგთა ერთი ნაწილი ფუძეენაში ***ჟ** ფონემის დაშვების შემთხვევაში მის ეკვივალენტად ზანურ-სვანურში ***ჟგ** კომპლექსს ვარაუდობს, რაც არ დასტურდება სათანადო საერთოქართველურ ფუძეებში. **ჟგ**-ს ნაცვლად კი **ჟღ** კომპლექსის ეკვივალენტობას გულისხმობს სხვა შემთხვევაც.

1. **ჟ** მჟღერ სპირანტთან უფრო ბუნებრივია ასევე მჟღერისა და სპირანტის – **ღ** ფონემის – შეთავსებადობა, ვიდრე **გ** მჟღერისა, მაგრამ ხშულისა და არა – სპირანტისა. ყველა შიშინა სიბილანტური კომპლექსისათვის ამოსავალია ამ კომპლექსების შემადგენელ წევრთა შეთავსებადობის პრინციპი მჟღერობა-სიყრუის მიხედვით: **ჯ** მჟღერი იგუებს **გ** მჟღერს (**ჯგ**), **შ** და **ჩ** ყრუ ფშვივიერი – ასევე **ქ** ყრუ ფშვივიერს (**შქ, ჩქ**) და **ჭ** მკვეთრი – ასევე **კ** მკვეთრს (**ჭკ**). აქედან, ბუნებრივია, **ჟ** მჟღერს, როგორც **გ** მჟღერს, შეეძლო, შეეთავსებინა ასევე **გ** მჟღერი (ე.ი. გვქონოდა **ჟგ** ისევე, როგორც **გგ** აქვს **ჯგ**), მაგრამ ეს პროცესი არ განხორციელდა **ჟ**-ს სპირანტობის გამო: **ჟ** მჟღერის სპირანტობა გახდა დამატებითი, და ამით – გადამწყვეტი საფუძველი მისი **ღ** მჟღერთან, როგორც სპირანტთან, შეთავსებადობისა (**ჟღ**).

2. ამასვე გულისხმობს საერთოქართველურ ლექსიკაში **ჟგ** და **ჟღ** კომპლექსების შემცველი ფუძეების სიხშირული მიმართება: **ჟგ** კომპლექსიანი თითო-ორი ფუძე დასტურდება, **ჟღ** კომპლექსიანი კი – ათეულობით. შეფარდება დაახლოებით ასეთია: ქართულში – 1:50 (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით), ზანურში – 3:30 (ო. ქაჯაიას „მეგრულ-ქართული ლექსიკონის“ მიხედვით), სვანურში – 1:10 (ვ. თოფურიას და მ. ქაღდანის „სვანური ლექსიკონის“ მიხედვით).

ქვემოთ წარმოდგენილი საერთო-ქართველური ფუძეები, თუ მათ შორის ბგერათმეცნიერების მისაღები იქნება, ადასტურებს ბგერათმეცნიერების ახალი რიგის – **ქართ. ჟ : ზან. ჟღ : სვან. ჟღ** – კანონზომიერ ხასიათს ქართველურ ენებში:

<p>1. ქართ. ჟღ-ეტი-ა; ჟღ-იტი-ა; ჟმ-ეტი-ა, გა-ჟმ-ენტი-ა (ქი-ნიყ.) გა-ჟმ-ეტი-ა (თუშ.) არქეტიპი ქართველური ფუძე-ენის დონეზე: ჟღ- ძირი, *ჟღეტი- / ჟღიტი-ფუძე.</p>	<p>ზან. ჟღილ-ატი-უ-ა; ჟღილ-იტი-უ-ა „ჟღეტი“; გო-ჟღილ-ატი-ირ-ი „გაჟღეტილი“; გო-ჟღილ-იტი- /უ „გაჟღიტი“ სვან. ლი-მჟღ-უნ-ე „ჟღეტი“</p>
<p>2. ქართ. ჟვერტი-ვა „დანარცხება“ (იმერ.) არქეტიპი *ჟვერტი- ფუძე.</p>	<p>ზან. ჟღვარტი-აფ-ი/ა „იდ“; ქ-და-ჟღვარტი- /უ „დაენარცხა“</p>
<p>3. ქართ. ჟეპ-ა „მიწის ტკეპნა რაიმე სიმძიმით ან ხილის დაჩენქვა“ (ქეგლ., რაჭ.); „ძლიერი ცემა“ (ქართ.) არქეტიპი *ჟეპ-.</p>	<p>ზან. ჟღიფ-უ-ა „ცემა; გარტყმა“; სვან ლი-ჟღბ- ნ-ე „დაცენქვა“; ხ-ა-ჟღებ „გაართყვა“; ჟღიპ-ე/ჟღებ-ე „ჭყლეტს“; ღე-ჟღპ- რ-ე „გასაჭყლეტი...“</p>
<p>4. ქართ. ჟეპე-ო, ჟეპე-რი „პეჟო, პერი, ქაფი“ (იმერ.), მოჟეპე-რი-ვა „ქაფის მოხდა“ (ზ. იმერ.) არქეტიპი *ჟეპე-</p>	<p>ზან. ე-ჟღვაპ-უ-ა „აქაფება; გამოყრა; დასუსხვა“</p>
<p>5. ქართ. *ჟეპე-ა, მო-ჟეპე-ა „ხილის სულ მთლიანად კრეფა, მოკრეფა“ (იმერ.) არქეტიპი *ჟეპე-</p>	<p>ზან. ჟღვაპ-აფ-ი/ჟღვაპ-აფ-ი, ჟღვაპ-ინ-ი „რისაძე ერთბაშად ხელში მოქცევა; ტაცე-ბა; დაჭერა“; ხე ქო-ჟღვაპ-უ „მოიხელთა; ერთბაშად ხელთ იგდო; ხელი სტაცა...“</p>
<p>6. ქართ. ჟინჟღ-ილ-ა, ჟინჟღ-ალ-ა „მწითური, სისხლსავსე, ღაჟღაჟა“ (ქეგლ.); გა-ჟინჟღ-ილ-ებ-ულ-ი „წითლად გასუქებული ადამიანი“ (გურ).</p>	<p>ზან. გო-ჟინჟღ-ინ-აფ-ილ-ი, გო-ჟღიჟღ-ინ-აფ-ილ-ი, გო-ჟღირჟღ-ინ-აფ-ილ-ი „იდ“; სვან. ღე-ჟღღრ-ბან „ჩაფსკენილი, ღოყებდასივებული, ჩასუქებული“.</p>
<p>არქეტიპი: *ჟინჟღ-.</p>	

<p>7. ქართ. ურ-იალ-ი ულრ-იალ-ი (ძვ. ქართ. ურ-ა > ურიალ-ი, მეორეს მხრივ ურ-ა > ულერა > ულრიალ-ი).</p> <p>არქეტიპი: *ურ-/*ურ- ძირი, *ურ-იალ- ფუძე.</p>	<p>ზან. ულ-იორ-ი „იდ“; მი-ულ-იორ-უ „მიურიალებს, მი-ულარუნებს“;</p>
<p>8. ქართ. მულაგ-ნ-ებ-ა „ბაცხადება“ (საბა). გა-მულაგ-ნ-ებ-ულ-ად</p> <p>არქეტიპი *(მ)ულა -.</p>	<p>სვან. ულა-ურ-დ „აშკარად“ (ულა-ურ-დ „აშკარად“ (ულა-ურ- < *ულა-ურ: -ე-ს სიგრძე უ-ს დაკარგვის საკომპენსაციო შედეგია).</p>
<p>9. ქართ. ურ-ობ-ა „ნელი ხარშვა“ (გურ.) (ურ-ობ-ა > ულრ-ობ-ა. უნ-ობ-ა > ულნ-ობ-ა); და-მულნ-არ-ი „ხილი და-მჭკნარი“ (საბა).</p> <p>არქეტიპი *ურ-.</p>	<p>ზან. ულირ-აფ-ა / ბულირ-აფ-ა „ჭკნობა; სიცხისგან, სიცივისგან წვა, ზრობა, ჭკნობა“;</p> <p>ბულირ-აფ-ილ-ი / ულირ-აფ-ილ-ი „დამჭკნარი“.</p>
<p>ქართ. ურ-ვა; ნა-ურ-ი; ურ-ი „წვეთი“ (მოხ., ქიხ.).</p> <p>არქეტიპი *ურ-.</p>	<p>ზან. ულურ-აფ-ი, ულურ-აფ-ა „ურ-ვა; დნობა; გაღვლილობა; წვეთა“; ულურ-ან-ს „მოწურ-წურებს; წვეთავს; ჟონავს“ და სხვა.</p>

ზოგიერთი საანალიზო ფუძის ხმაბაძვითი (ბგერწერითი, ექსპრესიული) ხასიათი არ ქმნის დაბრკოლებას ქართველურ ფუძეენაში არქეტიპთა აღსადგენად, ვინაიდან ამ სახის ფუძეთა შორისაც სრულფასოვნად არის გატარებული ქართველოლოგიაში აპრობირებული რეგულარული ბგერათშესატყვისობის კანონზომიერი წესი.

ქართული ენისა და დიალექტების დუბლეტურ ფუძეებში, სადაც ერთმანეთს ენაცვლება **ჟ** ფონემა და **ულ** თანხმოვანთკომპლექსი, ამოსავალია **ჟ** (**ურა** > || **ულერა**, **ურობა** > || **ულრობა**, **უნობა** > || **ულნობა**, **ურიალი** > || **ულრიალი** და სხვა), რასაც ადასტურებს ძველი ქართულის სათანადო მასალა და სიბილანტურ ფონემათა საარტიკულაციო ადგილის წინა რიგიდან უკანა რიგისაკენ გადაწევის საერთოქართველური წესი (შდრ. გ. კლიმოვი 1998).

ამდენად, საანალიზო ფუძეთა შესატყვისობის საფუძველზე შესაძლებელი ჩანს ქართველურ ფუძე-ენაში ***ჟ** ფონემის შემცველი არქეტიპების აღდგენა (მაგ., ქართ. **ულ-ეც-/*ულ-იტ-** : ზან. **ულილ-ატ-** / **ულილ-იტ-**; სვან. **მულ-** შესატყვისობიდან გამომდინარე ქართველურ ფუძეენაში უნდა აღდგეს ***ულ-** ძირი და ***ულ-ეც-/*ულ-იტ-** ფუძე; ქართ. **ურ-**: ზან. **ულირ-** შესატყვისობის მიხედვით – ***ურ-** არქეტიპი; ქართ. **მულაგ-**: სვან. **ულა** შესატყვისობა კი ***(მ)ულა-უ-** არქეტიპს გვაპარაუდებინებს და სხვა.

საერთოქართველური ლექსიკა სიბილანტა შესატყვისობის მიხედვით და ქართველური ეტიმოლოგიები. ქართველურ ენათა ისტორიის კვლევა, უპირველეს ყოვლისა, საერთოქართველური ფუძეების (რესპ. ძირების) გამოვლენასა და ანალიზს გულისხმობს. ამ მხრივ მოძიებული თითოეული ლექსემა უაღრესად ფასეულია ქართული, ზანური და სვანური ენების უძველეს მონაცემთა აღსადგენად და საერთოქართველური ფუძეების არქეტიპთა სარეკონსტრუქციოდ. აქ წარმოდგენილი ლექსიკური ერთეულების ფუძე-ძირთა შედარებითი ანალიზიც ამ მიზანს ემსახურება.

1. ქართ. **ბანჯელ**-ი „ავი ბალანი“ (ს.ს. ორბელიანი, I, 1991);
ბანჯელ-იანი „იგივეა, რაც ბანჯგელიანი“ (ქველ.);

ბანჯგელ-ი, **ბანჯგელ**-იანი.

ზან (მეგრ.) **ბონძგორ**-ი „ბანჯგელი“;

ბონძგორ-ამ-ი „ბანჯგელიანი“.

ბანჯგელ- / **ბანჯგელ**- ფუძეში მეორე ა ხმოვანი აღდგება, რასაც ადასტურებს დიალექტური **ბანჯგვალ**-ი „ბანჯგელი, ტანზე დიდი თმა“ (ლენხ., ჩიქოვანი 1941, ღლონტი 1984). ზანური (მეგრული) **ბონძგორ**- ქართული **ბანჯგვალ**- ფუძის კანონზომიერი შესატყვისია. ჯ : ძგ ბგერათფარდობა ვ (<*ჟ) -ს გავლენის შედეგია.

ქართულ დიალექტებში „ბანჯგელისა“ და „ბანჯგელიანის“ მნიშვნელობით ასევე გვხვდება: **ბანჯგელ**-ი (გურ., შარაშ., 1938; ღლონტი 1984); **ბანდღლ**-ი, **ბანდღლ**-იანი (მთიულ., კაიშაური 1967); **ბარდღალ**-ა (ქართლ., მენთეშაშვილი 1970). მეგრულში დასტურდება: **ბოძგორ**-ი, **ბონძგორ**-ი (Кипшидзе 1914); **ბოძგომ**-ი, **ბონძგორ**-ი, **ბოდღორ**-ი (ელიავა 1997).

დიალექტური ვარიაცია ქართულ-ზანური ბგერათშესატყვისობის კიდევ ერთი მაგალითის გამოვლენის საშაულებას იძლევა.

ქართ. **ბანდღლ**-ი, **ბანდღლ**-იანი (მთიულ.);

ბარდღალ-ა (ქართლ.).

მეგრ. **ბოდღორ**-ი, **ბონდღორ**-ი.

ფუძეების დონეზე არქეტიპად ***ბანჯუალ**- და ***ბანდღალ**- ფუძეებია სავარაუდებელი.

2. ქართ. **სრულ**; **სრულ**-ი «სავსე», მრთელი, «ცოცხალი», მთლიანი;

სრულ-ად, **სრულ**-ი-ად, **სრულ**-ებ-ით... (აბულაძე 1973);

სულმცირედ „მოკლედ“ (სარჯველაძე 1995); **სულ** (< სრულ);

სულ-ად-(აც), **სულ** მთლად, **სულ** ცოტა,

სულ მუდამ, **სუყველა** (< სულყველა)... (ახ. ქართ.)

ზან (მეგრ.) **შურ**-ო „სულ; მთლად; სრულიად“; **შურ**-ოთ „იდ“.

დასტურდება ძველ ქართულ წერილობით წყაროებში: „**სრული** საქმე ქმნეს ღმერთმან შენ თანა“, ივდ. 11, 4; „ამათ **სრულ** ქმნეს სიკეთე შენი“, ეზეკ. 27, 11 (აბულაძე 1973); „რაოდენ უძლო, მარტივად და **სულმცირედ** აღვწერო... პირისა მისისაგან მოთხრობილი...“ გიორგი მთაწმ. 105, 14; „ყოველივე **სულმცირედ** და მოკლედ მიგი-

თხრა“, იქვე 114, 22 (სარჯველაძე 1995).

სულ მიღებულია **სრულ** ფორმისაგან, მეორეს მხრივ კი **სრულ** < **სლულ**- (ჩიქობავა 1942: 67).

საანალიზო ფუძისაგანაა ნაწარმოები: **აღმასრულებელი**, **აღსასრული**, **გამოსრულება**, **გა(ნ)სრულება**, **დასასრული**, **დასრულება**, **დაუსრულებელი**, **მისრულება**, **მოსრულება**, **სისრულე**, **უსრული**, **შესრულება**, **წარმოსრულება**, **წასრულება**, **სრულად**, **სრულება**, **სრულებით**, **სრულიად**, **სრულ-ქმნა**, **სრულმყოფელი**, **სრულ-ყოფა** და სხვ. (აბულაძე 1973).

სრული „მთელი, მთლიანი“ ეტიმოლოგიურად **სლვა**-ს (<ს-ვლ-ვა < ***ს-ვალ-ვა**) უნდა უკავშირდებოდეს, ამ უკანასკნელს კი საყრდენად აქვს **ვალ** ზმნური ძირი. ამდენად, **სრული** და **სრული** / **სული** (წა-სრული / წა-რსული / წა-სული) ერთი საერთო ძირისაგან წარმოქმნილი ფუძეა (ფუძეებია), რომელსაც სემანტიკური გადაწვევის შედეგად სხვადასხვა კონტექსტში ასევე **სრულიად** სხვადასხვა მნიშვნელობა მოეპოვება.

მართებული არაა პ. ჭარაიას თვალსაზრისი **შურ**-ო „სულ, მთლად“ ლექსემის **შურ**-ი „სული; სუნი“ სახელთან დაკავშირების შესახებ (ჭარაია 1997: 156) **შურ**ო ი. ეიფშიძესაც აქვს დამოწმებული: **შურ**ო «совсем, совершенно», **შურ**ო-თი „и совсем“ (Кипшидзе 1914), თუმცა ის არაფერს ამბობს მისი ეტიმოლოგიის შესახებ. პ. ფენრიხს **სრ-ულ-I** / **სრ-ულ-იად** ფორმათა სვანურ შესატყვისად **სურ-უ** „ძლიერ; მთლიანად“ მოაქვს (ფენიხი 1982 ა, 36; ფენრიხი, სარჯველაძე 1990). სვანურში, როგორც ზანურში, შიშინა შესატყვისი უნდა გვქონოდა. ამიტომ სვანურშიც, როგორც ზანურის სისინა ფორმებში (**სრული**-ი, **რსული**-ი, **რსული**-ო „სულ, სრულიად“) ქართულიდან შესული ფუძე უფრო უნდა გვქონდეს, ვიდრე შესატყვისი.

მაშასადამე, ქართულში: **სულ** < **სრულ** < ***სლულ** < ***სელ-ულ** (**სელ**-ა < ***ს-ვალ**-ა < **ვალ**-). **ვალ** ზმნური ძირისგანაა ნაწარმოები ასევე ძველი ქართული **გვალ**- „წასვლა; მოსვლა; ადგომა; რბენა“ (აბულაძე 1973), რომელიც ზანურში შევიდა **გვალ**- (**გვალ**-ო, **გვალ**-ე, **გვალ**-ას „სულ, მთლად, სრულად“) ფუძის სახით და გადატანითი მნიშვნელობით (აქ ასეთივე სემანტიკური გადაწვევა მოხდა, როგორც **სრულ-სულ**-***სლულ** შემთხვევაში გვაქვს).

საინტერესოა, რომ **სულ** ფუძეში ძირეული ელემენტი არც კი შემორჩა: **ს**- მასდარის ოდინდელი პრეფიქსია, **-ულ**- მიმღეობის სუფიქსი, ისევე, როგორც ზანურ **შურ**ო ფუძეში **შ**- პრეფიქსია, **-ურ** და **-ო** კი სუფიქსები (ცხადია, დიაქრონიულ დონეზე).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ-ზანურ პრეფიქსთა სისინა: შიშინა (**ს:შ**) შესატყვისობის სხვა მაგალითი ჯერ-ჯერობით გამოვლენილი არ არის.

ქართული **სულ** / **სრულ** და ზანური (მეგრული) **შურ**-ო ფორმებისათვის ფუძეების გარკვეულ საფეხურზე ***ს-ულ**-/სრ-ულ/სლ-ულ არქეტიპი ჩანს ამოსავალი.

3. ქართ. მ-ტკიცე «მძლავრი», მყარი, «მაგარი», «ძლიერი», «გულპყრობილი»; მ-ტკიცე-ებ-ა მიკვრა, მიმაგრება“; გან-მტკიცე-ებ-ა «განმაგრება», «განძლიერება», «გამყარება»;

მ-ტკეც-ა, და-მტკეც-ა „დამტკიცება“ (ი. აბულაძე, 1973); მ-ტკიცე-ებ-ა-? „სიმტკიცე“, მ-ტკიცე-ობ-ა „მტკიცედ დგომა“; მ-ტკიცე-ოგ-ა „დამტკიცება“, და-მ-ტკეც-ილ-ი „გამაგრებული“ (სარჯველაძე 1995).

- მეგრ. ტკინ-ინ-აფ-ა, გო-ტკინ-ინ-აფ-ა „განმტკიცება; გამაგრება; გამყარება; გასკლომამდე გაბერვა (ტყავის გამაგრება)“;

ტკიბ-ალ-ი, გო-ტკიბ-ინ-აფ-ილ-ი „მტკიცე; მაგარი, მკვრივი; მყარი; გან-მტკიცებული“, გო-ტკიბ-ონ-დ-გ/უ „გამაგრდა; გამკვრივდა, გამყარდა“; გადატ. „დასკდომამდე გაიბაერა, გამაგრდა“.

გვხვდება უძველეს ქართულ წერილობით წყაროებში:

„ყენა მკლავნი ჩემნი ვითარცა მშუღლი მტკიცე“ ფს. 17, 35; „მძლავრ (მტკიცე) არს ვითარცა სიკუდილი სიყუარული“ , ქება, 8, 6; „მხულივი ველითა იმტკიცების კლდესა“ იგ. სოლ. 30, 28; „დამტკეცილ არს ჩუენ შორის“ , ივდ. 8, 21.

მ-ტკიც-ე ნაზმნარი სახელია, მ- - ე მიმღეობური აფიქსებით გაფორმებული. მი-სი საყრდენი ზმნური ფუძე დრეკალია: ტკეც- / ტკიც- ქართული ტკიც- და ზანური ტკიბ- კანონზომიერი ბგერათშესატყვისობის მაგალითებს წარმოადგენენ, სემანტიკური შესატყვისობისთვისაც დაბრკოლება არა ჩანს. საანალიზო ფუძეს უნდა შეიცავდეს ზმნური ტკეც-ს / ს-ტკიც-ა ფორმები, რომელთაც მეგრულში ტკაჩ-უ-ა „დარტყმა, ცემა“ და სვანურში ლი-ტკჩ-ე „დარტყმა“ მოუდით შესატყვისად (ჭარაია 1997; Климов 1964). ტკიც- ძირისაგან ჩანს აგრეთვე ნაწარმოები ხმაბაძვითი სიტყვები: ტკიც-ინ-ი -1. „უხმარი მტკიცე ქაღალდის მოძრაობით გამოცემული ხმა“, 2. „სმელი შეშის წვით გამოცემული ხმა“, ტკიც-ინ-ა - 1. „რაც ტკიცინებს“, 2. „ახალი უხმარი“ (ქეგლ.) შდრ.: აგრეთვე ტკაც-ან-ი, ტკაც-უნ-ა.

ი. ყიფშიძის მოწმობით მეგრულში გვხვდება ასევე გადატანითი მნიშვნელობით გამოყენებული - ტკიბ-უ-ა, გილა-ტკიბ-უ-ა наддувается, раздуваться (Кипшидзе 1914), ხოლო მეგრული ტკეც-უ-ა / ტკიც-უ-ა (Кипшидзе 1914), და ჭანური მ-ტკეც-ი (Март 1910) ქართულიდან შემოსულ ფორმებად უნდა მივიჩნიოთ.

ფუძეების დონეზე არქეტიპად *ტკეც- / *ტკიც- ძირი და *ტკიც-ინ- ფუძე არის სავარაუდებელი.

4. ქართ. წუწ-გ-ა; გა-ი-წუწ-ა; გა-წუწ-აგ-ს;

გა-მ-წუწ-ე-ელ-ი; სა-წუწ-არ-ი;

ზან (მეგრ). ჭუჭ-ელ-ი, ჭუჭ-ელ-ე „ჭინჭარი“;

(ჭან.) ტუტ-უჯ-ი (< *ჭუჭ-უჯ-ი) „ჭინჭარი“.

ჭინჭარ-ს (ძველი ქართული ჯინჭარ-ი) ჭანურში დიჭკიჯ-ი „ჭინჭარი“ მოუდის შესატყვისად (Март, 1910 ნ 139). ჭანური (ვიწური კილოკავი) ო-ჩხაპ-ულ-ე „ჭინჭარი“ (ეტიმოლოგიურად „მჭრელი, კბენია“) ლექსემის ჩხაპ- ძირის ძველ ქართულ შესატყვისად კი ჩხუეპ- (ჩხუეპ-ა „დაჭრა“) არის ცნობილი (გიგინეიშვილი, კარტოზია, 1986: 6).

მეგრულში ხსენებულ ძირთა შესატყვისი თითქოს არ ჩანს: აქ „ჭინჭრის“ აღსანიშნავად ჭუჭ-ელ-ი / ჭუჭ-ელ-ე გამოიყენება, რომლის ჭუჭ- ძირი ქართულ წუწ- (წუწ-გ-ა) ძირს უნდა უკავშირდებოდეს. ფონემურად კანონზომიერი შესატყვისობაა, მაგრამ სემანტიკური დაკავშირება უდავო ვერ იქნება (მნიშვნელოვანი დაცილებაა) თუმცა ამოსავალი, საზიარო მნიშვნელობის დანახვაც შესაძლებელი ჩანს: ჭუჭ-ელ-ი = მ-წუწ-აგ-ი, მ-წუწ-ე-ელ-ი. შდრ.: სუსხ-ი > მ-სუსხ-აგ-ი (ჭინჭარი).

ჭანურში ტუტ-უჯ-ი ლექსემაც დასტურდება „ჭინჭრის“ მნიშვნელობით, (Март, 1910), რომელიც *ჭუჭ-უჯ- ფუძის დეზაფრიკატიზებული ფორმა ჩანს: ჭანურ ფუძეში აფრიკატთა (ორი ან ორზე მეტი) თავმოყრა დამახასიათებელი არაა, ასეთ შემთხვევაში დისიმილაციური დეზაფრიკატიზაცია იჩენს თავს. უნდა ვიფიქროთ, რომ საანა-

ლიზო ფუძემდებ ასეთი ფონეტიკური პროცესი განხორციელდა (ამას მეგრულის შესაბამისი ფუძემდებ გვაფიქრებინებს) : ტუტ-უჯ- < *ჭუჭ-უჯ-. მეგრულში ქართული -ელ სუფიქსია (ჭუჭ-ელ-) წარმოდგენილი, ჭანურში კი ქართული ***(ა)რ** სუფიქსის შესატყვისი **-(უ)ჯ** (მდრ.: ჯინჭ-არ- : დიჭკ-იჯ-; ბუტკ-არ : ბუტკ-უჯ- და სხვ.)

ამასთანავე, ვფიქრობთ, მეგრული ჩხაპ- ძირი (ჩხაპ-უ-ა „გაწუწვა, სხურება; რწყვა“) ჭანური **ო-ჩხაპ-ულ-ე-ს ჩხაპ-** ძირის კანონზომიერი ეკვივალენტია. ძველ ქართულ ჩხუეპ-ა-სთან დაკავშირებაც მართებული ჩანს, მაგრამ ასახსნელია, თუ რატომ არ მივიღეთ მეგრულ-ჭანურში მოსალოდნელი ჩხვაპ- შესატყვისი, თუმცა მეგრულში ეს ჩხვაპ- კი დასტურდება, მაგრამ არა „ჭინჭრის“ აღმნიშვნელ ფუძეში, არამედ „ცემა; გარტყმა“-ს მნიშვნელობით.

ფუძემდების დონეზე არქეტიპად *წუწ- ძირი უნდა ვიგულისხმოთ.

5. ქართ. ზერგ-ნ-ა, და-ზერგ-ნ-ა „დატკეპნა“, ზერგ-ნ-ი-ს „ტკეპნის“;

მეგრ. ზარგ-ან-უ-ა „ახელვა; არევ-დარევა; უხეიროდ კეთება; „ტკეპნა...“

დო-ზარგ-ან-უ „ახელა, არია“...

ზარგ-ან-ელ-ი „ახელილი, არეული“...

გვხვდება ძველ ქართულშიც: „დამზერგნოს მე გამოსვლასა მას თუსსა“, მ.ცხ. 359 რ (აბულაძე 1973).

მეგრულში საანალიზო ლექსემის მნიშვნელობები უფრო ფართოა. პარალელურად ო ხმოვნიანი ფუძემდებ გვაქვს: ზ რგონ-უ-ა, ზ რგონ-უ-ნ-ს.

არქეტიპად *ზერგ- ძირი აღდგება.

6. ქართ. ზრქელ-ი „სქელი“, „მსუქანი“, პოხილი (აბულაძე 1973).

გან-ზრქ-ომ-ა, სი-ზრქ-ე;

მეგრ. ზირქ-ალ-ი „მსუქანი; მსხვილი; გასიებული“...

ო-ზირქ-ინ-ან-ს „მსუქნად, გასიებულად... გამოიყურება“.

გო-ზირქ-ინ-აფ-ილ-ი „გასუქებული, გამსხვილებული“...

გვხვდება ძველ ქართულ წერილობით წყაროებში: „ზროხანი მათნი ზრქელ (პოხილ) არიან“ ფს. 143,14; „ნუსადა განზრქნეს გული შენი“ (აბულაძე 1973). ძველ ქართულში სქელ- ფუძემდებ დასტურდება: „რომლისა? მე ნაყოფი ჩნ?ილ, ხოლო ფურცელი – სქელ“, ბ.კეს.-ექუს.დდ. 73,24. ეგევე სქელ-, რომელიც ახალ ქართულშიც გვაქვს, შეთვისებულია მეგრულში ფსქელ- და სვანურში ზგელ- სახით. გიორგი როგავა რეგრესული ასიმილაციის მაგალითებზე მსჯელობისას აღნიშნავს: „ანალოგიური ერთი შემთხვევა (სქ > ზგ) შენიშნულია სვანურში ქართულიდან შეთვისებულ სქელ სიტყვაში: ქართ. სქელი – სვან. *სგელ – ზგელ, ოღონდ ამ შემთხვევაში ქართ. სქელ სიტყვის სქ კომპლექსი მეორეული ჩანს, შრდ. ძვ. ქართ. ზრქელი – ახ. ქართ. სქელი“ (როგავა 1984: 45). ვფიქრობთ, გ. როგავას ამ საინტერესო დაკვირვებას მხარს უჭერს ქართ. ზრქელ- და მეგრ. ზირქალ- ფუძეთა შესატყვისობა: ზირქ- ხმოვნიანი ფუძეში ჩანს, რომ ამოსავალი სქ კომპლექსი არ ყოფილა.

7. ქართ. ლაწ-უნ-ი, ლაწ-ან-ი, ლაწ-ა-ლ-უწ-ი;

გა-უ-ლაწ-უნ-ა...

მეგრ. ლორწ-უ-ა „გალაწუნება, გარტყმა“...

ქო-ლორწ-ვ/უ „გაულაწუნა, შემოპკრა, სთხლიშა“...

მიკუ-ლორწ-ვ /უ „შემოულაწუნა“...

სვან. ლი-ლწ-ი „მიკვრა, მიკრობა, მიტყეპება“...

ლა-ხ-ლაწ „მიაკრა (ცემით, გარტყმით)“

არ ჩანს ძველ ქართულში, მაგრამ ამ ფუძესთან ეტიმოლოგიურად დაკავშირებული ლეწ-ა, ლეწ-ვა ხშირად გვხვდება: ლეწ-ა „მსხვრევა“; მო-ლეწ-ილ-ი, ლეწ-ვა , დალეწ(ვა) „დაფშვნა“, „შემუსრვა“, „დამსხვრევა“ (აბულაძე 1973). ლეწ-ა || ლეწ-ვა ახალ ქართულში გადატანით ცემა-გარტყმის მნიშვნელობითაც იხმარება, ი ხმოვნია-ნი ლიწ- ფუძეც (ლიწ-ინ-ი) ალბათ ეტიმოლოგიურად შორს არ დგას ლაწ- ფუძისა-გან. მეგრულში -რ- განვითარებულია.

არქეტიპად *ლაწ- ძირი უნდა ვიგულისხმოთ.

8. ქართ. ჩლიქ-ინ-ი; ჩლექ-ა; ა-ჩლექ-ილ-ი;

მეგრ. ჩირქ-ინ-ი, ჩირქ-ინ-აფ-ა „ჩლექა, გაშეშება“...

ჩირქ-ალ-ი „აჩლექილი; გაშეშებული“...

გო-ჩირქ-ინ-აფ-ილ-ი "იდ";

ო-ჩირქ-ინ-ან-ს „აჩლექილია; გაშეშებულია“...

ამ ფუძეებს შორის კანონზომიერ ბგერათშესატყვისობას ჩ (ქართ.) : ჩქ (მეგრ.) შეფარდება უნდა მოეცა, მაგრამ მეგრულში მოსალოდნელი ჩქ კომპლექსი არ განვითარდა ფუძისეული ქ-ს გავლენით, ამასთანავე, მეგრულის ფუძემ განიცადა მეტათეზისი. შრდ. ქართ. ჩლიქ-ი – მეგრ. ჩირქ-ე (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

არქეტიპად *ჩლექ / ჩლიქ ჩანს სავარაუდებელი.

9. ქართ. ჩქუფ-ა „ღელვა, ხეთქება, წყდომა“ (აბულაძე 1973).

ჩქუფ-ებ-ა „ხეთქება“

მ-ჩქუფ-რ „უეცრად“ (აბულაძე 1973), „ზედზედ“ (საბა).

მეგრ. ჩქვაფ-უ-ა; ჩქვაფ-აფ-ი „ხეთქვა; ჯახება, გარტყმა“...

ჩქვაფ-უნ-ს „ხეთქავს (სცემს ან ჭამს), გაარტყამს“...

დასტურდება ძველ ქართულში წერილობით წყაროებში: „... არა ჩქუფონ იგი გულის-სიტყთა აქა და იქი“...მ. სწ. 234,13. „დაბრმა და ეჩქუფებოდა იგი კედელთა სახლისათა“ საკწიგნ. II, 26,38 (აბულაძე 1973). ხევსურულ დიალექტში ჩქეფა წყალში ჩავარდნილი საგნის მიერ გამოცემულ ხმას გამოსატყვის (შანიძე), ე.ი. ხმაბაძვითია. სავარაუდოა ეტიმოლოგიური კავშირი მ-ჩქეფ-არ-ე, ჩქეფ-ა, ჩქეფ-ს ლექსიკურ ერთეულებთან. მეგრულში ამ უკანასკნელის შესატყვისი ჩქაფ-უ-ა „თქვლეფვა; ჭამის დროს გამოცემული ხმა“ ფუძეში გვაქვს. ასევე სვანურშიც ლი-ჩქეფ-გნ-ე „ჩქეფა“ (წყლისა) სახელშიც ქართული და მეგრული ფუძეების შესატყვისს ვხედავთ.

ფუძეების დონეზე ჩქ-ეფ- ფუძე ჩანს ამოსავალი.

10. ქართ. ძ-ებ-ა „გდება“ (საბა);

გან-ძ-ებ-ა „განვლა“, „ღარღუევა“, გაძევება;

გან-ძ-ებ-ულ-ი „განგდებულ“, „განდევნილი“, გაძევებული.

„განყენებული“ (აბულაძე);

ძ-ეფ-ებ-ა-ფ, გა-მო-ძ-ეფ-ებ-ა-ფ «изгнание, изгонять» (ყიფშიძე);

გან-ა-ძ-ო, გა-მო-ა-ძ-ო...

ზან. (მეგრ.) ჯ-ამ-ა, ნჯ-ამ-ა, გო-ნჯ-ამ-ა „გახსნა“, „გაღება“;

გა-ნჯ-უ „გახსნა; გააღო“; ო-ნჯ-ა-ნ-ს „ხსნის, აღებს“;

გო-ნჯ-ამ-ილ-ი „გახსნილი; გაღებული, ღია“;

თოლ-გო-ნჯ-ამ-ილ-ი „თვალგახელილი, თვალია“...

ძება – ძირეული ლექსიკური ფონდის სიტყვა – დასტურდება ძველ ქართულ წერილობით წყაროებში. მათ შორის V-VIII სს-ების ხანმეტ ტექსტებში;

„კაცისა ვისგანმე განხადო ეშმაკი“ ლ. 11, 14; „რომელი ჩემდა მოვიდეს, არა განხუადო გარე“ ი. 6,37; „გამოსადეს იგი“ ლ. 20, 12; „განგაძონ შენ“ ჩ, – „დაგარღვონ შენ“, ლ. 19,14; „განიძის სამკვდრებელისაგან მამულისა“ მ. სწ. 79, 7; „უკუეთუ იყოს ქურივ ანუ განძებულ (განდევნილ)“ ლევიტ. 22, 13.

ქართული ძ- ძირის კანონზომიერ ფონემურ შესატყვისად ზანურში ჯ- დაჩნდება (ნჯ- ძირში ნ ფონეტიკური დანართია, რაც დამახასიათებელია ზანურისათვის).

სემანტიკური დიფერენციაცია – „გაძევება, გაგდება“ (ქართ.) და „გახსნა, გაღება“ (ზან.) – მეორეულია, ამოსავლად საზიარო მნიშვნელობა – „განცალკევება, მოშორება“ – უნდა გვქონოდა, შდრ.: „განძება ცხოველთათვის (სულიერთათვის – რ.ა.) ითქმის, ხოლო უსულოთათვის – განგდება“ (საბა).

ძ-ებ-ა/ძ-ეფ-ებ-ა ეტიმოლოგიურად დაკავშირებული ჩანს ამავე ძ- ძირისაგან ნაწარმოებ სხვა ფუძეებთანაც: ძ-ეფ-ს (ძვ. ქართული ძ-ეს; მი-ც < მი-ძ-ს; დიალექტ. (იმერს.) ძ-ი-ა (<ძ-ივ-ა) „ძევს, აგლია“) მ-ძ-ეფ-ალ-ი (ზანური შესატყვისი ჯ-ალ-ი). ასევე, ვფიქრობთ, არ გამოირიცხება ქართ. ძ-ეფ-ნ-ა, ძ-ეფ-ს : ზან. ჯ-ა-ნ-უ „წოლა, დაძინება“ («лежание, сон» – ყიფშიძე 1914); ჯ-ა-ნ- /უ (მეგრ.), ჯ-ა-ნ-ს (ჭან.) „წევს“ (ეტიმოლოგიურად „ძევს“) – ბგერათშესატყვისობა.

ამდენად, საანალიზო ფუძეთა შესატყვისობის მიხედვით შესაძლებელია არქეტოპად *ძ- ძირი და *ძ-ეფ-/*ძ-ეფ-ნ- ფუძე არსებულიყო (ქართ. ძ- (ძირი) : ზან. ჯ-; ქართ. *-ემ (სუფიქსი) : ზან. *-ა (*-ამ); ქართ. -ნ (სუფიქსი) : ზან. -ნ).

ამასთანავე, საფიქრებელია, ძ-ებ-ა (გან-ძ-ებ-ა/გა-ძ-ეფ-ებ-ა და ძ-ებ-ნ-ა/ძ-ეფ-ნ-ა, ძ-ი-ებ-ა(იხ. ქვემოთ) ფუძეები ეტიმოლოგიურად ერთმანეთთან დაკავშირებულ ფორმებს წარმოადგენენ (სემანტიკური და მორფოლოგიური ცვლის თავისებურებათა გათვალისწინებით).

ქართ. ძ-ეფ-ნ-ა „მოძიება“, ძ-ებ-ნ-ა „მონახვა“ (საბა);

ძ-ი-ებ-ა „თხოვა“, „გულება“, „მოძიება, გამოკულევა“, ცდილობა, გამოკითხვა, ძებნა, „ბრინვა“;

მო-ძ-ი-ებ-ა „ძიება, მონახვა, ძებნა, პოვნა“; „ზედამიხედვა“; მოღება“;

მო-ძ-ი-ნ-ებ-ა „მოხედვა“, მონახვა (აბუღაძე).

ზან. (მეგრ.) ჯ-ი-ნ-ა, ო-ჯ-ი-ნ-უ „უწურება; ხედვა; თვალთვალი, დაცდა, ლოდინი“;

გო-ჯ-ი-ნ-ა „დათვალიერება“, „გასინჯვა“;

გი-ნო-ჯ-ი-ნ-ა „გადახედვა“;

მე-ჯ-ი-ნ-ა „მიხედვა“; რიდი; მოკრძალება“;

უ-ჯ-ი-ნ-ე „უწურებს“; „ელოდება, უცდის“;

გო-ჯ-ი-ნ-ელ-ი „ნანახი, დათვალიერებული“; „ღამაზი, მომხიბვლელი“ (ეტიმოლოგიურად „კარგი შესახედაობისა“).

ძევნა / ძებნა / ძიება ქართულში ძირეული ლექსიკური ფონდის სიტყვებია (გვხვდება, ცხადია, ხანმოკლე ტექსტებშიც):

„ხიძოს ნათესავისა ამისგან“ ლ. 11,51; „იესუს ჯუარცუმულსა ხეძიებთ“ მ. 28,5; „რომელი ხეძიებდეს პოვოს“ ლ. 11,10; „წარვიდეს და მოიძიოს შეცთომილი იგი“ მ. 18,12; „იძიეთ ქუეყანაჲ“, მსაჯ. 18,2; „რომელთა მოგუძინნეს ჩუენ მზემან აღმომავალმან“ ჩ. ლ. 1,78.

ძველ ქართულში საანალიზო ფუძისაგან ნაწარმოები არაერთი სხვა ლექსემაც დასტურდება; გამომძიებელი, გამოძიება, მეძებარი, საძიებელი, ღონისძიება, შურისძიება და სხვა.

ქართულ დიალექტებში გვხვდება: ძ-ევ-ა (ხევს.) „ძებნა“, ძ-ებ-ილ-ი (რაჭ.) „ძებნა“ (ქართ. დიალექტ; ღლონტი); ძ-ებ-ინ-ი „ძებნა“ (ჯორბენაძე)

საანალიზო ფუძეები ე/ი ხმოვანმონაცვლევა. ძ-ი-ებ-ა მიღებულია *ძ-ი-ებ-ა-საგან, ძ-ი-ნ-ებ-ა კი – ძ-ი-ნ-ებ-ა-საგან. ამ ფუძეებისათვის საყრდენია აორისტის, ხოლო ე ხმოვნისათვის – ძ-ევ-ნ-ა, ძ-ებ-ნ-ა – აწმყოს ფორმები.

ზ. სარჯველაძემ მართებულად დაუკავშირა ზანურ ჯინ- ფუძეს ქართული ძინ- (მო-გუ-ძინ-ა); „ქართული ძინ- ძირს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული ჯინ- და ლაზური ჯინ-/ჯვინ-“ (სარჯველაძე 1985: 25; ფენრიხი, სარჯველაძე 1990; 2000). ჩვენი აზრით, ძინ- ფუძეა (ძ-ინ-) –ძ – ძირისაგან –ი (<*-იე) და –ნ სუფიქსებით გაფორმებული. ამას ადასტურებს ძველი ქართული ტექსტიც – „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“, სადაც ნუსხების მიხედვით სამი სხვადასხვა ვარიაციაა წარმოდგენილი:

„და მუნვე შემოკრიბნა კაცნი პატიოსანნი ცხოვრებითა და შემკულნი ყოვლითა სათნოებითა, არა თვსთა ოდენ სამეფოთა შინა პოვნილნი, არამედ ქუეყანისა კიდეთათ ... იძინა (იძივნა ჩ¹, იძია ცეჭ) და კეთილად გამოიძინა (გამოიძივნა ჩ¹, გამოიძია ცეჭ), მოიყვანნა და დაამკვდრნა მას შინა“ „ქართლის ცხოვრება“ 1, 330, 14.

მაშასადამე, საზიარო ძ- ძირისაგან არის მიღებული ძ-ი-, ძ-ი-ნ- და ძ-ი-ნ- ფუძეები.

საანალიზო ფორმათა შედარების საფუძველზე არქტიპებად უნდა ვივარაუდოთ *ბ- ძირი, *ბ-ეჟ-, *ბ-იჟ- და *ბ-ეჟ-ნ/*ბ-იჟ-ნ- ფუძეები.

ქართველური ეტიმოლოგიები: *წული, ყმაწვილი, წულილი, წელილი, წერილი.* საანალიზო ლექსემათა ეტიმოლოგიასა და ქართველურ ენებში მათი შესატყვისობის საკითხს არაერთი მკვლევარი შეეხო (შანიძე, როგავა, ლომთათიძე, გამყრელიძე, მაჭავარიანი, კლიმოვი, სარჯველაძე, ფენრიხი, ჩანტლაძე, შენგელია, არაბული, ნადარეიშვილი, ჩუხუა და სხვ.).

ქართველოლოგიურ ლიტერატურაში ცნობილ და ახლად გამოვლენილ მასალათა საფუძველზე შესაძლებლად გვესახება შემდეგი დაკავშირებების დაშვება:

წულ-ი (უფლისწული, სეფეწული, დედაწული, ქალწული, ძმისწული, დისწული, ძისწული...) ეტიმოლოგიურად უნდა უკავშირდებოდეს **წულ-ილ-** ფუძეს, რომელსაც ძველ ქართულშივე უჩანს პარალელური **წურ-ილ-** (**წულ-ილ-ი** > **წურ-ილ-ი** დისიმილაციით). მეორე მხრივ: **წულ-ილ-ი** > **წელ-ილ-ი** > **წერ-ილ-ი**. ამ უკანასკნელს დაუკავშირდება რედუცირებული ფორმები: **ი-წრ-ო**, **ვი-წრ-ო**, **ისევე**, როგორც: **სი-წლ-ო** (<*სი-წულ-ო).

გვევს **წულ-** ფონეტიკური ვარიანტი ჩანს **წვილ-** (<*წჳილ-) ფუძისა, რომელიც შემონახულია კომპოზიტში **ყმაწვილ-ი**. შდრ.: **ყმაწვილ-ი** // **ყმაწულ-ი** (საბა). ამასთანავე, **წვილ-** / **წულ-** / **წურ-** ფუძეთა კავშირს ცხადყოფს ძველ ქართულ ტექსტებში დადასტურებული ფორმები: „იყო ერთი ყრმაი წული“ მამ. ცხ. 346 V (შდრ. **ყმაწვილი**); დარჩეს **შვილნი** მისნი **წურილნი**“ **ვახტანგ გორგასლის ცხოვრება**, 217, 4 (შდრ. **წერილშვილი**); „გმირთა გამოცდილთა მბრძოლი ვარ, არა **ყმაწურილთა**“ იქვე, 152, 13 (შდრ. **ყმაწვილთა**).

წულ- / **წულ-ილ-** / **წურ-ილ-** ფუძეთა ეტიმოლოგიური კავშირის საფუძველზე შესაძლებელი ჩანს ქართულ-სვანური ცნობილი შესატყვისობის (ქართ. **წულ-ი**: სვან. **ჭუმ** „ვაჟი“ **ნა-ჭულ-აშ** „საწულისი“) შევსება მაგალითით: **მო-ნჭირ-ილ-ი/მო-ნჭირ-ელ-ი** „მოჭერილი; ვიწრო“; ეტიმოლოგიურად: „დაწვრილებული“; **მო-ნჭირ-ა** „მოჭერა; დავიწროება“. ქართ. **წულ-** / **წურ-** : სვან. **ნჭირ-**: სვან. **ჭუმ-** / **ჭულ-** კანონზომიერ შესატყვისობას წარმოგვიდგენენ.

საანალიზო ფუძეთა შეპირისპირების მიხედვით უნდა ვივარაუდოთ ქართველურ ფუძე-ენაში ***წულ-** / ***წულ-ილ-** არქტიპის არსებობა (შდრ.: გ. კლიმოვი – ***წ,უზ**; ჰ. ფენრიხი – ***წ,ულ**).

II ქართ. მე-წყერ-ი;

ზან. წყარ-ი „წყალი“.

ზანური (მეგრულ-ჭანური) წყარ ფორმა ვერ იქნება შესატყვისი ქართულ წყალ ფუძისა, ვინაიდან დარღვეულია შესატყვისობა ხმოვნებს შორის და არც **ლ**: **რ** ბგერათფარდობა (წარმოდგენილ პოზიციაში) ასახავს შესატყვისობას თანხმოვნებს შორის. ამასთანავე, წყალ ფუძის ზანურ შესატყვისად წყუ ფუძეა ცნობილი. ამდენად, ვფიქრობთ, წყარ ფუძის კანონზომიერი შესატყვისი ქართულში **მე-წყერ** სახელში უნდა იყოს წარმოდგენილი, თუ ასეთი სეგმენტაცია მისაღები იქნება: **მე-წყერ-ი**, ე. ი. წყლიანი ადგილი (საბას განმარტებით: **მეწყერი** „გუწრობა დამზღულეული). **მე-წყერ-ი** ისეთივე აგებულებისა ჩანს, როგორც **მე-მღერ-ი** (ძვ. ქართ.) „მომღერალი“.

ქართ. **წყერ** – (**მე-წყერ-ი**) და **ზან. წყარ-** ფუძეთა შორის კანონზომიერი ბგერათშესატყვისობაა წარმოდგენილი, რის მიხედვითაც ქართველური ფუძე-ენის ღონეზე ***წყერ-** ფუძის რეკონსტრუქციაა შესაძლებელი.

III ქართ. ბაწ-არ-ი „ლარი, საბელი“ (აბულაძე), „სხვილი ღაზლა ქალამნისა“ (საბა);

ზან. (მეგრ.) ბუჭ-ონ-ი, ბუჭ-ონ-უ-ა „შეგროვება; მოხვეჭა“.

(ეტიმოლოგიურად „გაბაწრვა“. „შეკვრა“).

ბაწ- ძირის კანონზომიერი ზანური შესატყვისი ბოჭ- უნდა ყოფილიყო, რომლისგანაც ზანურისთვის დამახასიათებელი ო > უ გადასვლით (ბაგისმიერი თანხმობის ასიმილაციური გავლენით) მივიღეთ ბუჭ- (ბუჭ-ონ-ი). ვფიქრობთ პირვანდელი *ბოჭ-ძირი, რომელიც დაიკარგა ზანურში, შემონახული უნდა იყოს სამწერლობო ქართულში წარმოდგენილ ბოჭ-ვ-ა, შე-ბოჭ-ილ-ი ფუძეებში. ამაზე მეტყველებს ის ვითარებაც, რომ ბოჭვა ძველ ქართულ წყაროებში არა ჩანს (სულხან-საბას ლექსიკონშიც არაა დამოწმებული), ე. ი. გვიანდელი შემონატანია.

ბაწარ და ბოჭვა, ბოჭილ ფუძეებს შორის ისეთივე მიმართება ჩანს, როგორც ქართ. ბარკ-ალ და ზან. ბორკ-უ-ა (ბორკ-ვ-ა), ბორკ-ილ-ი (შეკრული, შე-ბორკ-ილ-ი) ფუძეებს შორისაა წარმოდგენილი. ბორკ-ვ-ა და ბორკ-ილ ფუძეები, როგორც ცნობილია, ზანიზმებად არის მიჩნეული (მარი; გონიაშვილი; ფენრიხი, სარჯველაძე).

საანალიზო ფუძეთა ბგერათშესატყვისობის მიხედვით, ვფიქრობთ, ქართველური ფუძეების დონეზე შესაძლებელია *ბაწ- ძირის რეკონსტრუქცია.

საღვთისმეტყველო ტერმინთა ეტიმოლოგიისათვის ქართულში და ქართველურ ენათა ბგერათშესატყვისობის ზოგიერთი საკითხი. საქართველოში ქრისტიანობის ორიათასწლოვან ისტორიას, საღვთისმეტყველო ძეგლების ქართულ ენაზე ძველთაგანვე, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, გადმორღებასა და ორიგინალური ქრისტიანული ლიტერატურის შექმნას, მრავალ სიკეთესთან ერთად, ქართულ და, საერთოდ, ქართველურ ენათა ლექსიკური ფონდის გამდიდრება და განვითარება მოჰყვა. ქართველურ ენათა ლექსიკის ისტორიის საკვლევად განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საღვთისმეტყველო ტერმინთა ეტიმოლოგიის, ფონემურად შესატყვის ფუძეთა გამოვლენისა და მათი შედარებითი ანალიზის საკითხები, ვინაიდან ასეთი ტერმინების დიდი ნაწილი ძირეული ლექსიკური ფონდის კუთვნილებაა და საერთოქართველური ფუძე - ენის დონეზე არქეტიპთა აღდგენის საშუალებას იძლევა. საღვთისმეტყველო შინაარსი, რომელიც ამ ლექსელებს მოეპოვებათ, ცხადია, გვიანდელი შენაძენია და გარკვეულ კონტექსტში ან სათანადო აფიქსთა დართვით სემანტიკური გადაწვეის (დიფერენციაციის) შედეგია.

ამჯერად რამდენიმე საღვთისმეტყველო ტერმინი გამოგვაქვს საანალიზოდ.

1. შეწევა, შეწევნა, წევნა, „ხელის აპყრობა, დახმარება, დაცვა, ხელის შეწყობა, გამართვა, მიშველება, ზრუნვა“ (აბულაძე 1973) გვხვდება ძველ ქართულ წერილობით წყაროებში (მათ შორის ხანმეტ ტექსტებში) „შეეწიე (მეწიე) ურწმუნობასა ჩემსა. მრ. 9, 23; „რომელსა მაგას შეეწიე კიდითგან ქვეყანისაით“ ჟეს. 41, 9 „ღმერთი მათი შეეწევნის მათ“ 0, ივდ. 6, 2; „უძღურ იქმნიან გრძობანი და ვერ შეეწევნიან წამლობანი“ ანტ. დ. 31; „შეეწიე სიბერესა მამისა შენისასა“ 0.ზირ. 3,14; „შეეწიოდა მორწმუნეთა მათ“ ს. გაბ-მოც. სავ. ს.93, 19; „მომეც ჩვენ შეწევნაი ჭირსა“ ფს. 59, 13; „ქადაგებდეს ყოველსა ქვეყანასა უფლისა შეწევნითა“ მრ. 29,20; „შემძღვებელ არს სარწმუნოებანი სიყვარულისაგან შეწევნული“ გალ. 5,6; „არა თუმცა უფალი შეწეულ იყო ჩვენდა“ ი.ე. 50, 26; შეწევა, შეწევნა ლექსელები წევა,წევნა ფუძეებისაგან ზმნისწინით ნაწარმოები ფორმებია.

წვევა, წვენა „მიწვევა, მოწვევა, შეხვედრა, მოსწრება, მოსვლა, დაჭერა, აღქმა, დაწვეა“ (ილ. აბულაძე) „ესდევ ეგრე, რაითა ვეწიო“ ფლპ. 3,12; „ეგრეთ რბილდეთ რაითა ეწინნეთ“. I კორ. 9, 24 ; „მეწინნეს მე უსჯულოებანნი ჩემნნი“. ფს. 39,13 ; „ნუ გეწვეიან ზრახვაი ბოროტი“. 0 ივ.სოლ. 2,16; „წყობა ეწია მათხედა“. მსჯ. 20,42; „ბნელი იგი მას ვერ ეწია“ I. 5.

წვევა, წვენა ლექსემათა აქ წარმოდგენილი განმარტებები ისტორიულად ამოსავალ სემანტიკურ ვითარებას ასახავენ. მოგვიანებით მათ საღვთისმეტყველო შინაარსი შეიძინეს: **წვევა, წვენა**, დახმარება, **მეწვევა, შეველა** (ილ. აბულაძე) „**მეწიე** (შემეწიე) ურწმუნოებასა“ ჩ მრ. 9,23; „ჩვეულებისამებრ შენისა მეწიე ჩვენ“ საკ. წიგ. II 86,13;

წ ძირისაგან (**წ-ეგ-ა, წ-ეგ-ნ-ა, შე-წ-ეგ-ა, შე-წ-ეგ-ნ-ა**) სათანადო აფიქსთა დართვით არაერთი სხვა ლექსემაც შეიქმნა ძველ ქართულში და არა მხოლოდ საღვთისმეტყველო შინაარსის: აღწვევა, გამოწვევა, განწვევა, დაწვევა, ზედა-მიწვენა, ზედა-მიწვენით, ზედა-მიწვენულ წარწვენა. ასევე: მწე, შემწე.

მწე „დამხმარე, მშველელი“, შემწე, თანაშემწე, შემწეობა. ამავე ძირისაგან ჩანს ნაწარმოები: **მწვეარი** (**მ-წ-ეგ-არ-ი**) „ძალდი მაწვეარი“ (საბა); **ნაწვეარი** (**ნა-წ-ეგ-არ-ი**) „სადრეკი, ნახსამი, „საკრველი“, „შეკრება“ (აბულაძე), „სახსართ შემდგომულობა“ (საბა); **წვერი** (**წ-ეგ-რ-ი**) [**წვერი** შდრ. **ნაწვეარი** – საბა]... ახალი ქართული: **ამწე, მიღწევა, მოწვევა, დაღწევა** და სხვა.

როგორც ცნობილია, საანალიზო **წ** – ძირს ქართველურ ენებში შესატყვისი ექვბნება:

ქართ. **წ-ეგ-ა; მ-წ-ეგ-ნა; მ-წ-იფ-ებ-ა...**

მეგრ. **ჭაფ-ა// ნჭ-აფ-ა** „დაწვეა“; **მ-ნჭ-აფ-ილ-ი** „მოღწეული“...

ჭან. **ო-ნჭ-უ** „მოწვეა“; **მე-ბ-ი-ნჭ-ი** „მივალწი“...

სვან. **ლი-ჰ-ე//ლი-მჰ-ე** „მოწვეა“ (ჩიქობავა 1938; მარი 1918 : 333).

ამ შესატყვისობების მიხედვით გ. კლიმოვმა ქართველური ფუძე-ენის დონეზე არქეტიპად აღადგინა ***წ**-ი ძირი (კლიმოვი, ეტიმ. ექს., 248), ჰ. ფენრიხმა და ზ. სარჯველაძემ კი ***წ**-ი ძირი. ვფიქრობთ, ბგერათშესატყვისობის დადგენა არა მხოლოდ ძირთა, არამედ ფუძეთა შორის და ამის მიხედვით არქეტიპად ფუძის რეკონსტრუქციაც (ამჯერად ქართულ-ზანური ფუძე-ენის დონეზე) შესაძლებელი ჩანს. კერძოდ, **წ-ეგ-ნ-ა (წ-ეგ-ნ-ა შე-წ-ეგ-ნ-ა)** ფუძის შესატყვისად ზანურში უნდა გვექონდეს **ჭ-ა-ნ: ჭ-ა-ნ-აფ-ა, მ-წ-ა-ნ-აფ-ა** „წვევა, მოწვევა; ხმობა; დაბარება; მოწოდება“, ეტიმოლოგიურად „მოწვევა; მოყვანა“ (მეგრ.) და **ჭ-ა-ნ-აფ-ა, ო-ჭ-ა-ნ-დ-უ** „იდ“ (ჭან.). საანალიზო ქართულ-ზანურ ფუძეთა შორის (ქართ. **წ-ეგ-ნ-ა**; ზან. **ჭ-ა-ნ-**) ფონემური შესატყვისობისათვის დაბრკოლება არა ჩანს (ქართ. **წ**. ზან. **ჭ**, ქართ. **ე**; ზან. **ა** კანონზომიერი ბგერათფარდობაა), თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ზანურში **გ** იკარგვის არა მხოლოდ ინტერგოკალურ, პოსტოკალურ-პრეკონსონანტურ პოზიციაშიც (**ჭ-ა-ნ- < *ჭ-აგ-ნ-:წ-ეგ-ნ-**).

წარმოდგენილი ბგერათშესატყვისობის საფუძველზე (ქართ. **წ-ეგ-ნ-ა**; მეგრ. **ჭ-ა-ნ-ა**; ჭან. **ჭ-ა-ნ-**) ფუძე-ენის დონეზე შესაძლებელია არქეტიპად ***წ**-ძირისა და ***წ-ეგ-ნ-** ფუძის რეკონსტრუქცია. ასევე, ზანურში კიდევ ერთი შესატყვისი ფუძის დადგენაც ხერხდება:

ქართ. **მ-წ-ეგ-ა; მ-წ-ე-ულ-ი (< მ-წ-ეგ-ულ-ი); მ-ნა-წ-ეგ-ი...**

მეგრ. **მ-ნჭ-ონ-ი, მ-ნჭ-აფ-ერ-ი** „იდ.“

2. წირვა; შეწირვა; მწირი;

წირვა (*ჟამის წირვა*) „ლიტურგია“: ადასრულებს ჟამის *წირვასა* სამ ჟამს“ ლიმ. 11, 5; „მოიწია ჟამი ჟამის-წირვისაჲ“ ი.ე. 33, 15.

შეწირვა „მირთუმა“, „მოგურა“, „შერთუმა“, „აღრთუმა“, „შეწყნარება“, „მსხუერპლება“, „ზორვა“, ძღვნა, „განწინება“, „შეწირვა მსხუერპლისა“ (ილ. აბულაძე, 1973):

„**შეწიროს** (მიაართუა) მსხუერპლი“ , ლევიტ. 2, 8; „*შეწიროს* უფალსა შეცოდებისა მისისათვის“ ბ., - „მოჰგუაროს ბრალისა მისისათვის“ , ლევიტ. 19,21; „უფალმან თაყუანის-ცემადი ჩემი *შეწიროა*, ფს. 6, 10; „რომელი ჰმსახურებდეს სათნოებით, *შეწიროულ* იყოს“, ზირ. 32, 19;

მწირი „ვედრი“, „მოქცეული“, „დამონებული“, უცხო, მოსული, გერი, ყარიბი, შორიელი ქვეყნისა, „შემყოფი“, „მდგმური“, მსხემი“ (აბულაძე):

„უფალმან დაიცვნის **მწირნი** (ვედრნი) ფს. 145, 9; „**მწირი** და მკვდრი იყვნეს ნახევარნი“ , - „მოქცეულნი და მკვდრნი“, ისუ ნ. 8, 33; „**მწირ** იყავ ქუეყანასა მისსა“ ბ., - „მსხემ იყავ ქუეყანასა მათსა“ ლევიტ. 23, 7; „მივალ *მწირობად*“, „ვრონინებ დამკვდრებად“, მსჯ. 17, 9; „*მწირობისა* იგი დასაბამი ესე ერს“, - „გარდასახლებისა დასაბამი ესე არს“ ბ., აბღ. 1, 20.

წირვა ფუძისაგან ძველ ქართულში ნაწარმოებია: **განწირვა, განწირულება, თავგანწირვა, საწირავი, უწირველი, შემოწირვა, შეწირვა, შემწირველი, შესაწირავი...**

წირვა-სა (ჟამის-წირვა) და *შეწირვა*-ს შორის საზიარო მნიშვნელობა აშკარაა. იგივე მნიშვნელობა უნდა ყოფილიყო ამოსავალი **მწირი**-ი ლექსემისათვის. **წირ-ულ-ი, შეწირ-ულ-ი, ნა-წირ-ავ-ი, სა-წირ-ავ-ი, სა-წირ-გ-ელ-ი, შე-ნა-წირ-ი, შე-სა-წირ-ი** – საობიექტო მიმღებობის ფორმებია, **ხოლო მ-წირ-ი, მ-წირ-ავ-ი, მ-წირ-გ-ელი, შე-მ-წირ-გ-ელი, შე-მ-მ-წირ-გ-ელი** – სასუბიექტო მიმღებობისა.

სათანადო ლექსემებისათვის ისტორიულად ამოსავალი სემანტიკური მნიშვნელობა „**მიძღვნა, მირთმევა, გაცემა**“ უნდა ყოფილიყო (შდრ. **შეწირვა** „საღმრთოდ შეძღვნა“ - საბა). ამას გარკვეულწილად ადასტურებს ზანურის მონაცემებიც, სადაც საანალიზო წირ- ფუძის შესატყვისად უნდა გვექონდეს **ჭირ-/ ნჭირ-: ჭირ-ინ-აფ-ა, მე-ჭირ-ინ-აფ-ა, მე-ნჭირ-ინ-აფ-ა „მიწოდება; მიცემა; მიღწევა“**. ქართული წირ და ზანური (მეგრ.) *ჭირ-/ნჭირ-* კანონზომიერ ფონემურ შესატყვისობას გვიჩვენებენ. ფუძეების დონეზე არქეტიპად *წირ- უნდა ვიგულისხმოთ.

სიბილანტურ ფონემათა სუბსტიტუციისათვის ქართველურ ენებსა და დიალექტებში. ქართველურ ენებსა და დიალექტებში სისინა (წინა რიგის) და შიშინა (უკანა რიგის) სიბილანტთა ჩამოყალიბება და განაწილება სხვადასხვა დიალექტურ არეალსა და სხვადასხვა ქრონოლოგიურ საფეხურს გულისხმობს.

ქართველური ფუძეების დიფერენციაციის პირველ საფეხურზე სისინა სიბილანტები (**ზ ს ძ ც წ** სპირანტ-აფრიკატები) უცვლელად უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი ქართულ, ზანურ და სვანურ დიალექტებში.

ქართველური ფუძეების დიფერენციაციის მეორე საფეხურზე ზანურისა და სვანურის იმ დიალექტებში, რომლებიც არ ემიჯნავენ ქართულ დიალექტებს, სისინა სიბილანტების ეკვივალენტებად ჩამოყალიბდა შიშინა სიბილანტები (**ჟ შ ჯ ჩ ჭ**), ამასთანავე, ქართულ დიალექტებთან მომიჯნავე ზანურ-სვანურ დიალექტებში ისევე სისინა სიბილანტებია წარმოდგენილი, ხოლო შუა ზოლში – მომიჯნავე და პე-

რიფერიულ (დაცილებულ) დიალექტებს შორის – ჩამოყალიბებას იწყებს შიშინა სიბილანტები, მაგრამ შენარჩუნებულია სისინა სიბილანტებიც.

ქართველური ფუძეების დიფერენციაციის მესამე საფეხურზე ქართულ დიალექტებთან მომიჯნავე ზანურ-სვანურ დიალექტებშიც ნაწილობრივ ჩამოყალიბდა შიშინა სიბილანტები, მაგრამ სისინა სიბილანტების შემცველი საერთო-ქართველური ლექსიკის უმეტესი ნაწილი კვლავაც შენარჩუნებულია.

დროთა განმავლობაში ზანურ და სვანურ დიალექტებში (რესპ. თქმებში) ხდება დიალექტურ ფორმათა ერთგვარი შერევა-გადანაწილება: სისინა სიბილანტიანი ფუძეები მკვიდრდება შიშინა სიბილანტიანი დიალექტების (თქმების) ზოლშიც – ზოგ შემთხვევაში პარალელური ფორმის, ალმორფის სახით, სხვა შემთხვევაში კი – ამ ფუძეებში ფონეტიკური პროცესების ნიადაგზე სისინა სიბილანტთა შიშინად ქცევის ან სემანტიკური გადაწვეისა და დატვირთვის წყალობით შენარჩუნებული პირვანდელი ფონემური (სისინა სიბილანტური) სახით.

ქართველურ ენებში სიბილანტურ ფონემებს შორის არსებული რეგულარული ხასიათის კანონზომიერი შესატყვისობა გულისხმობს ბგერათფარდობის ცნობილ წესს: ქართულ წინა რიგის (სისინა) სიბილანტებს (ზ ს ძ ც წ სპირანტ-აფრიკატებს) ზანურსა და სვანურში შეესატყვისება, ერთი მხრივ, უკანა რიგის (შიშინა ჟ შ ჯ ჩ ჭ) სიბილანტები. ეს წესი, როგორც ჩანს, ქართველოლოგიაში გავრცელებული თვლასაზრისის მიუხედავად, არ საჭიროებს ქართველურ ფუძეებაში დამატებითი შუა რიგის (სისინა-შიშინა ზ, ს, ძ, ც, წ) სიბილანტთა რეკონსტრუქციას. ამის ერთ-ერთ საფუძველს, ვფიქრობთ, ქართული ენის სხვადასხვა დიალექტთან ლექსიკური მასალაც იძლევა.

ქართული ენის დიალექტებშიც ისევე, როგორც ზანურ და სვანურ დიალექტებში, დასტურდება ქართველური ფუძეების სისინა სიბილანტების როგორც სისინა (იდენტური), ისე – შიშინა ეკვივალენტები. ქართული დიალექტური ლექსიკაც მეტნაკლებად ცხადყოფს საერთო ქარმოძავლობისა და იდენტური აგებულების ფუძეებში სისინა და შიშინა სიბილანტების მონაცვლეობას. როგორც წესი, ქართულ დიალექტებშიც წინა რიგის (სისინა) სიბილანტებს ენაცვლება უკანა რიგის (შიშინა) სიბილანტები, ე.ი. ზანურ-სვანურში ისტორიულად მომხდარი არტიკულაციური გადაწვეის მსგავსად, ქართული დიალექტებისთვისა სისინა სიბილანტთა შენარჩუნება (ფუძეების წინა რიგის, სისინა ქართული დიალექტების წინა რიგის, სისინა) და საწარმოთქმო ადგილას უკან გადაწვევა (ფუძე ენის წინა რიგის, სისინა ქართული დიალექტების უკანა რიგის, შიშინა) ყოფილა დამახასიათებელი, და არა – საპირისპირო პროცესი, რომელიც გვეჩვენებოდა ფუძე-ენაში შუა რიგის (სისინ-შიშინა) სიბილანტების დაშვების შემთხვევაში (ფუძე-ენის შუა რიგის, სისინ-შიშინა ქართული დიალექტების წინა რიგის, სისინა), რაც დაარღვევდა ქართველური ენა-დიალექტებისათვის ბუნებრივ და ამდენად, მოსალოდნელ, საერთო თვისებას.

სიბილანტები, როგორც ცნობილია „ქმნიან სადემარკაციო ხაზს ქართველურ ენათა შორის“ (მაჭავარიანი). ამ ხაზს ერთგვარად ანეიტრალებს ქართული ენის დიალექტებში (და ამ დიალექტების მეშვეობის (საწერლობო ქართულში) შემონახული საერთო-ქართველური ფუძეებიც, სადაც წინა რიგის (სისინა) სიბილანტებს ენაცვლება უკანა რიგის (შიშინა) სიბილანტები ისევე, როგორც ზანურ-სვანურში და, ამდენად, იქმნება უფრო მეტი საფუძველი ქართველური ენებისა და დიალექტების სიახლოვისა და მათ შორის „სადემარკაციო ხაზის“ მოშლისა.

ქვემოთ წარმოდგენილია ქართული დიალექტური (და, ამასთანავე, დიალექტების მეშვეობით სამწერლობო ქართულში დამკვიდრებული) ლექსიკის ერთი ნაწილი. სადაც სიბილანტთა სისინა და შიშინა სახეობებისათვის ამოსავალია ოდენ წინა რიგის (სისინა) სიბილანტები, ამ ვითარებას ისტორიულად – ქართველური ფუძეების

დიფერენციაციის ეპოქაში – ფონეტიკური მიზეზები განაპირობებდა: ძირითადად ასეთ ფუძეებში უკანა წარმოების ველარული ხშულების ასიმილაციური გავლენა:

1. ა) **ბეც-ი** (სამწ. ქართ.); **ბენც-ი** (რაჭ.ლენხ.) 1. „ბენბეცი, ბერბეცი, ძლიერ ბნელი ღამე“ (ვ. ბერიძე); 2. „ბეცი“; 3. „ბენი, წინდაუხედავი“ (მ. ჩიქოვანი, ალ. ღლონტი);
ბ) **ბენ-ი** (გურ., ზ. აჭარ.) „ლენჩი, მოსულელო, უჭკუო“ (ალ. ღლონტი; შ. ნიჟარაძე); ზანური (მეგრ.) შესატყვისი – **ბაც-უ-ა, ბაცი-აფ-ი** „მიპარვა ჩუმაღ“ ... (გ. კლიმოვი).
2. ა) **ბზუილ-ი** (სამწ. ქართ.);
ბ) **ჟუილ-ი** (თუშ.) „ფუტკრების ბზუილი“ (ხუბუტი).
3. ა) **ბლაცუნ-ი** (გურ.) „ტანმოშლით, უშნოდ, უაზროდ სიარული“ (მ. შარაშიძე);
ბ) **ბლახუნ-ი** (აჭარ.)ნ. ბლაცუნი (ღლონტი).
4. ა) **ბრწყინვა** (სამწ. ქართ.); ნაბერწყალი, ნაპერწყალი (ძვ. ქართ.);
ბ) **ბრჭყინვა, ბრჭყინვა** „მცირე ბრწყინვალება“ (ს.ს. ორბელიანი); ზანური: **რწყინუა, რწყინუა** (მეგრ.), **ნოპინწყალე, ნოპინწყალე** (ჭან.); სვან. **ბერწყ** (ჩიქობავა, დეგტერსი).
5. ა) **ბურცხალა** (იმერ., გურ.) „ლიჭა, მცენარეა“ (მაყაშვილი);
ბ) **ბურჩხა-ი** (გურ.) „სარეველა ბალახია“ (მაყაშვილი; ღლონტი).
ზანური: **ბურჩხ-ი** (მეგრ.), **ბურჩხ-ი** (ჭან.) „სარეველა“ (კახაძე).
6. ა) **ზეპა, ზეპვა** (სამწ. ქართ.); **ზევეპა** (ქიზიყ.) „ცემა, ტყეპა“ (ს. მენტეშაშვილი);
ბ) **ჟეპა** (სამწ. ქართ., ქსნ. ხეობის ქართლ.) „მის ტყეპნა რაიმე სიმძიმით ან ხილის დაჩეჩქვა“ (ქეგლა), „ძლიერი ცემა“ (ვ. სომხიშვილი); ზანური: **ზაპუა** (მეგრ.), **ოზაპუ** (ჭან.) – სისინა შესატყვისობა (კლიმოვი);
სვანური: **ჟლიპე; ლიჟღბღნე, ხაჟღებ.**

7. ა) **ზლაზენა** (სამწ. ქართ.);
ბ) **ჟრანჟვა** (გურ.) „ზლაზენა“ (შარაშიძე);
8. ა) **ზრიალ-ი** (სამწ. ქართ.);
ბ) **ჟრიალ-ი** (სამწ. ქართ.);
ზანური: **რჟიოლ-ი** „ზრიალი“ (კლიმოვი); **ჟლი-ორ-ი** „ჟრიალი“.
9. ა) **ზრობა** (ფშ.) „გაყინვა“ (ვაჟა-ფშაველა; ა. შანიძე); „ყონვით დაწვა“ (ს.-ს. ორბელიანი);
ბ) **ჟრობა** (გურ.) „ნელი ხარშვა“ (გ. შარაშენიძე);
ზანური: ჟლირაფა „ჭკობა“ (ეტიმოლოგიურად – „ჟრობა“).
10. ა) **ზუზდა** (სამწ. ქართ.);
ბ) **ჟუჟდა** (ძვ. ქართ.) „ზუზდა, თხრამლი, ბოლდა-ქი“ (ილ. აბულაძე);
ჟუჟდ-ი „წყლულის მონადენი“ (ს.-ს. ორბელიანი); **ჟუჟდო** (ქიზ.) „წყლულის ნადენი, ჩირქოვანი სითხე“ (ს. მენთეშაშვილი).
11. ა) **კრინცხვა** (ქიზ.) ნ. კრინჩხვა (ს. მენთეშ., ალ. ღლონტი);
ბ) **კრინჩხვა** (ქიზ.) „გაკილვა, სხვისი ძრახვა“ (ს. მენთეშ.).
12. ა) **ლუწ-ი** (სამწ. ქართ.);
ბ) **ლუჭ-ი** (ფშ.) „ლუწი“ (ცოცანიძე).
13. ა) **რცხალ-ი** (ქართლ.) „ნასვენი მიწა“ (შატბერაშვილი; ღლონტი);
ბ) **რჩხალ-ი** (ქართლ.) „ნაჩხატი (მიწა), უხნავად დარჩენილი მეორე წელიწადს“ (თ. სალარიძე; ალ. ღლონტი).
14. ა) **სუსხ-ი, დასუსხ-ვა** (სამწ. ქართ.);
შუშხ-ი (იმერ.) „ძლიერ შავი, დამწვარი“; **შუშხია** „ჭინჭარი“ (ვ. ბერიძე), **დაშუშხვა** (გურ.) „დასუსხვა“ (გ. შარაშიძე).
15. ა) **ფუცხ-ი** (სამწ. ქართ., რაჭ., ლეჩხ., მთიულ.) „ხორცის ამოსაღები ჩანგალი; საკბილა ჩანგალი ჭიდან ვედროს ამოსაღებად“ (ქეკელ.,

ლ. კაიშაური);

ფუცხე-ი „ესე არს კავოელი რკინა ქვაბით ჳორცთა ამოსაღები“ (საბა); „რკინის ფოცხი“ (ნ. ჩუბინაშვილი, დ. ჩუბინაშვილი);

- ბ) **ფურჩხ-ი** (ქართლ., ზ. იმერ., ლეჩხ.) „ფიჩხი“ (ძიძიგური; კეცხოველი; ხუბუტია); „ფოთოლ-გაცვენილი ტოტი“ (სომხიშვილი); „მოჭრილი ხის განასხეპი წვრილი შტოები, ნაკაფის შეშა“; ნ. ფორჩხი (ალავიძე);

ფორჩხ-ი 1. (გურ.) „ჯღაიანი შტო ხისა, მოჭრილი და ფოთლებჩამოცვენილი“ (ჭყონია); „მრავალწვრილტოტა შტო ხისა“ (ღლონტი); 2. (სამწ. ქართ. იმერ.) „ფოცხი“ (ქეგლ.; ბერიძე); 3. (კახ.) „ფარცხი“ (მარტიროსოვი);

ზანური: **ფოცხ-ი**, **ბოცხ-ი** „ფოცხი“ (მეგრ.), **ბუცხა**, **ბირცხა** „ფრჩხილი“; **ბუცხა** (ჭან.) „ფრჩხილი; ფოცხი“ (ჩიქობავა);

სვანური: **ცხა**, **ცხ -ფ** „ფრჩხილი“, **ნაფ ცხ** „მონაფოცხი“ (კლიმოვი).

16. ა) **ღრძუ**, **ღრძო** (სამწ. ქართ.);
- ბ) **ღრჯუ** (ქართლ., იმერ.) „მიუკარებელი, უხასიათო“ ...
(შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ., გ. ბერ.)
17. ა) **ღოწიალ-ი** (იმერ.) ნ. ღოღიალი (ალ. ღლონტი);
- ბ) **ღოჭიალ-ი** (რაჭ.) „ერთსა და იმავე ალაგას ტრიალი“ (ბერიძე; ღლონტი).
18. ა) **ცეხვა** (სამწ. ქართ.)
- ბ) **მონეხება** (ღომისა) (გურ.) „ღომის საბოლოოდ გაცეხვა“ (შარაშიძე; ღლონტი).
- ზანური:** **ცახუა** (სისინა, შესატყვისობა); **ჩახუა** (მეგრ.); **ონჩახულე** (ჭან.) (შიშინა შესატყვისობა).
19. ა) **ცინცხალ-ი** (სამწ. ქართ.) „ნაკერწკალი, შესეფი“ (ქეგლ.);
- ბ) **ჩინჩხალ-ი** (გურ., იმერ., ლეჩხ., ფშ.) „ნაკერ-ცხლებიანი მუგუზალი“ (ღლონტი; ი. ჭყონია; მ. ალავიძე; ა. შანიძე); **ჩინჩხელა** (ფშ.) „ცინცხალი, ნაკერწკალი“ (ვაჟა-ფშაველა; ალ.

ჭინჭარაული).

20. ა) **წერთხალ-ი** (მოხ., ხევს.) „მცენარეა ერთგვარი“;
ნ. წერთხალა, წართხალი (ალ. მაყ., ალ. ჭინჭ);
- ბ) **ჭერთხალ-ი** (მოხ., მთიულ.) „წართხალა, მცენარეა“ (მაყ., დიალექტ).
21. ა) **გაწვრეთა** (ხევს.) ნ. ნაწვრეთი. ნაწვრეთი „კეცეულის ნაჭერი“; გაწვრეთა „გაჭრა“ (ჭინჭარაული);
- ბ) **ჭვრეთა-ი** (თუშ.) „ტყავის დახვრეტა საჭვრეთლით“ (უთურგაიძე);
- საჭვრეთელი-ი** (თუშ., მთიულ.) „ტყავის სახვრეტი იარაღი, ერთგვარი სადგისი“ (თ. უთურგაიძე; ლ. კაიშაური);
- საჭვრეთა** (ხევს.) „პურის საჭრელელებელი იარაღია“ (მაკალათია);
- ზანური: **ჭვერთ-ი**, **ჭორთ-ი** „მსხვილი წნელი“; წვათურუა „წათელა; დაწვეტიანება“.
22. ა) **წიკარტი-ი** (სამწ. ქართ., ლენხ.) „ქამრის ბალთა; აბზინდა, შესაბნევი ქამრისა“ (ალავიძე; ქეგლ.)
- ჭიკარტი-ი** (სამწ. ქართ.) 1. „იგივეა, რაც კნოპი“;
2. კუთხ. (იმერ) „იგივეა, რაც ლურსმანი“ (ქეგლ.)
23. ა) **წიპწა** (სამწ. ქართ.) „ყურძნის კურკა“ (ქეგლ);
- ბ) **ჭიმჭა** (იმერ.) „წიპწა, ყურძნის კურკა“ (ალავიძე).
24. ა) **წყვეტა** (სამწ. ქართ.);
- ბ) **ჭყმენტა** (ქიზიყ.) „კვნეტა; წყვეტა“ (მენთეშაშვილი).
25. ა) **ძაბუნი** (სამწ. ქართ.);
- ბ) **ჯაბუნ-ი** (გურ.) „ძაბუნი“ (დლონტი)

ასეთი დუბლეტური ფუძეები ქართველურ დიალექტებში კიდევ მრავლად გვხვდება:

ბეზე-ა (ქეგლ., იმერ.)

– ბეჟ-ა (ქეგლ.) ზანური შესატყვისი ბაზ-უ-ა;

ბურძე-ი (გურ.) ბუძე-ი (ლენხ.)

– ბუჯგ-ი (აჭარ.) – ბუძე-ი (ზან.)

ზრზ-ოლ-ა (ძვ. ქართ.) ზორზ-ალ-ი (მესხ.)

ჟრჟ-ო (ქიზიყ.) – ჟრჟ-ოლ-ა (ახ. ქართ.) – ზარზ-ალ-უ-ა, ჟარჟ-ალ-უ-ა (ზან.);

კენიწ-ი (ქართლ., ქიზ.) – კენიჭ-ი (ლენხ.);

კნაწა (ქიზიყ.) – კნაჭა (ლენხ., ზ. იმერ., ქიზიყ.);

ნარცხ-ი (ქიზიყ.), – ნარჩხ-ი (ქიზიყ.);

ღრძ-ილ-ი (ქეგლ.), – ღჯ-ილ-ი (ქეგლ., გურ., ლენხ.) – ღინჯგ-ილ-ი (ზან.);

ფარცხ-ვა (ქეგლ.) – ფარჩხ-ვა (ლენხ.) – ფოცხ-უ-ა (ზან.);

ფრცხ-ილ-ი (ქეგლ.) – ფრჩხ-ილ-ი (ქეგლ.) – ბირცხ-ა; ბუცხა (ზან.);

ფოცხ-ი (ქეგლ.), ფორცხ-ი (ქიზ.) – ფორჩხ-ი (ქეგლ., კახ., იმერ.) ფორჩხ-ი (ქართლ., რაჭ.) – ფოცხ-ი., ბოცხ-ი (ზან.);

ცენდ-არ-ი (ფშ., იმერ.), – ჩენდ-არ-ი (ლენხ.) – ცანდ-არ-ელ-ი (ზან.);

ძაწველ-ი, ძახველი, ძახველ-ა, მძახველ-ი (მთიულ., ფშ., ხევს., ქვ. რაჭ.) – ჯახ-ველ-ა (ქართლ., მესხ., რაჭ., ლენხ., იმერ.) – ჟაჟღერ (სვან.);

ძენძ-ი (ქეგლ.) – ჯენჯ-ი (ქეგლ., იმერ., გურ.);

ძონძ-ი (ქეგლ.) – ჯონჯ-ი (მთიულ.);

ძაგარ-ი (ხევს.) ძაგარა-ი (გურ.) – ჯაგარ-ი (ქეგლ.);

ძირკ-ი, ძირკ-ე-ი (გურ.) – ჯირკ-ი (ქეგლ.) ჯიკ-ე-ი (გურ.), (ზან.)

ძმერხლ-ი (გურ.) – ჯმერხლ-ი (იმერ.);

წნეს-ა, წნეს-ვა (ქეგლ., გურ., იმერ.) – ჭნეს-ა (გურ.), ჭნეს-ვა (იმერ.), დაჭნეს-ა (გურ., აჭარ.) – ო-ჭინან-უ (ზან.)

და-წრეს-ა, და-წრეს-ილ-ი (მოს., მთიულ.) – და-ჭრეს-ილ-ი (ფშ., ხევს.) -წირახ-ილ-ი/წილახ-ილ-ი (ზან.)

და-წუნ-ვა „დახუჭვა“ (საბა) – და-ჭუნ-ვა „თვალთ დახურვა, დაწუნვა“ (საბა);

და-ხუჭ-ვა „თვალთ მოკრება, დაჭუნვა“ (საბა);

წმახე (მესხ.) – მჭახე (გურ., აჭარ.);

წყურტ-ი (ქეგლ., ლენხ.) – ჭყურტ-ი (ქეგლ., ზ. აჭარ.) და სხვ.

სიბილანტურ ფონემათა სისტემა დაღესტნურ ენებში. დაღესტნურ ენათა ფონემატური სისტემა განარჩევს **ს, სჷ, შ, შჷ, ზ, ზჷ** და **ჟ** სიბილანტურ სპირანტებს. ამ ფონემათა რეფლექსები თითქმის ყველა დაღესტნურ ენაში დასტურდება, ხოლო გემინირებული (სხვაგვარად – მაგარი, ინტენსიური) **ს** და **შ** სპირანტები არ მოეპოვება დიდოურ ენებსა და ლეზგიური ქვეჯგუფის ენებს. **ზ** და **ჟ** მჟღერ სპირანტებს,

ისევე, როგორც სხვა მჟღერ თანხმოვნებს, დაღესტნურ ენებში გემინირებული

კორელატები, ჩვეულებრივ, როგორც წესი, არ უდასტურდებათ (ერთადერთ გამონაკლისს უდიური ენა წარმოადგენს, სადაც გემინირებული ჟ სპირანტი და ჯჷ აფრიკატი გვხვდება).

დაღესტნურ ენათა შედარებითი ფონეტიკის შესახებ არსებულ სპეციალურ ლიტერატურაში გემინირებულ **ს** და **შ** სპირანტთა ლეზგიური ქვეჯგუფების ენებში (ასევე დიდოურ ენებში) დაუდასტურებლობის გამო სადავოდ არის მიჩნეული საერთო-დაღესტნურ ფუძე-ენაში ამ ფონემათა რეკონსტრუქცია (СИЛДЯ 1971; 28). დამატებითი მასალის მოძიებამდე ეს საკითხი კვლავ ღია რჩება (იხ. ქვემოთ). ასევე სადავოდ არის მიჩნეული **ზ** და **ჟ** მჟღერ სპირანტთა ფუძე-ენაში არსებობა, თუმცა დაღესტნურ ენებში გამოვლენილი საერთო დაღესტნური ფუძეები, სადაც **ზ** და **ჟ** სპირანტთა რეფლექსები კანონზომიერადაა წარმოდგენილი, შესაძლებლობას გვაძლევს, ფუძეების დონეზეც აღვადგინოთ ისინი.

საილუსტრაციოდ მოგვაქვს რამდენიმე საერთო-დაღესტნური ფუძე:

ფუძეენა ***ზ**: ხუნძური **ჰაზო/ჰაზუ**: ანდიური **ანზი**: ახვახური **ანჟი**, ბოთლიხური **ანზი**: ტინდიური **ანზი**: ბაგვალაური **ანზუ**: ჭამალაური **ანზ**: კარატაული **ანზე**: დიდოური **ისი**: ჰუნზიბური **ღზ**: ბეჟიტური **ონზ**: ხვარშიული **ინსა**: ჰინუხური **დოშე**: ლეზგიური **ჟიგ**: თაბასარანული **დიჷ**: რუთულური **დიზ**: წახურული **დიზ**: ხინალულური **გვზა**: ბულუხური **დიზ**: უდიური **იჟ** „თოვლი“;

ფუძეენა ***ზ**: ანდ. **ზიგუ**. ბოთლ., ღოდ., ბაგვ., ტინდ., კარ. **ზინი**: ჭამ. **ზინ**: ახვ. **ჟინ-ვო/ჟონ**: წახ. ზერ: რუთ. **ზერ**: ბუდ. **ზარ**: კრიწ. **ზარ** „ძროხა“;

ფუძეენა ***ჟ**: ხუნძ. **ნუჟ/მუჟ**: ანდ. **ბიშთი**: ღოდ. **ბიშთე**: კარ. **ბიშდი**: ახვ. **უშდი**: დიდ. **მეჟი**: ხვარშ. **მიჟო**: ჰინ. **მეჟი**: ბეჟ. **მაჟე/მიჟე**: ჰუნზ. **მიჟე**: ღაკ. **ზუ/ჟე**: თაბ. **ინჟუ/უნჟუ**: არჩ. **ჟვენ**: ად. **ჩუნ**: რუთ. **ჟუ**: წახ. **შუ**: ხინ. **ზურ**: ბუდ. **ვინ**: უდ. **ვან** „თქვენ“ (პირის ნაცვალსახელი);

ფუძეენა ***ჟ**: ხუნძ. **ჟი-გ**: ანდ. **ჟი-გ**: ღოდ. **ჟი-გ-და**: კარ. **ჟე-და**: ახვ. **ჟი-გე-და**: ბაგვ. **ე-გ(-და)**: ტინდ. **ე-გ-ა**: ჭამ. **ზი-გ**: ჰუნზ. **ჟუ**: ღაკ. **ჟუ-გ-ა**: ლეზგ. **ჟუ-გ**: თაბ. **ჟეჟ-გ**: ად. **უჩ**: რუთ. **გუჯ**: წახ. **გუჯ/გუჟ**: არჩ. **ინჟუ** / **ინჟა-გ-უ**: კრიწ. **იჯ**: უდ. იჩ „თვით თვითონ“ (უკუქცევითი ნაცვალსახელი).

ცხადია, **ზ** და **ჟ** სპირანტთა რეფლექსაციის სრულ ანალიზს დამატებითი მასალა და არგუმენტაციაც ესაჭიროება, მანამდე საკითხი არ შეიძლება ჩაითვალოს გადაწყვეტილად.

ერთი რამ მაინც უნდა ითქვას: ისტორიულ-შედარებით ენათმეცნიერებაში დაღესტ-

ნილი ზოგი უნივერსალური წესიც, ბუნებრივია, ასეთი დამატებითი არგუმენტი იქნებოდა ფუძეენაში საანალიზო სიბილანტურ სპირანტთა სარეკონსტრუქციოდ, კერძოდ, ფონოლოგიური დაპირისპირების არსებობა ცალკეული რიგის სიბილანტურ აფრიკატებს შორის (*ც - *ჩ, *წ - *ჭ, *ძ - *ჯ), რომელიც დაშვებულია საერთო დადესტნურ ფუძეენაში, ასევე გულისხმობს დაპირისპირებას სპირანტებს შორისაც (მჟღერი *ზ - მჟღერი *ჟ) და, ამდენად, მათი ფუძეენის დონეზე რეკონსტრუქციის შესაძლებლობას. რაც შეეხება არაგემინირებულ ს და შ სპირანტებს, მათი დაშვება საერთო-დადესტნური ფუძეენის დონეზე სადავო არ ჩანს, ვინაიდან ეს ფონემები ყველა დადესტნურ ენას მოეპოვება და ზოგ ენაში არსებული განსხვავებული რეფლექსები დაბრკოლებას არ ქმნის მათ სარეკონსტრუქციოდ. სირთულეს ქმნის მხოლოდ ამ განსხვავებულ (არაიდენტურ) ეკვივალენტთა მეორეულობა ზოგ ენასა და დიალექტში (თქმაში) და ს, შ სპირანტთა შემცველი ფუძეების ნასესხობა. მიუხედავად ამისა, სიბილანტურ ს და შ სპირანტთა საერთო-დადესტნური ფუძეენის დონეზე დაშვება ეჭვს არ იწვევს, რასაც სპეციალურ ლიტერატურაში გაანალიზებული არაერთი შესატყვისი ფუძე (ძირი, მორფემა) ადასტურებს და რაც წარმოდგენილ ცხრილში თვალსაჩინოა:

საერთო

დადესტნური	*ს	*ზ	*შ	*ჟ
ხუნძური	ს(შ)	ზ, ჟ	ს, შ, ს	ჟ, (ზ)
ანდიური	ს	ზ	შ	ჟ, შ, შთ
ბოთლისური	ს	ზ	შ	ჟ
ლოდობერიული	ს	ზ	შ	ჟ
ტინდიური	ს	ზ	შ	ჟ
ბაგვალაღური	ს	ზ	შ	ჟ
ჭამალაღური	ს	ზ	შ	ზ
კარატაული	ს	ზ	შ	ჟ
ახვასური	შ	ჟ	შ	ჟ, ს?, შდ
დიდოური	ს,ზ	ზ, ს	შ, ჟ	ჟ
ბეჟიტური	ს	ზ, ს	ჭ, ჟ, შ	ჟ
ხვარშიული	ს	ზ, ს	შ	ჟ
ჰინუსური	ს	ზ, შ	შ	ჟ
ჰუნზიბური	ს	ზ	შ, ჭ, ჟ	ჟ
ლაკური	ს	ზ, (ს)	შ	ჟ, ზ
დარგუული	ს, ზ	ზ, (ძ)	შ, ს	შ

ლეზგიური	ს, ზ, ჟ	ჟ, გ, ზ, შ, ს	ჟ, ჩ
არჩიბული	ს	ზ, ც	შ
თაბასარანული	ს, შ	ზ, ძ, ფ	შ, ჟ, ს
აღულური	ს	ზ	შ, ჩ, ჯ
რუთულური	ს	ზ, (d)	შ, ს, ჟ, ჯ, შ
წახური	ს, ზ	ზ, (d)	შ, ს, ზ, შ, ჯ
ხინალულური	ს	ზ, (d)	შ, ს, ჟ, ზ
კრიწული	ს	ზ	შ, ს, ჟ, გ
ბუღუხური	ს	ზ	შ, ს, ჟ, გ
უდიური	ს, ზ	ზ, ჟ, შ, ჩ, ს	ჩ, გ, (ც)

(შდრ. Trubetsky 1926, 20; Бокарев 1961; Гудава 1964, 158; Гигინეიშვილი 1977 118).

წარმოდგენილი ცხრილი ემყარება შემდეგ საერთო-დაღესტნურ ფუძეთა შედარებით ანალიზს (მოგვაქვს ხუნძური ან სხვა რომელიმე დაღესტნური ენის მიხედვით): **სონ** „გუშინ“, **ნისუ** „ხაჭო“, **ასორ** (ანდიური) „სხვა“, **მისა** (ანდიური) „აღილი“, მესედ „ოქრო“, **სურა** (წახური) „გვერდი ნახევარი“, **ძას** „ქალიშვილი, გოგონა“, **ვას** „ვაჟიშვილი; ბიჭი“, **ბოსენ** „ლოგინი“, **ნუსგო** „ასი“, **სონ** „წელიწადი“; **ჭაზო** / **ჭაზუ** „თოვლი“, **ზიგუ** (ანდიური) „ძროხა“, **ზაზ** „ეკალი“, **ზობ** „ცა“, **ნუჟ** / **მუჟ** „თქვენ“ (ნაცვალსახ.), **ჟიგ** „თვით“ (ნაცვალსახ.), **მეგეჟ** „წვერი“, **გოჟო** „ემვი“ და სხვა (აბაშია 2004, I, II).

რაც შეეხება სიბილანტურ აფრიკატთა სისტემას, დაღესტნურ ენებში ძირითადად წარმოდგენილია სიბილანტურ აფრიკატთა სამეულები, ოთხეულები და ხუთეულები, აფრიკატთა სისტემის შედგენილობას განსაზღვრავს ფონოლოგიური დაპირისპირება მჟღერობის, ფშვინვიერობისა და აბრუპტივობის (სიმკვეთრის) მიხედვით ისევე, როგორც ქართველურ ენებში. ამასთანავე, ქართველური ენებისაგან განსხვავებით, ნაწილი დაღესტნური ენებისა განარჩევს ფშვინვიერ და აბრუპტივ სიბილანტურ აფრიკატთა გემინირებულ (რესპ. მაგარ, ინტენსიურ) სახეობებს, ე.წ. გემინატებს.

ფშვინვიერი **ც, ჩ** და მკვეთრი (აბრუპტივი) **წ, ჭ** აფრიკატები წარმოდგენილია დაღესტნის ყველა ენაში (ლოდობერიულ, ტინდიურ ენებში **ც** სპორადულად ჩანს).

ძ, ც, წ და **ჯ, ჩ, ჭ** აფრიკატთა სამეულები დასტურდება დარგულ, თაბასარანულ, რუთულურ (აქ **ძ** აფრიკატი სპორადულად დანდება), არჩიბულ, კრიწულ, ბუღუხურ, ხინალულურ და უდიურ ენებში.

ცა, ჩა, წა, ჭა გემინატები წარმოდგენილია ხუნძურ, ანდიურ, ბოთლიხურ, კარატაულ, არჩიბულ ენებში. ტინდიურ, ლაკურ, თაბასარანულ, აღულურ და ხინალულურ ენებში ამ აფრიკატებიდან მხოლოდ **ცა**, და **ჩა** გემინატებია წარმოდგენილი, ხოლო წა-

ხურში – ოდენ **ჩ** გემინატი. უდიურში ყველა შიშინა გემინატი – ჟ, შ, ჯ, ჩ, ჭ, - დასტურდება. ბაგვალურ, ჭამალურ ენებში, წ, ჭ, აფრიკატები რეალიზდება, როგორც გემინირებული სპირანტები.

მჟღერი **ძ** და **ჯ** აფრიკატები წარმოდგენილია დარგულ, თაბასარანულ, რუთულურ, არჩიულ, კრიწულ, ბუდუხურ, ხინალულურ და უდიურ ენებში. ანდიურ, ბოთლიხურ, კარატაულ, ჭამალალურ, აღულურ და წახურ ენებში შიშინა **ჯ** აფრიკატი დასტურდება.

გემინირებული აფრიკატები, ჩვეულებრივ, არ მოეპოვებათ დიდურ ენებს, ბაგვალალურს, ჭამალალურს, დარგულს, ლეხგიურს, რუთულურს, კრიწულს და ბუდუხურს.

სრული შედგენილობით (გემინირებულ აფრიკატებთან ერთად) სისინა და შიშინა სიბილანტური რიგები არ დასტურდება არც ერთ დადესტნურ ენაში, თუმცა შიშინა სიბილანტური რიგი – **ჯ, ჩ, ჩ, ჭ, ჭ, -**სრულად დაუცავს ანდიურ, ბოთლიხურ, კარატაულ, ჭამალალურ, არჩიულ და უდიურ ენებს. უდიურ ენაში დასტურდება **ჟ** და **ჯ** გემინატიც, განსხვავებით ყველა სხვა დადესტნური ენისაგან, რომელთაც, ჩვეულებრივ, არ მოეპოვებათ მჟღერი აფრიკატებისა და სპირანტების (ისევე, როგორც სხვა მჟღერების) გემინირებული კორელატები.

ამასთანავე, ზოგ დადესტნურ ენაში გვხვდება ლაბიალიზებული და დენტოლაბიალიზებული აფრიკატები.

როგორც ვხედავთ, დადესტნურ ენებში სიბილანტურ აფრიკატთა სისტემა (ისევე, როგორც საერთოდ კონსონანტური სისტემა) სინქონიულ დონეზე რთულ სურათს გვიჩვენებს – აფრიკატთა რაოდენობა რომელიმე ცალკეულ (სისინა ან შიშინა) სიბილანტურ რიგში ორიდან ექვსამდე მერყეობს, რაც ალბათ გულისხმობს ასეთივე რთულ სურათს დიაქრონიულ დონეზეც. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ არაერთი დადესტნური ენისა და დიალექტის გათვალისწინებით საერთო-დადესტნურ ფუძე-ენაში საეჭვოა გემინირებული თანხმოვნების დაშვება და ასეთ შემთხვევაში დიაქრონიულ დონეზე სიბილანტურ აფრიკატთა შედარებით მარტივი სისტემა უნდა ვიგულისხმოდ, კერძოდ, ისეთივე, როგორიც ქართველურ და ნახურ ენებშია წარმოდგენილი. ამას მხარს უჭერს ანდიური ენის ჩვენება, სადაც გემინატების არსებობა პოზიციურად არის შეპირობებული (ილ. ცერცვაძე 1965, 24), ე. ი. მუორეულია. სხვა დადესტნურ ენებშიც გემინაციას ერთ-ერთ მიზეზად სწორედ პოზიციური შეპირობებულობა უნდა ჰქონოდა.

ასევე, ვფიქრობთ, გემინატების მუორეულობის სასარგებლოდ მეტყველებს ზოგი დადესტნური ენისა და დიალექტის ვითარება. მაგალითად, დარგული ენის წუდახურულ, ხაიდაყურ და ყუბახურ დიალექტებში გვაქვს **ცმ, ჩმ** გემინირებული აფრიკატები, მაგრამ არა გვაქვს **ძ, ჯ** მჟღერი აფრიკატები, ხოლო ახუმურ და ურახულ დიალექტებში (ისევე – სალიტერატურო ენაში) კი, პირიქით, - გვაქვს **ძ, ჯ** აფრიკატები, მაგრამ არა გვაქვს **ც, ჩ**, გემინატები (მაჰომეტოვი 1976 : 279). მაშასადამე, დარგული ენის დიალექტთა ჩვენებით გემინირებული აფრიკატების არსებობას გარკვეულწილად განაპირობებს მჟღერი აფრიკატების არარსებობა. „სადაც ინტენსიური (ე.ი. გემინირებული – რ.ა.) აფრიკატი გვაქვს, მჟღერი არ გვექნება“ (ჩიქობავა 1979 : 65).

როგორც ირკვევა, ეს ვითარება არაერთ სხვა დადესტნურ ენასა და დიალექტშიც შეინიშნება. მიუხედავად იმისა, რომ მჟღერი **ძ, ჯ** აფრიკატები დღეს ყველა დადესტნურ ენაში არ დასტურდება, ამ აფრიკატთა დაშვებას საერთო-დადესტნური ფუძე-ენის დონეზე არ გამორიცხავს არც ერთი სპეციალისტი (განსხვავებით **ზ, ჟ** სპირანტებისაგან, რომელთა დაშვებას ფუძეენაში ზოგი მკვლევარი უარყოფს). აქედან და-

სკვნა; ვინაიდან საერთო-დაღესტნურ ფუძე-ენაში უნდა ვიგულისხმოთ მკდერი აფრიკატების არსებობა, ამიტომაც გემინირებული (მაგარი, ინტენსიური) აფრიკატები ფუძეების ადრინდელ ეტაპზე არ უნდა გვქონოდა.

„სისინასიბილანტური“ და „შიშინასიბილანტური“ დაღესტნური ენები და დიალექტები. როგორც ცნობილია, ქართველურ ენებში სიბილანტურ ფონემებს შორის შესატყვისობა გულისხმობს ბგერათფარდობის რეგულარულ წესს: ერთი მხრივ, ქართული ენის სისინა სიბილანტების ეკვივალენტებად ზანურსა და სვანურში წარმოდგენილია ასევე სისინა, იდენტური კორელატები და, მეორე მხრივ, - შიშინა სიბილანტები, ხოლო ქართული ენის ენის შიშინა სიბილანტებს შეესატყვისება ზანურ-სვანური თანხმოვანთკომპლექსები (შიშინა სიბილანტები ველარულ ხშულვებთან ერთად). ამიტომაც ითქვა, რომ სწორედ „სიბილანტები ქმნიან სადემარკაციო ხაზს ქართველურ ენათა შორის“ (მაჭავარიანი). ამ მიზეზითვე ნ. მარმა ქართულ ენას „სისინა ჯგუფის“, ხოლო ზანურს (მეგრულ-ჭანურს) „შიშინა ჯგუფის“ ენები უწოდა.

სიბილანტურ ფონემათა ასეთი „ყოფაქცევა“ მეტ-ნაკლებად დამახასიათებელია ყველა იბერიულ კავკასიური ენისათვის და, მათ შორის, დაღესტნური ენებისთვისაც. დაღესტნის მონათესავე მრავალრიცხოვან ენათა შორის თითოეული ენა მონოგრაფიულადაა შესწავლილი, რაც გვაძლევს გარკვეული დასკვნის გამოტანის საშუალებას ამ ენათა „სისინა“ თუ „შიშინა“ ჯგუფის ენებად კვალიფიკაციისათვის. კერძოდ, სიბილანტთა შესატყვისობის მიხედვით, დაღესტნურ ენათა უმრავლესობა (დაახლოებით 20 ენა) „სისინა ჯგუფის“, უფრო ზუსტად, „სისინასიბილანტური“ ენებია. ერთადერთი ენა დაღესტნურ ენათა შორის, რომელიც აშკარად შეიძლება ჩაითვალოს „შიშინა სიბილანტურ“ ენად, ახვახური ენაა (ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა ქვეჯგუფი), ვინაიდან ახვახური ენა თითქმის უგამონაკლისოდ წარმოგვიდგენს შიშინა სიბილანტებს სხვა დაღესტნურ ენათა სისინა სიბილანტების ეკვივალენტებად (ბევრად უფრო მეტად და რეგულარულად, ვიდრე ზანური და სვანური ქართულ ენასთან მიმართებით). უდიურ ენაშიც თითქმის ასეთივე ვითარებაა ასახული – სხვა დაღესტნურ ენათა სისინა სიბილანტებს აქ ზოგჯერ შიშინა შეესატყვისება, მაგრამ ეს შესატყვისობა რეგულარული ხასიათისა არ არის, როგორც ახვახურში. ამის გამო უდიურის კვალიფიკაცია „შიშინა-სიბილანტურ“ ენად თითქოს გაჭირდება, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ უდიურ ენაში შიშინა სიბილანტური რიგის სრულ შედგენილობას (უდიური ენა ერთადერთია დაღესტნურ ენათა შორის, რომელსაც შიშინა სიბილანტები – არამაგარიც და მაგარიც, ანუ ინტენსიურიც – სრულად დაუცავს, ხოლო სისინა-სიბილანტური რიგი ნაკლები აქვს – არ მოეპოვება ინტენსიური კორელატები), მაშინ უდიური ენის „შიშინა სიბილანტურ“ ენად მიღება შესაძლებელი ჩანს.

სისინა სიბილანტთა გადასვლა შიშინებში დასტურდება დიდოურ ენებსა და დიალექტებშიც (ელ. ლომთაძე, ტ. გულდავა): ბეჟიტურში (ტლადალურ დიალექტში), ჰუნ-ზიბურში, ჰინუხურში, თუმცა ამ ენებში და დიალექტებში ის პოზიციურ-კომბინაციური ხასიათისაა.

რეგულარულ ხასიათს ატარებს შიშინასიბილანტური შესატყვისობა ხუნძური ენის ბათლუხურ დიალექტში, ყოროდის თქმაში და, განსაკუთრებით, ანწუხური დიალექტის ჭადაქლოურ თქმაში. ამდენად ეს დიალექტები და თქმები სალიტერატურო ხუნძურთან და მის სხვა დიალექტებთან და თქმებთან მიმართებით (ისევე, როგორც „სისინა სიბილანტურ“ სხვა დაღესტნურ ენობრივ ერთეულებთან მიმართებით) „შიშინა სიბილანტური“ აღმოჩნდა.

ასევე, ლეზგიური ენის სამურის დიალექტსა და თქმებში კიურიული დიალექტისა და თქმების სისინა სიბილანტების ეკვივალენტებად შიშინა სიბილანტებია წარმოდგენი-

ლი (მეილანოვა).

სალიტერატური ლაკურ ენასა და დიალექტებშიც აშთიყულის დიალექტის სისინა სიბილანტების (სპირანტების) ეკვივალენტებად შიშინა სიბილანტები (ასევე სპირანტები) დასტურდება (მურყელინსკი).

ეს ვითარება ნაწილობრივ არაერთ სხვა დადესტურ ენაში, დიალექტში, თქმაში თუ მეტყველებაშიც ვლინდება.

ბგერათშესატყვისობის ზოგიერთი საერთო წესისათვის იბერიულ-კავკასიურ ენებში. იბერიულ-კავკასიურ ენათა ისტორიულ-მედარებითი ფონეტიკის სრულფასოვანი კვლევა მოითხოვს ცალკეული ჯგუფის თუ ქვეჯგუფის ფუძეენის ძირისეულ სტრუქტურებში (რესპ. ცალკეულ ძირში, მორფემაში) ფონემათა სინტაგმატური ურთიერთმიმართებების დადგენას, რაც გულისხმობს ფონოტაქტიკის ამა თუ იმ წესის დაშვებასა და გამოვლენას. ამ მხრივ ფასეულ ჩვენებებს იძლევა სინტაგმატური ურთიერთმიმართებების დადგენა სიბილანტურ ფონემებს შორის.

საერთოქართველურ ფუძეებს შორის კანონზომიერი ბგერათშესატყვისობის მიხედვით ირკვევა, რომ საერთოქართველური ფუძეენის ძირისეულ სტრუქტურებში სიბილანტურ ფონემათა შეთავსებადობის გარკვეული წესი მოქმედებდა. კერძოდ, ცალკეულ ძირში თუ ძირისეულ მორფემაში დაუშვებელი იყო სხვადასხვა ლოკალური რიგის ორი ან ორზე მეტი სიბილანტური ფონემა – სპირანტი ან აფრიკატი. როგორც ჩანს, სიბილანტურ ფონემათა შეთავსებადობის ეს წესი ცალკეულ მორფემებში ექვემდებარებოდა გარკვეულ შეზღუდვებს, რის მიხედვითაც დაუშვებელი იყო წინა რიგის (სისინა) **ხ ს ძ ც წ** სიბილანტურ ფონემათაგან ნებისმიერის შემცველ ძირში უკანა რიგის (შიშინა) **ჟ შ ჯ ჩ ჭ** ფონემათაგან ნებისმიერის არსებობა, მაგრამ ბუნებრივი იყო რომელიმე ცალკეული რიგის სიბილანტთა ცალკეულ ძირში თანაარსებობა.

იბერიულ-კავკასიურ ენებში (დიალექტებში, კილოკავებში, მიკროენობრივ ერთეულებში) სისინა და შიშინა სიბილანტთა (სპირანტ-აფრიკატთა) განაწილების თვალსაზრისით შეინიშნება ერთი საერთო წესი: თითოეული იბერიულ-კავკასიური ენისათვის დამახასიათებელი სისინა და შიშინა სიბილანტები, რომელთაც ამოსავლად რომელიმე საერთო (სისინა ან შიშინა) ფონემა აქვთ, შეიძლება წარმოდგენილი იყოს ერთდროულად არა მხოლოდ ცალკეული ენისა და დიალექტის, არამედ თქმის, მეტყველების ან უმცირესი ენობრივ-დიალექტური ერთეულის ფარგლებშიც.

მაგალითად, აბაზური ენის ტაპანთურ დიალექტში „ორივე რიგის ბგერების არსებობის შემთხვევაში ერთნაირად აღრევით გამოიყენება როგორც სისინა, ისე შიშინა სახეობები: ძ⁰წ⁰, ც⁰ჩ⁰, წ⁰ჭ⁰. ამ ნიადაგზე, მაგ., ა-წ⁰ა „ვაშლი“ ტაპანთურში არის როგორც წ⁰ა, ისე ჭ⁰ა...

აქ სხვადასხვა მთქმელის ენაში არის ან შიშინა, ან „სისინა“ სახეობები ლაბიალიზებული სპირანტებისა და აფრიკატებისა ისე, რომ საერთოდ ტაპანთური დიალექტის მიხედვით იგივე, ორივე სახეობის ბგერები გვაქვს, როგორც ბზიფურში (ე.ი. ჟ⁰ შ⁰ და ხ⁰ს⁰), ოღონდ ფუნქციურად განუსხვავებელი: შესაძლოა ერთი მთქმელი რო-

გორც „ჰელს“ (აჰ⁰), ისე „დროხას“ (აზ⁰) გამოთქვამდეს ზ⁰ ბგერით, მეორე კი – ორივეს ჟ⁰ ბგერით და ა. შ.“ (ლომთათიძე 1976 : 166).

ყაბარდოული ენის მალკის კილოკავში მთქმელთა ერთი ჯგუფის მეტყველებაში სისინა სიბილანტია (სპირანტებია) წარმოდგენილი, მეორე ჯგუფის მეტყველებაში კი – შიშინა ეკვივალენტები (ასევე სპირანტები) (შაგიროვი 1967 : 165).

ადილურ ენებში შეინიშნება პირველადი შიშინა აფრიკატების სპირანტიზაცია (როგავა 1967: 97), რაც იწვევს ამ ენებსა და დიალექტებში ოპოზიციური წყვილების შექმნას არა მხოლოდ სისინ-შიშინობის მიხედვით.

ეს ვითარება დამახასიათებელია ნახური ენებისთვისაც, სადაც დაპირისპირებას ერთი საერთო სიბილანტური ფონემისაგან მომდინარე რეფლექსების შორის ქმნის მათი სპირანტობა, აფრიკატობა და აბრუპტივობა. მაგ., ჩენური ზ (ბუორზ „მგელი“): ინგუშური ძ (ბუორძ): ბაცბური წ (ბოწ) (დემერიევი – 1967: 185).

სისინა და შიშინა სიბილანტთა სუბსტიტუცია საერთო ფუძეებში, როგორც ზემოთ აღინიშნა, აშკარად ჩანს დადესტნის მრავალ ენასა და დიალექტში (კილოკავში). ამ მხრივ ფასეულ ჩვენებებს იძლევა ხუნძური ენის ანწუხური დიალექტის ტოხური და ჭადაქოლოური კილოკავეები, სადაც სისინა და შიშინა სიბილანტებს შორის ისეთი რეგულარული ბგერათშესატყვისობაა წარმოდგენილი, როგორც ქართველურ ენებში (ქართულსა და ზანურ-სვანურს შორის). სისინა>შიშინა გადასვლის მაგალითები დასტურდება ხუნძურის სხვა დიალექტებსა და კილოკავეებშიც (უსლარი, ჩიქობავა, ცერცვაძე, მიქაილოვი...) ასეთივე პროცესი ვლინდება ახვასურ და ჭამალურ ენებშიც (ტრუბეცკოი, გუდავა).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართველურ ენებში სიბილანტურ ფონემებს შორის შესატყვისობა გულისხმობს ბგერთფარდობის რეგულარულ წესს: ერთი მხრივ, ქართული ენის სისინა სიბილანტების ეკვივალენტებად ზანურსა და სვანურში წარმოდგენილია ასევე სისინა, იდენტური კორელატები და, მეორე მხრივ, – შიშინა სიბილანტები, ხოლო ქართული ენის შიშინა სიბილანტებს შეესატყვისება ზანურ-სვანური თანხმომვანთკომპლექსები (შიშინა სიბილანტები ვეღარულ ხშულებთან ერთად). ამიტომაც ითქვა, რომ სწორედ „სიბილანტები ქმნიან სადემარკაციო ხაზს ქართველურ ენათა შორის“ (მაჭავარიანი). ამ მიზეზითვე ნ. მარმა ქართულ ენას „სისინა ჯგუფის“, ხოლო ზანურს (მეგრულ-ჭანურს) „შიშინა ჯგუფის“ ენები უწოდა.

სიბილანტურ ფონემათა ასეთი „ყოფაქცევა“ მეტნაკლებად დამახასიათებელია ყველა იბერიულ-კავკასიური ენისათვის და, მათ შორის, დადესტნური ენებისთვისაც. დადესტნის მონათესავე მრავალრიცხოვან ენათა შორის თითოეული ენა მონოგრაფიულადაა შესწავლილი, რაც გვაძლევს გარკვეული დასკვნის გამოტანის საშუალებას ამ ენათა „სისინა“ თუ „შიშინა“ ჯგუფის ენებად კვალიფიკაციისათვის. კერძოდ, სი-

ბილანტთა შესატყვისობის მიხედვით, დაღესტნურ ენათა უმრავლესობა (დაახლოებით 20 ენა) „სისინა ჯგუფის“, უფრო ზუსტად, „სისინასიბილანტური“ ენებია. ერთადერთი ენა დაღესტნურ ენათა შორის, რომელიც აშკარად შეიძლება ჩაითვალოს „შიშინა-სიბილანტურ“ ენად, ახვასური ენაა (ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ენათა ქვეჯგუფი), ვინაიდან ახვასური ენა თითქმის უგამონაკლისოდ წარმოგვიდგენს შიშინა სიბილანტებს სხვა დაღესტნურ ენათა სისინა სიბილანტების ეკვივალენტებად (ბევრად უფრო მეტად და რეგულარულად, ვიდრე ზანური და სვანური ქართულ ენასთან მიმართებით). უდიურ ენაშიც თითქმის ასეთივე ვითარებაა ასახული – სხვა დაღესტნურ ენათა სისინა სიბილანტებს აქ ზოგჯერ შიშინა შეესატყვისება, მაგრამ ეს შესატყვისობა რეგულარული ხასიათისა არ არის, როგორც ახვასურში. ამის გამო უდიურის კვალიფიკაცია „შიშინასიბილანტურ“ ენად თითქოს გაჭირდება, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ უდიურ ენაში შიშინასიბილანტური რიგის სრულ შედგენილობას (უდიური ენა ერთადერთია დაღესტნურ ენათა შორის, რომელსაც შიშინა სიბილანტები – არამაგარიც და მაგარიც, ანუ ინტენსიურიც – სრულად დაუცავს, ხოლო სისინასიბილანტური რიგი ნაკლები აქვს – არ მოეპოვება ინტენსიური კორელატები), მაშინ უდიური ენის „შიშინა-სიბილანტურ“ ენად მიღება შესაძლებელი ჩანს.

დაღესტნურ ენებში ისევე, როგორც ქართველურ ენებში, სიბილანტთა შესატყვისობას, როგორც ჩანს, საარტიკულაციო ბაზისის ერთი მიმართულებით – წინა რიგიდან უკანა რიგისაკენ – გადაწევის წესი განაპირობებს, თუმცა ხსენებულ ენებსა და დიალექტებში შეზღუდულად მოქმედებს ბგერათშესატყვისობის უკუპროცესიც (ინტენსიური შიშინა სიბილანტების გადასვლა ინტენსიურ სისინა სიბილანტებში), რომელსაც გარკვეული ახსნა მოეპოვება და ვერ არღვევს ბგერათშესატყვისობის მაგისტრალურ ხაზს – სისინა (არაინტენსიური) სიბილანტების გადასვლას შიშინა (ასევე არაინტენსიური) სიბილანტებში ისევე, როგორც ქართულ ენასა და დიალექტებში არსებული დუბლეტური ფუძეები, სადაც ხდება სისინა და შიშინა სიბილანტთა სუბსტიტუცია (ასეთი ფუძეები მრავლად გვხვდება), ვერ არღვევს ქართველურ ენათა შორის ბგერათშესატყვისობის კანონზომიერ, რეგულარულ ხასიათს.

Р. Абашиа (Тбилиси)

**Система сибилантных фонем в картвельских и дагестанских языках
(историко-сравнительный анализ)**

Резюме

В настоящей монографии рассмотрены вопросы историко-сравнительной фонетики и лексики картвельских и дагестанских языков, в частности: субституция сибилантов различных локальных рядов в картвельских и дагестанских языках и диалектах, грузинская диалектная лексика и некоторые вопросы реконструкции общекартвельского языка-основы, общее

правило передвижения согласных в картвельских языках и диалектах, правило совместимости сибилантных фонем в корневых элементах общекартвельского языка-основы, принцип диалектной позиции и некоторые вопросы соотношения картвельских языковых единиц, соответствия фонем в картвельских языках, чередование свистящих и шипящих разновидностей сибилантных фонем в картвельских языках и диалектах.

В работе описаны выявленные автором многочисленные общекартвельские основы, включающие сибилантные фонемы, а также дается этимология ряда картвельских лексем. Общекартвельская лексика проанализирована в работе как с использованием традиционных, так и установленных автором новых правил звукосоответствий.

Одна из частей работы посвящена анализу системы сибилантных фонем в дагестанских языках. В частности, рассмотрен вопрос о составе системы сибилантных спирантов и аффрикат в дагестанских и картвельских языках, проанализированы некоторые вопросы сравнительной фонетики дагестанских языков, рассмотрены специфические «кавказские» звуки и фонематическая система дагестанских языков, выявлены и разграничены «свистяще-сибилантные» и «шипяще-сибилантные» дагестанские языки и диалекты; в дагестанских языках и диалектах выявлены соответствия сибилантных спирантов, проанализирован вопрос субституции сибилантных фонем в дагестанских и вообще в иберийско-кавказских языках.

В монографии рассмотрена распространенная в картвелологии теория о существовании в общекартвельском языке-основе трех рядов сибилантных фонем (спирантов и аффрикат). Отмечается, что до создания теории о существовании трех рядов сибилантных фонем (Мачавариани 1960) в картвелологии традиционным являлось соображение о наличии двух рядов свистящих и шипящих сибилантов (Чикобава, Рогава). В связи с этими теориями возникает вопрос: чем обусловлен тот факт, что эквивалентами грузинских свистящих сибилантов выступают занско-сванские как свистящие, так и шипящие сибиланты. Высказано соображение, что в основе этого явления лежит целый комплекс причин, и поэтому с учетом существующих в картвелологии различных точек зрения представлена попытка интерпретации данных подходов.

Впервые в картвельском сравнительном языкознании в работе представлен новый ряд звукосоответствий: грузинский ž : мегрельско-лазский $\text{ž}\gamma$: сванский $\text{ž}\gamma$, соответственно, с использованием нововыявленных общекартвельских основ на уровне картвельского языка-основы восстановлен спирант ž , до сих пор считавшийся в картвелологии спорным.

ფ. ანთაძე-მაღალაშხია (თბილისი)

გვიანდელ სპარსულ ანთროპონიმულ ნასესხობათათვის ქართულში

ანთროპონიმთა თუ სხვა ტიპის საკუთარ სახელთა ადგილი და ფუნქციონირება ზოგადად ენაში და, კერძოდ, თარგმანში მეცნიერთა თეორიული განსჯის საგანია (Langendock 2007; Newmark 1988a, 1988b, 1993; Hervey and Higgins 1992; Vermes 2003). ენათმეცნიერთა ნაწილი საკუთარ სახელებს ენის ფარგლებში მოიაზრებს და მსჯელობს რა მათი ბუნების შესახებ, ასკვნის, რომ თვისობრივად საკუთარი სახელები საზოგადო სახელებს მეტად ჰგვანან, ვიდრე ნაცვალსახელებს, მიუხედავად მათი მონორეფერენციულობისა და აპელაციურობისა (Langendock 2007 : 114; 171). ამავდროულად, სხვა მეცნიერები საკუთარ სახელთა ადგილს ენის მიღმა ხედავენ და მათ განათავსებენ არა ლექსიკონში, არამედ ენციკლოპედიაში. ისინი მიუთითებენ ანთროპონიმთა და კულტურულ ტერმინთა მსგავსება-სხვაობაზე. მათი მოსაზრებით, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც საკუთარ სახელებს, ასევე კულტურულ ტერმინებს მიმართება აქვთ ცალკეული ეთნიკური ერთობის პირებთან, საგნებსა და პროცესებთან, საკუთარ სახელებს გააჩნიათ ცალკეული სინგულარული მიმართებები, მაშინ როცა კულტურულ-ყოფით ტერმინთა მიმართება გულისხმობს ობიექტურად არსებულ საგანთა, პირთა თუ პროცესთა კლასს (Newmark 1988a : 70). თუმცა აქვე აღნიშნულია, რომ საკუთარი სახელი ტექსტში კულტურულ შინაარსს გამოხატავს. სწორედ კულტურული შინაარსი სძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ნასესხებ ანთროპონიმთა შესწავლას, რამდენადაც ისინი ლინგვოკულტურულ ნასესხობებს წარმოადგენენ და მსესხებულ ენაში მათ შემოტანას ყოველთვის კულტურული საფუძველი აქვს. ვფიქრობთ, ამას განაპირობებს ის ვითარებაც, რომ ანთროპონიმი არსებობს ზოგადად და არ მოიაზრებს მაინცდამაინც კონკრეტულ დენოტატს, რადგან ამა თუ იმ სახელის მატარებელი არა ერთი ცალკეული პირია ხოლმე, არამედ პირთა სიმრავლე, სწორედ ამით ამსგავსებენ ანთროპონიმებს საზოგადო სახელებს. (Langendock 2007 : 114, 171). ანთროპონიმთა მნიშვნელობა ძირითადად ასოცირებულია (Pym 2004: 164); ის ასოცირდება რეალურად არსებულ ან გამოგონილ კონკრეტულ პირთან და, შესაბამისად, კულტურულ კონტექსტთან. ზემოთქმულის მიუხედავად, უმართებულად მივიჩნევთ ანთროპონიმის გატანას ენის მიღმა, რამდენადაც ნებისმიერი ანთროპონიმი სხვა ლექსიკურ ერთეულთა მსგავსად ფუნქციონირებს კონკრეტულ ენათა წესების მიხედვით. შესაბამისად ამა თუ იმ ანთროპონიმის წმინდა ენობრივი, უფრო ზუსტად კი მორფოლოგიური, ფუნქციონირება სხვადასხვაგვარია გამსესხებულ და მსესხებულ ენებში. ანთროპონიმთა სესხების არაენობრივი, კერძოდ, ისტორიულ-კულტურული მხარე ძალზე თვალსაჩინოა ხანგრძლივად კონტაქტირებად ენათა ფონზე. სწორედ ხანგრძლივობა გამოარჩევს ზოგადად ირანულ-ქართველურ და, კერძოდ, სპარსულ-ქართულ ენობრივ ურთიერთობებს (ანდრონიკაშვილი 1966 : 11; ანდრონიკაშვილი 1996 : 9). ანთროპონიმული ლექსიკა ის შრეა, სადაც მკაფიოდ აისახა ამ

ურთიერთობათა კვალი. ირანულ-ქართველურ ენობრივ ურთიერთობათა სხვადასხვა ეტაპზე პირის ირანული სახელები როგორც საშუალო და ახალ სპარსული, ასევე ოსური წარმომავლობისა ოდითგანვე მკვიდრდებოდა ქართულ ონომასტიკონში. მათ საფუძველზე წარმოიქმნებოდა არაერთი გვარი. ქართულ ლექსიკაში არსებული ირანული წარმომავლობის ანთროპონიმულ-პატრონიმული შრე იპყრობდა ქართველ ირანისტთა ყურადღებას როგორც საენათმეცნიერო (ანდრონიკაშვილი 1966 : 130-141; 417-517), ასევე ზოგადფილოლოგიური შესწავლის კუთხით (ქორჟოლიანი 2011). წინამდებარე სტატიაში ვეხებით გვიან შუა საუკუნეებში ახალი სპარსულიდან ქართულში შემოსული ანთროპონიმების ზოგიერთ ასპექტს. ესაა მათი გადმოტანის წესი, ფონეტიკური შეთვისება და ისტორიულ-კულტურული ფონი. ქართულ ონომასტიკაში წარმოდგენილ გვიანდელ სპარსულ ნასესხობათა შემოსვლის ძირითადი წყარო ფირდოუსისა და მის მიმბაძველთა „შაჰ-ნამე“-ს ქართული ვერსიებია, თუმცა ზოგიერთი ამ სახელთაგანი უფრო ადრე ჩანს შემოსული, მაგალითად, **გოდერძი**, **გურამ**, **გურგენ**, **ფრიდონ** (ანდრონიკაშვილი 1966: 437; 452; 454). „შაჰ-ნამე“-ს ვერსიების შემუშავების ხანად XV-XVIII საუკუნეებს მიიჩნევენ (შაჰ-ნამე III, 1974: 7). როგორც ირანელი მკვლევრები აღნიშნავენ, „შაჰ-ნამე“ წარმოადგენს ნებისმიერი ტიპის საკუთარ სახელთა დიად ნიმუშს. ამის მიუხედავად მისი ონომასტიკონის შესასწავლად კიდევ ბევრი რამაა გასაკეთებელი. ერთ-ერთი შესასწავლი საკითხი შაჰ-ნამესეულ პირის საკუთარ სახელთა თარგმანია (Shabani 2008). ამ მოსაზრების ავტორი მითითებულ ელექტრონულ პუბლიკაციაში იხილავს „შაჰ-ნამე“-ს პერსონაჟთა სახელების ინგლისურად თარგმნის, უფრო სწორად კი გადატანის ტექნიკას, რაც ძირითადად მათ ფონეტიკურ ადაპტაციას გულისხმობს. ის ერთმანეთს აღარებს „შაჰ-ნამე“-ს სამ ინგლისურ თარგმანს (Warner and Warner 1925; Atkinson 1989; Davis 1997) და ფონეტიკური ავთენტურობის მაქსიმალური შენარჩუნების საფუძველზე უპირატესობას დევისისეულ თარგმანს ანიჭებს. ვფიქრობთ, კიდევ უფრო საინტერესოა შაჰ-ნამესეულ ანთროპონიმთა შეთვისების ანალიზი სპარსულთან ხანგრძლივად კონტაქტირებადი ენებისათვის, კერძოდ, ქართულისათვის, სადაც ეს სახელები ხშირად გათავისებულ ენობრივ ნასესხობად გვევლინებიან და მათი სესხების წინაპირობა კონკრეტული ისტორიულ-კულტურული ფონია. ქართულში შემოსული „შაჰ-ნამე“-ს მხატვრულ პერსონაჟთა სახელთაგან ნაწილი აღმოჩნდა ლექსიკურად მდგრადი, რამდენადაც არ შერჩა მხოლოდ თარგმანის ფურცლებს, შეეთვისა ქართულ ანთროპონიმიკულ კორპუსს და აწარმოა გვარებიც. ჩვენ მხოლოდ ამგვარ სახელებს შევეხებით და ჩამოვთვლით მათ ნაწილს სპარსული შესიტყვებების მითითებით: **bāhrām>ბარამ**; **bižān>ბეჟან**; **zāl>ზაალ**; **giv>გივი**; **tāhmās>თამაზ**; **tāhmurās>თეიმურაზ**; **lohrās>ლუარსაბ**; **mānučehr>მანუჩარ**; **mehrab>მერაბ**; **nouzār>ნოლარ**; **rostom>როსტომ**; **hušāng>უშანგ(ი)**; **afridun>ფრიდონ**; **keixosrou>ქაიხოსრო**. ქალთა სახელებიდან შეგვიძლია მხოლოდ ოთხზე მივუთითოთ, ესენია ძალზე გავრცელებული **kātāyun>ქეთევან**, უფრო იშვიათად **rudābe>როდამ** და ამჟამად უკვე მეტად იშვიათი **mānjže>მანიჟე** და **sindox>სინდუხტი**. „როდამ“

საგულისხმოა იმ თვალსაზრისით, რომ ის ქართულ სინამდვილეში მამაკაცის სახელადაც გვევლინება. ამგვარი შემთხვევა კი, როცა ერთი და იგივე ანთროპონიმი გვხვდება ქალისა და მამაკაცის სახელადაც, უცხოა ქართული და სპარსული ონომასტიკონისთვის.

„შაჰ-ნამე“-დან თუ ზოგადად სპარსულიდან მომდინარე ქართულში შეთვისებული ანთროპონიმები მეტ-ნაკლები აქტივობით ფუნქციონირებს დღემდე. აღსანიშნავია, რომ ეს აქტივობა ციკლური ხასიათისაა. ასე, მაგალითად, თუ გვიან ნასესხები სპარსული ანთროპონიმები საკმაოდ გავრცელებული იყო XVI-XVIII საუკუნეების საქართველოში, მათი პოპულარობა XIX საუკუნეში კლებულობს რუსული კულტურული გავლენის ფონზე (ამ პერიოდში მეტწილად ქრისტიანული სახელები გვხვდება) და დიდად მატულობს XX საუკუნის II მეოთხედიდან, როცა საგანმანათლებლო სისტემის ქართულ ენაზე გადაყვანის წყალობით ენობრივ-კულტურულ დონეზე იზრდება ეროვნული თვითშეგნება. ამ დროისათვის ქართული მოსახლეობის უდიდეს ნაწილს დავიწყებული აქვს გვიან ნასესხებ სპარსულ ანთროპონიმთა უცხოურობა და ეს ერთეულები ძირძველ ქართულ სახელებად აღიქმება. რა სახით გადმოდიდოდნენ განსახილველი ანთროპონიმები ქართულში? საკუთარი სახელების თეორეტიკოს-მკვლევართა აზრით, ანთროპონიმთა „თარგმნის“ სხვადასხვა გზა არსებობს (Hervey and Higgins 1992; Newmark 1988b; Vermes 2003). ამ გზებს შორის სხვაობა გამსესხებელ ენასთან მაქსიმალური ფონეტიკური სიახლოვეა და ანთროპონიმის შინაარსობლივ თარგმანზე გადის. მსესხებელ ენაში ანთროპონიმის შემოსვლის ძირითადი გზა გადატანაა, ტრანსფერულობა (transference) (Newmark 1988a: 71; Vermes 2003: 93). ამ შემთხვევაში ანთროპონიმი გამსესხებელი ენიდან მსესხებელში მინიმალური ფონეტიკური ცვლილებით გადადის. ტრანსფერულობას ექვემდებარება ის ანთროპონიმები, რომელთაც არანაირი კონოტაცია არ გააჩნია ტექსტში. ანთროპონიმთა მსესხებელ ენაში შემოტანის მეორე გზა მუშაობს ხოლმე ტექსტში კონოტაციის მქონე პირის სახელთათვის, როცა ეს უკანასკნელი კი არ გადაიტანება, არამედ ნამდვილად ითარგმნება მსესხებელ ენაზე (Newman 1988b: 81). ამგვარ გზას, რომელიც უცხო ერთეულის მშობლიური ენის ერთეულით ჩანაცვლებას გულისხმობს, ჰერვი და ჰიგინსი კულტურულ ტრანსპლანტაციას უწოდებენ (Hervey and Higgins 1992: 92), ვერმესის ტერმინით, ეს მოდიფიკაციაა (Vermes 2003: 93). ამგვარი გზის გამოყენების შემთხვევაში სპარსული ანთროპონიმი **nušinrāvān** ქართულში გადმოვიდოდა არა როგორც **ნოშრევანი**, არამედ როგორც „**სულტკბილი**“. ძირითადად სწორედ ეს ორი ზემოხსენებული გზა არსებობს საკუთარ სახელთა მთარგმნელად (Hervey and Higgins 1992: 29). „შაჰ-ნამე“-სა და მის გაგრძელებათა ქართველი მთარგმნელებისათვის მიმართავენ მხოლოდ ტრანსფერულობა/გადმოტანის გზას. მეორე ვარიანტს, ანუ ტრანსპლანტაცია/ მოდიფიკაციას XX საუკუნემდე ფაქტობრივად არ ცნობს ქართული მთარგმნელობითი სკოლა. ტრანსფერული გზით შემოსულ ანთროპონიმთა ენობრივი ანალიზი ბუნებრივად გულისხმობს ამ ნასესხობათა შეთვისების ფონეტიკურ მხარეს. შუა

საუკუნეების ქართულ ძეგლებში დადასტურებულ სპარსულ ანთროპონიმებს ახასიათებთ ფონეტიკური ვარიანტულობა. ეს ვარიანტები ძირითადად შეესაბამება ახალ სპარსულ და ქართულ ბგერათშესატყვისობათა წესებს (ანდრონიკაშვილი 1996: 21-55), თუმცა ყველა შემთხვევა არ ექცევა ნორმატიულ შესატყვისობათა ფარგლებში. არანორმატიულია სპარსული **s**-ს გადმოცემა ქართული **ზ**-თი. **Sohrāb>ზურაბ**-სა და **tāhmāsb>თამაზ**-ში. ჩვეულებრივ, ახალ სპარსულ **s**-ს ქართული **ზ** შეესაბამება (ანდრონიკაშვილი 1996: 44). სპარსული **s** ქართულში ასევე **ზ**-დ გადმოდის **nārges>ნარგიზ(ა)**-ში. ეს სიტყვა ორივე ენაში გვხვდება როგორც საზოგადო, ასევე საკუთარ სახელად. ის ყვაილის სახეობის სახელწოდებაცაა და ქალის საკუთარი სახელიც. საქართველოში **ნარგიზ(ა)** ანთროპონიმად XX საუკუნეში ვრცელდება.

Landmark work on Caucasian studies "Fundamentals of Iberian-Caucasian languages" by Mikheil Kurdiani represents the critic of the western scholars' attitude and method in confirming the kinship of the Iberian-Caucasian languages. Historical-comparative method among the researchers of the Iberian-Caucasian languages especially among the Georgian researchers was an object of discussion on specificities of these languages, rich consonants and more complicated sound-correspondences. Owing to this such examples were brought which were considered to be satisfied using the method correctly or phonetic processes – comparative, positive, superlative or acknowledging a parent-language as a reflex of different phonemes, or borrowings and others.


The monograph discusses the past stages till final confirming of kinship of the Iberian-Caucasian languages.

The monograph shows the correction of traditional researching priorities of Georgian linguistic school – from comparative morphology of the Iberian-Caucasian languages till phonetics, generalization, perfecting of traditional, canonical, theoretical basis of comparative method, rising the degree of verification of research results relevantly with the strictness of method and defending profanation of a method from the following process. This process is operated just by genetic kinship of the North-Caucasian languages.

The monograph discusses many phonetic laws and rules established in the empiric researching process of the Iberian-Caucasian languages. The monograph explains certain phonetic phenomena, defines formula of sound-correspondences within the language groups, a root structure of the Iberian-Caucasian languages and stem-forming models, fully functional and material identity of these models in the South and North Caucasian languages, the principles of reflecting the synchronic sound-correspondences in diachrony.

The monograph represents a core paradigm of non-identical sound-correspondences on the basis of what it was possible to confirm the kinship of the Iberian-Caucasian languages:

Sound correspondences in the Kartvelian and Daghestanian languages:



3. Common Kartvelian

:

Common Daghestanian

*ʒ || ʒ₁

:

*c₁

*c || c₁

:

*c

4. Common Daghestanian

:

Common Kartvelian

*ç


:

*t ||
*s₁t
*st

5. Common Kartvelian

:

Abkhazian

*t  || tw

*stw

*s₁tw

:

s' ||

6. Common Kartvelian

*c || c


:

Abkhazian

:

ᶑ

7. Karvelian



:

Abkhazian-Adygean



Abkhaz. ᶑ

Kab. x̣

Circas. f

8. Common Kartvelian

*qw

Kart. qv
 Zan ʔ/qv
 Svan qv

:

:

Abkhazian

*γ₀

Circas. γ₀

Abkhaz. v

Abaz. ẉ

9. Common Kartvelian

*ʒ || *ʒ₁

*c || *c₁

:

Basque

c/s

c/s

10. Common Kartvelian

Basque

*s || *s₁

s


*s || *st₁

s || š (M. Kurdiani)

*ç || *ç₁

č/š

11. Basque Common Basque-Kartvelian Common Kartvelian Kart.




For example:

Common Dagestanian :

Common-Kartvelian

1.1. "winter" // "cold" // "ice"



dagestanian

avar. **tʃin** id

and. . **tʃinu** id.

dagestanian

darg. mi (urax.) // mi-**g** (cudax.) id.

lak. mi-**k** id.

hun. **l₃inn** *id.*
 darg. **'ini**
 (*urax dial.*)
 lak. **kint** *id.*
 did. **el₃nu** *id.*
 hinux. **el₃ni** *id.*
 xvarsh. **el₃nu** *id.*
 kapuch. **l₃ine** *id.*

arch. mu-**ḳ** “ice”, “ice-meat”
 lezg. mur-**k** (erg.c. mur-**k**-wadi) *id.*
 tab. me-r-**k₃** *id.*
 ag. me-r-**k₃** “hail”
 cax. mə-**k** *id.*
 xin. mi-**k** *id.*

*q

“winter” // “winter”

common kartvelian

*qin-w-a

georg. qin-v-a

zan. qin-i //

'in- i “cold”

o-qin-u //

'in-u-a “ice”

in-u-v-a < *'in-u-v-a

“winter” (laz. dial.)

“ice”

common kartvelian

*qin-el-I // *qin- ul -i

old georg. qin- el

georg. qin- ul-i

zan. . qin- ur-i // 'in-er-i

1.2. earth // ground // soil

dagestanian

*..-an-a “earth”

avar. raḳ₃ “earth”

did. riḳ₃.u “earth”

“meadow”, “field”

lezg. na.v “earth”

buduch. no.. “soil”, “clay”

common kartvelian

georg. ..ana ; old georg. “earth”

“country cottage”, “field”; new

georg. “plural crops”

zan. ..ona // 'ona “plural crops”,

“earth”

1.3. “love” // “want”

dagestanian

common kartvelian

avar. bo-**ʃ**-ize
arch. **ʃ**an-qes
ud. bu-**q**-sun

***q̄w**-ar-:
kartv. georg. si-**q̄war**-ul-i
zan. **q̄or**-op-a // 'or-op-a

common dagestanian ***ʃ**

:

common kartvelian ***tx**

“head” // “hill top” // “upper” // “roof

com. dag. ***ʃ**

com.kartv. ***tx**

“head”

“upper”

“roof”

“head” // “hill top”
“upper”

avar. be-**ʃ**-er “head”
darg. bi-**k** (urax.)
// be-**k** (axush.)
lak. ba-**k**
lezg. **q**-il
(<*wi-**q**-il)
xin. mi-**k**-ir
(<*wi-**k**-ir)

avar. t-ad
and. hi-**ʃ**-a
achv. **ʃ**-ad-o
did. **ʃ**-od-o
lak. **k**-a

avar. **ʃ**-om
and. **ʃ**-om
did. **ʃ**-o
hunz. **ʃ**-am-e
lak. **ç**-am-u
(<***k**-am-u)
“shelf”

georg. **tx**-em-i
(<*txam-i)
svan. **tx**-um
“head” //
ma-**tx**-wm-i
“leader”
tx-um (<***tx**-am)
lezg. **q**-w-an
tab. **k**-an-u
“tube for rain”
muxad. **q**-aw
“roof”

common kartvelian

common dagestanian

***we-ʒ**

“mineral water”,
“mineral spring”

***c̣**

“spring”

georg. **ve ʒa**, **veʒ**-is-I (top.)
zan. men^ʒ <***waʒ**-i (top.)

avar. **ic̣** “spring”
and. **inc̣**i
darg. **oiniʒ**
xin. **ṃec̣**

common kartvelian

common dagestanian

*ʒ-am-a
“brother”

*cə
“brother” and “sister”

georg. ʒ-am-a // ʒm-a
zan. ʒima // . ʒuma
svan. . ʒəm-il // . ʒim-il
““brother for sister”

avar. wa-cə “brother”
ja-cə “sister”
dial:
hid. wa-sə - ja-sə
shul. va-çə - ja-çə
toch. va-c - ja-c
and. wo-cə-i - ja--cə-i
did. e-s-iju “brother” and “sister”
darg. uʒi // ucəi “brother” -
ruʒi // rucəi “sister”
lak. usəu “brother” - səu “sister”
arch. uš-təu “brother” - doš-təur “sister”
tab. Čwi // Čwe (<*cwi // *cwe) “brother” -
Či (<*jiČ<*jici) “sister”
agul. Ču (<*uČu) “brother” - Či (*jiČi “sister”
muxad. šu (<*u šu) “brother” - ri ši “sister”
cach. Čož (<* u-Č-ož) “brother” - jiČi “sister”
ud. viČi “brother” - xunČi “sister”
xin. cəa // cəəə “brother” - rə cəə “sister”

(See Kurdiani 2007).

I define the next research tasks of comparative linguistics, reconstruction and synchronic description of a parent-language till differentiating, establishing an absolute chronology of a parent-language’s existence, compiling of comparative phonetics and grammars of a language family, compiling of comparative and etymological dictionaries, localization of pre-mother-country of the ethnos speaking a parent-language and reconstruction of proto-culture.

These tasks are especially topical from the standpoint of establishing pre-history realities of the Caucasian peoples.

References

Abdokov 1983: Abdokov A., On sound word correspondences in The North Caucisian languages, Nalchik, “Elbrus”.

- Andronov 1982:** Andronov M., from the history of the classification of the dravidian languages (theoretical basis of classification of world languages. the problem of kinship. Moscow “Nauka” (in Russian).
- Bomhard 1990:** Bomhard A. A survey of the comparative phonology of the so-called “Nostratic” languages (trends in linguistics. Studies and Monographs 45 : Linguistic change and reconstruction methodology, Berlin-New York; Mouton Gruyter” : 331-358).
- Bouda 1949:** Bouda K., Basque-Caucasian etimologies, Haidelberg: Carl Winter (in German).
- Braun 1998:** Braun J., Euscaro-Caucasica. Historical and comparative studies on Kartvelian and Busque, Warszawa; “Dialog”.
- Chikobava 2008:** Chikobava A., the history of the learning of the Iberian-Caucasian languages. Tbilisi, “Universal” Press (in georgian).
- Chikobava 1979:** Chikobava A., Introduction to the Iberian-Caucasian linguistics. Tbilisi, Tbilisi State University Press, (in Georgian).
- Comrie 1998:** Chikobava A., Atlas of world’s languages, Moscow, “Lik Press”.
- Dumézil 1933:** Chikobava A., Introduction to comparative grammar of the North Caucasian languages, Paris.
- Gudava 1954:** Gudava T., On the geneses of Avar Andi Dido □□ lateral and its phonetical correspondences. (Ibero Caucasian linguistics, VI, 55-56) (in Georgian).
- Ilich-Svitich 1971-1984:** Ilich-Svitich V., The experiense of the comparison of the in Nostratic languages (Semitic-Chamit, Kartvelian, Indo-Evropian, Uralian, Dravidian, Altaian) comparative dictionary. Moscow, “Nauka” (in Russian).
- Lafon 1948:** Lafon R., Correspondences basque-caucasiques, II. Siffilantes et chuintanetes en basque et dans les langues caucasiques (EUSKO-JAKINTZA II: 362-367).
- Levin 1995:** Semitic and Indo-European principal etimologies (with observatioons on Afro-Asiastic), Amsterdam/Philadelphia: Jhon Benjamins Publishins Company.
- Lomtatidze 1955:** Lomtatidze K., Some issues of sound correspondences in the Iberian-Caucasian languages (on the materials of vthe Georgian-Abkhazian-Adygean languages) Bulletin of the Georgian Academy of Sciences, XVI, 10: 821-825) (in Georgian).
- Starostin 1982:** Lomtatidze K., Reconstruction of Pro-Enisei and interrelation of Eniseian languages (“Katian collection

(anthropology, ethnography, mythology, linguistics)”), Leningrad: 144-237

Trubetskoy 1987: Trubetskoy N., Collected works in philology, Moscow, “Progress”. Uhlenbeck, Christianus Cornelius 1909-1910: Contribution of one phonetic comparative of the dialects of Basque language (“Revista International de los Estudios Vascos, 1909, 3: 465-503; 1910, 4: 65-120) (in Spanish).

Whorf, Benjamin 1956: Whorf B., Language, thought and reality, Cambridge: Cambridge University press.

ც. ბარამიძე (თბილისი)

**ქართველთა ეთნოგენეზი და იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობის საკითხი
(შესწავლის მდგომარეობა და პერსპექტივები)**

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ქართველთა ეთნოგენეზის საკითხი, რომელიც გადაჯაჭვულია იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობის საკითხთან. ქართველთა ეთნოგენეზის საკითხს ანუ საკითხს იმის შესახებ, თუ რომელ ენობრივ ოჯახს მიეკუთვნება ქართველური ენები, ხანგრძლივი და რთული ისტორია აქვს. ენათა ნათესაობის ერთადერთი უეჭველი კრიტერიუმია ენათა შორის კანონზომიერი და რეგულარული ბგერათშესატყვისობების არსებობა. ბგერათშესატყვისობა კი დგინდება ენათა ძირითადი ლექსიკური ფონდის (და არა გრამატიკული მარკერების) ისტორიულ-შედარებითი მეთოდით კვლევის გზით. ისტორიულ-შედარებითი მეთოდით კვლევის შედეგები ვერიფიცირებადია (შემოწმებადია) და სწორედ ეს განსაზღვრავს მისი სანდოობის ხარისხს. ვერიფიკაციას სამი საფეხური აქვს: 1. ემპირიული მასალით, 2. სისტემის მოთხოვნებით, 3. ტიპოლოგიით. მხოლოდ ამ სამივე საფეხურის ვერიფიკაციის გატარების შემდეგ შეგვიძლია დანამდვილებით ვიცოდეთ, რამდენად სანდოა ჩატარებული შედარება და არქტიპის (წინარეფორმის, ამოსავალი ფორმის) რეკონსტრუქცია. იბერიულ-კავკასიური ენების ნათესაობა ექვემდებარება

ვერიფიცირებას ისტორიულ-შედარებითი მეთოდის მთელი სიმკაცრით. ისტორიულ-შედარებითი მეთოდით იბერიულ-კავკასიურ ენათა კვლევა მეცნიერებში იწვევდა გამუდმებულ მსჯელობას ამ ენათა „სპეციფიკურობის“ გამო. იბერიულ-კავკასიურ ენებს შეუდარებლად მდიდარი კონსონანტიზმი გააჩნიათ, რის გამოც ბგერათშესატყვისობის დადგენა უფრო რთული ხასიათისაა. საკუთრივ იბერიულ-კავკასიურ ენებთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ისინი ისტორიულ-შედარებით მეთოდთან მიმართებაში არაფრით განსხვავდებიან ენათა სხვა ოჯახებისაგან.

იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობის საბოლოო დამტკიცებას წინ უძღოდა რამდენიმე ეტაპი. სტატიაში განხილულია ეს ეტაპები. გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან დღემდე მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა იბერიულ-კავკასიურ ენათა ისტორიულ-შედარებითი მეთოდით კვლევის საქმეში. ემპირიული მასალის კვლევების პროცესში და მათ საფუძველზე დადგენილ იქნა არაერთი ფონეტიკური კანონი თუ წესი და აიხსნა გარკვეული ფონეტიკური მოვლენები და დაზუსტდა ბგერათშესატყვისობების ფორმულები ენობრივ ჯგუფთა შიგნით, შემუშავდა რამდენიმე ორიგინალური ზოგადლინგვისტური თეორია და მიდგომა, რამაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა კომპარატივისტული პრობლემების გადაწყვეტაში (მ. ჩუხუა, რ. აბაშია, ვ. შენგელია, მ. ქურდიანი, ნ. არდოტელი):

ბგერათშესატყვისობების დადგენისას აუცილებლად უნდა გამოკვლეულიყო ძირ-ფუძეთა სტრუქტურა და ფუძეთქმნადობის მოდელები (ძირეულ და აფიქსურ მორფმათა კანონიკური კომბინაციები). ამგვარი კვლევა ჩატარდა მ. ქურდიანისა და ა. არაბულის მიერ იბერიულ-კავკასიურ ენათა მასალის საფუძველზე. კვლევამ ცხადყო, რომ ძირ-ფუძეთქმნადობის ამ უძველესი მოდელების სრული ფუნქციური და, რაც მთავარია, მასალობრივი იდენტურობა სამხრეთ და ჩრდილოკავკასიურ ენებში. დადგინდა, რომ თუ ენები მონათესავენი არიან, ანუ ერთ ენობრივ ოჯახს ეკუთვნიან, ისინი ყველა შემთხვევაში უნდა ავლენდნენ კანონზომიერ და რეგულარულ ბგერათშესატყვისობებს როგორც სინქრონიულ, ასევე დიაქრონიულ ჭრილში, დამოუკიდებლად იმისა, ერთ კონკრეტულ ენას ვადარებთ მისივე ქვეჯგუფის, ჯგუფის, ოჯახის ცოცხალ ან ისტორიულად დადასტურებულ მეორე ენას, თუ რომელიმე შუალედური ფუძეების, ან სულაც საერთო ფუძეების რეკონსტრუირებულ არქეტიპებს და ამ კანონზომიერ და რეგულარულ ბგერათშესატყვისობებს ისინი ავლენენ არა იზოლირებულად, რომელიმე ცალკეულ ფონემასთან, ან თუნდაც ფონემათა რომელიმე ცალკე ადებულ ლოკალურ რიგთან, არამედ სისტემურად, სხვადასხვა ლოკალურ რიგებთან (მ. ქურდიანი). ბგერათშესატყვისობათა რანჟირებისას შესწავლილი და გამოვლენილ იქნა როგორც „არაიდენტური“, ასევე „იდენტური“ ბგერათშესატყვისობები და აიგო მათი სრული პარადიგმები (მ. ჩუხუა, მ. ქურდიანი). 1998 წელს ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორმა, ლინგვისტთა თბილისური სკოლის წარმომადგენელმა იან ბრაუნმა ქართველურ-ბასკური ენების ისტორიულ შედარებითი მეთოდით კვლევის ნახევარსაუკუნოვან შედეგებს თავი

მოუყარა მულტილინგუერ მონოგრაფიაში: შჩ დ -ჩ ჩ შჩ , ისტორიკულ ანდ ჩომპარატივე შტუდიეს ონ არტველიან ანდ ასქუე, ჭარსზაწა: “ I ”, 1998 : 149. ამ ნაშრომის გამოსვლამდე ბასკური ენა სისტემურად თუ უსისტემოდ დარღებოდა ზოგადად და ცალ-ცალკე ყველა იბერიულ-კავკასიურ ენას. იან ბრაუნის უდავო დამსახურებათა რიცხვს განეკუთვნება ბასკური ენის ადგილის განსაზღვრა იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ბასკურ-ქართველურ ჯგუფში. ამავე წელს მოხდა იბერიულ-კავკასიურ ენათა სამივე (ავხაზურ-ადიღურ, ბასკურ-ქართველურ და ნახურ-დაღესტნურ) ჯგუფს შორის გამოვლენილ არაიდენტურ ბგერათშესატყვისობათა სისტემატიზაცია და მათი ვერიფიცირებადი პარადიგმების აგება, ანუ დამტკიცდა ჩრდილო და სამხრეთ კავკასიურ ენათა კუთვნილება ერთი ენობრივი ოჯახისადმი. კომპარატივისტული მეთოდის მკაცრი დაცვით გაანალიზებული მასალა მხარს არ უჭერს იბერიულ-კავკასიურ ენათა ტრადიციულ დაყოფას ლინგვისტური ნიშნით სამხრეთკავკასიურ (ქართველურ) და ჩრდილოკავკასიურ (ავხაზურ-ადიღურ და ნახურ-დაღესტნურ) ენებად. გეოგრაფიულად ჩრდილოკავკასიური ენების ორი ჯგუფი არ ავლენს ერთმანეთთან მეტ ლინგვისტურ სიახლოვეს, ვიდრე თითოეული მათგანი სამხრეთ-კავკასიურ ჯგუფთან. შესაბამისად, საერთო-იბერიულ-კავკასიური ენის ქრონოლოგიურ დონეზე რაიმე ენობრივი რეალიის დაშვებისა და სემანტიკური რეკონსტრუქციისათვის საკმარისია მისი პოვნეერება კანონზომიერი და რეგულარული ბგერათშესატყვისობის სახით სამი ენობრივი ქვეჯგუფიდან ნებისმიერ ორში. არქტიპის (პრაფორმის) რეკონსტრუქციისათვის, ცხადია, სამივე ჯგუფის ჩვენებაა გადამწყვეტი.

იბერიულ-კავკასიური კომპარატივისტიკის თანამედროვე დონის განმსაზღვრელი თეორიული პოსტულატები, კვლევის მიღწევები და მონაპოვრები თუ პრობლემები ისევე, როგორც იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ჯგუფებს შორის დადგენილ კანონზომიერ და რეგულარულ ბგერათშესატყვისობათა ფორმულების საილუსტრაციო მასალა წარმოდგენილია ორ კაპიტალურ მონოგრაფიაში: მ. ჩუხუას „იბერიულ-ინქერიულ ენათა შედარებითი გრამატიკა“, 2008, თბილისი (სადაც იბერიულ-ინქერიული ნიშნავს ქართველურ-ნახურს) და მ. ქურდიანის „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საფუძვლები“, (2007). კანონზომიერი და რეგულარული ბგერათშესატყვისობების გამოვლენა ენათა ნათესაობის დადგენაში ერთ-ერთი და არა ერთადერთი ამოცანაა. კომპარატივისტიკის შემდგომი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ენობრივი ოჯახის ფუძემდის დიფერენციაციის დრო-სივრცული მოდელის წარმოდგენა, ფუძემდის აბსოლუტური ქრონოლოგიის დადგენა, შედარებითი ფონეტიკებისა და გრამატიკების, ეტიმოლოგიური ლექსიკონების შექმნა, ფუძემდის მეტყველი ეთნოსის წინარე-სამშობლოს ლოკალიზაცია და პროტოკულტურის რეკონსტრუქცია.

Ц. Барамидзе (Тбилиси)

Этногенез грузин и вопрос о родстве иберийско-кавказских языков
(Степень изученности и перспективы)

Резюме

В статье рассмотрен вопрос об этногенезе грузин, тесно связанный с вопросом о родстве иберийско-кавказских языков. Вопрос об этногенезе грузин, т.е. вопрос о том, к какой языковой семье относятся картвельские языки, имеет длительную и сложную историю. Единственным бесспорным критерием родства языков является существование между ними закономерных и регулярных звукосоответствий. Звукосоответствия устанавливаются путем исследования основного лексического фонда (а не грамматических маркеров) с использованием историко-сравнительного метода.

Результаты исследования, проведенного с использованием историко-сравнительного метода, верифицируемы. Именно этот факт обуславливает степень его достоверности. Верификация имеет три ступени: 1) верификация материалом; 2) верификация с требованием системы и 3) верификация посредством типологии. Только после проведения этих трех ступеней верификации можно достоверно узнать, насколько надежным является проведенное сравнение или реконструкция архетипа (исходная форма). Родство иберийско-кавказских языков подчиняется верификации со всей строгостью историко-сравнительного метода. Довольно богатый консонантизм иберийско-кавказских языков осложняет установление звукосоответствий. Окончательному утверждению родства иберийско-кавказских языков предшествовало несколько этапов, рассмотренных в данной статье.

Начиная с 80-ых гг. прошлого века и до наших дней сделаны значительные шаги в деле исследования иберийско-кавказских языков. В процессе анализа эмпирического материала были установлены фонетические законы и объяснены определенные фонетические явления, а также были уточнены формулы звукосоответствий внутри языковых групп, было сформулировано несколько оригинальных общелингвистических теорий и подходов, сыгравших важную роль в решении компаративистских проблем (М. Чухуа, Р. Абашиа, В. Шенгелиа, М. Курдиани, Н. Ардотели).

При установлении звукосоответствий необходимо выявление структуры корней и основ и модели основообразования (канонические комбинации корневых и аффиксальных морфем). Подобное исследование провели М. Курдиани и А. Арабули на материале иберийско-кавказских языков. Исследования выявили полную функциональную и, что самое главное, материальную идентичность древнейшей модели основообразования в южных и северокавказских языках. Было установлено, что если языки являются родственными, то есть принадлежат к одной и той же языковой семье, то между ними непременно должны иметься закономерные и регулярные звукосоответствия как на синхронном, так и на диахронном срезе,

независимо от того, сравниваем ли мы один конкретный язык со вторым живым или исторически засвидетельствованным языком, относящимся к той же подгруппе, группе, семье, или же с реконструированным архетипом какого-либо промежуточного языка-основы, и эти закономерные и регулярные звукосоответствия выявляются не изолированно с какой-либо отдельной фонемой или с каким-либо отдельным локальным рядом фонем, а системно, с различными локальными рядами (М. Курдиани).

При ранжировании звукосоответствий были выявлены и описаны как «неидентичные», так и «идентичные» звукосоответствия и их полные парадигмы (М. Чухуа, М. Курдиани).

В 1998 году профессор Варшавского университета, представитель тбилисской школы лингвистов Ян Браун в своей мультилингвальной монографии EUSCARO-CAUCASICA, Historical and Comparative Studies on Kartvelian and Basque, Warszawa: «DIALOG» (1998 : 149) обобщил результаты полувековых исследований баскско-картвельских языков с применением историко-сравнительного метода. До выхода в свет этого труда баскский язык системно или бессистемно сравнивался в общем и по отдельности со всеми иберийско-кавказскими языками. Бесспорной заслугой Я. Брауна является то, что он определил место баскского языка в баскско-картвельской группе иберийско-кавказской семьи языков. В том же году были систематизированы неидентичные звукосоответствия, выявленные между всеми тремя группами (абхазско-адыгской, баскско-картвельской и нахско-дагестанской) иберийско-кавказских языков, и построена их верифицируемая парадигма, то есть была доказана принадлежность северных и южных кавказских языков к одной языковой семье. Материал, проанализированный путем строгого соблюдения компаративистского метода, не подкрепляет традиционного деления иберийско-кавказских языков по лингвистическому признаку на южнокавказские (картвельские) и северокавказские (абхазско-адыгские и нахско-дегестанские) языки.

Географически две группы северокавказских языков не проявляют между собой большей лингвистической близости, чем каждый из них к языкам южно-кавказской группы. Соответственно, для допущения какой-либо языковой реалии и семантической реконструкции на уровне общеиберийско-кавказской языковой семьи достаточно ее выявление в виде закономерных и регулярных звукосоответствий в любых двух из трех языковых подгрупп. Для реконструкции архетипа (праформы), естественно, решающее значение имеют показания всех трех групп.

Теоретические постулаты, определяющие современный уровень иберийско-кавказской компаративистики, ее достижения и проблемы, а также формулы закономерных и регулярных звукосоответствий, установленных между языковыми группами иберийско-кавказской семьи языков, представлены в двух капитальных монографиях: М. Чухуа «Сравнительная грамматика иберийско-ичкерийских языков» (Тбилиси, 2008) (здесь под иберийско-ичкерийскими подразумеваются картвельско-нахские языки) и М. Курдиани «Основы иберийско-кавказского языкознания» (Тбилиси, 2007).

При установлении родства языков не единственной, а одной из задач является выявление закономерных и регулярных звукосоответствий. В дальнейшем важнейшей задачей компаративистики является представление модели пространственно-временной модели дифференциации языка-основы языковой семьи, установление абсолютной хронологии языка-основы, создание сравнительных фонетик и грамматик, этимологических словарей, локализация прародины этноса-носителя языка-основы и реконструкция протокультуры.

მ. ბეჟიტაშვილი (თბილისი)

დალღად მუოთთ - ინგუშური ერთობის ლინგვისტური კოდი

წინამდებარე სტატიაში გვსურს, ინგუშური ერთობის ლინგვისტურ განზომილებას მეტი თვალსაჩინოება მივანიჭოთ, რადგან ის არის ამ ეთნიკური ჯგუფის/ერის იდენტობისა და განგრძობადობის ერთ-ერთი საფუძველი, ამასთან, არქაიზმებითა და იდიომებით მდიდარი უძველესი ენა, რომელშიც დაღეჭილია ის უხვი ინფორმაცია ინგუშების შესახებ, რაც წერილობით ისტორიას უნდა მოეტანა დღემდე. მისი გრამატიკული სისტემის, ლექსიკის, ეტიმოლოგიების, პარალელიზმების შესწავლა ნათელს ჰფენს ძველი ისტორიის ბევრ ფაქტს, ამიტომაც, ენა წარმოადგენს ამ ხალხისთვის ეროვნულ ღირსებას, დაკარგული ისტორიის გასაღებს, სიწმინდის სიმბოლოს.

მიუხედავად იმისა, რომ ინგუშური ენა მრავალი გამოჩენილი ლინგვისტის კვლევის ობიექტად იქცა XIX საუკუნიდანვე (ენათა კონტაქტების თეორიის, ტიპოლოგიის, სოციოლინგვისტიკის და, განსაკუთრებით, ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების თვალსაზრისით), იგი სათანადოდ ჯერ კიდევ არაა გამოკვლეული.

„დალღად მუოთთ//Глаглай мотт“, როგორც ინგუშები საკუთარ ენას უწოდებენ, იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ნახური ჯგუფის წევრია (წოვა-თუშურ//ბაცბურ და ჩეჩნურ ენებთან ერთად). იბერიულ-კავკასიური ენების გარდა, გარკვეული კავშირები იძებნება ეტრუსკების, შუმერების, ხურიტების, ურარტუელების, ხალდების ენებთან.

ენობრივი მარკერის კვლევისას საგანგებო ყურადღებას ითხოვს საკითხი, თუ რა დონეზე ეთმობა ყურადღება აღნიშნული ენის შესწავლას, ვინაიდან რაც უფრო ფართოა ენის კვლევის ისტორიოგრაფია, მით უფრო „შენახულია“ იგი.

ინგუშური ენის შესწავლის ისტორიაში პირველი პერიოდი მოიცავს მხოლოდ შემთხვევითი ხასიათის ცნობებს, უცხოელ მოგზაურთა ლექსიკურ ჩანაწერებს, ცალკეულ ფრაზებს. პირველი ლექსიკოლოგიური აქტივობა აღნიშნული ენის ისტორიაში უკავშირდება ი. გიულდენშტედტის (1745–1781 წწ.) სახელს („სიტყვათკრებული კავკასიაში ხმარებულ ენათა შესადარებლად“). მანვე დაგვიტოვა ინგუშურ ენაზე გაბმული ტექსტების პირველი ჩანაწერებიც. ინგუშურის ლექსიკური მასალა, თარგმნილი გერმანულად და პირველად გამოქვეყნებული ბეჭდურად, დაერთვის ი. კლაპროტის (1783-1835 წწ.) შრომასაც „მოგზაურობა კავკასიასა და საქართველოში“, ასევე, პ. პალასის, ა. სტარჩევსკის და რ. ერკერტის ნაშრომებს. განსაკუთრებული ინტერესი ინგუშური ენის შესწავლისა გამოვლინდა XX საუკუნის პირველ მესამედში (ვასან-გირეი და მაგომედ ჯაბაგიევი, ზაურბეკ და დოშლოკო მალსაგოევი, ჟ. დიუმეზილი, ა. გენკო, ა. ტრომბეტი, მ.

ნემიროვსკი, გ. სერდიუჩენკო, ო. ეგოროვა და სხვ.). 60-იანი წლებიდან ჩრდილოკავკასიის ავტონომიურ რესპუბლიკებშიც ჩამოყალიბდა ენის, ლიტერატურისა და ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, რაც მიზნად ისახავდა ადგილობრივი კულტურული საჭიროების მოვლა-მომსახურებას: ახალ სამწერლო ენათათვის სასკოლო გრამატიკების შედგენას, მართლწერის დამუშავებას, ტერმინოლოგიურ ლექსიკონთა შექმნას და ა.შ. ჩეხეთ-ინგუშეთის ასსრ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ქ. გროზნოში განთავსდა (ამ დროისათვის ინგუშებს უკვე აღარ გააჩნდათ საკუთარი ავტონომიური რესპუბლიკა და მათი კულტურული ცენტრიც/დედაქალაქი გადატანილი იყო ვლადიკავკაზიდან [ზურო-დალა//Вуро-Гала ინგუშ. ენაზე] გროზნოში). დამუშავდა სასკოლო გრამატიკები და გამოიცა ლექსიკონებიც. უცხოეთშიც იხენდნენ ინტერესს ინგუშური ენის მიმართ (ალფ. სომეფელტი, გ. შმიდტი), მაგრამ კვლევა-ძიება მხოლოდ ნახური ჯგუფის ენათა ფარგლებში რჩებოდა (ჩიქობავა 2008). ბოლო ნახევარი საუკუნეა ინგუშური ენა აღარ არის ინტენსიური შესწავლის ობიექტი სამეცნიერო ცენტრებში. ამ პერიოდში, ძირითადად, იკვებება ინტერესი ინგუშში და ქართველი მეკვლევარებისა: ფ. ოზდოვეი, ა. ჩიქობავა, მ. ჩუხუა, რ. ფარეულიძე, მ. სულთიგოვა, ზ. ცუროვეა, კ. გაგიევი, მ. გაგიევა, ა. ქურქიევი, ა. ხაშაგულგოვი, ჰ. ბარახოვეა, ო. ჩაპანოვი, ს. პატიევი, ა. ტანქიევი, ა. თიმაევი, ი. ხაძიევი, ს. მერეშკოვი, მ. აუშევი, ე. აუშევა, ი. ოზდოვეი, რ. ოზდოვეა, ე. ოზდოვეა, ლ. გალაევა, ხ. ხაიროვა, ზ. ბარკინხოვეა, ზ. კიევა, ა. განდალოვეა, ბ. გაზდიევა და სხვ.

ინგუშური ენის შენახვისა და განვითარების, მისი მეურვეობის ხარისხის გარკვევა გვეხმარება, დავადგინოთ ჯგუფური სოლიდარობისა და შეჭიდულობის სიმძლავრე ინგუშეთში. ჩვენი კვლევა რომ არ დაემსგავსოს მშრალ თეორიულ სქემას და ისტორიული ნარატივის რეკონსტრუქცია შევძლოთ, აუცილებელია ემპირიული მასალის დეტალური, ისტორიოგრაფიულად რუტინული ანალიზი. ამისათვის საჭიროა კვლევა საკითხებისა: როდის დაიწყო ნაციონალური ენის ჩამოყალიბებისათვის ბრძოლის პროპაგანდა (ენის სტანდარტიზება და უნიფიცირება) ინგუშეთში და რამდენად ძლიერი და პრიორიტეტულია ის დღეს? ეს საკითხი გადაჯაჭვულია განათლების სისტემის, ბეჭდური მედიის და მასმედიის ელექტრონული საშუალებების ფუნქციურობა-წესრიგიანობის საქმესთან, როგორც არბიტრისა ენის განვითარებისა და შენახვისათვის. აქვე გავითვალისწინებთ იმ ხელისშემშლელ ფაქტორებს, რაც აბრკოლებს ერთობის მარკირებას და კონსოლიდირებას ენის მეშვეობით.

საკითხზე მსჯელობას დავიწყებთ თანამედროვე ვითარების ანალიზით. დღეს ინგუშეთში მშობლიურ ენას შეზღუდულად იყენებენ საკომუნიკაციოდ, მაგრამ იგი მაინც გვევლინება შიდაჯგუფური კონსოლიდაციის ფაქტორად, როგორც საერთო ფასეულობა ამ ერისათვის ანუ მას აქვს სიმბოლური ფუნქციაც და საკომუნიკაციოდ, მაგრამ არა აქვს მაღალი სოციალური სტატუსი.

მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკაში დღეს ინგუშური ერთ-ერთი სახელმწიფო ენაა, გამოიყენება განათლების, მედიის, ხელოვნების სფეროში, იგი მაინც შევიწროებული და დაუფასებელია (სახელმწიფო დონეზე უფრო, ვიდრე სოციუმის მხრიდან). სკოლებსა

და უნივერსიტეტებში ინგუშურ ენას ისე მეურვეობენ, როგორც მეორე ენას. თითქმის ყველა დისციპლინის შესწავლა წარმოებს რუსულ ენაზე. მართალია, ინგუშურ ენასა და ლიტერატურას სკოლებში ეთმობა რამდენიმე სასწავლო საათი, მაგრამ – როგორც სასწავლო პროგრამის არაწამყვან, არაინტენსიურ კურსს¹. გამომდინარე აქედან, არასავალდებულო, ნებაყოფლობითი თვითშესწავლით თუ მიიღწევა მშობლიურ ენაზე კარგი ცოდნის შექმნა. თითქმის ყველა ინგუში რუსეთში ორენოვანია, განსაკუთრებით, ვინც 1944-1957 წლებში დეპორტაციის დროს სწავლობდა და ვინც 70-80-იან წლებში მიიღო განათლება ქ. გროზნოსა და ქ. ვლადიკავკაზში [Николс 2007].

თუ რატომ შეუშალა ენის შენახვას ხელი მიგრაციამ/დეპორტაციამ, ამაში გასარკვევად მოვიხმობთ მცირე ისტორიულ ექსკურსს. როდესაც 1944 წელს ინგუშები და ჩეჩნები სამშობლოდან გაასახლეს, ხოლო 1957 წელს, შემდგომ რეაბილიტაციისა, აღადგინეს ჩეჩნეთ-ინგუშეთის ასსრ, ინგუშების ნახევარზე მეტი დარჩა დეპორტაციის ადგილებში (შუა აზიასა და ყაზახეთში). ამას გარდა, ინგუშები ცხოვრობდნენ საბჭოთა

¹ნათელსაყოფად იმისა, რომ მშობლიური ენის სათანადო დონეზე სწავლება განპირობებულია ოდენ სუბიექტური მიზეზებით (განათლების სისტემა არ არის მიმართული ეროვნული ფოკუსით), არადა ინტენსიური სწავლების საშუალება რეალურად არსებობს, შეეკრიბეთ ნუსხა სასკოლო სახელმძღვანელოებისა, რომელნიც სხვადასხვა დროს გამოცემულია ინგუშურ ენაზე:
ინგუშური ენის გრამატიკა, მე-5-6 კლ. /ს. ოზიევი, 1958; 1965/ ГІалгІай метта грамматика: юкьерча школен 5-чен, 6-чеи классашта. Хьалхара дакъа /С. И. Озиев 1958; 1965/;
ინგუშური ენის გრამატიკა, მე-7-8 კლ. სინტაქსი /ს. ოზიევი 1964/ ГІалгІай метта грамматика: 7-8 классашта: синтаксис. Ч. 2 /С. Озиев 1964/;
ინგუშური ენა: ლექსიკა, ფონეტიკა, მორფოლოგია. პედაგოგთა სახელმძღვანელო /ი. ოზდოევი 1970/ ГІалгІай мотт: хьехархой училищана йола пособи; Ч. 1. Лексикеи, фонетикеи, морфологиин /И. Оздоев 1970/;
ინგუშური ენის გრამატიკა: მე-4 კლასის სახელმძღვანელო /ლ. მალსაგოვა, 1971 / ГІалгІай метта учебник: 4 кл. /Л. Д. Мальсагова, 1971/;
ინგუშური ენის გრამატიკის მეთოდური სახელმძღვანელო, მე-5-6 კლ. /ა. ციციქიევა 1985. მე-2 გამოც. 2007/ 5-классе ГІалгІай метта грамматика хьехарадола методически кулга /А. Д. Хаматханова-Цицкиева 1985. 2-е изд. 2007/;
ინგუშური ენის გრამატიკა: სინტაქსი, მე-8-9 კლ. /ი. ოზდოევი 1990; 2011/ ГоалгІай метта грамматика. Синтаксис 8-9 кл. /И. А. Оздоев 1990; 2011/;
ინგუშური ენა: მე-3 კლასის სახელმძღვანელო /ა. განდალოევა 1995. მე-2 გამოც., 2009/ ГІалгІай мотт: 3-га класса /А. Гандалоева 1995; 2-е изд. 2009/;
ინგუშური ენის გრამატიკა: მე-5 კლ. /ლ. მალსაგოვა, ა. ციციქიევა, 1997/ Грамматика ингушского языка : 5 класс. / Л. Д. Мальсагова А. Д. Цицкиева 1997/;
ინგუშური ენის გრამატიკა: მე-3 კლასის სახელმძღვანელო /ლ. მალსაგოვა, მე-4 გამოც. 2010 / ГІалгІай метта грамматика. 5 кл. /Л. Д. Мальсагова, 4-е изд., 2010/;
ინგუშური ენის გრამატიკა: მე-5-6 კლ. ნაწ. I. ფონეტიკა-მორფოლოგია /ი. ოზდოევი 1972 / ГІалгІай метта грамматика: 5-6 классашта: фонетикеи, морфологиин. Ч. 1 /И. Оздоев 1972/;
ინგუშური ენის გრამატიკა, ნაწ. II. სინტაქსი /რ. ოზდოევი 1990; 2000 / Грамматика ингушского языка: Ч. 2. Синтаксис (на инг. яз.) /Р. И. Оздоев 1990; 2000/;
ინგუშური ენის სინტაქსი: სავარჯიშოების კრებული /ა. განდალოევა, 2008 / ГІалгІай метта синтаксиса упражненной гуллам /А. З. Гандалоева 2008/;
ინგუშური ენა. მე-4 კლ. /კ. გაგიევი, ნ. კოტიევი, რ. ოზდოევი, მე-3 გამოცემა, 2009/ ГІалгІай мотт. 4 кл. /К. А. Гагиев, Н. Д. Котиева, Р. И. Оздоев. 3-е изд., 2009/;
ინგუშური ენის გრამატიკა. მე-6-7 კლ. ნაწ. I. მორფოლოგია /ი. ოზდოევი, რ. ოზდოევი 2011/ - ГІалгІай метта грамматика 6-7 кл. ч. 1. Морфологи / И. А. Оздоев, Р. И. Оздоев. 8-е изд., 2011/.

კავშირის სხვა რესპუბლიკებშიც. მეტი სიცხადისათვის იხილეთ ოფიციალური მონაცემები ტაბულაზე. წყარო: <http://gerebilo.ucoz.ru/>

ინგუშები, მცხოვრები სსრკ-სა და რსფსრ-ში	1979		1989	
	რაოდენობა	პროცენტული მაჩვენებელი	რაოდენობა	პროცენტული მაჩვენებელი
რსფსრ	165997	89,2	215085	90,5
ჩეჩნეთ- ინგუშეთის ასსრ	134744	72,4	163762	68,9
უკრაინის სსრ	306	0,2	570	0,2
უზბეკეთის სსრ	258	0,1	474	0,2
ყაზახეთის სსრ	18337	9,8	19914	8,4
ყირგიზეთის სსრ	643	0,3	592	0,2
თურქმენეთის სსრ	285	0,2	281	0,1
სულ	186198	100	237577	100

თავისი ისტორიული სამშობლოს გარეთ მცხოვრები, როგორც სქემიდან ჩანს, ათასობით ეთნიკური ინგუში აღმოჩნდა ბილინგვიზმის და პოლილინგვიზმის პირობებში და იძულებული გახდა, დაესვა თავისი ღირებულებების გადაფასების საკითხი სხვა ეთნოკულტურაში. ეს შეეხებოდა, პირველ ყოვლისა, ენას. ამასთან ერთად, მათ ბილინგვიზმსა და წარმატებულ ასიმილაციას ხელი შეუწყო ქალაქებში თანდათანობით გადასახლებამ და ურბანიზაციამაც. პოლილინგვისტურ გარემოში ინგუშური ენის სოციალური ბაზა 1989 წლის მონაცემებით განისაზღვრა მხოლოდ 11%-ით, მაშინ, როდესაც რუსული ენის სოციალური ბაზა გამოხატული იყო 64%-ით (მათ შორის მშობლიური – 44,7%). ფაქტობრივად, რუსული ენის სოციალური ბაზა 100 %-ს მოიცავდა, რადგან მთელი მოსახლეობის ავტორიტეტული წარმომადგენლები ზეპირი თუ

წერილობითი კომუნიკაციისას იყენებდნენ რუსულს. ათეულ წელზე მეტხანს რუსული ენა ინარჩუნებდა დომინანტურ იდიომებს ეთნოლინგვისტურ სიტუაციაში. ერის ლინგვისტური კულტურის შენარჩუნება ხდებოდა საკუთრივ ინგუშეთის სოფლად და პატარა ქალაქებში, ახლოს იმ სოფლებიდან, სადაც ნარჩუნდებოდა მშობლიური ენის სოციალური და ეთნიკური ბაზა. 1989 წლისათვის, ინგუშების ნაციონალური იდენტობა/თვითცნობიერება იმდენად დიდიყო, რომ საგანგებოდ ეთნიკური ინგუშებისთვის, ვინც ვერ ფლობდა მშობლიურ ენას, შემუშავდა სპეციალური ენის შემსწავლელი კურსები და მომზადდა ტელე-რადიო პროგრამების სერია ინგუშურ ენაზე – „ვსწავლობთ დედაენას“ [Жеребило 2011].

კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორი ჯ. ნიკოლსი, ავტორი „ინგუშურ-ინგლისური და ინგლისურ-ინგუშური ლექსიკონისა“ (2004 წ.), თავის კვლევაში „ინგუშური ენა და ხალხი“ აღნიშნავს, რომ ინგუშური ენა დღეს დაბალ სოციალურ სტატუსს ატარებს. ახალგაზრდების აღქმით, ინგუშური არაპერსპექტიული ენაა. ამის მიზეზად მკვლევარი ასახელებს შემდეგ მიზეზებს: 1) 1992 წლის ეთნიკური წმენდის შედეგად მოხდა ახალგაზრდების მიგრაცია სამსახურის საძიებლად, „ტვინების გაღინება“ („утечка мозгов“) და ახალი თაობის დაბადება დიასპორაში; 2) ინგუშები დიდი ხნის განმავლობაში (თითქმის 20-იანი წლებიდან 1957 წლამდე) ვერ სარგებლობდნენ ქალაქის რესურსებით, სადაც მათი ენა ურბანულ გარემოში განვითარდებოდა. ჯ. ნიკოლსის აზრით, დღევანდელ პირობებში ინგუშური ენა გაქრობის საფრთხის წინაშე დგას და თუ მან განვითარება შეწყვიტა, ეს დანაკარგი იქნება არამარტო ინგუშებისათვის, ვისთვისაც ენა და კულტურა წარმოადგენს ეროვნულ საგანძურს და მიჯაჭვულია მათ ისტორიასთან და მიწასთან, არამედ კაცობრიობისთვისაც [Николс 2007]. არსებობს უფრო საიმედო პროგნოზებიც, მაგალითისთვის, კვლევა რუსული ენის მდგომარეობის შესახებ ინგუშეთის ეთნოლინგვისტური სიტუაციის დინამიკაში, სტატისტიკურ მონაცემთა გათვალისწინებით, გვეუბნება: „თუ უკანასკნელი 200 წლის მჭიდრო კონტაქტების პროცესში რუსებთან და მთელი მე-20 საუკუნის მანძილზე რუსული ენის ინტენსიური შესწავლის პირობებში ასიმილირებულ იქნა ინგუშების (ქალაქის მოსახლეობა) მხოლოდ და მხოლოდ 1,5%, არალოგიკურია, რომ რუსულს შეეძლოს ინგუშური ენის განდევნა ამ ხალხის ეთნოკულტურული სივრციდან“ [Жеребило 2011].

დამაფიქრებელი მდგომარეობაა ენის დაცვისა და შენახვის მხრივ ინგუშურ დიასპორებში. ენის დაცვა აქ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რათა არ გაიბნეს და დაიკარგოს ინგუშური იდენტობა და საკუთარი კულტურის შენახვა და გავრცელება სამშობლოს საზღვრების მიღმაც შესაძლებელი იყოს. მოგვაქვს მაგალითი ბელგიის დიასპორიდან: „გვეჭირდება ინგუშური ენის სახელმძღვანელოები ბელგიაში. ვაპირებთ სკოლის გახსნას ადგილობრივი ინგუშები ბავშვებისათვის. პრობლემა სახელმძღვანელოების უქონლობაა“. წყარო: <http://galgai.com/forum/forum.php>

შედარებით კარგი ვითარებაა ყაზახეთის რესპუბლიკაში¹, სადაც 1944 წლის „იძულებითი მობილობის“ (ევროკავშირის 2002 წლის კვალიფიკაციით კი „გენოციდის“) შედეგად ცხოვრობს ინგუშური დიასპორა. ყაზახეთის რესპუბლიკის კულტურის, ინფორმაციისა და საზოგადოებრივი თანხმობის სამინისტროს მხალაჭერით აქ წამოიწიეს მშობლიური ენის სწავლების და კულტურის შენახვა-აღორძინების სხვადასხვა პროგრამების განხორციელების. ინგუში მოსწავლეები გამორჩეულნი არიან საგანმანათლებლო სფეროში მიღწევებით [www.vainahkr.g.lact.ru].

მაგალითი კანადის ინგუშური დიასპორიდან: „რუსული ჩემი ძირითადი ენაა. სახლში, კანადაში, თავიდან რუსულად ვსაუბრობდით. დადგა პერიოდი, როცა ბავშვებს აღარ აკმაყოფილებდათ ყოფითი-საკომუნიკაციო ლექსიკა და ნელ-ნელა გადავიდნენ ინგლისურ ენაზე. ახლა უკვე მთლიანად ინგლისურად ვსაუბრობთ. იმ მშობლებისათვის, რომელნიც არ მუშაობენ და ბავშვებთან სახლში იმყოფებიან, ეს საკითხი ნაკლებპრობლემურია... ნებისმიერ შემთხვევაში, აუცილებელია არა მხოლოდ საზოგადოების სურვილი, არამედ რეალური სამთავრობო პროგრამები და სუბსიდიები“.

ინგუშური ენის თანამედროვე მდგომარეობასთან ერთად, ინტერნეტ-ფორუმების საშუალებით (წყარო: <http://galgai.com/forum/forum.php>) ჩვენ შევისწავლეთ საზოგადოების განწყობებიც, რადგან მათზე დაკვირვება ენის, როგორც იდენტობრივი მარკერის აღქმას, კარგად გვითვალსაჩინოებს. ენის დაუცველობის ფაქტი ნათლად გვესახება: „ინგუშურ ენაზე საუბარი დღეს თითქოს „არამოდურია“, თუმცა, შეგნება მისი მნიშვნელობისა – მაღალი: „ენა ინახავს ჩვენს ისტორიას. ენის დაკარგვა თვითმყოფადობის დაკარგვის ტოლფასია. ჩვენ არა მხოლოდ უნდა ვიცავდეთ და ვინახავდეთ ენას, არამედ საფუძვლიანადაც ვსწავლობდეთ მას. ინგუშური ენა - ჩვენი ისტორიის საცავია, დაკარგავთ მას - დაკარგავთ ისტორიასაც. ენის დაკარგვა კულტურასაც გააქრობს, შევინარჩუნებთ ენას - ვადარჩება ერთი“ ან: „ინგუშებს ჩვეულებად ექცათ სახლის გარემოშიც კი რუსულად საუბარი... აუცილებელია მშობლები ეროვნულ ენაზე საუბრობდნენ, ბავშვები კი სწავლობდნენ ამის კვლობაზე! სხვათაშორის, ჩენებს ეს პრობლემა არ აქვთ და სწორედ იმის გამო, რომ ურთიერთში უმეტესად მშობლიურ ენაზე ლაპარაკობენ. ჩვენ კი, ვეკლუცობთ არა მშობლიურის, არამედ რუსული ენის ცოდნით და მერე ძალიან უხერხულია, მისაღმებასაც რომ ვერ ვახერხებთ რივიანად...“ წყარო: <http://galgai.com/forum/archive/index.php/t-1092.html>

ინტერნეტ-ფორუმებში საკმაოდ ფართოდ წარმოდგენილი შეხედულებებიდან ეს უკანასკნელი ციტატა იმიტომ დავიმოწმეთ, რომ შედარებით პლანში წამოგვიდგენს ინგუშური ენის მეურვეობის პრობლემას. როგორც სხვა დაკვირვებებმაც აჩვენა, ჩენეთში მშობლიური ენის განვითარების მექანიზმები, მაგალითად, მთარგმნელობითი საქმიანობა, უფრო აქტუალურია და მეტი ყურადღება ეთმობა.

¹იხ. მონოგრაფია: Б. Газдиева, «Ингушский язык в Казахстане: функционирование в условиях диаспоры» (2012 г.)

ჩეჩნურ ენასთან შედარებით პერსპექტივაში წარმოდგენა გვაფიქრებინებს, რომ ინგუშეთში ენობრივი სტანდარტის და, საერთოდ, ლინგვისტური სიცოცხლისუნარიანობის სისუსტე თითქოს უფრო სუბიექტური ფაქტორებითაა განპირობებული. აღნიშნულის დასტურად მოგვაქვს კიდევ ერთი ციტატა ინტერნეტ-ფორუმიდან: „ჩვენთან, ინგუშეთში, მთავარი პრობლემა მშობლიური ენის არასაფუძვლიანი (ფაკულტატიური) სწავლება. მასწავლებლები ბევრს არ ითხოვენ მოსწავლეებისგან. სამწუხაროა, რომ ჩემს დროს ყარაბულაქში არავინ ზრუნავდა ინგუშურ ენაზე, საუბრის საშუალებასაც კი არ გვაძლევდნენ. მე მაინც ვსაუბრობ, მაგრამ კითხვა მიჭირს. დღეს ამის ხელმისაწვდომობა უკვე არსებობს და აუცილებელია მისი გამოყენება. ვერ ვიტან, როდესაც მიმართავენ ინგუშს ინგუშურად, ის კი რუსულად ვაპასუხობს! სანამ ჩვენი ერისა და ეროვნული ენის პატივები არ გავხდებით და სანამ არ ავითვალწუნებთ არამშობლიურ ენაზე მოლაპარაკე ხალხს – ასეთი მიმართება ჩვენს მშობლიურ ენასთან არ დასრულდება“¹. (ხაზგასმა ჩვენია. მ. ბ.). რეზულტატი რეპლიკა ინტერნეტ-რესურსების საშუალებით ჩვენი კვლევისა გამოიხატება ფრაზაში, რომელსაც თავად აცხადებენ ინგუშები: „ყველა აცნობიერებს, რომ საჭიროა საუბარი (წერა) ეროვნულ ენაზე, მაგრამ რატომღაც არავინ ამას არ აკეთებს...“

ამ ფონზე მნიშვნელოვანია ინგუშური ენის დაცვის მექანიზმებზე უფრო მახვილი თვალთ დაკვირვება. პირველი, რასაც ერთობის ენობრივად მარკირების თვალსაზრისით არბიტრის ფუნქცია აქვს, ესაა ბეჭდური სიტყვა. ინგუშეთში მშობლიურ ენაზე სასტამბო საქმიანობა დაიწყო 1923 წელს. სწორედ 1923 წლის 1 მაისს ინგუშეთის ავტონომიური ოლქის დედაქალაქ ვლადიკავკაზში (ბურო) გამოიცა გაზეთი “სერდალო”. იგი შემდგომშიც იბეჭდებოდა სხვადასხვა სახელწოდებითა და პერიოდულობით (1944-57 წლებში სრულიად შეწყდა მისი გამოცემა, ამ დროს არათუ ნაციონალური გაზეთი, არამედ საერთოდ ინგუშები გაქრნენ საბჭოთა ენციკლოპედიიდან და სასკოლო სახელმძღვანელოებიდან²) და უთუოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ეროვნული ენის პროპაგანდის საქმეში. ამჟამად გაზეთი მხოლოდ რუსულ ენაზე გამოიცემა.

¹შდრ: ასეთივე სიძულვილს, ემოციას იწვევდა XIX ს-ის ქართულ რეალობაშიც ენის აბუნად აგდების, ქართულად წერა-კითხვის უცოდინრობის ფაქტები. 1878 წლის „ივერიის“ 12 იანვრის ნომერში დაბეჭდილ წერილში „ფიქრები ახალწლის გამო“ ავტორი სოფრომ მგალობლიშვილი (ფსევდონიმით „ც. წაკოლა“) წერს: „დასტა-დასტა გახლავან ისეთი ახალგაზდები, რომ ქართული კითხვა არ იციან და მისი კითხვა სძაგთ, რომლებიც მონატრულნი არიან, რომ ქართული ენა არ იცოდნენ. შემხვედრია ისეთი ახალგაზდები, რომლებსაც შემოუკვებნიათ, რომ ქართული კითხვა რათ მინდა, რომ ვიცოდეთ, ძალათ გამომაწერინეს ქართული გაზეთით, ვჯიყინებ, ვჯიყინებ და ვერას ვიგებო. ისე ურცხვად ლაპარაკობენ ამ სიავაზაკეს, რომ ჟრუანტელი გამივლის ტანში, ეს სულით-გულით სრული მახინჯები, ეს არა კაცნი! რა კეთილს უნდა მოელოდეს ამათგან ადამიანი, ეს ავაზაკები პარპაშობენ, დამძრახავი კი არავინ ჰყავთ, ან ვის დასძრახავთ: ეს საქციელი ჩვენში „სწავლის ნიშანი“ გახლავსთ“ [ივერია 1878: გვ. 11-15].

²ეს სხვა, ცალკე თემაა და ამ სტატიის ფარგლებში ვერ დავეთმობთ ყურადღებას. აღნიშნულ საკითხს ეძღვნება ჩემს მიერ 2011 წელს გამოქვეყნებული სტატია (ქართულ ენაზე) ჟურნალში „ისტორიანი“ (№3), ასევე ისტორიულ-დოკუმენტური ფილმი “23 თებერვალს” ქართულ და რუსულ ენებზე: <https://www.youtube.com/watch?v=cVLZlHxkzM>; https://www.youtube.com/watch?v=pfz2y8_4RkC

არ შეიძლება არ აღინიშნოს რამოდენიმე საყურადღებო ფაქტის შესახებ თანამედროვე ინგუშეთის რესპუბლიკის ისტორიიდან:

1. 2003 წლის 10 სექტემბერს, ინგუშეთის რესპუბლიკის მეორე პრეზიდენტის მ. მ. ზიაზიკოვის ბრძანებულებით, დაწესდა ინგუშური ენის დღე. სკოლებსა და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში ამ დღესთან დაკავშირებით ჩატარდა კონკურსები საუკეთესო პოეტების, ნოველისტების, დრამატურგების გამოსავლენად (მაგ., კონკურსი „ოქროს კალამი“ – „Дошо кхамсололам“), გაიმართა მწვავე დებატები ინგუშური ენის საგრამატიკო საკითხებზე და ანბანის შესახებ და სპეციალური სოციოლოგიური გამოკითხვები ახალგაზრდებს შორის ინგუშური ენის სწავლებასთან დაკავშირებული სირთულეების განსასაზღვრად [Султыгов 2005];
2. ამავე პრეზიდენტის 2004 წლის 23 აპრილის №79 ბრძანებულების საფუძველზე დაფუძნდა სახელმწიფო საბიუჯეტო ორგანიზაცია “რესპუბლიკური ცენტრი – ინგუშური ენა”. ორგანიზაციის დებულება, საქმიანობის სფერო, მიზნები და სხვა ინფორმაცია იხ. აქ: <http://docs.pravo.ru/document/view/12690211/12404110/>
3. ასევე მ. მ. ზიაზიკოვის 2006 წლის 20 სექტემბრის №261 ბრძანებულების საფუძველზე დაწესდა “ინგუშური ენისა და ლიტერატურის ყოველწლიური „დეკადა“¹. ბრძანების დოკუმენტი, საორგანიზაციო კომიტეტის შესახებ ინფორმაცია და განსახორციელებელ ღონისძიებათა გეგმა-გრაფიკი იხ. აქ: <http://docs.pravo.ru/document/view/12705149/8225873/>
4. 2009 წლის ბოლოს ინგუშეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ენათმეცნიერების ინსტიტუტის და ქ. მოსკოვში ინგუშეთის ნაციონალურ-კულტურული ავტონომიის („ერთობა“) ორგანიზებით ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაც „Ингушский язык в XXI веке“, რაც, მიგვაჩნია, ენობრივი მარკერის განმტკიცების თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი ღონისძიებაა. თემატიკა განსაზღვრული იყო ინგუშური ენის სხვადასხვა მოდუსის კვალიფიკაციასთან დაკავშირებით: მისი კვლევა თანამედროვე ეტაპზე და კვლევის შედეგების გამოყენება ენის პრაქტიკული სწავლების დროს (ტრადიცია და ინოვაცია), თარგმანის საკითხები, ინგუშური ენის როლი ეროვნული კულტურის შენარჩუნებაში და სხვ. წყარო: <http://www.postpredstvo.ru/>

¹ გარდა იმ ღონისძიებებისა, რომელიც გაიმართა “ინგუშური ენის დღისა” და ზემოაღნიშნული “დეკადის” ფარგლებში (შემეცნებითი სემინარები, ღია გაკვეთილები, სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, “მრგვალი მაგიდა”, კონკურსები და გამოფენები), გამოიცა ინგუშური ენის ორთოგრაფიული ლექსიკონებიც: Палллай метта орфографически дошлорг (რ. ი. ოზდოევი 2003), Палллай метта орфографен дошлорг (ლ. უ. თარიევა 2009), ასევე ინგუშური ენის ომონიმთა ლექსიკონი – Палллай метта омонимай дошлорг (რ. ზიაზიკოვი, ლ. თარიევა 2007), პითაგორას ცხრილის დამხმარე სახელმძღვანელო ინგუშურ ენაზე (ლ. მ. თომოსხანოვა 2014), რომელიც, ერთი შეხედვით, არცთუ დიდი მნიშვნელობის ფაქტია, მაგრამ ნაციონალური ენის განვითარების საქმეში წინგადადგმული ნაბიჯია და გარკვეული სიმბოლური დატვირთვაც გააჩნია.

5. და ბოლოს, 2014 წლის 28 ნოემბერს ინგუშეთის რესპუბლიკის განათლების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტის ბაზაზე გაიმართა პედაგოგთა სხდომა, რომელიც მიეძღვნა ინგუშური ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოების მოდერნიზაციის საკითხს¹. წყარო: <http://ipkrori.ru/?p=4342>

აქვე აღვნიშნავთ საქართველოს დედაქალაქ თბილისში, ინგუშურ-ქართული საზოგადოება “პრომეთე“-სა და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მხარდაჭერით გამართული ღონისძიების შესახებ 2014 წლის 10 სექტემბერს – “ინგუშური ენის დღე საქართველოში – ПилгIай мегта ди ГуржегIа”².

მიუხედავად ზემოხაზოვნილი აქტივობებისა, სახელისუფლებო თუ პირადი ინიციატივების დონეზე მხარდაჭერილი რიგი ღონისძიებების გატარებისა, სოციოლინგვისტური სიტუაცია თანამედროვე ინგუშეთის რესპუბლიკაში მაინც არადაამაკმაყოფილებელია: მაინც არ არსებობს არცერთი ინგუშურენოვანი საშუალო ან დაწყებითი სკოლა (მითუმეტეს უმაღლესი სასწავლებელი), მაინც ვერ ამოქმედდა ეროვნული მედია-მაუწყებლობა ინგუშურ ენაზე (ამ მხრივ გამონაკლისია მხოლოდ რადიო “ანგუშტი”), მაინც არ წარმოებს აქტიური ბრძოლა რუსიზმების წინააღმდეგ³. ამ ვითარებას გააჩნია როგორც ობიექტური, ასევე სუბიექტური განმაპირობელი, რაც სოციო-პოლიტოლოგიური ანალიზის სფეროა და, ამ შემთხვევაში, სცდება ჩვენი სტატიის მიზანმიმართულებას.

ყველა ერის ისტორიაში არიან ნაციონალიზმის იდეით გამსჭვალული პიროვნებები. ინგუშური ენის დაცვისა და შენახვის ისტორიაც გამოკვეთს რამდენიმე მოღვაწის გამორჩეულ წვლილს.

შეუფასებლად მიიჩნევა ამ ხალხის ისტორიაში ზაურბეკ მალსაგოვის (1894-1935 წწ.) დამსახურება, რომელმაც დატოვა ფასდაუდებელი და მრავალმხრივი მემკვიდრეობა ენათმეცნიერებაში, დრამატურგიაში, სამწერლობო თუ კრიტიკის სფეროში. მისი ღვაწლი არ შეიძლება უბრალოდ ფილოლოგიური ძიების სიბრტყეში იქნეს განხილული. მის აქტივობებს ნამდვილად აქვს საერთოეროვნული, სახელმწიფოებრივი განზომილება. მის სახელს უკავშირდება ინგუშური სკოლების, საერთოდ, განათლების სისტემის ნაციონალიზაცია, მშობლიურ ენაზე სასწავლო სახელმძღვანელოების (ანბანი, საკითხავი

¹ ჩვენი ყურადღება მიიპყრო 2011 წლის 10 იანვრით დათარიღებულმა ინფორმაციამაც, რომლის მიხედვითაც პრეზიდენტ ი. ბ. ევკუროვის ინიციატივით დააჯილდოვეს საუკეთესო პედაგოგები და იმსჯელეს განათლების სისტემის მოდერნიზაციისა და ელიტარული საგანმანათლებლო დაწესებულებების შესახებაც [ინტერნეტ-პორტალი kavkaz.Web.net]

² ღონისძიების პროექტი შეგიძლიათ იხილოთ აქ: <http://ingusheti.ge/?m=10&them=10&news=326>; საინფორმაციო სტატია-გამოსხმაურება: http://radio-angusht.ru/index.php?option=com_content&view=article&id=1130:2014-09-13-18-27-28; <http://ingusheti.ge/?m=10&them=10&news=329>.

ღონისძიების სრული ვიდეოჩანაწერი: <https://www.youtube.com/watch?v=ySj6gs3PbkY>.

³ შდრ. ქართულ რეალობაში ყოველი ოჯახის დონეზე წარმოებდა ბრძოლა რუსიზმების წინააღმდეგ ენობრივი პურიზმისათვის XX ს-ის ბოლო მეოთხედში.

წიგნები, არითმეტიკული ამოცანები და ა.შ.) გამოცემა. ზ. მაღსაგოვი თავიდანვე აქტიურ მონაწილეობას იღებდა თავისი ერის კულტურის მშენებლობაში, 1920 წლიდან ხელმძღვანელობდა ინგუშეთის განათლების პროგრამას, 1923 წელს დააარსა და რედაქტორობდა პირველ ინგუშურენოვან პოლიტიკურ-კულტურულ ნაციონალურ გაზეთს „Сердало“, 1924 წელს სათავეში ედგა ინგუშეთის რეგიონალური განათლების დეპარტამენტს, 1930 წლიდან გარდაცვალებამდე დირექტორობდა ჯერ ინგუშეთის, ხოლო შემდგომ, ჩეჩნეთ-ინგუშეთის ისტორიის, ენისა და ლიტერატურის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს. მთელი ამ წლების განმავლობაში იგი მუდმივი თავმჯდომარე იყო ინგუშეთის ლიტერატურული საზოგადოებისა. ყველაზე მნიშვნელოვანი კი მისი „Ингушская грамматика“ იყო – პირველი კაპიტალური ნაშრომი ინგუშურ საგრამატიკო სფეროში და, შეიძლება ითქვას, პირველი მასშტაბური ლექსიკოლოგიური აქტივობაც. ის 1925 წელს ქ. ვლადიკავკაზში რუსულ, ხოლო მომდევნო წელს, ინგუშურ ენაზე (ლათინური ანბანით) დაიბეჭდა. გრამატიკას დართული აქვს ინგუშურ-რუსული ლექსიკონი (3500 სიტყვა) და ინგუშური თემების სახელწოდებანი [Яндиева-Албагачиева 1994]. ზ. მაღსაგოვი ითვლება, ასევე, ინგუშური დამწერლობის ერთ-ერთი პროექტის ავტორად. მან 1921 წელს შეიმუშავა ლათინიზირებული ანბანი, რომელიც შემდგომში იყო მიმართულია ჩეჩნური ენისთვისაც. მისი იდეები, კონცეფციები, წინადადებები დიდი მხარდაჭერით წარმოჩნდა ფართო საზოგადოებაში. ენობრივი სტანდარტის შექმნის პროცესი შემდეგაც ზ. მაღსაგოვის პროგრამით წარიმართა. ინგუშურენაზე მოლაპარაკე საზოგადოებისათვის პირველადი გრამატიკული სახელმძღვანელოს ფუნქციას მანამდე ასრულებდა ზ. მაღსაგოვის წიგნი, სახამ არ გამოიცა ნაშრომი „С.И.Озиев, И.А.Оздоев, А.С.Беков, Гоалгай метта грамматика (фонетикеи, морфологии), Шоржа-Гала, 1939“.

დედაენის, როგორც საერთო ფასეულობის, წონას კარგად აჩვენებს ცნობილი ინგუში მოღვაწის, მწერლისა და ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის ლიდერის იისა კოაზოს (ისა ქაძოვეი) მოღვაწეობაც. მან გაუსაძლისი პოლიტიკური ექსტრემიზმის პერიოდში გამოკვლევები და საჯარო ლექციებიც კი მიუძღვნა მშობლიურ ენას. ის ენის მეშვეობით შიდა ჯგუფური სოლიდარობის გაღვივებას ესწრაფვის. ენის დაცვა მის სამწერლობო/პროზაულ რეპერტუარშიც ძალიან მნიშვნელოვანია. თანამედროვე ინგუშური საზოგადოების განვითარებაში მისი ღვაწლის გათვალისწინებით მართებული ჩანს, „ერის მამაც“ კი ვუწოდოთ. მთელი მისი საქმიანობა წარმართულია ერის კონსოლიდაციისკენ, ამიტომაც, მშობლიური ენისადმი ყურადღებაც ლოგიკურია, ენა ხომ ყველა ნაციონალისტის თავყვანისცემის საგანს წარმოადგენს.

რათა მისი მოღვაწეობის ლინგვისტურ ნაციონალიზმს მეტი თვალსაჩინოება მივანიჭოთ და, ამასთან, შევიგრძნოთ ის საერთო საზოგადოებრივი იმპულსები, რაც ინგუშურ ერთობას აკავშირებს მშობლიურ ენასთან, ავიღოთ თუნდაც მისი ერთ-ერთი ნაწარმოები „სიცოცხლის ხე“ წიგნიდან „Над бедной“, რომელიც ავტორმა მიუძღვნა რუსი მოღვაწის ანა პოლიტოვსკაიას ხსოვნას და რის გამოც დეპუტატმა როგოზინმა მას

წაუყენა ბრალდება ეთნიკური სიძულვილის მოტივით). ეს ნაწარმოები საინტერესოა, უპირველეს ყოვლისა, ემოციით, რომლითაც არის დამუხტული:

„ – ... შენი დიდი და მშვენიერი წიგნი ვიყიდე. მგონი, „ინგუშები“ ჰქვია.

– „ინგუშები“ კი არა, – უსწორებს მწერალი – „ლალღა“.

– ჰო, კარგი, ჩვენებურად

„ლალღა“... აღმოჩნდა, რომ შენი წიგნი ინგუშურ ენაზეა დაწერილი. სახლში მიდევს, იმტვერება. მე ხომ ჩვენს ენაზე კითხვა არ ვიცი.

– რატომ?

– რაში მჭირდება?

– შენ რა, ინგუში არა ხარ?

– მერე რა, გინდა თქვა, რომ ინგუშები, რომლებმაც საკუთარ ენაზე კითხვა არ იციან, არანორმალური ადამიანები არიან?

– ყოველი შემთხვევისთვის, არასრულფასოვნები. ბადი, დაფიქრდი, მშვიდად დაფიქრდი: როგორ იცხოვრე სამოცდაათ წლამდე ისე, რომ ცამეტი ინგუშური ასო ვერ ისწავლე? ასეთი რამ მხოლოდ იმას შეუძლია...

– მოდი პატიოსნად და გულახდილად ვილაპარაკოთ, არაფერი მიეჩქმალთ. ვილაპარაკოთ? – მოდი.

– შენი აზრით,

კარლ მარქსი ჭკვიანი კაცი იყო თუ სულელი?

– რა თქმა უნდა, ჭკვიანი.

– მან თქვა: „მცირე ერების ენები შეასრულებენ რა ისტორიულ მისიას, მოკვდებიან“. ხომხედავ, ჩვენი მშობლიური ენა თანდათან კვდება. ის განწირულია. რატომ უნდა მოვეკიდოთ უპერსპექტივო საქმეს? ინგუშებმა თავად თქვეს „ვარგვოცა უნახუო სახილარგა მავაღვა!“ – „განწირული ავადმყოფი ნუ გაათენებს!“ ეს ცხოვრებაა და ვერაფერს გააწყო! თუნდაც ერთი დიდი ბიბლიოთეკა დაწერე ინგუშურ ენაზე.მკვდარ ენას მაინც ვერ უშველი.

– მაგრამ ის ჯერ კიდევ ცოცხალია!

– მაგრამ უკვე მძიმე ავადმყოფია. ის ხეს ჰგავს, რომელიც ხმება. ტოტები სათითაოდ ხმება. მალე ტანიც გახმება. შენ – თითქოს ჭკვიანმა ადამიანმა – დაწერე კარგი წიგნი ნახევრად მკვდარ ენაზე.თუ შენს წიგნს ოციოდე ადამიანი მაინც წაიკითხავს, კრგი იქნება.მაგრამ ეს წიგნი რომ რუსულად დაგეწერა, შენზე, როგორც დიდ მწერალზე, მედი მსოფლიო ილაპარაკებდა. გესმის – დიდი ინგუში მწერალი! დიდება, ფული, პრესტიჟი... ო-ო-ო! ახლა კი მშობლიურ სოფელშიც ბევრმა არ იცის, რომ დიადი წიგნი დაწერე. ჭკვიანი ხარ ახლა შენ?...შენს ენაზე მხოლოდ მოხუცები საუბრობენ დაკრძალვაზე და ზერათ-ბისახზე (წმინდა ღამეები). ინგუშებმა თითქმის მოიშორეს საკუთარი ენა, როგორც ძველი, გაცვეთილი ტანსაცმელი. შენ რა, სახლიდან აღარ გადიხარ, ხალხში, იქ, სადაც ახალგაზრდობაა? ეს, ჩემო ძვირფასო მწერალო, ცხოვრებაა! ჩემგან არ გესწავლება.

... მწერალი გულისგულში ეთანხმება, – ახალგაზრდობა ნაკლებად საუბრობს მშობლიურ ენაზე, განსაკუთრებით ქალები. ჩვენი წინაპრები ასე ამბობდნენ: „სიმართლის მახვილისგან დასაცავი ფარი არ არსებობს“... [ი. კოაზოი 2009].

Noteworthy is the opinion of the researchers on the nature of phonetic processes in the formation of the first group of tense forms from the base of the infinitive of imperative mood verbs.

Professor Y. D. Desheriev notes that in the formation of the present tense from the imperative mood verbs the direct labial vowel harmony is consistently performed, i.e. by likening labialization affixed vowels to root vowels: The simple present **molūtu**, The simple past **molūtura** (Y. D. Desheriev 1960 : 111, 1963: 258).

A. G. Magomedov in his work devoted to Chechen language phonetics writes: «In the present tense of the imperative mood verbs formed by means of the auxiliary verb **ditaⁿ u** — the vowel outcome of present tense form of the notional verb, **ū** — the vowel of base form of the present tense of the auxiliary verb merge and give long **ū̄ (u+ū→ū̄)** in the result of the class exponent of the auxiliary verb loss»: **tasaⁿ** «to throw» **tosūta**←**tosu+ūtu**←**tosu-d-ūtu** [Magomedov 2005 : 82].

In this case, it should be noted that it is not the result of vowel merging (**u+ū**), but the result of other phonetic processes. As it is seen from linguistic material it is the regressively distant assimilation, i.e. the second syllable vowel of derivative verb formed by means of the auxiliary verb **d-itaⁿ** «to leave», «to let» long **ī (malītaⁿ, tasītaⁿ, magītaⁿ, lastītaⁿ, dīcītaⁿ)** assimilates under the influence of the present tense affix **u** and becomes long **ū̄**. Further under the influence of labial **ū̄** the first syllable vowels become labialized vowels following the general rule (**a→o, â→oa, ā→ō, i→ü, ī→ū̄, ie→uö, īē→uöö, aj→oj**), if there are the diphthongs **uo uō** in the first syllable they become **u, ū** under the influence of the labialized **ū̄** of the next syllable, i.e. the contraction of diphthongs occurs (**uo→u, uō→ū**):

Inf. **taqītaⁿ**←**taqa-d-itaⁿ** «to let crawl»

dāxītaⁿ←**dāxa-d-itaⁿ** «to let live»

Simple Present **toqūta←taqūta←taqīt-u**

Simple Past **toqūtara←taqūtara←taqīt-u-ra**

Present participle **toqūtaⁿ←taqūtaⁿ←taqīt-uⁿ**

Adverbial participle of S. Present **toqūtaš←taqūtaš←taqīt-u-š**

dōxūta←dāxūta←dāxīt-u

dōxūtara←dāxūtara←dāxīt-u-ra

dōxūtaⁿ←dācūtaⁿ←dāxīt-uⁿ

dōxūtaš←dāxūtaš←dāxīt-u-š

Inf. **lāllītaⁿ←lālla-d-itaⁿ** «to let drive»

Simple Present **loallūta←lāllūta←lāllīt-y**

Simple Past **loallūtara←lāllūtara←lāllīt-u-ra**

Present participle **loallūtaⁿ←lāllūtaⁿ←lāllīt-uⁿ**

Adverbial participle of S. Present **loallūtaš←lāllūtaš←lāllīt-u-š**

dilītaⁿ←dila-d-itaⁿ «to let wash»

dülūta←dilūta←dilīt-y

dülūtara←dilūtara←dilīt-u-ra

dülūtaⁿ←dilūtaⁿ←dilīt-uⁿ

dülūtaš←dilūtaš←dilīt-u-š

Inf. **dīcītaⁿ←dīca-d-itaⁿ** «to let tell»

Simple Present **dūcūta←dīcūta←dīcīt-u**

duöttūta←diettūta←diettīt-u

Simple Past **dūcūtara←dīcūtara←dīcīt-u-ra**

ra

Present participle **dūcūtaⁿ←dīcūtaⁿ←dīcīt-uⁿ**

Adverbial participle of S. Present **dūcūtaš←dīcūtaš←dīcīt-u-š**

diettītaⁿ←dietta-d-itaⁿ «to let beat»

duöttūtara←diettūtara←diettīt-u-

duöttūtaⁿ←diettūtaⁿ←diettīt-uⁿ

duöttūtaš←diettūtaš←diettīt-u-š

Inf. **dīēšītaⁿ←dīēša-d-itaⁿ** «to let read»

Simple Present **duöōšūta←dīēšūta←dīēšīt-u**

Simple Past **duöōšūtara←dīēšūtyra←dīēšīt-u-ra**

qojqūtara←qajqūtara←qajqīt-u-ra

Present participle **duöōšūtaⁿ←dīēšūtaⁿ←dīēšīt-uⁿ**

qojqūtaⁿ←qajqūtaⁿ←qajqīt-uⁿ

Adverbial participle of S. Present

duöōšūtaš←dīēšūtaš←dīēšīt-u-š

qojqūtaš←qajqūtaš←qajqīt-u-š

Inf. **duottītaⁿ←duotta-d-itaⁿ** «to let pour»

let beat»

Simple Present **duttūta←duottūta←duottīt-u**

Simple Past **duttūtara←duottūtara←duottīt-u-ra**

tūxūrara←tuōxūtara←tuōxīt-u-ra

Present participle **duttūtaⁿ←duottūtaⁿ←duottīt-uⁿ**

tūxūtaⁿ←tuōxūtaⁿ←tuōxīt-uⁿ

Adverbial participle of S. Present

duttūtaš←duottūtaš←duottīt-u-š

tuōxītaⁿ←tuōxa-d-itaⁿ «to

tūxūta←tuōxūta←tuōxīt-u

tūxūtaš←tuōxūtaš←tuōxīt-u-š

If we accept A. G. Magomedov's opinion about the nature of phonetic processes in the formation of the marked forms, it is difficult to explain the cause of the processes occurring in the basis of the notional verb, when The simple present tense forms by means of affix-**e**:

derived verbs

Inf. **lasta**ⁿ «to sway»

Simple Present **lesta**←**last-e**

Inf. **dāža**ⁿ «to pasture»

Simple Present **dēza**←**dāz-e**

Inf. **qiexka**ⁿ «to boil»

Simple Present **qiexka**←**qiexk-e**

quöxkūta←**qiexkūta**←**qiexkīt-u**

Inf. **hīza**ⁿ «to revolve»

Simple Present **hīza**←**hīz-e**

Inf. **hīēga**ⁿ «to envy»

Simple Present **hīēga**←**hīēg-e**

non- derivative verbs

lastītaⁿ «to let sway»

lostūta←**lastūta**←**lastīt-u**

dāžītaⁿ «to let pasture»

dōžūta←**dāžūta**←**dāžīt-u**

qiexkītaⁿ «to let to boil»

hīzītaⁿ «to let revolve»

hūzūta←**hīzūta**←**hīzīt-u**

hīēgītaⁿ «to let envy»

hūöögūta←**hīēgūta**←**hīēgīt-u**

In addition, along with the above facts confirming this conclusion are phonetic processes that we can observe in the formation of the first tense group from the derived verbs formed with the help of **d-ita**ⁿ "to leave", "to let" from the verbs that identify different bases in conjugation:

Inf. **daxīta**ⁿ←**daxa-d-ita**ⁿ «to let go»

Simple Present **doxūta**←**daxūta**←**daxīt-u**

Simple Past **doxūtara**←**daxūtara**←**daxīt-u-ra**

Present participle **doxūta**ⁿ←**daxūta**ⁿ←**daxīt-u**ⁿ

Adverbial participle of S. Present

doxūtaš←**daxūtaš**←**daxīt-u-š**

Comp.:

Inf. **daxa**ⁿ «to go»

Simple Present **duödu** **hjo**

We cannot say **duödūta**←**duödu+ūta**←**duödu**←**d-ūtu**, **hjoūta**←**hjo+d-ūtu**

Thus, the analysis of factual material let us make a conclusion that in formation of the first group of tense from derived verbs formed by means of **d-ita**ⁿ «to leave», «to let» we can observe regressive-distant assimilation (labialization) наблюдается регрессивно-дистанционная ассимиляция (лабиализация), the result of which is secondary vowels **a**→**o**, **â**→**oa**, **ā**→**ō**, **i**→**ü**, **ī**→**ū**, **ie**→**uö**, **īē**→**uöö**, **aj**→**oj**, **iej**→**uöj**.

Phonetic processes of vowels and consonants in the structure of the verbal stems in the Chechen and the Ingush languages in the formation of temporary forms will be discussed more fully in our future works.

References

- Desheriev 1960** : Desheriev I. Y., Modern Chechen literal language. Part I. Phonetics. Grozny.
- Desheriev 1963** : Desheriev I. Y., Comparative and historical grammar of Nakh languages and the origin and historical development of the mountain peoples of the Caucasus. Grozny.
- Imnaishvili 1977** : Imnaishvili D. S., Historical and comparative analysis of the phonetics of the Nakh languages. Tbilisi.
- Magomedov 2005** : Magomedov A. G., Essays of The Chechen language phonetics. Makhachkala.
- Timaev 2011** : Timaev A. D., Chechen language. Phonetics. Grozny.
- Timaev 2007** : Timaev V. D., The present-day Chechen language. Grozny.

ს.-ს. ს.-ე. ირეზიევი (გროზნო)

ფონეტიკური პროცესები დ-ითა^ნ “დატოვება, ნების დართვა” ზმნის შემცველ კომპოზიტაგან I სერის დროთა წარმოებისას ჩეჩნურ და ინგუშურ ენებში

რეზიუმე

ცნობილია, რომ ნახურ ენებში შედგენილ ზმნათა (კომპოზიტთა) დიდი ნაწილი იწარმოება მარტივ ზმნურ ფუძეზე დ-ითა^ნ “დატოვება, ნების დართვა” ზმნის დართვით. შედგენილი ზმნის მეორე კომპონენტად გამოყენებისას დ-ითა^ნ ზმნა კარგავს გრამატიკული კლასის ნიშანს, რის შედეგადაც მარტივი ზმნის მეორე მარცვლის ა ხმოვანი ერწყმის -ითა^ნ (< დ-ითა^ნ) ზმნის I ხმოვანს: ა+ი > ად > იდ > ო. შდრ.:

ინფ.: მაღა^ნ “დაღევა”

შედგენილი ინფ.: მაღოთა^ნ < მაღადთა^ნ < მაღაითა^ნ < *მაღა-დ-ითა^ნ “დაღევის ნების დართვა”...

ჩეჩნური ენის ზოგ დიალექტში შენახულია უფრო არქაული ფორმები.

სტატიაში განხილულია ფონეტიკური პროცესები, რომლებიც თავს იჩენენ საკვლევი სტრუქტურის ზმნათაგან აწმყოს ჯგუფის (I სერის) დროთა ფორმების წარმოებისას ჩეჩნურსა და ინგუშურში.

ა. კვახაძე (თბილისი)

მაკროკომპარატივისტიკა და იბერიულ-კავკასიური ენები

მაკროკომპარატივისტიკა ეწოდება ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების იმ დარგს, რომელიც შეისწავლის ენათა ოჯახებს შორის შესაძლო გენეტიკური ურთიერთმიმართების საკითხს. მიუხედავად იმისა, რომ დარგი ჯერჯერობით ჰიპოთეტურია, იგი სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება მსოფლიოს ლინგვისტურ წრეებში.

მას შემდეგ, რაც ისტორიულ-შედარებითმა ენათმეცნიერებამ ჩამოაყალიბა ენათა ნათესაობის დადგენის კრიტერიუმები, ენათა ჯგუფების, ქვეჯგუფებისა და ოჯახების მიხედვით ტაქსონომიური დაყოფა და ენობრივი ერთეულების ურთიერთნათესაობის სიღრმის დადგენა, კომპარატივისტულ წრეებში დადგა საკითხი იმ დროისათვის ცნობილ ენობრივ ოჯახებს შორის უფრო ღრმა გენეტიკური ურთიერთმიმართებისა.

ენობრივ ოჯახებს შორის ნათესაობას კონცეპტუალური სახე პირველად საბჭოთა ენათმეცნიერმა ვ. ილიჩ-სვიტიჩმა მისცა. მან, 1971-76-84 წლებში გამოცემულ სამტომეულ ლექსიკონში წარმოადგინა მის მიერ შეპირისპირებული ინდოევროპული, სემიტურ-ქამიტური (რესპ. აფრაზიული), ქართველური, ურალური, დრავიდული და ალთაური ლექსიკური შეხვედრები. მონოგრაფიის ძირითადი ნაწილი შესრულებულია ეტიმოლოგიური ლექსიკონის ფორმატში. ნაშრომის პირველ ტომში მოყვანილია აღნიშნულ ენობრივ ერთობებს შორის ავტორის მიერ გამოვლენილი ბევრათშესატყვისობების სისტემა, რომელსაც, ავტორის აზრით რეგულარული და კანონზომიერი ხასიათი გააჩნია. ვ. ილიჩ-სვიტიჩმა ზემოთხსენებულ ენათა ერთობას ნოსტრატული უწოდა. ილიჩ-სვიტიჩის შემდეგ ნოსტრატული ჰიპოთეზის გავრცობა განაგრძეს: ვ. ბლაჟეკმა, ა. დოლგოპოლსკიმ, ა. ბომჰარდმა, ლ. კემპბელმა და ჯ. გრინბერგმა. აქედან აღსანიშნავია 2008 წელს გამოცემული ა. დოლგოპოლსკისა და ა. ბომჰარდის (2008) ნოსტრატული ლექსიკონები, რომლებიც, ილიჩ-სვიტიჩის მონოგრაფიასთან შედარებით, ბევრად უფრო ვრცელი ჩანს.

ნოსტრატული ჰიპოთეზის შემდეგ, დღის წესრიგში დადგა კლასიფიკაციისა და ერთ ან რამდენიმე მაკროოჯახში გაერთიანების საკითხი იმ ენობრივი ოჯახებისა, რომლებიც ევრაზიის მაკროკონტინენტზე არსებულ ნოსტრატულ ენებში არ შედის.

პირველად ჩრდილოკავკასიურ და სინურ-ტიბეტურ ენათა შორის შესაძლო ნათესაობა ივარაუდა ა. ტრომბეტიმ, ხოლო ა. დულზონი კავკასიურსა და ენისეის ენებს შორის მსგავსებას ვარაუდობდა (Дульзон 1968). თუმცა, ვერაზის არანოსტრაციულ ენათა შეპირისპირებაში პირველობას ს. სტაროსტინი ფიქრობდა. მის მიერ ხელახლა იქნა წარმოდგენილი სინურ-კავკასიური ჰიპოთეზა, რომელიც მოიაზრებდა ჩრდილოკავკასიურ, ენისეის და სინურ-ტიბეტური ენების ერთ სინურ-კავკასიურ მაკროოჯახში გაერთიანებას. შემდგომ ამ სიას სხვადასხვა მკვლევრების მიერ (მ. რულენი, ჯ. ბენგტსონი) დაემატა ბასკური, ბურუშასკი და ჩრდილო ამერიკაში გავრცელებული ნა-დენე ენები.

მაკროკომპარატივისტიკაში გამოიყენება ისეთივე მეთოდოლოგია, რაც აპრობირებულია უშუალოდ მონათესავე ენობრივი ერთეულების, ქვეჯგუფებისა და ჯგუფების შედარებისას. ს. სტაროსტინის მიხედვით, ღრმა შეპირისპირებისას (ინგ-ონგ-რანგე ცომპარისონ) მთავარი პირობა არის ურთიერთშეპირისპირება, რეკონსტრუქცია, სტატისტიკა (გლოტოქრონოლოგია) და კომპიუტერული მეთოდოლოგია. ურთიერთშეპირისპირებისას აუცილებელია კვლევის ობიექტი ენობრივი ოჯახის ძირთა წინარე-ფორმის აღდგენა და შემდგომ ეტაპზე მისი შედარება სხვა ენობრივი ოჯახის პრაფორმასთან. თავისთავად, აღნიშნული მეთოდოლოგია თითქმის ანალოგიურია სოსიურის მეთოდოლოგიისა, რომელიც მიღებულია ისტორიულ-შედარებით ენათმეცნიერებაში. გლოტოქრონოლოგია, იგივე ლექსიკოსტატიკა, მოიაზრებს ორ ენასა ან ენობრივ ერთობას შორის სიახლოვის დადგენას, რაც განისაზღვრება მათ შორის საბაზისო ლექსიკის თანხვედრათა ხვედრითი წილის სიდიდით. ლექსიკოსტატიკური კვლევისას გამოიყენება მ. სვოდეშისა და ს. იახონტოვის სიები. უფრო ვრცლად ამ მეთოდოლოგიის შესახებ მსჯელობდა ს. სტაროსტინი, სადაც, მისი აზრით, ლექსიკოსტატიკური მონაცემებით შესაძლებელია, არათუ ენათა სიახლოვის ხარისხის, არამედ წინარე-ენის დივერგენციის პერიოდის დადგენაც კი. ამისთვის ს. სტაროსტინმა შეიმუშავა საგანგებო მათემატიკური ფორმულა, რომლითაც, მისი აზრით, ხდება ენათა ცვლილებისა და დივერგენციის შედარებით ზუსტი სიჩქარის დადგენა და ხარვეზის აღბათობაც მინიმალური უნდა იყოს. რაც შეეხება კომპიუტერულ მეთოდოლოგიას, იგი ითვალისწინებს ელექტრონულ ბაზაში ენობრივი მონაცემების განთავსებას.

ზემოთ აღნიშნულის გარდა, მაკროკომპარატივისტიკაში გამოიყენება მ. რულენის მიერ აპრობირებული მასიური შედარების (მასს ცომპარისონ) მეთოდი. მეთოდი ითვალისწინებს განუსაზღვრელი რაოდენობის ენების ლექსიკის ფონეტიკური და სემანტიკური მსგავსების ბაზაზე მათი სიახლოვის ხარისხის დადგენასა და კლასიფიკაციას. აღნიშნული მეთოდის ზედაპირული ხასიათი შეუიარაღებელი თვალთვალს თვალშისაცემია და იგი სამართლიანად აქვს გაკრიტიკებული ჰ. ჰოკს (Hock 1986).

თავისთავად, გლოტოქრონოლოგიის მეთოდი არ არის სრულყოფილი. გლოტოქრონოლოგიის თეთრ ლაქებზე ვრცელი გამოკვლევა აქვს ს. ბელიკოვს, სადაც იგი კრეოლურ და ფიჯინ ენებზე ამახვილებს ყურადღებას (Беликов 2003). მას პაპუა-ახალ გვინეაში გავრცელებულ თოქ-ფისინისა და სურინამში სარამაკა ფიჯინ ენების მაგალითი მოჰყავს. ორივე ენა ინგლისურის ბაზაზეა წარმოქმნილი, თუმცა, ინგლისურთან შედარებით, მათ დიდი სხვაობა განიცადეს და ლექსიკოსტატიკური

მონაცემები გაცილებით ადრინდელ პერიოდს გვიჩვენებს, ვიდრე ეს ენები წარმოიქმნა. ჩვენ ზედმიწევნით ვიცით იმ ენათა წარმოქმნის შესახებ, რომელთაც კრეოლურს ვუწოდებთ. მაგრამ, არ არსებობს გარანტია იმისა, რომ მსგავს პროცესებს არ ჰქონია ადგილი ათასი ან 5 ათასი წლის წინ, სადაც ჩვენ არ გაგვაჩნია არავითარი ლინგვისტური თუ ექსტრალინგვისტური მტკიცებულება“ (Беликов 2003, 15).

რაც შეეხება უშუალოდ იბერიულ-კავკასიურ ენებს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თანამედროვე მაკროკომპარატივისტიკაში დამკვიდრებულია თვალსაზრისი, რომ ქართველური ენები მიეკუთვნებიან ნოსტრატულ, ხოლო აფხაზურ-ადიღური, დაღესტნური და ნახური კი - დენე-კავკასიურს. შესაბამისად, ქართველურ და დანარჩენ იბერიულ-კავკასიურ ენებს შორის ნათესაობა არა თუ ერთი ოჯახის, არამედ ერთი მაკროოჯახის დონეზეც კი გამოირიცხება.

იბერიულ-კავკასიურ ენათა სხვადასხვა მაკროოჯახებთან დაკავშირებას ცდილობდნენ: ქართველურის - ვ. ილიჩ-სვიტიჩი, ა. ბომჰარდი, ვ. ბლაჟეკი და ა. დოლგოპოლსკი, ხოლო აფხაზურ-ადიღურის, ნახურის და დაღესტნურის - ს. სტაროსტინი და ს. ნიკოლაევი. სხვა დანარჩენი მაკროკომპარატივისტები, ზემოთხსენებულ მკვლევართა ნაშრომებზე დაყრდნობით ახდენდნენ იბერიულ-კავკასიურ ენათა კლასიფიკაციას. ვ. ილიჩ-სვიტიჩის ნაშრომის – «Опыт сравнения ностратических языков, Москва 1971-76-84» – პირველ ნაწილში მოხმობილია ნოსტრატულ ენათა მაკროოჯახში შემავალ ოჯახთაშორისი ბგერათშესატყვისობების რიგი, რის შემდეგაც სალექსიკონო ნაწილში გამოქვეყნებულია 463 ნოსტრატული შეპირისპირება. უფრო გავრცობილი სახე აქვს ა. დოლგოპოლსკის მონოგრაფიას Nostratic Dictionary³, სადაც დაფიქსირებულია 2805 ნოსტრატული შეპირისპირება. ა. ბომჰარდს უახლეს მონოგრაფიაში სახელწოდებით Comprehensive Introduction to Nostratic Linguistics; Charleston 2014, წარმოდგენილია 963 ეტიმოლოგიური სიტყვა-სტატია. რაც შეეხება ვ. ბლაჟეკს, მან თავის პუბლიკაციაში Kartvelian Materials in Nostratic lexicon. New etymologies. Nostratic, Sino-Caucasian, Austric and Amerind 112-128; Bochum 1992, მოიხმო ახალ ქართველურ-ნოსტრატული ლექსიკური პარალელები.

რაც შეეხება ჩრდილო კავკასიის ენებს (მაკროკომპარატივისტიკაში მიღებულია ცალკე ჩრდილო კავკასიური ენათა ოჯახი), ს. სტაროსტინმა გამოუქვეყნებელ ნაშრომში შინო-ჩაუცასიან [ნომპარატივე ლოსსარყ] (2004-05) წარმოადგინა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, რომელიც შეიცავს 954 შეპირისპირებას ჩრდილოკავკასიურ, ენისეის და სინურ-ტიბეტურ ენებს შორის. აგრეთვე სტაროსტინის გამოუქვეყნებელ ნაშრომში შინო-ჩაუცასიან [Comparative Phonology] (2004-05) მოყვანილია სინურ-კავკასიურ მაკროოჯახში შემავალი ტაქსონომიური ერთეულების ბგერათშესატყვისობები. სტაროსტინის ნაშრომზე დაყრდნობით ამერიკელმა კომპარატივისტმა ჯ. ბენგსტონმა სინურ-კავკასიურ მასალას ნა-დენეს მასალა შეაპირისპირა Materials for a Comparative Grammar of the Dene-Caucasian (Sino-Caucasian) Languages, Аспекты компаративистики 3. М., изд. РГГУ, 2008, 45-118.

მაკროკომპარატივისტიკისა და ამ დისციპლინის მიერ იბერიულ-კავკასიური ენების კლასიფიკაციის კრიტიკული ანალიზისთვის აუცილებლად გასათვალისწინებელია ის ფაქტორი, რომ მაკროკომპარატივისტიკის დებულებათა

დიდი ნაწილი ჰიპოტეტური ხასიათისაა და არ ექვემდებარება ვერიფიკაციას. მიუხედავად ენობრივ ოჯახთაშორის ლექსიკური შეხვედრებისა, დღეისათვის არსებული ოჯახების კიდევ უფრო მსხვილ ტაქსონომიურ ერთეულებში გაერთიანება და, მითუმეტეს, ამის დამტკიცებულ ფაქტად გამოცხადება, ნაადრევია. მეტიც, მონოგენეზის თეორია დღეისათვის არის არა ცოდნის, არამედ რწმენის საგანი. „იყო ფინურ-უგრულ და ინდოევროპულ, ინდოევროპულ და სემიტურ ენათა ოჯახებს შორის მსგავსებათა აღმოჩენის მცდელობი, თუმცა მსგავსი შეპირისპირებები თავშივე გადაულახავ ზღუდეებს აწყდება. ენათა საყოველთაო ურთიერთნათესაობა ნაკლებსავარაუდოა, მაგრამ თუნდაც ის რეალური იყოს, როგორც ამას ფიქრობს იტალიელი ლინგვისტი ტრომბეტი, ენებში მომხდარი უამრავი ცვლილების გათვალისწინებით, მისი დამტკიცება შეუძლებელია“ (Сосиор 1977, 227).

იმისათვის, რომ მოხდეს ორი ან მეტი ენობრივი ოჯახის შეპირისპირება და მათ შორის გენეტიკური ურთიერთმიმართების დადგენა, აუცილებელია, თითოეულ ენობრივ ოჯახში შემავალ ენათა ფონოლოგიური, გრამატიკული და ლექსიკული ინვენტარის ზედმიწევნითი სინქრონიული აღწერა და უშუალოდ ოჯახის პროტო-ენის ლექსიკური ინვენტარის, ფონოლოგიური სისტემისა და მორფოლოგიური ელემენტების რეკონსტრუქცია. უკვე შემდგომ უნდა მოხდეს რეკონსტრუირებული მასალის შედარება. გენეტიკური ნათესაობა დამტკიცებულად შეიძლება ჩაითვალოს იმ შემთხვევაში, თუ:

ა) ორ ან მეტ პროტო-ენას შორის გამოვლინდა მნიშვნელოვანი რაოდენობის ლექსიკური შეხვედრები, მათ შორის საბაზისო ლექსიკაშიც;

ბ) ორ ან მეტ პროტო-ენას შორის გამოვლინდება რეგულარული და კანონზომიერი ბგერათშესატყვისობები და თითოეული რეკონსტრუირებული ფონემა გამყარებული იქნება სულ მცირე 3-5 ლექსიკური შეხვედრით;

გ) შედარებულ პროტო-ენებს შორის დაფიქსირდება მსგავსება მორფოლოგიურ ინვენტარში.

გარდა კომპარატივისტიკაში არსებული მეთოდებისა, შესაძლებელია ისეთი ექსტრალინგვისტური დისციპლინების გამოყენება, როგორც არის: არქეოლოგია, ანთროპოლოგია, გეოგრაფია და სხვა. ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა ბელიკოვის დაკვირვება, სადაც იგი აღნიშნავს: „მოვიხმობ მათ სახეებს, ვისაც იოლად ვცნობთ პორტრეტებზე. არძინბასა და დუდაევს, ისევე როგორც მათ ორეულ მათ ძედუნს, კავალი სფორცა მათ სულაც არ ჰგავს - ისინი სინოკავკასიელები არიან. აფრაზიული ენები ნოსტრატულებთან უფრო ახლოს დგას, ვიდრე სინურ-კავკასიურთან, შესაბამისად მისი (კავალი სფორცას - ა. კ.) მსგავსება ჰაილფ-სელასიესთან და ჩემთვის უცნობ კურსკის რკინიგზის სადგურზე თასმებითა და ფეხსაცმელებით მოვაჭრესთან მსგავსება უფრო მეტი უნდა იყოს... მისი მსგავსება ნოსტრატებთან იანოშ კადართან, ედუარდ შევარდნაძესთან, ასკარ აკაევთან, დამდინი სუხე-ბატორთან და იუკაგირელ მწერალ გენა დიაჩკოვთან გაცილებით მეტია“ - ირონიულად შენიშნავს ბელიკოვი (Беликов 41). მაკროკომპარატივისტიკაში მიჩნეულია, რომ საერთონოსტრატული და საერთოსინურ-კავკასიური პროტო-ენების დიფერგენციის პერიოდი თარიღდება ძვ. წ. 10-12 ათასწლეულით (Старостин 2007, 450). თუმცა, დაშვების საპირისპიროდ, ამ პერიოდის არქეოლოგიაში არ ჩანს რაიმე

არქეოლოგიურ კულტურათა და ხალხთა დიდი მიგრაციის რაიმე ხელშესახები კვალი, რომელიც დაგვარწმუნებდა დასახელებულ ხალხთა მასიურ მიგრაციას.

რამდენად აკმაყოფილებს მაკროკომპარატივისტიკა ზემოთ ჩამოთვლილ ლინგვისტურ პრინციპებს? დღეისათვის არ არსებობს ნა-დენეს, სინურ-ტიბეტური და აფრაზიული ენათა ოჯახების სრულყოფილი ეტიმოლოგიური ლექსიკონი და ისტორიულ-შედარებითი გრამატიკა. ს. სტაროსტინისა და ი. პეიროსის მიერ შექმნილი სინურ-ტიბეტურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი „A Comparative Dictionary of Five Sino-Tibetan Languages, Melbourne, 1996“ ეფუძნება მხოლოდ 5 სინურ-ტიბეტური ენის მონაცემს, მაშინ, როდესაც ამ ოჯახში დაახლოებით 400 ენა არის გაერთიანებული. ბუნებრივია, თუნდაც ერთი ენობრივი ერთეულის უზულვებელყოფით, რეკონსტრუირებული პარადიგმა ვერ იქნება სრულყოფილი. უფრო მძიმე სურათი გვაქვს ნა-დენეს ენათა შემთხვევაში, რომელთა სრულყოფილი ისტორიულ-შედარებითი ანალიზი ჯერჯერობით არც ჩატარებულა. ყოველივე ამის გათვალისწინებით, სახეზეა კომპარატივისტიკის პრინციპებისა და მეთოდოლოგიის უხეში უზულვებელყოფა.

ჩრდილო-კავკასიის ენათა ენისეისა და სინურ-ტიბეტურ ენებთან შეპირისპირებისას ჩრდილო-კავკასიურ ენათათვის გამოიყენება სტაროსტინისა და ნიკოლაევის მიერ რეკონსტრუირებული ძირები, რომლებიც გამოქვეყნებულია მონოგრაფიაში North Caucasian Etymological Dictionary (1994). მიუხედავად იმისა, რომ მასში შეტანილი ბევრი დაკავშირება ავტორთა გენიალურ მიგნებად შეიძლება ჩაითვალოს, ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს პრაფორმების რეკონსტრუქცია, განსაკუთრებით ფონოლოგიური თვალსაზრისით. ასეთი ოდენობის ხარვეზების მქონე რეკონსტრუირებული ძირების შედარება კიდევ უფრო ნაკლებად შესწავლილი ოჯახების პრაფორმებთან საეჭვოა, რომ პოზიტიური შედეგის მომტანი იყოს.

რაც შეეხება ნოსტრატულ ენებს და, კერძოდ, ქართველურ მასალას, ამ მხრივ საყურადღებოა გ. კლიმოვის მოსაზრება, რომელიც, თავის მხრივ, იბერიულ-კავკასიურ თეორიას არ იზიარებს და მას სუბიექტურობაში ბრალს ვერ დავდებთ. “თუკი 105 ნოსტრატულ ლექსიკურ თანაფარდობას მოვიხმობთ, მათში ქართველური მონაცემები მხოლოდ 57 შემთხვევაში არის მოხმობილი - უფრო იშვიათად, ვიდრე ყველა სხვა (როგორც ცნობილია, ლექსიკონში ეს ფაქტები წარმოდგენილია ლექსემათა ყველაზე ნაკლები რაოდენობით). იმის გათვალისწინებით, რომ ავტორისეული დამუშავების გარდა ლექსიკონში შესული არ არის 22 შეპირისპირება, ბუნებრივია, პირველ რიგში შედარებისთვის მოხმობილი დანარჩენი 35 ქართველური ლექსემა უნდა შევაფასოთ. შემდგომ ირკვევა, რომ აქედან 21 ქართველური პარალელი თვით ავტორს სადაოდ აქვს გამოცხადებული (ყოველი მათგანი კითხვის ნიშნის ქვეშ არის ცხრილსა თუ სალექსიკონო კორპუსში). აქედან გამომდინარე, ამ მასალაში ინტერესს მხოლოდ 14 შეპირისპირება იწვევს“ (Климов 1986, 139). აგრეთვე, კლიმოვს ილიხ-სვიტიჩის ლექსიკონში შემჩნეული აქვს აშკარა ნასესხობები, ისეთები, როგორც ტურა და თემი (პირველი ირანიზმად, ხოლო მეორე კი ბერძნულიდან ნასესხებ ლექსემად მიიჩნევა) (Климов 1986, 140).

კიდევ ერთხელ დავუბრუნდეთ გლოტოქრონოლოგიის მეთოდს. გ. კლიმოვს საინტერესო სტატისტიკური მონაცემები მოჰყავს. ქართულსა და ადიღეურს შორის

სვოდემის სიაში ვლინდება თანხვედრა 5,14%-დან 7,52%-მდე, ქართულსა და ხუნძურს შორის 3,22%-დან 5,60%-მდე (Климов 1986, 115). ყოველივე ეს, ცოცხალი ენების შედარების შედეგად მიღებული ციფრებია და რეკონსტრუირებული პროტო-ენების შედარებისას ეს ციფრი კიდევ უფრო დიდი უნდა იყოს. ამასთანავე, ს. სტაროსტინი აღნიშნავდა, რომ „100 სიტყვიან სიაში თანამედროვე ნოსტრატულ ენებს შორის თანხვედრა გვაქვს (საშუალოდ 5-9%)“ (Старостин 2007, 447). ყოველივე ეს ნათლად გვაჩვენებს იმას, რომ ქართველურსა და ჩრდილო-კავკასიურ ენებს შორის სვოდემის სიის ძირთა თანხვედრის პროცენტული წილი საკმარისია ამ ენათა ერთ მაკროოჯახში შესაყვანად.

ქართველი მეკვლევრებიდან ქართველური და ჩრდილო კავკასიური ენების სხვადასხვა მაკროოჯახში მოთავსების შესახებ სხვადასხვა დროს არაერთ მეკვლევარს ჰქონდა გამოთქმული აზრი. პირველი იყო ა. ჩიქობავა, რომელმაც 1979 წლის 22 ივნისს ქალაქ ჩერქესკში (ყარაჩა-ჩერქეზეთი) იბერიულ-კავკასიურ ენათა სისტემისა და ისტორიის შესწავლისადმი მიძღვნილი VIII რეგიონალური სამეცნიერო სესიის დასკვნით სხდომაზე წარმოთქვა შემდეგი სიტყვა: „მეცნიერება ვერ იტანს ამოებას.“ ეს მეცნიერების წარმომადგენელმა კი არ თქვა, არამედ პუშკინმა, გენიალურმა პოეტმა. მას მხედველობაში არ ჰქონია ლინგვისტიკა, მაგრამ ამოება ლინგვისტიკაშიც წამოტივტივდება ხოლმე. ყველაზე მოდური ამჟამად არის ნოსტრატული თეორია. ეს არის ენები ინდო-ევროპული, უგრო-ფინური (ურალური), ალთაური, სემიტურ-ქამიტური, დრავიდული... ანუ ევრაზიის ენები. სწავლობენ ასეთ დიდ კომპლექსს, ავლენენ საერთოს. არაფერი ცუდი ამაში არ არის... მაშ მანც რატომდა ეგების ამაზე ლაპარაკი? მიზეზი მარტივია. ჩვენს საბჭოთა ლინგვისტურ ლიტერატურაში ნოსტრატულ ენათა წრეში რთავენ ქართულ ენასაც. ხოლო აფხაზურ-ადიღური, ნახური, დაღესტნური ენები ნოსტრატულ ენათა წრეში დღემდე არ ჩაურთავთ“ (ქურდიანი 2009). უფრო მეტ კონკრეტულებს შეიცავდა ბ. ფონსუას მონოგრაფია, სადაც მოხმობილია ილინ-სვიტიჩის ნოსტრატულ ლექსიკონში შემავალი საერთოქართველური ლექსიკის კრიტიკული ანალიზი (ფონსუა 1974, 335-342). ანალოგიურად, სინურ-კავკასიურ ჰიპოთეზაზე ვრცელი მოხსენება აქვს ბ. გიგინეიშვილს (გიგინეიშვილი 1990). თანამედროვე მაკროკომპარატივისტიკაში არსებულ ხარვეზებსა და ისტორიულ-შედარებითი მეთოდის სიმკაცრის დაქვეითებაზე კი საგანგებო კვლევა მიუძღვის მ. ქურდიანს (ქურდიანი 2007, გვ. 95-102). ამასთანავე, ბოლო წლებში აღმოჩენილი ქართველურ-ჩრდილოკავკასიური ლექსიკური პარალელები და ბგერათშესატყვისობათა სისტემა (ჩუხუა 2008) კიდევ უფრო მეტ შეკითხვას აჩენს მაკროკომპარატივისტული ტაქსონომიური მოდელების რელევანტურობაზე.

შეუძლებელია აქვე არ ითქვას ს. სტაროსტინის სტატიაზე Проблема генетического родства и классификации кавказских языков с точки зрения базисной лексики (Старостин: 2007, 529-545). სტატიაში მოხმობილია ს. იახონტოვის 35 სიტყვიანი საბაზისო ლექსიკის სია და ერთმანეთთან შედარებულია ქართველური, ნახურ-დაღესტნური და აფხაზურ-ადიღური რეკონსტრუირებული ძირები. ცხრილის მიხედვით, აფხაზურ-ადიღურსა და ნახურ-დაღესტნურ შორის ფიქსირდება 24 პარალელი, ხოლო ქართველურსა და დანარჩენ ჩრდილო-კავკასიურ ჯგუფებს შორის კი - მხოლოდ 6. ავტორის მიზანი ქართველურსა და ჩრდილო-კავკასიის ენებს შორის გენეტიკური ნათესაობის არარსებობის ჩვენებაა. თუმცა, იმავე ავტორის ა.

დიბოსთან და ო. მუდრაკთან ერთობლივ მონოგრაფიაში - ალთაური ენების ეტიმოლოგიურ ლექსიკონში - მოყვანილია ალთაურ ოჯახში შემავალ ჯგუფთა შორის საბაზისო ლექსიკის შეპირისპირებები და იქვე ცხრილში მითითებულია ს. იახონტოვის 35 სიტყვიანი სიის ფარგლებში წარმოებული შეპირისპირების შედეგები. თურქულ ენებსა და კორეულს შორის დაფიქსირდა 5 პარალელი, თურქულ ენებსა და იაპონურს შორის - 5, მონღოლურსა და კორეულს შორის - 8, ტუნგუსურ-მანჯურულსა და იაპონურს შორის - 8 (შტაროსტინ, ებო, უდრაკ 234). ასეთი სტატისტიკის მიუხედავად, ს. სტაროსტინი იაპონურ, კორეულ და ტუნგუსურ-მანჯურულ ენებს ურთიერთმონათესავე ენებად მიიჩნევს და აერთიანებს მათ ალთაურ ენათა ოჯახში (და არა მაკროოჯახში). სახეზეა, სულ მცირე, ს. სტაროსტინის მიერ საკუთრი პრინციპებისა და მეთოდოლოგიის უგულვებელყოფის უტყუარი ფაქტი.

ს. სტაროსტინისეული საკითხისადმი მიდგომა ნათლად ჩანს მ. რულენის მონოგრაფიაშიც. რულენის მიერ წარმოდგენილ მსოფლიო ენათა კლასიფიკაციაში გამოყენებულია ტერმინი „კავკასიური ოჯახი“ (Caucasian family) (Ruhlen 1987, 324), რომელიც თავის მხრივ „შედგება ორი ძალიან განსხვავებული ქვეოჯახისგან (subfamilies) და, შესაძლოა, ეს ორი ქვეოჯახი არ იყოს გენეტიკურად ჰომოგენური (Ruhlen 1987, 71). აქედან გამომდინარე, ნათლად ჩანს, რომ ავტორი არ ფლობს კავკასიურ ენათა მასალას, მაგრამ ამავედროულად არ კრძალავს მათ შორის ნათესაობას. თუმცა, მონოგრაფიის პოსტ სკრიპტუმში, იზიარებს ს. სტაროსტინის შენიშვნას: „კავკასიურად წოდებული ოჯახი, რომელზეც 2.5 პარაგრაფში მქონდა საუბარი, უნდა გაიყოს ორ ოჯახად - სამხრეთ-კავკასიურად და ჩრდილო-კავკასიურად, რომელთაგანაც თითოეული სხვა ოჯახებთან უფრო ახლოს დგას, ვიდრე ერთმანეთთან. სტაროსტინის შენიშვნის საფუძველზე, შემდგომში გამოვიყენებ შემდეგ ტერმინებს: კავკასიური - ჩრდილოკავკასიურ ენათათვის, ქართველური - სამხრეთკავკასიურ ენათათვის (ხაზგასმა ჩვენია - ა. კ.) (Ruhlen 1987, 379).

დასკვნის სახით გვინდა, ვთქვათ, რომ, რაც შეეხება იბერიულ-კავკასიურ ენებს, მათ შორის ურთიერთნათესაობის კვლევაც თავის მხრივ მაკროკომპარატივისტიკის კომპეტენციაა, ვინაიდან კავკასიურ ენათა საერთო ფუძეენიდან დივერგენცია გაცილებით ადრე მოხდა, ვიდრე საერთოინდოევროპულის, საერთოსემიტურის და ა.შ. იმ ფონზე, როცა კავკასიურ ენათა თითოეული ჯგუფის ადგილი გენეალოგიურ ხეში ჯერ კიდევ დავის საგანია, გარე კავშირების ძებნას ნაადრევად მივიჩნევთ. ამასთანავე, აუცილებელია დღეისათვის არსებული ყოველი ქართველურ-ნოსტრატული და ჩრდილოკავკასიურ-სინურ-ტიბეტური დაკავშირებული ძირის ობიექტური (კრიტიკული) ანალიზი. აგრეთვე, გადახედვას ექვემდებარება სტაროსტინისა და ნიკოლაევის მიერ რეკონსტრუირებული საერთოჩრდილოკავკასიური ფონოლოგიური სისტემა და აღდგენილი პრაფორმები. მხოლოდ ამის შემდეგ გახდება შესაძლებელი იბერიულ-კავკასიურ ენათა გარე კავშირების შესახებ წარმოდგენის შექმნა და, ამასთანავე, გენეტიკური და არეალური კავშირების ერთურთისგან გამიჯვნა.

ლიტერატურა

- Anderson N.** Studien zur Vergleichung der ugrofinnischen und indo-germanischen Sprachen, 1. Dorpat 1879.
- Bender L.** The Nilo-Saharan languages: a comparative essay. Munich: Lincom Europa.
- Bengston J.** Materials for a Comparative Grammar of the Dene-Caucasian (Sino-Caucasian) Languages, *Аспекты компаративистики* 3. М., изд. РГГУ, 2008, 33. 45-118.
- Blazek V.** Kartvelian materials in Nostratic lexicon. New etymologies I. In *Nostratic, Sino-Caucasian, Austric and Amerind*. Bochum: Brockmayer, 1992. 33. 112-128.
- Blench R., Ahland C.** 2010. "The Classification of Gumuz and Koman Languages", presented at the Language Isolates in Africa workshop, Lyons, December 4, 1996.
- Bomhard A.** *Reconstructing Proto-Nostratic: Comparative Phonology, Morphology, and Vocabulary*. Leiden and Boston: Brill. 2 vols, 2008.
- Bouda K.** *Dravidisch und Uralaltaisch*. "Lingua" 5, 2, Amsterdam. 1956.
- Castrén M. A.** Über der Personalaffixe in der altaischen Sprachen. *ᠮᠤᠴᠢᠷᠢᠨᠮᠤᠠᠨ* Castrén M. A. Kleinere Schriften. Sankt-Petersburg, 1862.
- Cavalli-Sforza L.L.** *Genes, Peoples, and Languages*. North Point Press, New York 2000.
- Cuno J.G.** *Forschungen im Gebiete der alten Volkerunde, I. Die Skythen*, Berlin, 1871.
- Cuny A.** *Linguistique du hittite*. - "Revue hittite et asianique", 13-14. Paris, 1934.
- Cuny A.** *Etudes prégrammaticales sur le domaine des langues indo-européennes et chamito-sémitiques*. Paris: Champion. 1924.
- Cuny A.** *Invitation à l'étude comparative des langues indo-européennes et des langues chamito-sémitiques*. Bordeaux: Brière. 1946.
- Donner O.** *Vergleichendes Wörterbuch der finnisch-ugrischen Sprachen*, Helsingfors I – 1874, II – 1876, III – 1888.
- Ehret C.** *A Historical-Comparative Reconstruction of Nilo-Saharan*. Köln.
- Greenberg J.** *The Languages of Africa* (*International Journal of American Linguistics* 29.1). Bloomington, IN: Indiana University Press. 1963.
- Greenberg, Joseph H.; Ruhlen, Merritt** (2007), *An Amerind Etymological Dictionary*, Department of Anthropology, Stanford University, 2001.
- Handel H.** O pokrewie`vstwie jezyków indoeuropejskich i semickich. "Eos" 18, 1912.
- Handel J.** *Indoeuropaeo-semitica*. "Eos" 34, 1932.
- Hock H. H.** *Principles of Historical Linguistics*, Berlin; New York: Mouton de Gruyter, 1986.
- Hulbert H.B.** *Comparative grammar of the koroan language and the Dravidian dialects of India*. Seoul, 1906.
- Köppen Fr. Th.** Ein neuer tiergeographischer Beitrag zur Frage über die indo-europäer und Ungrofinnen. "Das Ausland", 1890.
- Möller H.** *Indoeuropæsk-semitisk sammenlignenden glossarium*. København 1909.
- Möller H.** *Semitisch und Indogermanisch. Teil I. Konsonanten*. Kopenhagen: H. Hagerup, 1906.
- Olson K. S.** On Niger-Congo classification. In *The Bill question*, ed. H. Aronson, D. Dyer, V. Friedman, D. Hristova and J. Sadock, 153–190. Bloomington, IN: Slavica. 2006.

- Peiros I.** "The Austric Macrofamily: some considerations." In Shevoroshkin (1992), pp. 354-363, 1992.
- Ruhlen M.** A Guide to the World's Languages, Vol. 1: Classification, Stanford: Stanford University Press, 1987.
- Ruhlen M.** The Origin of Language: Tracing the Evolution of the Mother Tongue, New York: John Wiley & Sons, 1994.
- Schott W.** Über das Altaische oder Finnisch-Tatarische Sprachgeschlecht. – APAW (Philosophisch-historische Klasse, jg. 1874.), 1849.
- Starostin S. Nikolaev S.** A North Caucasian Etymological Dictionary, Moscow, 1994.
- Starostin S. Peiros I.** „A Comparative Dictionary of Five Sino-Tibetan Languages, Melbourne, 1996.
- Starostin S. Peiros I.** A Comparative Dictionary of Five Sino-Tibetan Languages, Melbourne, 1996.
- Thomsen V.,** Über den Einfluss der germanischen Sprachen auf die finnisch-lappischen, Halle, 1870.
- Winkler H.** Uralaltaische Völker und Sprachen. Berlin, 1884.
- Wurm S. A.** "Papuan linguistics: past and future". Language and Linguistics in Melanesia (formerly Kivung) 14: 5–25, 1983.
- Гамкрелидзе Т. Иванов В;** Индоевропейские языки и индоевропейцы. Т I; Тбилиси, 1984.
- Дульзон А. П.** Кетский язык. Томск, 1968.
- Иллич-Свитыч В. М.** Опыт сравнения ностратических языков. — Москва I – 1971, II-1976, III-1984.
- Климов Г. А.** Введение в кавказское языкознание. Москва. 1986.
- Сводеш М.** Лексикостатистическое датирование доисторических этнических контактов, წიგნში: Новое в лингвистике, в. 1, Москва., 1960.
- Соссюр Ф. де.** Труды по языкознанию / Пер. с франц. яз. под ред. А. А. Холодовича; Ред. М. А. Оборина; Предисл. проф. Н. С. Чемоданова. — Москва.: Прогресс, 1977.
- Старостин С.** Труды по языкознанию. Москва, 2007.
- გიგინეიშვილი ბ.,** ჩრდილოკავკასიელ ხალხთა ისტორიული განსახლების პრობლემა ენობრივ მონაცემთა მიხედვით (გაზეთი „სახალხო განათლება“, № 23, 7 ივნისი, 1990, თბილისი: 14-15).
- ფოჩხუა ბ.,** ქართული ენის ლექსიკოლოგია. თბილისი, 1974.
- ქურდიანი მ.,** იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახი თუ ნოსტრატული და დენე-კავკასიური// კავკასიოლოგიური ძიებანი. I. თბილისი. 2009.
- ქურდიანი მ.,** იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საფუძვლები. თბილისი, 2007.
- ჩუხუა მ.,** იბერიულ-ინქერიულ ენათა შედარებითი გრამატიკა. თბილისი, 2007.

А. Квахадзе (Тбилиси)

Макрокомпаративистика и иберийско-кавказские языки

Макрокомпаративистика является частью историко-сравнительного языкознания и изучает вопрос генетического взаимоотношения между языковыми семьями. Несмотря на то, что данная дисциплина является гипотетичной, ее актуальность растет в лингвистических кругах мира.

После того, как историко-сравнительное языкознание сформулировало критерии родства между языками, таксономическую классификацию языковых единств (языковые группы, подсемьи, семьи) а также определение глубины родства, в компаративистических кругах встал вопрос о более глубоком родстве между языковыми семьями.

Родство между языковыми семьями впервые концептуально сформулировал советский языковед В. М. Иллич-Свитыч. В своем трехтомном словаре (1971-76-84) были сопоставлены индоевропейские, семито-хамитские (resp. афразийские), картвельские, уральские, дравидские и алтайские языки. Основная часть словаря составлена в формате этимологического словаря. В первом томе данного труда представлена система регулярных звукосоответствий между вышеперечисленными языковыми семьями, которая, по мнению автора, релевантна. Данному языковому единству было дано название ностратические языки. После В. М. Иллич-Свитыча разработку ностратической теории продолжили: В. Блажек, А. Долгопольский, А. Бомхард, Л. Кемпбэл и Дж. Гринберг. Из них примечательны ностратические словари А. Долгопольского (2008) и А. Бомхарда (2008), которые более масштабны, нежели монография В. М. Иллич-Свитыча.

После ностратической гипотезы, на повестку дня стала классификация и объединение в одну или несколько макросемей евразийских языковых семей не входящих в ностратическую макросемью. Впервые родство между северокавказскими и сино-тибетскими языками предположил А. Тромбетти, в то время как А. Дульзон находил сходства между северокавказскими и енисейскими языками (Дульзон 1968). Но в сопоставлении неностратических языков Евразии не уступает первенство С. Старостин. Им была представлена сино-кавказская гипотеза, которая предполагала объединение в одну макросемью северокавказские, сино-тибетские и енисейские языки. Позднее в данный список были включены изоляты баскский и бурушаски языки (М. Рулен, Дж. Бенгстон) а также языки на-дене, распространенные в Северной Америке.

В макрокомпаративистике используется также методология, которая апробирована при сопоставлении языковых единиц – групп и подгрупп. По С. Старостину, главным условием глубокого сопоставления (Англ. Long-range comparision) является взаимосопоставление, статистика (глотохронология) и компьютерная методология. В процессе сравнения обязательно восстановление праформ исследуемой языковой семьи и уже далее сравнение с праформами других языковых семей. Само собой, данная методология почти аналогична методологии Ф. Сосюра, которая принята в сравнительно-историческом языкознании. Глотохронология, также известная как лексикостатика, предполагает определение дальности между двумя или несколькими языковыми единицами, основываясь на процентном соотношении совпадений в базисной лексике. В лексикостатических исследованиях используются списки Сводеша и Яхонтова. Более подробно данные списки описывает С. Старостин, по мнению которого с помощью лексикостатических данных возможно определение не только степени родства, но также и периода дивергенции праязыка. В связи с этим, С. Старостиным была разработана математическая формула, которая по мнению автора с малейшими погрешностями определяет скорость изменения и дивергенции языков. Что касается компьютерной методологии, то она предполагает размещение языковых данных.

Кроме вышесказанного, в макрокомпаративистике используется апробированный М. Рулленом метод массового сопоставления (mass comparassion). Метод предполагает определение близости языков и их классификацию путем сравнения лексики большого числа языков на основании фонетических и семантических совпадений. Поверхностность данного метода видна невооруженным глазом, который справедливо был поставлен под сомнение Х. Хоком (Носк 1986).

Сам метод глотохронологии не является совершенным. По поводу белых пятен в макрокомпаративистике примечательно исследование С. Беликова, где он акцентирует внимание на языках креолах и пиджинах (Беликов 2003). Автор приводит пример распространенного в Папуа-Новой Гвинее языка ток-писин и распространенного в Суринаме языка сарамака. Оба языка основаны на английском, но изменения настолько велики, что лексикостатические данные датируют дивергенцию языков более древним периодом, нежели период формирования данных языков. Мы достаточно хорошо знаем, как формировались те языки, которые мы называем креольскими. Но нет никакой гарантии, что сходные процессы не происходили тысячу или пять тысяч лет назад там, где мы не располагаем никакими свидетельствами языковой или экстралингвистической истории (Там же ст. 15).

Что касается иберийско-кавказских языков, то в макрокомпаративистике принято причислять картвельские языки к ностратической, а северокавказские группы – абхазо-адыгскую, нахскую и дагестанскую к дене-кавказской макросемье. Соответственно, родство между картвельскими и остальными иберийско-кавказскими языками исключается не только на уровне семьи, но и на уровне макросемьи.

Связать иберийско-кавказские языки с другими семьями в разное время пытались: картвельские языки – В. М. Иллич-Свитыч, А. Бомхард, В. Блажек и А. Долгопольский, абхазо-

адыгские, нахские и дагестанские языки – С. Старостин, С. Николаев. Остальные исследователи классифицировали иберийско-кавказские языки на основании трудов вышеупомянутых исследователей. В. М. Иллич-Свитыч в первой части труда «Опыт сравнения ностратических языков, Москва 1971-76-84» приведены звукосоответствия между членами гипотетической ностратической макросемьи, что касается словарной части, то в нее входит 463 ностратических сопоставлений. Более объемна монография А. Долгопольского *Nostratic Dictionary*, где представлено 2805 этимологических сближений. Что касается труда А. Бомхарда - *A Comprehensive Introduction to Nostratic Linguistics*; Charleston 2014, то в нем представлено 963 сопоставлений. В свою очередь, В. Блажек в труде *Kartvelian Materials in Nostratic lexicon. New etymologies. Nostratic, Sino-Caucasian, Austric and Amerind* 112-128; Bochum 1992 опубликовал новые картвельско-ностратические параллели.

Что касается северокавказских языков (в макрокомпаративистике принят термин северокавказская семья), С. Старостин в неопубликованном труде *Sino-Caucasian [Comparative Glossary]* (2004-05) представил 954 сопоставлений между северокавказскими, сино-тибетскими и енисейскими языками. Также, в труде С. Старостина *Sino-Caucasian [Comparative Phonology]* (2004-05) представлены звукосоответствия между таксономическими единицами входящие в сино-кавказскую макросемью. На основании исследования С. Старостина американский компаративист Дж. Бенгстон сравнил сино-кавказский материал с материалом языков на-дене *Materials for a Comparative Grammar of the Dene-Caucasian (Sino-Caucasian) Languages*, *Аспекты компаративистики* 3. М., изд. РГГУ, 2008, 45-118.

При критическом анализе макрокомпаративистической классификации иберийско-кавказских языков стоит учесть тот фактор, что постулаты макрокомпаративистики являются гипотетическими и не подлежат верификации. Несмотря на наличие лексических параллелей между языковыми семьями, еще рано объединять ныне существующие языковые единицы в более крупные таксономические единицы и тем более, объявлять это научно доказанным фактом. Тем более, теория моногенеза сегодня является предметом веры а не предметом знания. «Делались попытки найти черты сходства между угро-финской и индоевропейской семьей языков и т. д. Но такого рода сопоставления сразу же наталкиваются на непреодолимые преграды. Не следует смешивать правдоподобное с доказуемым. Всеобщее родство всех языков маловероятно, но будь оно реальным, как это думает итальянский лингвист Тромбетти, его нельзя было бы доказать вследствие великого множества происшедших в языках изменений» (Соссюр 227).

Для того, чтобы путем сопоставления двух языковых семей определить наличие генетического родства, обязательным является качественное синхроническое описание фонологического, морфологического, синтаксического и лексического инвентаря а также реконструкция лексики, фонологической системы и морфологических элементов протоязыка исследуемой языковой семьи. Только после этого возможно сопоставление реконструированного материала. Генетическое родство считается доказанным в том случае, если:

а) Выявиться значительное число лексических встреч, в том числе среди базисной лексики между двумя или несколькими протоязыками языковых семей.

б) Между двумя или несколькими протоязыками языковых семей будут выявлены регулярные и закономерные звукосоответствия и каждая протофонема будет подкреплена минимум 5-ю соответствиями.

в) Зафиксируются значимые морфологические параллели между сопоставленными протоязыками.

Кроме компаративистических методов, возможно использовать такие экстралингвистические дисциплины, каковыми являются археология, антропология, география и т. д. В этом плане, достойным внимания является мнение Беликова: «Обращусь к образам тех, кого легко узнаю на портретах. На Ардзинбу с Дудаевым, как и на их двойника Мао Цзе-дуна, Кавалли-Сфорца почти не похож – синокавказцы. Афразийские языки к ностратическим ближе, чем синокавказские, так что его сходство с Хайле-Селассие и неизвестным мне по имени, но хорошо известным в лицо, продавцом шнурков и чистильщиком обуви у Курского вокзала, должно быть несколько бóльшим... Сходство его с ностратами Яношем Кадаром, Э. А. Шеварднадзе, Аскарком Акаевым, Дамдины Сухэ-Батором и юкагирским писателем Геной Дьячковым заметно выше» (Беликов 41). В макрокомпаративистике принято, что дивергенция протоностратического и протосино-кавказского единства датируется 10-12 тысяч лет (Старостин 2007, 450). Несмотря на это, в археологии не найдено ни одного свидетельства массовой миграции этих народов.

На сколько макрокомпаративистика придерживается выше перечисленных лингвистических принципов? На сегодняшний день не существует полноценного этимологического словаря и историко-сравнительной грамматики на-дене, афразийских и сино-тибетских языков. Сино-тибетский этимологический словарь С. Старостина и И. Пейроса - *A Comparative Dictionary of Five Sino-Tibetan Languages*, Melbourne, 1996 - основывается на данных 5-и сино-тибетских языков, в то время как данная семья включает в себя более 400 языковых единиц. Даже при исключении хотя бы одной языковой единицы, реконструированная система не может быть полноценной. Более тяжелая картина в случае с языками на-дене где не проводилось полноценной компаративистической работы. Учитывая вышесказанное, перед нами факт грубого пренебрежения принципам и методологии лингвистической компаративистики.

При сопоставлении северокавказских языков с енисейскими и сино-тибетскими языками, северокавказский материал черпается из монографии С. Старостина и С. Николаева - *A North Caucasian Etymological Dictionary* (1994). Несмотря на то, что некоторые приведенные в словаре сопоставления можно считать гениальной находкой авторов, не выдерживает критику реконструированные протосеверокавказские праформы, особенно с фонологической точки зрения. Сравнение основ, реконструированных с большим количеством погрешностей с праформами еще менее исследованных языковых семей вряд ли может дать позитивный результат.

Касаемо ностратических, особенно картвельского материала, заслуживает внимание мнение Г. Климова, который не признает иберийско-кавказскую теорию и соответственно, его нельзя обвинить в субъективности. «Если обратиться к общему числу 105 ностратических равенств на уровне лексики, представленных в таблице в I томе словаря В. М. Иллич-Свитыча, картвельские факты приводятся только в 57 случаях, т.е. реже любых других (как известно, вообще эти факты представлены в словаре наименьшим числом лексем). При учете того, что в словарь не включено за отсутствием авторской обработки 22 сопоставления, естественно, что в первую очередь приходится оценивать всего 35 остающихся картвельских лексем, привлеченных к сравнению. Далее выясняется, что из этого числа 21 картвельская параллель признана спорной самим автором (все они помечены знаком вопроса либо в таблице, либо в корпусе словаря), и таким образом, в этом материале интерес представляют лишь 14 остающихся сопоставлений» (Климов 1986, 139). Также, Г. Климов обнаружил в словаре В. М. Иллич-Свитыча такие явные заимствования как t'uga «шакал» и temi «общество, приход» (первая лексема признается иранизмом, а вторая усвоена из греческого) (Климов 1986, 140). Еще раз вернемся к методу глотохронологии. Г. Климов приводит интересные статистические данные. Между грузинским и адыгейском в списке Сводеша имеется от 5,14% до 7,52% совпадений, между грузинским и аварским от 3,22% до 5,60% (Климов 1986, 115). Данные цифры получены при сравнении современных языков, в случае сравнения реконструированных праязыков, эта цифра должна быть больше. С. Старостин подчеркивал «совпадения между современными ностратическими языками в 100-словном списке (в среднем 5-9%).» (Старостин 2007, 447). Все это показывает, что число совпадений в списке Сводеша между картвельскими и северокавказскими языками достаточно для причисления данных языков к одной макросемье.

О причислении картвельских и других северокавказских языков к разным макросемьям в разное мнение высказывали многие грузинские исследователи. Первым был А. Чикобава, который в 22 июня 1979 года в городе Черкесске прочитал доклад на VIII научной региональной сессии «Служенье муз не терпит суеты», это сказал не представитель научного мира, а Пушкин – великий русский поэт. Он не имел в виду лингвистику, но суета иногда всплывает и в лингвистике. Самой модной сегодня является ностратическая теория. Это индо-европейские, фино-угорские (уральские), алтайские, семито-хамитские, дравидские... то есть языки Евразии. Изучают такой ограмный комплекс, выявляют сходство. Ничего тут плохого нет... Так зачем мы это упоминаем? Причина проста. В советской лингвистической литературе в число ностратических языков пречисляют и грузинский язык, хотя абхазо-адыгские и нахско-дагестанские языки не включены по сей день.» (Курдиани 2009). Больше конкретики в монографии Б. Почхуа, где представлен критический анализ картвельского материала в ностратическом словаре В. М. Иллич-Свитыча (Почхуа 1974, 335-342). Аналогично, по поводу сино-кавказской гипотезы примечателен подробный доклад Б. Гигинеишвили (Гигинеишвили 1990). О понижении строгости сравнительно-исторического метода и о других проблемах современной компаративистики представлено специальное исследование М. Курдиани

(Курдиани 2007, 95-102). В свою очередь, обнаруженные в последние годы картвельско-северокавказские регулярные звукосоответствия и лексические параллели (Чухуа 2007) ставят под вопрос релевантность макрокомпаративистических таксономических моделей.

Стоит упомянуть статью С. А. Старостина «Проблема генетического родства и классификации кавказских языков с точки зрения базисной лексики» (Старостин: 2007, 529-545). В статье представлен 35 словный список Яхонтова и сопоставлены картвельские, абхазо-адыгские и нахско-дагестанские реконструированные основы. Между нахско-дагестанскими и абхазо-адыгскими языками выявлено 24, между картвельскими и остальными северокавказскими языками 6 параллелей. Цель автора – показать отсутствие родства между картвельскими и северокавказскими языками. Хотя, тот же автор в совместной монографии с А. Дыбо и О. Мудрак приводятся сопоставления базисной лексики групп, входящих в алтайскую языковую семью. Там же в таблицах приведены результаты сравнения в рамках 35-словного списка Яхонтова. Между тюркскими и корейским языком зафиксировано 5 параллелей, между монгольским и корейским - 8, между тунгусо-маньчжурским и японским – 8 (Starostin, Dybo, Mudrak 234). Несмотря на такую статистику, С. А. Старостин считает корейский, японский, тюркские и тунгусо-маньчжурские языки взаимородственными и объединяет их в одну языковую семью (а не макросемью). Налицо явное пренебрежение Старостиным своими же принципами и методологией.

Подход С. А. Старостина к вопросу ясно виден и в монографии М. Рулена. При классификации языков мира, автор использует термин «кавказская семья» (Caucasian family) (Ruhlen 1987, 324), которая в свою очередь «состоит из двух разных подсемей (subfamilies), и возможно эти две подсемьи не являются генетически гомогенными» (Ruhlen 1987, 71). Исходя из этого, автор не владеет материалом кавказских языков, но не исключает возможное родство между ними. Хотя в постскрипуме монографии, соглашается с замечанием С. Старостина «Семья, именуемая кавказской, о которой говорится в параграф 2.5 должна разделиться на две семьи – южнокавказскую и северокавказскую, каждая из которой стоит ближе к другим языковым семьям нежели друг к другу. На основании замечания С. Старостина, в дальнейшем буду использовать термины – для северокавказских – кавказские, для южнокавказских – картвельские языки» (затемнение наше – А. К.) (Ruhlen 1987, 379).

Касаясь иберийско-кавказских языков, определения генетических взаимоотношений между ними является предметом макрокомпаративистики, так как дивергенция протоиберийско-кавказского языка должна была произойти намного раньше, чем дивергенция протоиндоевропейского, протосемитского и т.д. До того, пока не до конца определено место ряда кавказских языков в генеалогическом древе, искать внешние связи с другими семьями считаем преждевременным. Также, обязателен критический анализ каждого картвельско-ностратического и северокавказско-синокавказского сопоставления. Требуется пересмотр реконструированных С. А. Старостиным и С. Николаевым протосеверокавказских форм и фонологической системы. Только после этого, возможным будет иметь представление о

внешних связях иберийско-кавказских языков и отличать генетические и ареальные контакты друг от друга.

Литература

- Anderson N.** Studien zur Vergleichung der ugrofinnischen und indo-germanischen Sprachen, 1. Dorpat 1879.
- Bender L.** The Nilo-Saharan languages: a comparative essay. Munich: Lincom Europa.
- Bengston J.** Materials for a Comparative Grammar of the Dene-Caucasian (Sino-Caucasian) Languages, *Аспекты компаративистики 3. М.*, изд. РГГУ, 2008, *gv.* 45-118.
- Blazek V.** Kartvelian materials in Nostratic lexicon. New etymologies I. In *Nostratic, Sino-Caucasian, Austric and Amerind*. Bochum: Brockmayer, 1992. *gv.* 112-128.
- Blench R. Ahland C.** 2010. "The Classification of Gumuz and Koman Languages", presented at the Language Isolates in Africa workshop, Lyons, December 4, 1996.
- Bomhard A.** Reconstructing Proto-Nostratic: Comparative Phonology, Morphology, and Vocabulary. Leiden and Boston: Brill. 2 vols, 2008.
- Bouda K.** Dravidisch und Uralalaltaisch. "Lingua" 5, 2, Amsterdam. 1956.
- Castrén M. A.** Über der Personalaffixe in der altaischen Sprachen. *wignSiCastrén M. A. Kleinere Schriften*. Sankt-Petersburg, 1862.
- Cavalli-Sforza L.L.** Genes, Peoples, and Languages. North Point Press, New York 2000.
- Cuno J.G.** Forschungen im Gebiete der alten Volkerunde, I. Die Skythen, Berlin, 1871.
- Cuny A.** Linguistique du hittite. - "Revue hittite et asianique", 13-14. Paris, 1934.
- Cuny A.** Etudes prégrammaticales sur le domaine des langues indo-européennes et chamito-sémitiques. Paris: Champion. 1924.
- Cuny A.** Invitation à l'étude comparative des langues indo-européennes et des langues chamito-sémitiques. Bordeaux: Brière. 1946.
- Donner O.** Vergleichendes Wörterbuch der finnisch-ugrischen Sprachen, Helsingfors I – 1874, II – 1876, III – 1888.
- Ehret C.** A Historical-Comparative Reconstruction of Nilo-Saharan. Köln.
- Greenberg J.** The Languages of Africa (*International Journal of American Linguistics* 29.1). Bloomington, IN: Indiana University Press. 1963.
- Greenberg, Joseph H.; Ruhlen, Merritt (2007), *An Amerind Etymological Dictionary*, Department of Anthropology, Stanford University, 2001.
- Handel H.** O pokrewie`vstwie języków indoeuropejskich i semickich. "Eos" 18, 1912.
- Handel J. *Indoeuropaeo-semitica*. "Eos" 34, 1932.
- Hock H. H.** Principles of Historical Linguistics, Berlin; New York: Mouton de Gruyter, 1986.
- Hulbert H.B.** Comparative grammar of the koroan language and the Dravidian dialects of India. Seoul, 1906.
- Köppen Fr. Th.** Ein neuer tiergeographischer Beitrag zur Frage über die indo-europäer und Ungrofinnen. "Das Ausland", 1890.

- Möller H.** Indoeuropæsk-semitisk sammenlignenden glossarium. København 1909.
- Möller H.** Semitisch und Indogermanisch. Teil I. Konsonanten. Kopenhagen: H. Hagerup, 1906.
- Olson, K. S.** On Niger–Congo classification. In *The Bill question*, ed. H. Aronson, D. Dyer, V. Friedman, D. Hristova and J. Sadock, 153–190. Bloomington, IN: Slavica. 2006.
- Peiros I.** “The Austric Macrofamily: some considerations.” In Shevoroshkin (1992), pp. 354-363, 1992.
- Ruhlen M.** *A Guide to the World’s Languages, Vol. 1: Classification*, Stanford: Stanford University Press, 1987.
- Ruhlen M.** *The Origin of Language: Tracing the Evolution of the Mother Tongue*, New York: John Wiley & Sons, 1994.
- Schott W.** Über das Altaische oder Finnisch-Tatarische Sprachgeschlecht. – APAW (Philosophisch-historische Klasse, jg. 1874.), 1849.
- Starostin S., Nikolaev S.** *A North Caucasian Etymological Dictionary*, Moscow, 1994.
- Starostin S., Peiros I.** „A Comparative Dictionary of Five Sino-Tibetan Languages, Melbourne, 1996.
- Starostin S., Peiros I.** *A Comparative Dictionary of Five Sino-Tibetan Languages*, Melbourne, 1996.
- Thomsen V.,** Über den Einfluss der germanischen Sprachen auf die finnisch-lappischen, Halle, 1870.
- Winkler H.** *Uralaltaische Völker und Sprachen*. Berlin, 1884.
- Wurm S. A.** "Papuan linguistics: past and future". *Language and Linguistics in Melanesia (formerly Kivung)* 14: 5–25, 1983.
- Гамкрелидзе Т., Иванов В.** *Индоевропейские языки и индоевропейцы*. Т I. Тбилиси, 1984.
- Дульзон А. П.** *Кетский язык*. Томск, 1968.
- Иллич-Свитыч В. М.** *Опыт сравнения ностратических языков*. — Москва I – 1971, II-1976, III-1984.
- Климов Г. А.** *Введение в кавказское языкознание*. Москва. 1986.
- Сводеш М.** *Лексикостатистическое датирование доисторических этнических контактов*, wignSi.: *Новое в лингвистике*, в. 1, Москва., 1960.
- Соссюр Ф.** *Труды по языкознанию / Пер. с франц. яз. под ред. А. А. Холодовича; Ред. М. А. Оборина; Предисл. проф. Н. С. Чемоданова*. — Москва.: Прогресс, 1977.
- Старостин С.** *Труды по языкознанию*. Москва, 2007.
- gigineiSvili b.,** Crdilokavkasiel xalxTa istoriuli gansaxlebis problema enobriv monacemTa mixedviT (gazeTi “saxalxo ganaTleba”, #23, 7 ivnisi, Tbilisi, 1990.
- foCxua b.,** qarTuli enis leqsikologia. Tbilisi, 1974.
- qurdiani m.,** iberiul-kavkasiur enaTa ojaxi Tu nostratuli da dene-kavkasiuri//kavkasiuri Ziebani. I. Tbilisi, 2009.
- qurdiani m.,** iberiul-kavkasiuri enaTmecnierebis safuZvlebi. Tbilisi, 2007.
- Cuxua m.,** iberiul-iCqერიul enaTa SedarebiTi gramatika. Tbilisi, 2007.

A. Kvakhadze (Tbilisi)

Macro-comparative linguistics and Ibero-Caucasian languages

Summary

Macro-comparative linguistics is a term used for study of genetic relationships between language families. The first declared macrofamily was hypothetical Nostratic family developed by soviet linguist V. M. Ilich-Svitich, which includes Indo-European, Afroasiatic, Altaic, Uralic, Dravidian and Kartvelian languages. Next was S. Starostin and his Sino-Caucasian hypothesis of relation between Sino-Tibetan, Yenisean and North-Caucasian language families. During comparison between those families have been used glotochronology (or lexicostatic) method created by M. Swadesh and advanced by S. Starostin. The two main branches of Ibero-Caucasian language family – Kartvelian and North Caucasian (Abkhazo-Adyghian, Nakh and Dagestanian) according the mainstream macro-comparative linguistic is included in two different macrofamilies. However, we can clearly see double standards used by researchers during comparison. For instance, according to S. Starostin number lexicostatical data between Ibero-Caucasian languages is not enough to genetic relationship between them, but in other hand almost same number is enough to include Altaic languages in one language family. There is no doubt, that macro-comparative linguistic is perspective part of linguistics, but it need to be advanced and separated from double standarts.

რ. ლოლუა (თბილისი)

**უდიური ენის ფონოლოგიური სისტემის თავისებურებანი. I. ვოკალიზმი.
ფარინგალიზაცია¹**

უდიური ენის ფონოლოგიური სისტემა, ბევრი მახასიათებლის მიხედვით, მონათესავე ენების ფონოლოგიურ სისტემათაგან განსხვავდება. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ უდიურ ენაში, სოფ. ზინობიანის მეტყველების გამოკლებით, აბრუპტიული თანხმოვნები გადავიდნენ პრერუპტივებში, რაც უდიურს მნიშვნელოვნად განასხვავებს სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათაგან. ახლომონათესავე ლეზგიურ და სხვა დაღესტნურ ენებთან შედარებით უდიური ენის ფონოლოგიური სისტემა გამარტივებულია: უდიურს ახასიათებს ხშულ-მსკდომთა და აფრიკატთა სამეულბრივი სისტემა (**მჟღერი-ფშვინვიერი-პრერუპტივი** – ნიჯურსა და ვართაშნულ მეტყველებაში; **მჟღერი-ფშვინვიერი-აბრუპტივი** – სოფ. ზინობიანის მეტყველებაში) და სპირანტთა წყვილმეულბრივი სისტემა (მჟღერი – ყრუ); არ დასტურდება ინტენსიური ფონემები; არ დასტურდება არათუ ლაბიალიზებული ან დენტოლაბიალიზებული თანხმოვნები, არამედ ლაბიალური კომპლექსებიც; შეინიშნება უკანაენისმიერ თანხმოვანთა სიმცირე სხვა ლეზგიურ და დაღესტნურ ენებთან შედარებით – უდიურს არ მოეპოვება დაღესტნურ ენათა უმეტესობისათვის დამახასიათებელი წინაველარული სპირანტები; არ გვხვდება აგრეთვე მჟღერი უვულარული აფრიკატი; ამას გარდა, არ დასტურდება ფარინგალური სპირანტები, ე.წ. ლარინგალური ხშული და ჩქამიერი ლატერალური თანხმოვნები (თუმცა ლატერალები, არჩიბულის გარდა, არც ერთ სხვა ლეზგიურ ენაში არ დასტურდება). რაც შეეხება ვოკალიზმს – უდიურს არ მოეპოვება გრძელი და ნაზალიზებული ხმოვანი ფონემები, რომელიც სხვა დაღესტნურ ენებშია გაგრძელებული.

უდიურ ენაში დაცულია ყველა ის თანხმოვანი თუ ხმოვანი, ქართულში რომ გვაქვს. გარდა ამისა, უდიურში მოგვეპოვება: პალატალიზებული ხმოვნები (**ჭ, ტ, ჟ**); ე. წ. ირაციონალური **ღ** (ნიჯურ კილოში); სონანტი **ჲ**; დენტოლაბიალური **ფ**;

¹ ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით (საგრანტო პროექტი: №30/10)

უვეულარული ჰ. მოყვანილი ხმოვნებისა თუ თანხმოვნების გარდა, უდიური ენის ფონოლოგიური სისტემა, ქართულთან შედარებით, სპეციფიკური პროცესით – ფარინგალიზაციით – არის გართულებული.

უდიური ენის ფონოლოგიური სისტემა, ბგერითი შედგენილობის თვალსაზრისით, თითქმის ერთგვარად არის წარმოდგეტი ორსავე კილოში (ნიჯურსა და ვართაშნულში).

ვოკალიზმი

ვართაშნულ კილოში დასტურდება 8 ძირითადი (ა, ე, ი, ო, უ, ჰ, რ, ჟ) და ერთი ფაკულტატიური ხმოვანი (ღ), ხოლო ნიჯურში ზ ხმოვანს მოეპოვება ფონემის სტატუსი.

როგორც აღინიშნა, უდიურს არ მოეპოვება გრძელი და ნაზალიზებული ხმოვანი ფონემები, რომელიც სხვა დაღესტნურ ენებშია გავრცელებული. გრძელი ხმოვანი უდიურში შეიძლება ან მორფემათა გასაყარზე შეგვხვდეს, ანდა ერთი ბგერის მიერ მეორეს ასიმილაციით იყოს მიღებული, მაგ., მა “სადაც” + ა (კითხვ. ნაწილაკი) – მა? (მა-ა?) “სად?” სა “ერთი” + ო (მასუბსტანტ. სუფიქსი) – სო (სო-ო) “ერთი”; ქალა “დიდი” + ო (მასუბსტანტ. სუფიქსი) – ქალო (ქალო-ო) “დიდი”; პა “ორი” + ო “ბალახი” – პო (პო-ო) “ორი ღერი ბალახი”...

უდიურში ხმოვნები შეიძლება ორ ჯგუფად დავყოთ:

მარტივი ხმოვნები (ა, ე, ი, ო, უ);

პალატალიზებული (უმლაუტიანი) ხმოვნები (ჰ, რ, ჟ).

ამას გარდა, შეიძლება გამოვყოთ ე. წ. ირაციონალური ზ.


ხმოვანთა კლასიფიკაცია უდიურში შეიძლება ასე წარმოვადგინოთ:

აწეულობა	წინა რიგის		უკანა რიგის	
	არალაბიალიზებული	ლაბიალიზებული	არალაბიალიზებული	ლაბიალიზებული
მაღალი	ი	ჟ	[ღ]	უ
საშუალო	ე	რ		ო
დაბალი	ჰ		ა	

იმ ენებისაგან განსხვავებით, რომელთა ვოკალური სისტემები ე. წ. სამკუთხედს ქმნიან, უდიურ ენაში ხმოვნები თავსდება “მართკუთხედში”. “ოთხკუთხა” ხმოვანთა სისტემა თავისებურებებს ავლენს: ა ბგერა, რომელიც

“სამკუთხა” სისტემის მქონე ენებში შუა რიგის ბგერაა, უკანა რიგის ხმოვანს წარმოადგენს; წინა რიგის ხმოვნები უფრო წინ იწარმოება, ხოლო უკანა რიგის ხმოვნები – შედარებით უკან. უდიურ ენაშიც ყველა ხმოვანი პერიფერიულია, რაც აძლიერებს მათ პალატალურ, ველარულ ან სხვაგვარ არტიკულაციას, რომელიც ახდენს ზეგავლენას როგორც წინამავალ, ასევე, თუმცა შედარებით მცირე, მომდევნო თანხმოვნებზეც. ამის გამო უდიურ ენაში გავრცელებულია თანხმოვანთა რეგრესული პალატალიზაცია წინა რიგის ხმოვნებთან და რეგრესული ველარიზაცია უკანა რიგის ხმოვნებთან.

სხვაგვარად, უდიური ენის ვოკალური სისტემა შეიძლება ამ სქემის სახით წარმოვადგინოთ:



მარტივი ხმოვნები

უდიურში, როგორც ზემოთ აღინიშნა, დასტურდება ხუთი მარტივი ხმოვანი (ა, ე, ი, ო, უ). მათი წარმოთქმა ისეთივეა, როგორც, მაგალითად, ქართულში. ყველა მათგანი ნებისმიერ პოზიციაში შეიძლება შეგვხვდეს, მაგ., ამა/აბა “მაგრამ”; აშ “საქმე”; არ “მსხალი”; აღა “მადლა”, “ზემოთ”; მაჰ “სარი”; ბაბ (ვართ.) || ბავა (ნიჯ.) “მამა”; ხა “მატყელი”; მა^ა “ტვინი”; ბაჰან “ზურგი”; ბაჰანა “მერცხალი”...

ეშ^ა “ვაშლი”; ელ “მარილი”; ეჟ “ხორცი”; მეჰ “მატლი”, “ჭია”; ველ “თხა”; ხე “წყალი”; მე “ეს”; ენე “უკვე”; ელელ “ცხვარი”; ელუმ “ვირი”; ეველ “საყდარი, ეკლესია”; ერეჟ “თხილი”...

ვიჩი “ძმა”; იხ “მეხსიერება”; იჟ “ნაცარი”; იჟ^ა “თოვლი”; ინ “რწყილი”; ინი “ახალი”; ჩილ “მძივი”; იჩ “თვითონ”; იჩი “თავისი”; ირიზ “ბილიკი”...

ო “ბალახი”; ოხ “სავარცხელი”; ოჟ “ძირი”, ფსკერი”; გონ “ფერი”; თოგ “ფასი”; კოჯ (ვართ.) || ქოჟ (ნიჯ.) “სახლი”; ხოდ “ხე”; ხო “ცვარი”; ხ^ალ “ცური”; ბოჟ “ცომი”...

უნ (ვართ.) || ჰუნ (ნიჯ.) “შენ”; უჰ “მდინარე”; უჰ^ა “ექვსი”; უპ “გული”; უჟ^ა “კაკალი”; მუჰ “ფრჩხილი”; მუჰ^ა “მხიარული”; ჰუმ “სარეველა”; მურ “ღერძი”; ზუ “მე”...

პალატალიზებული (უმლაუტიანი) ხმოვნები

უდიურ ენას სამი უმლაუტიანი ხმოვანი (ჰ, ტ, ჟ) მოეპოვება. პალატალიზებული ხმოვნები დასტურდება ძირითადად ნასესხებ (როგორც წესი – აზერბაიჯანულიდან) სიტყვებში, თუმცა ეს ხმოვნები საკუთარ ლექსიკაშიც აღინიშნება. ეს ხმოვნები გვხვდება ყველანაირ პოზიციაში, მაგ., ზგრჰმ “თუ”, “თუკი”; ჰზ “სოფელი”; ჰელ “ბავშვი”; ქჰლზ “ქალაქი”; ჰრქლ “ხვალი”; ღლ “მამიდა”...

რვლდ “გვარი”, “გენი”, “წარმოშობა”; ჰმჰგ “ძარღვი”; ტქჰზ “ტყუპი”; გრლზ “ბევრი”; გრმიჰ “კამეჩი”; გრგ “ცა”...

ჟთჟ “უთო”; ჟსჟნ “მალე”; ჟრჟმჟრჟმ “ბინდ-ბუნდი”; ჰრჟგ “ჭერამი”; გჟრჯი “ქართველი”...

აღსანიშნავია, რომ ნიჯურში ჰ ბგერა ზოგჯერ ვართაშნულში მარტივ ა ბგერას შეესატყვისება, მაგ., ჰმ (ნიჯ.) – ამ (ვართ.) “საქმე”. ტ და ჟ ბგერები კი ნიჯურში, პირიქით, განიცდის გამარტივებას ანუ კარგავს უმლაუტობას და ე (< ტ) და ი (< ჟ) ბგერებში გადადის, მაგ., გრლზ (ვართ.) – გელუ (ნიჯ.) “ბევრი”; ჰრჟგ (ვართ.) – ჰრიგ (ნიჯ.) “ჭერამი”... პალატალობის დაკარგვის პროცესი ამჟამად ვართაშნულ კილოშიცაა ხელშესახები; ამის გამო შეინიშნება მარტივ და პალატალიზებულ ბგერათა ხშირი მონაცვლეობა, მაგ., ჰელ – ჰელ “ბავშვი”; გრმჟმ – გრმიჰ “კამეჩი” და ა.შ.

ეგვ. ჯეირანიშვილის აზრით, პალატალიზებული ხმოვნები უდიურში ფონემის სტატუსით არ არიან აღჭურვილნი (ჯეირანიშვილი 1971 : 11). შეუძლებელია დავეთანხმოთ აღნიშნულ მოსაზრებას – მიუხედავად იმისა, რომ პალატალიზებული ხმოვნების წარმოქმნა უდიურში უცხოენოვანი გავლენის შედეგი უნდა იყოს, მაინც მივიჩნევთ, რომ სინქრონულ დონეზე პალატალიზებული ხმოვნები ფონემებს წარმოადგენენ. ამის შესახებ შემდეგი ფაქტები მეტყველებს:

ეს ბგერები არტიკულაციურად წმინდა ხმოვნებს წარმოადგენენ;

პალატალიზებული ხმოვნები არ არიან პოზიციურად შეპირობებულნი – ისინი ყველანაირ პოზიციაში გვხვდება (ანლაუტში, ინლაუტსა თუ აუსლაუტში);

აღსანიშნავია მათი სიჭარბე უდიური ენის თანამედროვე ლექსიკურ ფონდში;

დღეს უდიურში პალატალიზებულ ხმოვნებს მოეპოვებათ მნიშვნელობის განმასხვავებელი (დისტინქციური) ფუნქცია, მაგ.:

ბლა “შვილი”, “ბოკვერი”, “ბარტყი” – ბლლ “თავსატყეხი”, “პრობლემა”;

ქლა “დიდი”, “უფროსი” – ქლლ “თავის ქალა”, “კეფა”;

ქლამ “ქალამანი” – ქლჰმ “კომბოსტო”;

ჩაჟ “დაორთქლილი”, “სოკოთი დაავადებული” – ჩჰჟ “ელამი”;

ღუგუნ “კოჟური”, “სიმსივნე”, “გამაგრება” – ღუგუნ “კვანძი”;

ქურ “ორმო”, “ქვაბული” – ქურ “ცელქი”, “შეუპოვარი”...

გ ბგერა

გ ბგერა დასტურდება უდიური ენის ორსავე კილოში, თუმცა ფონემის სტატუსი მას მხოლოდ ნიჯურ კილოში მოეპოვება. ეს ბგერა ჩვეულებრივ გვხვდება ნასესხებ სიტყვებში (ძირითადად – აზერბაიჯანულიდან), თუმცა ნიჯურ კილოში იგი საკუთარ მასალაშიც დასტურდება (მათ შორის – მორფოლოგიურ ელემენტებშიც).

ნიჯურში დადასტურებული **გ** ხმოვანი ვართაშნულში ხშირად შეესატყვისება სრულ (მარტივ) ხმოვანს (**უ, ი ან ე** ბგერებს). ამ ბგერათშესატყვისობათა შემთხვევაში, **გ** ნიჯურში ზემოაღნიშნულ ხმოვანთა რედუქციის შედეგად უნდა იყოს მიღებული, მაგ., ალუნ (ვართ.) – ალუნ (ნიჯ.) “ზემო”; ესბესუნ (ვართ.) – ესბესუნ (ნიჯ.) “ხვნი”; აჰამინ (ვართ.) – აჰამუნ (ნიჯ.) “ნახვამდის”...

დიფთონგები

უდიურში დასტურდება როგორც აღმაგალი, ისე დაღმაგალი დიფთონგები: **აა, აბ, აე, აი, აო, აუ; აა, აბ, აე, აი, აო, აუ**. აღმაგალი დიფთონგები (**აა, აბ, აე, აი, აო, აუ**) უფრო ხშირად ნასესხებ სიტყვებში გვხვდება, თუმცა საკუთარ ლექსიკაშიც მოიპოვება, მაგ., აან “ჩვენ”; ააყ “გზა”; აუნა “სიძე”; აეთიმ “ობოლი”; აიგ “მტკაველი”; აოლლამ “ამხანაგი”, “მეგობარი”; აორღან “საბანი”, “თავშესაფარი”; აუ “რბილი”; აუმბურ “მუშტი”...

დაღმაგალი დიფთონგები (**აა, აბ, აე, აი, აო, აუ**), როგორც წესი, ვითარდება მორფემათა მიჯნაზე, მაგ., ბანექსა-ა “იყო”, “იარსება”; ბენე-ა “გააკეთა” (ადრე, წინარეწარსულში); ბუზუ-ა “ვიყავი” (-ა ნამყოს მაწარმოებელია); ნანა-ა “დედისა” (გენიტივი)...

ხშირად დაღმაგალ დიფთონგებად ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტები გვევლინება: **აა, აა, აა, აა**; მაგ., ჩურ-აა “ძროხისა”; მეზნ-აა “ნამგლისა”; ვან-აა “ადგილისა”; ვიზ-აა “ძმისა”; ვიზიმლ-აა “ძმებისა”; ხორხ-აა “ძაღლისა”...

უდიურში ზოგჯერ ფუძისეული დაღმაგალი დიფთონგებიც გვხვდება, მაგ., ვუა “ცხრა”; ბუა “სავსე”; ვაა “ღია”; ვაა “სიტყვა”; ვეერი “სხვა”...

იი დიფთონგი ვართაშნულში თითქმის არ მოიპოვება, ხოლო ნიჯურ კილოში იგი ხშირად გვხვდება. მაგ.: ბაჰაინიი “რომ არსებუდიყო”; “რომ ყოფიდიყო”, “რომ გამხდარიყო”; ბიინიი “რომ გაეკეთებინა”... **იი** დიფთონგი ნიჯურში კონტრაფაქტივისა (-იი) და II (შედგობითი) პერფექტის (-იილ) მაწარმოებლად გვევლინება.

ვართაშნულთან შედარებით ნიჯურში უფრო გავრცელებულია როგორც აღმაგალი, ისე დაღმაგალი დიფთონგები. ეს გამოწვეულია იმით, რომ სიტყვის აბსოლუტურ ანლაუტსა და აუსლაუტში ნიჯურში ხმოვანთან ვითარდება **ა**. ნიჯური, აგრეთვე ვერ ეგუება ჰიატუსს. ასეთ შემთხვევაში ინტერგოკალურ პოზიციაში ვითარდება **ა** ბგერა; შდრ.:
ვართ. ეყ “ხორცი”; ტალა-მალა “იქით-აქეთ”; ხა-ენ “ძაღლმა”.
ნიჯ. აეჰ “id”; თალა-მალა “id”; ხა-ა-ენ “id”...

ე.წ. ფარინგალიზებულ ხმოვანთა საკითხი

უდიური ენის მეცნიერული შესწავლის პირველი ცდებიდან (XIX ს-ის მეორე ნახევარი) მოყოლებული თითქმის ყველა სპეციალისტი, მარტივი და პალატალიზებული ხმოვნების გარდა, უდიურში მესამე რიგის ხმოვნებსაც გამოყოფს. უდიურში სამ ასეთ ხმოვანს (ა, ო, უ) იმოწმებს ამ ენის პირველი მკვლევარი ა. შიფნერი. იგივე სურათი გვხვდება ა. დირის ნაშრომებში უდიურის შესახებ.¹ ეს სამი ხმოვანი ასევე წარმოდგენილია უდიურ ზღაპარში “რუსტამ”, ხოლო “უდიური ოთხთავის” ტექსტში მესამე რიგის უკვე ხუთი ხმოვანი გვაქვს (ა, ე, ი, ო, უ); ასეთივე ვითარება დასტურდება უდიურ საანბანო წიგნშიც (“სამჯი დას”).² ვლ. ფანჩვიძისა და ევგ. ჯეირანიშვილის ნაშრომებში უდიურის შესახებ ისევ ის ხუთი ხმოვანი მოგვეპოვება, რომელიც უკვე ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრულია როგორც ფარინგალიზებული. ვ. გუკასიანი ნიჯის დიალექტში მათ რიცხვს 2-ს უმატებს. ფარინგალიზებულ ხმოვნებს უდიურ მასალაში ა. ჰარისი და ზოგი სხვა მკვლევარიც აღნიშნავს.

გარკვევას მოითხოვს თვით ფარინგალიზებული ხმოვნების რაობის საკითხი. ფარინგალიზაციის მიზეზთა შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში განსხვავებული მოსაზრებები გამოითქვა. ევგ. ჯეირანიშვილმა რუთულურის, წახურისა და უდიურის ფარინგალიზებულების საკითხს მიუძღვნა სპეციალური წერილი (ჯეირანიშვილი 1959 : 339-359), სადაც რენტგენოგრაფიულ მონაცემთა საფუძველზე მიიჩნია, რომ ამ

¹ როგორც ა. შიფნერთან, ისევე ა. დირთან სხვაგვარად არის წარმოდგენილი ამ ხმოვანთა ბუნება.

ა. შიფნერი აღნიშნავს: “ნემთვის ხელმისაწვდომი წყაროები ამ ხმოვანთა უფრო რბილ წარმოთქმას ადასტურებენ ... ა წარმოითქმის თითქმის როგორც a ფრანგულ la-ში, o როგორც eu heure სიტყვაში და u როგორც u სიტყვაში une” (შიფნერი 1863 : 9).

ა. დირის განსაზღვრით: “ა, ბ-სა და ყ-ს უჭირავთ საშუალო ადგილი. პირველს a-სა და ä-ს შორის, მეორეს ო-სა და ö-ს შორის, მესამეს y-სა და ŷ-ს შორის” (დირი 1904 : 1).

მიუხედავად იმისა, რომ ა. დირი აღნიშნავს, “მეჩვენებოდა, რომ ä, ბ-სა და ყ-ს (განსაკუთრებით ბ-სა და ყ-ს) ყოველთვის თან სდევს ძალიან სუსტი ხორხისმიერი ხმა (დირი 1904 : 1), მაინც საფიქრებელია, რომ ა. დირი ფარინგალიზაციას უდიურში ხმოვნის სუბმენტურ თვისებად არ განიხილავს, არამედ კონკრეტულ სპეციფიკურ თანხმოვანს მიაწერს. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ თანხმოვანთა ტაბულაში ა. დირს მოყვანილი აქვს ბგერა, რომელიც, მკვლევრის დახასიათებით, “არის არაბული ო-ს (ჰამზე) მსგავსი მსუბუქი ხორხისმიერი ბგერა; ის არამარტო სიტყვის დასაწყისში გვხვდება, არამედ სიტყვის შიგნითაც და, ამ შემთხვევაში, აძლევს მომდევნო ხმოვანს უფრო ხორხისმიერ ხასიათს, მაგ., м’ел “თავი”, м’аин “შავი”, п’а “ორი” (დირი 1904 : 2-3).

აქედან გამომდინარე, საფიქრებელია, რომ როგორც ა. შიფნერი, ისე ა. დირი უდიურში ფარინგალიზებული ხმოვნების არსებობას კი არ ვარაუდობდნენ, არამედ პოზიციურად შეპირობებულ ხმოვანთა ჯგუფს გულისხმობდნენ, რომელიც მარტივი და პალატალიზებული ხმოვნებისაგან განსხვავდებოდა.

² უდიურ საანბანო-საკითხავ წიგნში ფარინგალიზაციის აღნიშვნის პრინციპი გარკვევას საჭიროებს. ფარინგალიზაცია ამ სახელმძღვანელოში გადმოიცემა **h** ნიშნის მეშვეობით, რომელიც სხვადასხვა ხმოვანთან ქმნის კომპლექსებს: **ha, he, hi, ho, hu**. კ. ბოუდას აზრით, “ახალი “საანბანო-წიგნი” აღნიშნავს ემფატიკურად დარბილებულ თანხმოვნებს ... ლარინგალურობის ნიშნით, რასაც ჩვენ ა ნიშნით გადმოვცემთ” (ბოუდა 1913 : 61).

ამ მოსაზრებას არ დაეთანხმა ვლ. ფანჩვიძე. მისი აზრით, **h** ნიშანი ხმოვნის კუთვნილებას წარმოადგენს და არა დამოუკიდებელ თანხმოვანს (ფანჩვიძე 1974 : 22).

ენებში ფარინგალიზაცია ხმოვნის თვისებაა და არა თანხმოვნისა. მკვლევარი წახურსა და რუთულურში ექვს ფარინგალიზებულ ხმოვანს გამოყოფს (ა, ე, ი, ო, უ, ზ), ხოლო უდიურში, როგორც ზემოთ აღინიშნა, – ხუთს (ა, ე, ი, ო, უ). ბ. თალიბოვი წახურში მხოლოდ ოთხ “გლოტალიზებულს” (resp. ფარინგალიზებულს) იმოწმებს (ა, ი, ო, უ – თალიბოვი 1967 : 592). დიდოურში, ჰინუხურსა და ხვარშიული ენის ინსოყვარულ დიალექტში ევგ. ბოკარევი ფარინგალიზებული ხმოვნების არსებობას აღნიშნავს (ბოკარევი 1967 : 422), თუმცა დ. იმნაიშვილი დიდოურსა (ღ, ხ, ჳ, ყ) და ხვარშიული ენის ინსოყვარულ დიალექტში (გ, ქ, კ, ჰ) ფარინგალიზებულ თანხმოვნებს იმოწმებს (იმნაიშვილი 1963). ევგ. ბოკარევის აზრს ელ. ლომთაძეც არ იზიარებს. როგორც მკვლევარს მიაჩნია, ხვარშიული ენის ინსოყვარულ დიალექტში ფარინგალური (ჟ, ჰ) და “ქვემოფარინგალური” (ჭ, ყ, ღ) თანხმოვნები მოგვეპოვება (ლომთაძე 1998 : 25). ნ. ტრუბეცკოი ხმოვანთა ფარინგალიზაციის მიზეზს “ემფატიკურად დარბილებულ” თანხმოვნებს მიაწერს (ტრუბეცკოი 1931). ამ მოსაზრებას ალ. მაჰომეტოვი იზიარებს და დარგუული ენის კუბაჩურ დიალექტსა და თაბასარანულ ენაში ფარინგალიზებული თანხმოვნებს აღნიშნავს (მაჰომეტოვი 1963; 1965). საყურადღებოა, რომ თაბასარანულ ენაში ალ. მაჰომეტოვი ფარინგალიზებულ თანხმოვნებთან ერთად ფარინგალიზებულ ხმოვნებზეც მიუთითებს. მკვლევრის აზრით, ფარინგალიზაცია ჩვეულებრივ მოუდის უკანაენისმიერ თანხმოვნებს (უფულარულებს), ხოლო ხმოვანთაგან, ასევე უკანა რიგის ხმოვნებს (ა, უ). შესაბამისად, თაბასარანულში, როგორც ა. მაჰომეტოვს მიაჩნია, ხშირად ფარინგალიზებული მარცვალეც გვხვდება (მაჰომეტოვი 1965 : 49-51).

უნდა აღინიშნოს, რომ ფარინგალიზაციისათვის დამახასიათებელი არტიკულაციის თავისებურებები ერთნაირად წარმოუდგენიათ იმ მკვლევრებს, ვინც ფარინგალიზებულ ხმოვნებს ფონემებად მიიჩნევს და იმათაც, ვინც ფარინგალიზებულ თანხმოვნებს იმოწმებს.

სრულიად განსხვავებული მოსაზრება გამოთქვა გ. დეეტერსმა. მკვლევრის აზრით, ფარინგალიზაცია ისეთი პროცესია, რომელიც ახასიათებს არა ცალკეულ ფონემას (თანხმოვანსა თუ ხმოვანს), არამედ იგი, ინტონაციის მსგავსად, ვრცელდება მარცვალზე ანდა მთელ სიტყვაზე (დეეტერსი 1963 : 33)¹. ამ მოსაზრებას დაეთანხმა არნ. ჩიქობავა (ჩიქობავა 1979 : 62) და ზოგიერთი სხვა მკვლევარიც.

ს. კოძასოვმა უდიური ენის ფონოლოგიური სისტემის შესწავლის შემდეგ

¹ საყურადღებოა, რომ გ. დეეტერსი იმის საილუსტრაციოდ, რომ ფარინგალიზაცია არ არის ოდენ ხმოვნის თვისება, შენიშნავს: ჩრდილო-კავკასიურ ენებში “ფარინგალიზებული ხმოვნები” სისინა თანხმოვნების შემდეგ არ გვხვდება (ანუ, მკვლევრის აზრით, შეუძლებელია იმ მარცვლის ფარინგალიზაცია, სადაც სისინა თანხმოვანი გვაქვს). ამ მოსაზრებასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ უდიურ ენაში სისინა თანხმოვანიც ფარინგალიზაციას განიცდის და მის მარცვალზე შეიძლება ფარინგალიზაციის მაქსიმუმიც მოდიოდეს (ანლაუტში), მაგ., ცაყ “ელვა”; ცაყნაბეღლა[ყ] “მაჟაურა”; წიყ//წიხ//ციყ “ციყვი”; წოღ [აღაღა] “თავსხმა წვიმა”, საში “ტაბიკი”, სახტიკ “კოჭლი”; ცაშღესუნ “დასუსხვა”, დაშუშხვა; წაწღაღულ “წაბლი”; წაწღესუნ “წურბელები”; წაწღესუნ “ტაშის ცემა”; წილაძურ “მხალი”...

მიიჩნია, რომ უდიურში ფარინგალიზაცია პროსოდის თვისებას წარმოადგენს და მთელ სიტყვაზე ვრცელდება. ს. კოძასოვის აზრით, ფარინგალიზაციის პიკი მოდის საწყის ხმოვანზე, ხოლო თუ სიტყვაში გვხვდება შიშინა ან უგულარული თანხმოვანი, მაშინ ფარინგალიზაციის მაქსიმუმი მას მოუდის (კიბრიკი, კოძასოვი 1990 : 347) (თუ სიტყვაში დასახელებულ თანხმოვანთაგან ორი ან მეტი გვხვდება, მაშინ ფარინგალიზაციის მაქსიმუმი პირველ მათგანზე მოდის – შენიშვნა ჩვენი).

ჩვენი დაკვირვებით, ეს მოსაზრება გასაზიარებელია. იმის შესახებ, რომ უდიურში ფარინგალიზაცია მთელ სიტყვაზე ვრცელდება, უდიურ მეტყველებზე უშუალო დაკვირვების გარდა, იმ სპეციალისტთა ჩანაწერებიც მეტყველებს, რომლებიც უდიურ ენაში ფარინგალიზებული ხმოვნების ფონემურობას ვარაუდობდნენ: ყურადღებას იქცევს ის, რომ დიდია იმ ორ ან მეტმარცვლიან ლექსემათა რიცხვი, სადაც, მკვლევართა ჩანაწერების მიხედვით, ყველა ხმოვანი ფარინგალიზებულია; მაგ.:¹ ახილ „შორეული“ (ახილ);² აძინ „საფუარი“ (აძინ); ალყო „დამუნჯებული“, „გაოგნებული“ (ალყო); ალმნა „ბროწეულის“ – ალმნა-ხოდ

¹ წარმოდგენილი მასალა ამოწერილია ვ. გუკასიანის უდიურ-აზერბაიჯანულ-რუსული ლექსიკონიდან (გუკასიანი 1974). ქვემოთ მოყვანილ ფორმათა უმრავლესობა ამდგარი სახით დასტურდება ვლ. ფანჩვიძისა და ევგ. ჯეირანიშვილის ნაშრომებში უდიურის შესახებ.

² ფრჩხილებში მოცემულია ჩვენი ტრანსკრიფცია. უდიურ მასალაში ფარინგალიზაციის აღნიშვნისას ძირითადად ს. კოძასოვის მიერ შემოთავაზებული პრინციპით ვხელმძვანვლობდით. ამ პრინციპის მიხედვით, თუ სიტყვაში არ არის შიშინა ან უგულარული თანხმოვანი, ფარინგალიზაციის აღმნიშვნელი ნიშანი დაერთვის საწყის ხმოვანს, ხოლო თუ გვაქვს ზემოთ დასახელებული თანხმოვნები, მაშინ ფარინგალიზაციის მაქსიმუმი სიტყვაში მოუდის საწყის მათგანს და ფარინგალიზაციის აღმნიშვნელი ნიშანი სწორედ ამ თანხმოვანს დაერთვის. ამრიგად, ფარინგალიზაციის აღმნიშვნელი ნიშანი დაერთვის შემდეგ ბგერებს: ა, ე, ი, ო, უ; ღ, ხ; ჳ, ყ; შესაბამისად, შესაძლებელია შემდეგი გრაფიკული კომბინაციები: ა, ე, ი, ო, უ; ღ, ხ; ჳ, ყ.

ჩვენ მიერ ოდენ ფარინგალიზაციის მაქსიმუმის აღნიშვნა იმთავითვე მთელი სიტყვის ფარინგალიზებულობას გულისხმობს; მაგ., სიტყვა პა „ორი“-ს ზუსტი ფონოლოგიური ტრანსკრიფციაა პა; სიტყვისა კეკე „მუხლი (ანატ.)“ – კეკეჟ; სიტყვისა ბეღ „მზე“ – ბეღ, ხოლო სიტყვისა ჭოჭა „წითელი“ – ჭოჭა. ასეთი სატრანსკრიფციო სისტემა, რომელიც მიზნად დაისახავდა ფარინგალიზებული სიტყვების ზუსტ აღნიშვნას, ბუნებრივია, ძალზე უხერხული და მიიმე იქნებოდა.

უნდა აღინიშნოს, რომ უდიურის შესახებ ქართულენოვან სამეცნიერო ლიტერატურაში (ვლ. ფანჩვიძე, ევგ. ჯეირანიშვილი და სხვა) ფარინგალიზებულ ხმოვნებს * დიაკრიტიკული ნიშანი აღნიშნავს, რომელიც ასევე თანხმოვნის ინტენსივობაზე მიგვითითებს. ჩვენ მიერ გამოყენებული სატრანსკრიფციო სისტემა კი მოითხოვს ფარინგალიზაციის აღმნიშვნელი ნიშნის გამოყენებას როგორც ხმოვნებთან, ისე თანხმოვნებთან. აქედან გამომდინარე, უდიურის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში ტრადიციულად გამოყენებული დიაკრიტიკული ნიშნის მიღება წარმოქმნიდა გაუგებრობას და გაართულებდა ფარინგალიზებული და ინტენსიური ბგერების (სხვა ლეზიურ და დაღესტნურ ენათა მასალაში – უდიურში ინტენსიურ თანხმოვნებს დისტინქციური ფუნქცია არ მოეპოვებათ) გარჩევას. ამის გამო ფარინგალიზაციის აღსანიშნავად * ნიშანს ვიყენებთ, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე გვხვდება ამ ფუნქციით (მ. ქურდიანი, ვლ. ლომთაძე, დ. იმნაიშვილი, ალ. მაჰომეტოვი და სხვა).

ფარინგალიზაციის აღნიშვნისას გარკვეულწილად მორფოლოგიურ პრინციპსაც ვითვალისწინებთ. მხედველობაში არ მიიღება არაფუძისეული შიშინა და უგულარული თანხმოვნები ანუ თუ სიტყვაში ფუძის გარეთ მოგვეპოვება რომელიმე მათგანი, ასეთ შემთხვევაში – ფარინგალიზაციის აღმნიშვნელი დიაკრიტიკა მაინც ფუძის პირველ ხმოვანს დაერთვის. ასევე, ჩვენი დაკვირვებით, პირის ნიშნები ხელს უშლის ფარინგალიზაციის გავრცობას, მაგ., უღ-ეს „სმა“; უ-ნე-ღ-ესა „სვამს“ (-ნე- – 35G). ფონოლოგიური თვალსაზრისით უფრო უპრიანი იქნებოდა ეს სიტყვა ასეთი ფორმით გადმოგვეცა: უნელესა; თუმცა აქაც და მსგავს მაგალითებშიც ფუძე ერთი და იგივე სახითაა მოცემული.

„ბროწეულის ხე“ (აღმნა); ბავუყ „დაფშენილი“, „დაფხენილი“ (ბავუყ); ბავუყეს
 „დაფშენა“, „დაფხენა“ (ბავუყეს); ბეინყ „სიბნელი“, „ბნელი“ (ბეინყ); ბეხი „გასიებული“
 (ბეხი); ბილი || ბილი (ნიჯ.) „მძიმე“ (ბილი || ბილი); ბილი || ბილი (ნიჯ.) „შუა“,
 „შუათანა“ (ბილი || ბილი); ბილი „ორი ფუტი“ (წონის ერთ.) (ბილი); გუგელ „ბუ“
 (გუგელ); დანყულ „მოთენთილი“ (დანყულ); დილილი „გაჩახხვა“, „გაჩახხული“
 (დილილი); დილილი/დილილი „ჩინური ფანარი“ (მცენარე) (დილილი/დილილი); დილილი
 „წყვილი აბრეშუმის პარკი“ (დილილი); ექენ „მხედარი“ (ექენ); თონან (ვართ.) „ლეღვი“
 (თონან); იველი „წმინდა“, სიწმინდე“ (იველი); ივან „პირი“ (ივან); კეკე || კეკე „მუხლი“
 (კეკე || კეკე); კანკალ „მუჭა“, „გუნდა“ (კანკალ); კანკალენ-ბექს „გუნდად გადაქცევა“
 (კანკალენ-ბექს); ლილი (ნიჯ.) „მღერი“ (ლილი); ლილი „წერი“ (ლილი); მაინ ||
 მაინ (ნიჯ.) „შავი“ (მაინ || მაინ); მაინი || მაინი (ნიჯ.) „სულ შავი“ (მაინი||
 მაინი); მაინ „მუჭა“, „ხელის გული“ (მაინ); მექელი „ჭია (საქონლის)“ (მექელი); მუყა
 „რქა“ (მუყა); მუყალი „რქიანი“ (მუყალი); მუყა „ვახში“ (მუყა); მუყალი „სამტკრევი
 დაფა“ (მუყალი); მუყა „სიძე“ (მუყა); მუყალი (ვართ.) „ფიცარი (თხელი)“ (მუყალი);
 ნანალი (ვართ.) „ცეხვილი ფქვილის ცომი“ (ნანალი); ნეინ „მსხვერპლი“, „მონა“,
 „მოსამსახურე“ (ნეინ); ნეინი „სულ ყვითელი“ (ნეინი); ნეინ „ტირილი“ (ნეინ);
 ნეინი/ნეინი „ძვალი“ (ნეინი/ნეინი); ნეინი „ნადირობა“ (ნეინი); ნეინი „მაწონი“
 (ნეინი); პილილი „ორღულიანი (თოფი)“ (პილილი); პილილი „მოღუნვა“ (პილილი); პილილი
 „ხობვა“ (პილილი); პილილი „ქვერცხის ნაჭუჭი“ (პილილი); პილილი-პილილი (ნიჯ.) „ორ-ორი“
 (პილილი-პილილი); სანანი „ერთნახევარი“ (სანანი); ტილილი (ნიჯ.) „ველური ბროწეული“
 (ტილილი); ტილილი „ახლოს“, „თან“, „კენ“ (ტილილი); უნილი „კაკლის“ – უნილი-ხოდ
 „კაკლის ხე“ (უნილი); უნილი „ექვსნახევარი“ (უნილი); ფილილი „ცეცხლის დანთება“
 (ფილილი); ლილი „ყვავი“ (ლილი); ლილი „წვილი“ (ლილი); ლილი „ბუჩქი“ (ლილი);
 ლილი „ხობვა“ (ლილი); ლილი „მინდორი“, „სავარგული“ (ლილი); ლილი „ხარი“,
 „მაჩიტა (ყვავილი)“ (ვართ.), „მეფე“, „თავადი“ (ნიჯ.) (ლილი); ლილი „პატარა თიხის
 დილი“ (ლილი); ლილი „დახლობა“ (ლილი); ლილი „კუ“ (ლილი); ლილი „ბოდი“ (ლილი);
 ლილი „ბლაგი“, „გაუღესავი“ (ლილი); ლილი (ვართ.) „კამა“ (ლილი); ლილი
 „კაცი გადმოკარკული თვალებით“ (ლილი); ლილი „ყვირილი“, „ბლაგილი“ (ლილი);
 ლილი „სუსტი“, „ავადმყოფი“ (ლილი); ლილი || ლილი (ნიჯ.) „ბუ“ (ლილი); ლილი
 „წიწიბურას ნათესი“ (ლილი); ლილი (ნიჯ.) „უხარო“, „უქნარა“ (ლილი); ლილი
 „არასრული“, „არასაკმარისი“ (ლილი)... ასეთი მაგალითების ჩამოთვლა კიდევ
 შეიძლება. უნდა აღინიშნოს, რომ მკვლევართა ჩანაწერებში იშვიათად შეგვხვდება
 ისეთი ორ ან მეტმარცვლიანი სიტყვა, რომელშიც ოდენ ერთი ფარინგალიზებული
 ხმოვანი იქნება აღნიშნული, არამედ, როგორც წესი, ყველა ხმოვანი იქნება
 მიჩნეული ფარინგალიზებულად, რაც იმის მანიშნებელია, რომ ფარინგალიზაცია

უდიურში მთელ სიტყვაზე ვრცელდება.

საყურადღებოა, რომ უდიურში, მკვლევართა ჩანაწერების მიხედვით, აფიქსებში არ დასტურდება ფარინგალიზებული ხმოვნები, არამედ გვაქვს მხოლოდ მარტივი და ფარინგალიზებული ხმოვნების მონაცვლეობის შემთხვევები. ეს, ბუნებრივია, არ მეტყველებს ფარინგალიზებულ ხმოვანთა ფონემურობის სასარგებლოდ უდიურ ენაში. აღნიშნული ვითარება უნდა იყოს გამოწვეული იმით, რომ ფარინგალიზაციის მაქსიმუმი უდიურში, როგორც უკვე ითქვა, სიტყვაში საწყის ხმოვანსა ანდა საწყის უფულარულ ან შიშინა თანხმოვანს მოუდის, ხოლო, თავის მხრივ, პრეფიქსაცია უდიურ ენაში თითქმის მოშლილია (რელიქტის სახით მხოლოდ მოძრაობის აღმნიშვნელი ზმნების ერთ-ერთ ჯგუფშია შემორჩენილი). მარტივი და ფარინგალიზებული ხმოვნების მონაცვლეობას სხვადასხვა აფიქსებში იმოწმებენ. ფარინგალიზებული ხმოვნები, სპეციალისტთა ჩანაწერებში, აღნიშნულია ისეთ სიტყვაწარმოებით ელემენტებსა თუ აფიქსებში, ცალკე აღებულს რომ ფარინგალიზაცია არ ახასიათებს, მაგ: აქ-ეს „შეჯიბრება (დოღში, სირბილში)“, „დოღი“ (აქ-ეს); ავ-ეს „ჩხუბი“, „ბრძოლა“ (ავ-ეს); ალ-ეს „ახვევა“, „გადახლართვა“ (ალ-ეს); ბავუყ-ეს „დაფშენა“, „დაფხენა“ (ბავუყ-ეს); ებ-ეს „კერვა“ (ებ-ეს); ლალ-ეს „გავლება“ (ლალ-ეს); ფაყ-ეს „მოხარშვა (ორთქლზე)“ (ფაყ-ეს); ქალ-ეს „ტრიალი“, „მოპარვა“ (ქალ-ეს); ქაფ-ეს „დაწოლა“, „ტყუილის გამოაშკარავება“ (ქაფ-ეს); ქუყ-ეს „გაძარცვა“, „ჩამოხვევა“, „დაფშენა“ (ქუყ-ეს)... -ეს მარტივმაწარმოებლიანი მასდარის (მასდარი I) მაწარმოებელი აფიქსია და მას ფარინგალიზაცია არ ახასიათებს, შდრ. ბაქ-ეს „ყოფა“, „არსებობა“, „გახდომა“, „შეძლება“; ბ-ეს „კეთება“...

ფაყ-ი „მოხარშული“ (ფაყ-ი); ქაწ-ი „უხასიათო“, „მოურჩენელი“ (ქაწ-ი); ბეზ-ი „გასიებული“ (ბეზ-ი); ბილ-ი || ბელ-ელ (ნიჯ.) „მძიმე“ (ბილ-ი || ბელ-ელ); ულ-ალ „მსმელი“ (ულ-ალ); ლალ-ალ „აწევილი“ (ლალ-ალ)... -ი და -ალ მიმღეობის მაწარმოებელი აფიქსებია, შდრ. ბაქ-ი „მყოფი“, „არსებული“... ბ-ი „ნაკეთები“; ბ-ალ „მკეთებელი“; უქ-ალ „მჭამელი“ და ა.შ.

იქ „თოვლი“ (ნიჯ.: ექ „id“) > იქ-ენ „ზამთარი“, „თოვლიანი (ნიჯ.)“ (იქ-ენ);¹ ექ-ენ „მხედარი“ (ექ-ენ), შდრ. ექ „ცხენი“; ქამ „განავალი“, „გამონადენი“ > ქამ-ენ „ჭუჭყიანი“ (ქამ-ენ)... -ენ ამ სიტყვებში დერივაციულ სუფიქსს წარმოადგენს, რომელიც წარმოშობით ერგატივ-ინსტრუმენტალისის ფორმანტია, შდრ. უს-ენ „წელიწადი“, ტამ-ენ „გემრიელი“...

ალამ-ნ-ა „ბროწეულის“ (ალამ-ნ-ა; ალამნ-ნ-ხოდ „ბროწეულის ხე“); უყ-ნ-ა „კაკლის“ (უყ-ნ-ა; უყნ-ნ-ხოდ „კაკლის ხე“); ხამ-ლ-ე „წიწიბურას ნათესი“ (ხამ-ლ-ე); ავ-უნ „ახო“, „ყამირი“ (ავ-უნ)... -ა (< -აე), -ოე და -უნ დერივაციული სუფიქსებია, წარმოშობით გენტივის ფორმანტებია, შდრ. ბიტ-უნ „ნათესი“; კაჭკ-უნ „კევი“...

ულ-ულ „სახურავზე“, „სახურავში“ (ულ-ულ)... -ულ სუპერესივის ერთ-ერთი

¹ ვლ. ფანჩიძე, ევგ. ჯიორანიშვილი; ვ. გუკასიანთან არის: იქ-ა; ექ-ა; იქ-ა-ენ (გუკასიანი 1974: 129).

მაწარმოებელია, მაგ., გა-ნ-ულ „ადგილზე“, „ადგილში“; ხოლ-დ-ულ „ხეზე“...

ვან-ანაქ (ნიჯ.) „თქვენთვის“ (ვან-ანაქ)... **ანაქ** ნიჯურში ბენეფაქტივის ნიშანს წარმოადგენს, მაგ., ზა-ანაქ „ჩემთვის“; ვა-ანაქ „შენთვის“; და-ანაქ „ჩვენთვის“...

ალყ-ო „დამუნჯებული“, „გაოგნებული“ (ალყ-ო)... -ო ელემენტი ე. წ. მასუბსტანტივებელ სუფიქსს წარმოადგენს, შდრ. ბალ-ო “მკეთებელი”; ბაქალ-ო “მყოფი”, “არსებული”...

ბოვ-მ-ოდ „ცხვირი“ (ბოვ-მ-ოდ); ვოლ-ონ „ქვედა საცვალი“, „შარვალი“ (ვოლ-ონ) ... **-მ-ოდ** და **-ონ** მრავლობითი რიცხვის გაქვევებული აფიქსებია. Pluralia tantum-ის სახელების გაქვევებული ელემენტი, როგორც წესი, არაფარინგალიზებული სახით გვხვდება, მაგ., ბიხ-ონ/ბიხაჯ-ოდ (ვართ.) „ღმერთი“, „უხენაესი“; ელ-მ-უხ „სული“, „საფშვინველი“...

ულ-ნუთ „უსახურავო“, „სახურავის გარეშე“ (ულ-ნუთ)... **-ნუთ** უდიურში უარყოფითი ნაწილაკია, რომელიც, ცალკე აღებული არაფარინგალიზებულია, მაგ., ბულ-ნუთ „უთავო“, ქულ-ნუთ „უხელო“; კოჯ-მეც-ნუთ „უსახლკარო“...

მუყ-ლ „რქიანი“ (მუყ-ალ), შდრ. მუყ „რქა“ (მუყ-ა); დანყ-ლ „მოთენთილი“ (დანყ-ულ)... **-ლა** ზედსართვი სახელების მაწარმოებელია.

ყალ-იქ „პატარა თიხის დოქი“ (ყალ-იქ)... **-იქ** (< **-იკ**) ელემენტი უდიურში კნინობით სახელებს აწარმოებს.

ხალ-ლუდ „ძაღლის ქცევები“ (ხალ-ლუდ)... **-ლუდ** გავრცელებული დერივაციული აფიქსია, რომელსაც ცალკე აღებულს ფარინგალიზაცია არ ახასიათებს, მაგ., ვიხ-ლუდ „ძიობა“; დოსტ-ლუდ “მეგობრობა“; შელ-ლუდ “სიკეთე“...

ფარინგალიზებულ და მარტივ ვარიანტთა მონაცვლეობა აფიქსებსა და სიტყვაწარმოებით ელემენტებში, რომელიც მოყვანილი მაგალითებით არ ამოიწურება, იმას ადასტურებს, რომ ფარინგალიზაცია პროსოდის თვისებას წარმოადგენს. აფიქსები ზუსტად ის ერთეულებია, რომლებიც მორფოლოგიურად დაკავშირებულია ფუძესთან და ფარინგალიზაციას ამ ელემენტებში უდიურ ენაში განსაზღვრავს სწორედ ფუძის ფორმა.

სამეცნიერო ლიტერატურაში იყო არაერთი ცდა, რომ დამტკიცებულიყო ფარინგალიზებულ ხმოვანთა ფონემურობა¹. ჩვენი აზრით, უდიურში ზოგადად ფარინგალიზაციას აქვს დისტინქციური ფუნქცია (როგორც ზოგიერთ ენაში მახვილს) და არა რომელიმე ფარინგალიზებულ ბგერას – ხმოვანსა თუ თანხმოვანს.

ფარინგალიზაციის პროცესი ამა თუ იმ ფორმით დასტურდება ყველა

¹ მაგალითად, ევგ. ჯეირანიშვილმა მოიყვანა შემდეგი მინიმალური წყვილები: მა „ტვინი“ – მა „სად?“, ხა „ძაღლი“ (ხა) – ხა „მატყელი“, ხო „ცური“ (ხო) – ხო „ცვარი“, ქამ „ჭუჭყი“ („განავალი“, „გამონადენი“ – შენიშვნა ჩვენია) – ქამ „ნაკლები“ („არასაკმარისი“, „ნაკლები“ – შენიშვნა ჩვენია); მან „მუხა“, რკო (მან) – მან „სარი“, ტაპაკ „ბრტყელი“ (ტაპაკ) – ტაპაკ „ტაბაკი“, ვან „თქვენ“ (ვან) – ვან „შენ“, ოყ „უღელი“ (ოყ) – ოყ „ძირი“, ფსკერი; ყორ „თიაქარი“ (ყორ) – ყორ „ჭვარტლი“, უვ „ექვსი“ (უვ) – უვ „მდინარე“, მუვ „მხიარული“ (მუვ) – მუვ „ფრჩხილი“ (ჯეირანიშვილი 1971 : 11).

ლეზგიურ ენაში. ფარინგალიზაციის პროცესი ყველაზე მეტად ნიშანდობლივია რუთულური, წახური და უდიური ენებისათვის. იგი, აგრეთვე, საგრძნობია თაბასარანულში, აღულურში, არჩიულსა და ლეზგიური ენის დიალექტებში. ფარინგალიზაცია იშვიათია ე. წ. შაჰდაღის ენებში (კრიწული, ბუღუხური, ხინალუღური).

იმის მიუხედავად, რომ ფარინგალიზაციის პროცესი ლეზგიურ ენებში მკვლევართა მიერ უფრო ხშირად განიხილებოდა როგორც ხმოვნის სეგმენტური თვისება, არჩიულში, წახურსა და უდიურში ფარინგალიზაცია პროსოდის თვისებას წარმოადგენს, რუთულურში – ფარინგალიზებული თანხმოვნები გვაქვს, აღულურსა და თაბასარანულში, კილო-თქმათა მიხედვით, ფარინგალიზაციას შეიძლება ჰქონდეს როგორც სუპრასეგმენტური, ისე სეგმენტური გამოხატულება (ამასთან, თაბასარანულში ფარინგალიზებულ თანხმოვნებთან ერთად დასტურდება ფარინგალიზებული ხმოვნებიც), ხოლო ლეზგიურში ფარინგალიზაციის მიზეზია ჰ ხმოვანი, რომლის გვერდითაც ხდება უფულარულ თანხმოვანთა ფარინგალიზაცია.¹ კავკასიის ალბანურშიც იყო ფარინგალიზებული ბგერების აღმნიშვნელი ნიშნები და, როგორც ჩანს, მასშიც იგი პროსოდის თვისებას წარმოადგენდა.

ფარინგალიზებული ფონემები საერთოლეზგიური წინარეენის ფონოლოგიური სისტემისათვის იყო ნავარაუდები. ე. ბოკარევის აზრით, საერთოლეზგიურში ორი ფარინგალიზებული ხმოვანი აღდგება (*ა^ღ, *უ^ღ – ბოკარევი 1960; ბოკარევი 1981 : 85), ხოლო ს. სტაროსტინის მოსაზრებით, – ხუთი (*ა^ღ, *ჟ^ღ, *ე^ღ, *ი^ღ, *ო^ღ – სტაროსტინი 1975b). აღსანიშნავია, რომ ს. სტაროსტინი ფუძეენაში ფარინგალიზებულ თანხმოვნებსაც აღადგენს: *ვ^ღ, *ჰ^ღ, *წ^ღ, *ჭ^ღ, *ყ^ღ, *ყ^ღ, *ყ^ღ, *ყ^ღ, *ღ^ღ, *ზ^ღ, *ზ^ღ, *ზ^ღ, *ზ^ღ, *ზ^ღ, *ც^ღ, *ც^ღ, *ჭ^ღ (სტაროსტინი 1975a).

აღსანიშნავია, რომ თითქმის ყველა მაგალითი, რომელიც მოყვანილია ფუძეენაში ფარინგალიზებული ხმოვნების დასადასტურებლად, შეიცავს უფულარულ თანხმოვანს, რაც ეჭვქვეშ აყენებს ფარინგალიზაციის პროცესის კვალიფიკაციას საერთოლეზგიურში როგორც ხმოვანთა სეგმენტურ თვისებას. ასევე, თუ მიმოვიხილავთ ფარინგალიზებული თანხმოვნების პოსტულირებისთვის მოყვანილ ფორმულებს და ფარინგალიზაციის ელემენტს თუ გამოვრიცხავთ, მივიღებთ შესაბამისი სადა თანხმოვნების ფორმულებს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ფორმულები არამკაფიოა და არასისტემური.

ამის მიუხედავად, ფარინგალიზაცია, როგორც ჩანს, უკვე საერთოლეზგიური ქრონოლოგიური დონისათვის უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი. იმის გამო, რომ ვერ ეძებნება მკაფიო ფორმულები ფუძეენაში ფარინგალიზებული ხმოვნებისა თუ თანხმოვნების პოსტულირებისათვის, უნდა ვივარაუდოთ, რომ ფარინგალიზაცია საერთოლეზგიურში სუპრაგემენტურ პროცესს წარმოადგენდა, როგორც ეს არის დღეს ლეზგიურ ენა-კილოთა უმრავლესობაში. ფუძეენაში ფარინგალიზაციის პროცესის პოსტულირებისათვის გამოდგება მაგალითები, რომლებშიც ფარინგალიზაცია დასტურდება ორ ან სამ ერთეულში იმ ოთხიდან (არჩიული,

¹ შდრ.: კიბრიკი, კოძასოვი 1990 : 335-347.

უდიური, ხინალური, საერთოსამურული), რომელიც საერთოლექსიკური ფუძეების დაშლის შედეგად წარმოიქმნა და ხშირად შესატყვისი ლექსიკური ქვეჯგუფის გარეთაც ეძებნება: ლაკურში, დარგუულსა თუ დიდოურ ენებში, მაგ.:

„რკო“ (1), „მუსა“ (2) – ლეხზ. მელჷ (1), ხლუტ. მანჯ (1): თაბ. მანჯ (2), დიუბ. მანჯ: აღ., ბურშ. მანჯ კურ (2): რუთ. მანჯ (2): წახ. მოჯ (2), გილმ. მანჯა (2): კრიწ. მელ (2): უდ. მანჯ // მანჯ;

„კურდღელი“ – ლეხზ. ჯურ: თაბ. ღურ, დიუბ. ჯურ: აღ. შურ, ბურშ. შურ, ფიტ. ღურ, ბურკ. შურ, თფიდ. შურ: რუთ. ღურ: წახ. ღგურ, წახ. კილ. ჯგურ, გილმ. ღგურ: კრიწ. ჯურ: ბუდ. ჯურ: უდ., ვართ.-ზინ. ღურ; სხვ. დად.: დიდ. ჯან: ხვარშ. ჯე: დარგ. შარა;

„ტიკა“ – ლეხზ. ტულდ, ხლუტ. ტულდ „გველი“: თაბ. მალჯაჯ: დიუბ. მულჯაჯ: აღ. მალჯაჯ: ბურკ. მალჯაჯ: რუთ. მულჯაჯ: წახ. მჯაჯ: არჩ. მილინ-უ: ბუდ. მულჯაჯ: უდ. მჯაჯ;

„გხა“ – ლეხზ. რეჯ, რეჟი, ნუტ. რანჯ (მრ. რეჟერ), ხლუტ. რაჯ: თაბ. რანჯ, დიუბ. რანჯა: აღ. რანჯ, ბურკ. რეჯ: რუთ. რანჯ, რჯჯგ: წახ. მანჯ, მანჯინ: არჩ. რეჯ: კავკ.-აღბ. ლაჯ: უდ. მანჯ; სხვ. დად.: დარგ. ლაჯ „ბილიკი“;

„ორი“ – ლეხზ. ჯრე-დ: თაბ. ყრუ-ბ, დიუბ. ყრუ-ბ: აღ., ფიტ. ყრუ-დ, ბურშ. ყრუ-რ, ბურკ. ყად, თფიდ. ყრუ-დ: რუთ. ჯრე-დ: წახ., გილმ. ყრუ-ლან: არჩ. ჯრე: კრიწ. ჯრე-დ: ბუდ. ყა-ბ: კავკ.-აღბ. პა: უდ. ფა (< *ყრე);

„ასი“ – ლეხზ. ჟრე: თაბ. ჟარე, დიუბ. ჟარე: აღ. ბარშ, ბურშ. ჟარშ: რუთ. ჟრე: წახ., გილმ. ჟრე: არჩ. ბარშა: კავკ.-აღბ. ბარჯ: უდ. ბარჯ;

„ნახვა“ – თაბ. რა-ბ-ჯურ: დიუბ. ა-ბ-ჯურ: აღ., ბურშ. რანას: რუთ. გა-ბ-ჯურ „თვალთვალი“, „ყურება“: კრიწ. ი-ბ-ჯურ: ბუდ. ირეი, ბ-ბ-ჯური: კავკ.-აღბ. ბოჯესურ: უდ. ნიჯ. ბარა-მესურ „პოვნა“; სხვ. დად.: დარგ., ჩირად. -აჯ- „ნახვა“;

„წადება“ – ლეხზ. ჯრეზ „მოსვლა“: თაბ. ღრუზ „id“, ღრან, ღრუზ, აღურ, დიუბ. ჯრუზ, აჯრუზ: აღ. ბან: თფიდ. ჟრან: რუთ. ჯრულ „წასვლა“: წახ. პოლა (?): არჩ. ჯრეს: ბუდ. ჩარარ: კავკ.-აღბ. ჰელესურ „მოსვლა“: უდ. ელალ „მოსვლი“, ვართ.-ზინ. ე-სურ, ნიჯ. ე-სურ „მოსვლა“;

„შუა ნაწილი“ – ლეხზ. მურე „შუა ნაწილი“, „შუაწელი“: თაბ. მურე „შუაწელი“: ყანდ. მურე „ზურგი“: დიუბ. მურე „შუაწელი“: აღ. მურე „შუა ნაწილი“: ბურშ. მურე „ზურგი“: თფიდ. მურე „ზურგი“: ფიტ. მურე „შუა ნაწილი“: ბურკ. მურე „შუა ნაწილი“: რუთ. მურე „ზურგი“: წახ. მურე „ზურგი“: არჩ. ილ-და (< *მურე-და) „შუაში“: კრიწ. მურე „შუაწელი“, „ზურგი“: ბუდ. მურე-იჯ „ზურგი“: კავკ.-აღბ. ბურელ: უდ., ნიჯ. ბიდ // ბიდ „შუა ნაწილი“...

ფარინგალიზაციის პროცესს საერთოლექსიკური ფუძეებში ადასტურებს აგრეთვე ხმოვანთა პალატალიზაციის პროცესი, რომელიც ან ფარინგალიზაციის, ანდა ფარინგალიზაციის მოშლის შედეგად ვითარდება. შეიძლება მოყვანილ იქნას მაგალითები, რომლებშიც ხმოვანთა პალატალიზაციისთვის სხვა ფონოლოგიური პირობები არ ჩანს:

„მარილი“ – ლეხზ. ყელ (< *ყალ): თაბ. ყელ (< *ყალ): აღ. ყალ (< *ყალ): რუთ. ყალ: წახ. ყელ (< *ყაჷ): კრიწ., ბუდ. ყელ (< *ყალ): ხინ. ყალ (< *ყა): უდ. ელ (< *ყელ < *ყალ);

„წისქვილი“ – ლეზგ. რელჷ (< *რალჷ): თაბ. რაღინ: აღ. პრჷ: რუთ. რინ (< *რან): წახ. დოხაჷ: ხინ. ზონ: არჩ. დუხათ;

„კურდღელი“ – ლეზგ. ჯურ (< *ჯურ): თაბ. ღურ: აღ. ზურ: რუთ. ღურ: წახ. ღგე: კრიწ., ბუდ. ჯურ: ხინ. კიზ: უდ. ლუ;

„მზე“ – ლეზგ. რად (< *რად): თაბ. რიდ (< *რად): აღ. რად: რუთ. ჟირედ (< *ჟირად): წახ. ჟირიდ (< *ჟირად): კრიწ., ბუდ. ჟირად: ხინ. გნე: არჩ. ბარჷ: უდ., კავკ.-აღბ. ბელ (< *ბელ)...

საერთოლეზგიური ფუძეებიდან მომდინარე ფარინგალიზაციის გარდა, ლეზგიურ ენებში შეინიშნება მეორადი ფარინგალიზაციის პროცესი: ზოგიერთ შემთხვევაში ფარინგალიზაცია გვევლინება ერთგვარ საკომპენსაციო პროცესად, რომელიც გამომწვეულია უვულარულ ან ფარინგალურ თანხმოვანთა დაკარგვით ან სხვა კონსონანტებში გადასვლით. შევეცდებით, დავასაბუთოთ ეს მოსაზრება შემდეგი მაგალითებით:

უდ. ეშ: არჩ. ანშ: თაბ., დიუბ. ჟან ~ აღ. ჰან: ხუნძ. ზენ: ახვ. ზენ: დიდ. ზირუ: ლაკ. ჰირჷ: დარგ. ზინც „ვაშლი“;

უდ. აშ ~ არჩ. ჯუნ: ლეზგ. ჯუნ: თაბ. ლუნ: აღ. ლუნ: რუთ. ლუნ: ხუნძ. ლუჷ: ანდ. ლუჷ: ახვ. ლუნა: ლაკ. ჯან „მხარი“; შდრ. აგრეთვე: წახ. ლულზე „ბარი“;

რუთ. ჰაწულ ~ ლეზგ. ყეწილ: თაბ. ყაწილ: აღ. ყაწულ-ფ: წახ. წელურ: კრიწ. ყაწუნ: ბუდ. ყაწუნ: კავკ.-აღბ. აყაჭი, უდ. აყაჭი (შიფნერი 1863 : 4) „შიშველი“;

უდ. მილ // მელ ~ არჩ. ნოჷონ: ლეზგ. ყიფ: თაბ. ყულ: აღ. ცულ: რუთ. ყულ: წახ. ყოჷ: კრიწ. ყალ: ბუდ. ყულ: ხვარშ. აყჷე „თაგვი“;

უდ. (ვართ.) ნანე ~ ლეზგ. ნაე: თაბ. ნაე: აღ. ნაეჷ: რუთ. ნაეა: კრიწ. ნაე: ბუდ. ნაეა „გუშინ“;

უდ. ჟენ-ნ: კავკ.-აღბ. ჟენ-ნ ~ ლეზგ. ჯენ: თაბ. ლენ: აღ. ლენ „ქვა“; შდრ. აგრეთვე: არჩ. ჯენ: ხუნძ. ყონო „ქვის ფილა“...

სამეცნიერო ლიტერატურაში მსგავს მოვლენაზე აღუღურ ენაშიც მიუთითებენ (მაჰომეტოვი 1970 : 30)

ლიტერატურა

ბოკარევი 1960 : Бокарев Е. А., К реконструкции падежной системы пралезгинского языка. Вопросы грамматики. Москва-Ленинград.

ბოკარევი 1967 : Бокарев Е. А., Цезские (дидойские) языки Дагестана. Москва, 1959: 112; Бокарев Е. А., Хваршинский язык. Языки народов СССР, т. IV, Иберийско-Кавказские языки. Москва.

ბოკარევი 1981 : Бокарев Е. А., Сравнительно-историческая фонетика восточнокавказских языков. Москва.

ბოუდა 1913 : K. Bouda, Beiträge zur Kenntnis des Udischen auf Grund neuer Texte, "Zeitschr. d. Deutschen morgenländischen Gesellschaft", Bd. I. Leipzig.

გუკასიანი 1974 : Гукасян В. Л., Удинско-азербайджанско-русский словарь. Баку.

დეეტერსი 1963 : Deeters G., Die kaukasischen Sprachen. Leiden-Köln.

დირი 1904 : Дирр А. М., Грамматика удинского языка. Сборник материалов для описания местностей и племён Кавказа". XXXIII вып., ч. IV. Тифлис.

თალიბოვი 1967 : Талибов Б. Б., Цахурский язык. Языки народов СССР, т. IV. Иберийско-Кавказские языки. Москва.

იმნაიშვილი 1963 : Имнайшвили Д. С., Дидойский язык в сравнении с гинухским и хваршинскими языками. Тбилиси.

კიბრიკი, კოძასოვი 1990 : Кибрик А. Е., Кодзасов С. В., Сопоставительное изучение дагестанских языков. Имя. Фонетика. Москва.

ლომთაძე 1998 : ლომთაძე ელ., ხვარშიულის ენა, I. ფონეტიკა. თბილისი.

მაჰომეტოვი 1963 : Магомедов А. А., Кубачинский язык. Тбилиси.

მაჰომეტოვი 1965 : Магомедов А. А., Табасаранский язык. Тбилиси.

მაჰომეტოვი 1970 : А. А. Магомедов, Агульский язык. Тбилиси.

სტაროსტინი 1975ბ : Старостин С. А., О реконструкции пралезгинской системы гласных. Тезисы конференции аспирантов и молодых сотрудников: Литературоведение, текстология, лингвистика. Москва.

სტაროსტინი 1975ა : Старостин С. А., О реконструкции пралезгинской фонологической системы (консонантизм), Тезисы конференции аспирантов и молодых сотрудников: Литературоведение, текстология, лингвистика. Москва.

ტრუბეტკოვი 1931 : Trubetzkoy N., Die Konsonantensysteme der ost-kaukasischen Sprachen, Caucasia, 8. Leipzig.

ფანჩვიძე 1974 : ფანჩვიძე ვლ., უდურის გრამატიკული ანალიზი. თბილისი.

შიფნერი 1863 : Schiefner A., Versuch über die Sprache der Uden. Mémoires de l'académie impériale des sciences de St Pétersbourg, VII^es., t. VI, №8.

ჩიქობავა 1979 : ჩიქობავა არნ., იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი. თბილისი.

ჯეირანიშვილი 1959 : Джейранишвили Е. Ф., Лабиализованные согласные и их изменение в цахско-мухадском (рутульском) и других языках лезгинской группы. ИКЯ, т. XIV. Тбилиси.

ჯეირანიშვილი 1971 : ევბ. ჯეირანიშვილი, უდიური ენა (გრამატიკა, ქრესტომათია, ლექსიკონი). თბილისი.

Р. Лолуа (Тбилиси)

Особенности фонологической системы удинского языка.

I. Вокализм. Фарингализация¹

Фонологическая система удинского языка во многом отличается от фонологических систем родственных языков. В первую очередь необходимо отметить, что в удинском языке, за исключением говора с. Зинобиани, абруптивные согласные перешли в преруптивы, что существенно отличает удинский язык от других иберийско-кавказских языков. В сравнении с близкородственными лезгинскими и другими дагестанскими языками фонологическая система удинского языка упрощена: в удинском представлена троичная система взрывных и аффрикат (звонкий – придыхательный – непридыхательный (преруптив) в ниджском диалекте и речи варташенцев и звонкий – придыхательный – смычно-гортанный (абруптив) в говоре с. Зинобиани) и парная система спирантов (звонкий – глухой); нет интенсивных фонем; не представлены не только лабиализованные или дентолабиализованные согласные, но и лабиализованные комплексы; система заднеязычных бедная – в удинском не встречаются присущие практически всем дагестанским языкам передневелярные спиранты; нет звонкой увулярной аффрикаты; помимо этого, не имеется фарингальных спирантов, т. н. ларингального смычного и шумных латеральных согласных (хотя из лезгинских языков латералы засвидетельствованы лишь в арчинском). Что касается вокализма – в удинском нет назализованных и долгих гласных, присущих многим дагестанским языкам.

В удинском представлены все гласные и согласные, имеющиеся в грузинском языке. Помимо этого, в удинском засвидетельствованы палатализованные гласные (ä, ö, ü), т. н. иррациональный ə (в ниджском диалекте), сонант j, дентолабиальный f и увулярный q. Кроме перечисленных гласных и согласных фонологическая система удинского языка отличается от грузинского языка еще одним специфическим артикуляционным процессом – фарингализацией.

Фонемный состав обоих диалектов удинского языка (ниджского и варташенского) практически однообразен.

Вокализм

В варташенском диалекте удинского языка представлены 8 гласных фонем (а, е, і, о, у, ä, ö, ü) и один факультативный гласный (ə), который в ниджском имеет статус фонемы.

¹ Работа выполнена при поддержке национального научного фонда им. Шота Руставели (проект №30/10).

Как было отмечено, удинском не имеется назализованных и долгих гласных, характерных для многих дагестанских языков. Долгие гласные могут встретиться на стыке морфем, или же быть полученными в результате ассимиляции, напр., та «где» + а (вопр. частица) – mā (ma-a) «где?»; sa «один» + о («субстантивизирующий» суффикс) – sō (sa-o) «один (субст.)»; kala «больш-ой (-ая//-ое)» + о («субст.» суффикс) – kalō (kala-o) «больш-ой (-ая//-ое) (субст.)»; pa^c «дв-а (-е)» + о «трава» – pō^c (pa-o^c) «два стебля травы»...

В удинском языке гласные можно разделить на две группы:

простые гласные (**a, e, i, o, u**);

палатализованные (умляутированные) гласные (**ä, ö, ü**).


Помимо этого, в отдельную группу можно выделить т. н. иррациональный **ə**.

Классификацию гласных удинского языка можно представить в виде следующей схемы:

подъем	передний ряд		задний ряд	
	нелабиализован.	лабиализован.	нелабиализован.	лабиализован.
верхний	i	ü	[ə]	u
средний	e	ö		o
низкий	ä		a	

В отличие от тех языков, вокальные системы которых образуют т. н. треугольник, в удинском языке гласные помещаются в «прямоугольник». «Прямоугольные» и «четырёхугольные» системы гласных отличаются целым рядом особенностей: гласная **a**, которая в языках, имеющих «треугольную» систему, является гласной среднего ряда, в «прямоугольной» системе смещается в задний ряд; гласные переднего ряда еще более выдвинуты вперед, а гласные заднего ряда – назад. В удинском языке также все гласные «периферийные», что усиливает их палатальную, велярную или иную артикуляцию, которая воздействует как на предыдущие, так и на последующие согласные, хотя влияние на последующие согласные менее значительно. Из-за этого, в удинском распространена регрессивная палатализация согласных с гласными переднего ряда и регрессивная веляризация с гласными заднего ряда.

Таким образом, вокальную систему удинского языка можно представить и в виде следующей схемы:



Простые гласные

В удинском, как было отмечено, имеется пять простых гласных (**a, e, i, o, u**). Произношение простых гласных в удинском такое же как, напр., в грузинском. Каждая из этих гласных может встретиться в любой позиции, напр., амта//ата «но»; аš «работа»; аг «груша»; ала «вверх», «наверху»; маq «кол»; baba (варт.) || bava (нидж.) «отец»; ха «шерсть»; ма^с «мозг»; баçап «спина»; баçана «ласточка»...

eš^с «яблоко»; el «соль»; eq «мясо»; meq «червь»; vel «коза»; xe «вода»; me «ет-от (-а/-о)»; ene «уже»; eyel «овца»; e^сlem «осел» e^сvel «церковь» egeq «лесной орех»...

viçi «брат»; ix «память»; iq «зола»; iž^с «снег»; in «блоха»; ini «нов-ый (-ая/-ое)»; çil «бусы»; iç «сам (-а/-о)»; içi «сво-й (-я/-е)»; iriz «тропинка»...

o «трава»; ox «расческа»; oq «дно»; gon «цвет»; tog «цена»; qož (варт.) || k^сož (нидж.) «дом»; xod «дерево»; xo «роса»; x^сo «вымя»; boqo «тесто»...

un (варт.) || hun (нидж.) «ты»; uq «река»; uq^с «шесть»; uқ «сердце»; uq^с «орех (гречкий)»; miq «ноготь»; miq^с «веселый»; çum «сорняк»; miq «ось»; zu «я»...

Палатализованные (умянутированные) гласные

В удинском языке имеется три палатализованных гласных (**ä, ö, ü**). Эти гласные встречаются, как правило, в заимствованных словах (чаще – из азербайджанского языка), хотя они представлены и в собственной лексике. Палатализованные гласные засвидетельствованы во всех позициях, напр.:

ägäräm «если», «если бы»; äjz «село»; äjel «ребенок»; käyäs «бумага»; ärkäd «самец» däädä «тетя (со стороны отца)»...

övläd «фамилия», «ген», «происхождение»; ömäg «жила»; öküz «близнец»; gölö «много»; gömiš «буйвол»; gög «небо»...

ütü «утюг»; üsün «быстро»; ürümürüm «сумерки»; ärüg «абрикос»; güřji «грузин»...

Необходимо отметить, что **ä** ниджского диалекта иногда соответствует гласной **a** в варташенском диалекте, напр., **äš** (нидж.) – **aš** (варт.) «работа». Наоборот, **ö** и **ü** в ниджском переходят в простые гласные **e** (< **ö**) и **i** (< **ü**), напр., **gölö** (варт.) – **gele** (нидж.) «много»; **ägüg** (варт.) – **ägig** (нидж.) «абрикос»... Депалатализация умляутированных гласных отмечается и в варташенском диалекте; в результате этого мы имеем случаи чередования простых и палатализованных гласных, напр., **äjel** – **ajel** «ребенок»; **gömüş** – **gömiš** «буйвол» и др.

По мнению Евг. Джейранишвили, палатализованные гласные в удинском языке не являются фонемами (Джейранишвили 1971: 11). Не представляется возможным согласиться с указанным предположением: несмотря на то, что возникновение палатализованных гласных в удинском действительно должно быть связано с внешним влиянием, на синхронном уровне палатализованные гласные необходимо признать фонемами; на это указывают следующие факты:

эти звуки артикуляционно являются «чистыми», простыми гласными;

палатализованные гласные не обусловлены позицией – они встречаются в анлауте, инлауте и ауслауте;

палатализованные гласные на современном этапе часто встречаются в лексическом фонде удинского языка;

მსოფლიო გლობალიზაციის პროცესში ეთნოსი, ტრადიციული კულტურა სულ უფრო მეტი შესწავლის საგანი ხდება. ამ პრობლემებს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პოსტსაბჭოურ ქვეყნებში.

საბჭოთა კავშირი, საბჭოური სოციალიზმის მშენებლობის გზაზე, ემიჯნება ყოველგვარ ეთნიკურ, ტრადიციულ კულტურას და აცხადებს ახალი, თანამედროვე კულტურა და, შესაბამისად, ახალი საბჭოთა ადამიანის ფორმირების შესახებ. დრომ დაგვანახვა, რომ სსრკ-ში კულტურათა შორის გაწყვეტილმა მემკვიდრეობამ, თანმიმდევრული კავშირის არარსებობამ ბევრად განაპირობა მისი დაშლა.

პოსტსაბჭოურ პოლიეთნიკურ კავკასიაში მიმდინარეობს ლიბერალურ-დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბება. ამასთან დაკავშირებით აუცილებელია კავკასიაში ტრადიციული კულტურის ახლებური შესწავლა. ყურადღება გამახვილებულია თემში, ეთნოსში სოციალური უნივერსალურობის, ინდივიდის პასუხისმგებლობასთან, ქცევებთან დაკავშირებით არსებული მოტივაციის შინაგანი საფუძვლების შესწავლაზე.

კავკასიაში, აგრარულ ეპოქაში არსებული საერთო ტრადიციული კულტურისა და ცივილიზაციური ერთობის უნივერსალური პრინციპების დანახვა და მათი ტრანსფორმაცია თანამედროვე, დიფერენცირებულ, პლურალისტულ და მულტიკულტურულ საზოგადოებაში, სულ უფრო აქტუალური ხდება.

ადამიანის თავისუფლების, ღირსების, სინდისის, ტოლერანტობისა და სხვა უნივერსალური ფასეულობები, რომლებითაც წარმოდგენილია კავკასიელთა ტრადიციული კულტურა, დღესაც ბევრად განსაზღვრავენ ადამიანის ქმედებებს და თავისთავთან და გარესამყაროსთან მის დამოკიდებულებას.

ყოველივე ზემოთქმულთან დაკავშირებით ამჟამად მეცნიერების ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა კავკასიის ხალხთა ჩვეულებითი სამართალი და მასთან დაკავშირებული ადამიანის ეთიკური ნორმები. ჩვეულებითი სამართალი და თანამედროვე კულტურა კავკასიაში დღესაც აგრძელებენ თანაცხოვრებას. საქართველოში, XX საუკუნეში, ზემოაღნიშნული პოლიტიკის გამო, ტრადიციული კულტურა, ჩვეულებითი სამართალი, განსაკუთრებით პატარა, საბჭოთა

„ავტონომიებში“ შემაჯავლი ხალხებისა იგნორირებული იყო. ამჟამად აფხაზური ჩვეულებითი სამართლის შესწავლა და მისი აქტუალიზაცია სამოქალაქო მართლწესრიგში ადვილად ზრდის ლეგიტიმაციის თვალსაზრისით ხელს უწყობს რეგიონში თანამედროვე სოციალურ-კულტურულ ტრანსფორმაციას, საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებაში მის ინტეგრაციას.

პრობლემის ისტორიოგრაფია

კავკასიოლოგი ირინა ბაბინი, რომელიც ჩვეულებითი სამართლის აღიარებული მკვლევარია, აღნიშნავს, რომ დღეს დასავლეთში (ევროპა, აშშ და კანადა) წარმოიქმნება სამართალი, რომელსაც ცოტა რამ საერთო აქვს სახელმწიფო სამართლის სისტემასთან. ეს, თავის მხრივ, დაკავშირებულია, მისივე აზრით, ამ ბოლო წლებში მსოფლიოში გაჩენილ ტენდენციებთან (შრომის საერთაშორისო განაწილების ზრდა, გლობალიზაცია წარმოებისა და ვაჭრობის სფეროში, მსხვილმასშტაბიანი საერთაშორისო მიგრაციები), რამაც საზოგადოება დასავლეთში მიიყვანა კონფლიქტებისა და სადავო საკითხების გადაწყვეტის ალტერნატიული ინსტიტუტების გაძლიერებისაკენ, რომლებიც იქ საკუთარი სამართლებრივი სისტემების შექმნისაკენ მიემართებიან¹. საზგასასმელია, რომ ამავე ქვეყნებში სწორედ ამ არასახელმწიფოებრივ სამართლებრივ ველს და, პირველ რიგში, სწორედ რომ ამ სიტუაციების მიმართ იყენებენ სამართლებრივი პლურალიზმის კონცეფციას. კავკასიის რეგიონში და საქართველოში, როგორც დანარჩენი მსოფლიოს მულტიკულტურულ საზოგადოებებში, ეთნოსამართლებრივ თემატიკასთან დაკავშირებით სულ უფრო ხშირად ჩნდება ცნება „სამართლებრივი პლურალიზმი“. კავკასიელების ცხოვრებაში, რუსეთის იმპერიის პირობებში, „სამართლებრივი პლურალიზმის“ პრაქტიკა ლეგიტიმურად გამოიყენებოდა. საბჭოთა კავშირის დროს, მიუხედავად ოფიციალურად გაბატონებული სახელმწიფო სამართლის სისტემისა, ჩვეულებითი სამართალი ადამიანების მიერ გამოიყენებოდა და გამოიყენება ამჟამადაც.

აფხაზეთში და, საერთოდ, საქართველოში დემოკრატიული აღმშენებლობის პროცესში გასათვალისწინებელია საგარეო პროცესებისა და შიდა სამართლებრივი სიტუაციის შეფარდება.

აფხაზების ჩვეულებითი სამართალი ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის შესწავლილი. დღემდე არ შექმნილა მონოგრაფიული ნაშრომი, სადაც აისახებოდა აფხაზური ჩვეულებითი სამართლის ნორმები. თუმცა საქართველოს ამ რეგიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოწყობისა, ჩვეულებებისა და ტრადიციებთან დაკავშირებით საკმაოდ საინტერესო კვლევებია შექმნილი XIX-XX სს. მიჯნაზე

¹ Бабич И.Л., Концепция правового плюрализма. Теория и практика // Обычное право на Кавказе в XIX - нач. XX века. Карачаевск, 2009, гл.- 49.

მოდვაწე ნ. ჯანაშიას, ს. ზვანბას, კ. მაჭავარიანისა და სხვა ავტორების მიერ. საინტერესოა აფხაზური ჩვეულებითი სამართლის ასახვა ვეროპელი მეცნიერებისა და მოგზაურების ნაწარმოებებში (ჯ. ბელი, ი. ბლამბერგი, კ. გლავანი, ჯ. ინტერიანო და სხვ.).

ჩვეულებითი სამართლის ნორმები მეტ ასახვას პოვენ XIX ს. მრავალრიცხოვან რუსულ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში (იხ. ი. აკონფიევი, ს. ბრონევესკი, ფ. ზავადსკი, ფ. ტორნაუ, გ. ნოვიცკი, ნ. დუბროვინი, ლ. ლულიე, კ. სტალი...).

აფხაზების ჩვეულებითი სამართლის ცალკეული საკითხები აისახა საბჭოთა ისტორიკოსებისა და ეთნოგრაფიების ნაშრომებში ი. აჯინჯალი, ზ. ანჩაბაძე, ს. აშხაზავა, ც. ბჟანია, დ. გულია, გ. ძიძარია, შ. ინალ-იფა, გ. მელიქიშვილი, რ. ხარაძე და სხვ.).

დასახელებულ ავტორებს შორის აღსანიშნავია შ. ინალ-იფას ნაშრომები¹, რომლებიც, აფხაზების სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე (XIX-XX სს.), კარგად ასახავს ცნებას „სამართლებრივი პლურალიზმისა“ კლასიკური გაგებით. ცნობილია, რომ ეს უკანასკნელი არის დამახასიათებელი კოლონიური და პოსტკოლონიური ქვეყნებისათვის. აქვე აღვნიშნავთ, რომ მას საერთო არა აქვს ახალ სამართლებრივ პლურალიზმთან, რომელიც, როგორც უკვე ზემოთ ითქვა, ყალიბდება თანამედროვე დასავლეთის ქვეყნებში.

შ. ინალ-იფა მიიჩნევს, რომ აფხაზთა ჩვეულებით სამართალში და სხვა ტრადიციულ-საყოფაცხოვრებო კულტურის კომპონენტებში აისახება ეთნიკური სპეციფიკა. ავტორი დიდ ყურადღებას უთმობს ისეთ საზოგადოებრივ მოვლენას, როგორცაა აფსუარა. მისი აზრით, აფსუარას პრინციპების წარმოშობა და განვითარება განპირობებულია ხალხის ისტორიული ცხოვრების თავისებურებებით, დაკავშირებულია ერთიანი აფხაზური ეთნოსის ხანგრძლივ ფორმირებასთან და განვითარებასთან. მისივე აზრით, აფსუარაში ჩადებულია დემოკრატიული პრინციპები. მკვლევარი ხაზს უსვამს, რომ „არა ქცევის წესები იყო სხვაგვარი ფეოდალებისა და გლეხებისათვის, არამედ ამ წესების აღსრულების ხარისხი“. მისივე აზრით, დემოკრატიულ ხასიათს ატარებდა, აგრეთვე, ფართოდ გავრცელებული ათალიყოობის (ათალიყობა – შვილის გაძიძავება, აღსაზრდელად გადაცემა) ინსტიტუტი, რომელიც აფსუარას შემადგენელი ელემენტი გახლდათ და აფხაზეთში XX ს. დასაწყისამდე გასტანა. ამ წესჩვეულების თანახმად, ფეოდალთა ბავშვები დაბადებიდან და ხშირად სრულწლოვანების მიღწევის ასაკამდე გლეხის ოჯახში იზრდებოდნენ, სადაც ისინი აფსუარას სრულ კურსს გადიოდნენ². ამრიგად, დაასკვნის შ. ინალ-იფა, რომ „აფსუარა, რომელიც ტერმინოლოგიურად მოიცავს მთელ ეთნოსს, როგორც „აფხაზობა“ ზოგადად, ყველასათვის გვევლინება ერთიანი

¹ Инал-Ипа Ш. Д., Традиция и современность. По материалам этнографии абхазов. Сухуми, 1978; Его же, Очерки об абхазском этикете. «Алашара». Сухуми, 1984.

² Инал-Ипа Ш. Д., Очерки об абхазском этикете. Сухуми, 1984, გვ. 46.

და სავალდებულო ეტიკეტისა და მორალის კოდექსად“. მისივე აზრით, აფსუარა აღზრდის ერთ-ერთი მთავარი ელემენტია და აფხაზთა წარმოდგენებში არის საკუთარი ხალხის ტრადიციებისა და ჩვეულებების ათვისება. ეს აზრი კარგადაა გამოხატული შემდეგ ფორმულაში – ამბობს შ. ინალ-იფა: „თუ პატივისცემით ეპყრობი იმას, რაც შენ გაგაჩნია, შეიძენ იმასაც, რაც შენ არ გაქვს“ (იუმოი ხათირ უზაკუზარ, იუმამლიი უოუეით)¹.

ამავე დროს იშვიათი არ იყო აფხაზებში პრივილეგირებული კლასების მიერ აფსუარას ეტიკეტური ნორმების დარღვევისა ქვემდგომი სოციალური კლასის წარმომადგენელთა მიმართ. ამასთან დაკავშირებით შ. ინალ-იფა აღნიშნავს, რომ ხალხური ჩვეულების დარღვევისათვის საზოგადოებრივ გაკიცხვას ფეოდალები თავს ვერ აარიდებდნენ².

შ. ინალ-იფა განიხილავს აფხაზურ-ადიღეურ ეტიკეტურ პარალელებს და ასკვნის, რომ აფსუარა შინაარსით ანალოგიურია საერთო ადიღეურ წარმოდგენებში არსებულ ეროვნულ ეტიკეტთან „ადიღეელობასთან“ (ადიღედაღე) და ქართულ „ქართველობასთან“. ამრიგად, მისი აზრით, აფსუარა „აფხაზების“ აღმნიშვნელია. ის აფხაზი ხალხის არა მარტო საყოფაცხოვრებო ტრადიციული კულტურის თავისებურებების გამომხატველია, არამედ შეიცავს მორალურ-ფსიქოლოგიურ კატეგორიებს და ადამიანის ქცევის ნორმებს – სინდისს (ალამის), პატიოსნებას, გამბედაობას (ახაწარა), კეთილშობილებას, თავაზიანობას (ითიმისთაშეარა), სტუმართმოყვარეობას (ასასტკილარა), უფროსების დაფასებას (იხაბი ხატირ იკუცარა), შემწყნარებლურ დამოკიდებულებას სუსტის მიმართ, თავდაჭერილობას და თავმდაბლობას და სხვ³.

პოსტსაბჭოურ აფხაზეთში მეცნიერები ადამიანის მორალურ-ზნეობრივი, სოციალურ-კულტურული ფასეულობების პრინციპების ტრადიციული კულტურიდან თანამედროვე კულტურაში ტრანსფორმაციის აუცილებლობაზე ლაპარაკობენ (ო. დამენია, ა. კუპრავა, ი. ანჩაბაძე, ი. არგუნი და სხვ.).

ი. ანჩაბაძისა და ი. არგუნის რედაქციით გამოცემული ნაშრომი „აფხაზები“ თანამედროვე აფხაზური სოფლის სოციალურ-კულტურული ცხოვრების შესწავლას. უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს მათ კარგად გამოუვიდათ. 2003-2006 წლებში აფხაზეთის სოფლებში მათ მიერ ჩატარებული საველე სამუშაოების შედეგად ბევრი საინტერესო დაკვირვებაა ნაჩვენები, თუ როგორ შეიძლება წარიმართოს ტრადიციულიდან თანამედროვე კულტურაში ტრანსფორმირების პროცესი⁴.

ი. ანჩაბაძე და ი. არგუნი აღნიშნავენ, რომ დღეს, როდესაც ლაპარაკობენ ზნეობრივ ფასეულობებზე, ტრადიციული კულტურის საფუძვლებზე და სურთ ხაზი გაუსვან

¹ იქვე

² Инал-Ипа Ш.Д., 1984, დასახ. ნაშრ., გვ. 45.

³ იქვე, გვ. 180.

⁴ Абхазы. Ответственные ред. Ю. Н. Анчабадзе, Ю. Г. Аргун. Москва, «Наука», 2007.

პიროვნების საუკეთესო თვისებებს, ფართოდ იყენებენ სიტყვა აფსუარას. მათივე აზრით, აფსუარა განვითარდა აფხაზურ ნიადაგზე, ტრადიციული კულტურის ევოლუციის შინაგანი კანონების საფუძველზე. ამიტომ, მიაჩნიათ მათ, რომ შემთხვევითი არ არის საზოგადოებრივი მოთხოვნა, შეიქმნას აფსუარას კოდექსი – ნამდვილი ტექსტის დედანი. ავტორები, აგრეთვე, აღნიშნავენ, რომ ზოგიერთებს საჭიროდ მიაჩნიათ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასწავლო პროგრამებში შემოღებულ იქნეს აფსუარას საფუძვლების სწავლება¹.

აფსუარას ფენომენის მნიშვნელობის შესახებ აღნიშნავს ეთნოლოგი ა. კუპრავა სოხუმში 2000 წელს გამოცემულ წიგნში². ის ხაზს უსვამს, რომ აფხაზეთის მომავალი თაობების აღზრდა აფსუარას სულისკვეთებით უნდა ხორციელდებოდეს. ავტორი ხაზს უსვამს, რომ აფსუარას წესით აღზრდილი ადამიანი ყოველთვის გამორჩეულია. აღნიშნულია, რომ მეზობელ სამეგრელოში, ვისთანაც აფხაზებს მრავალსაუკუნოვანი ისტორიული და კულტურული ურთიერთობები აკავშირებდათ, კეთილშობილურად აღზრდილ ადამიანზე, რომელიც მიბაძვის ეტალონად შეიძლება ყოფილიყო, ამბობდნენ: „ზრდილია, როგორც აფხაზი“, „ადამიანია, როგორც აფხაზი“. მისივე აზრით, სამეგრელოში სანატრელი იყო აფხაზი რძალი ან სიძე, რომლებიც აფსუარას ტრადიციებზე იქნებოდნენ აღზრდილი³.

ა. კუპრავა ყურადღებას ამახვილებს აფსუარას იმ ზნეობრივი ფასეულობების აღორძინებაზე, სადაც მთლიანად გამოიხატება აფხაზის ეთნიკური სახე, ერის ეთნიკური სპეციფიკა. საინტერესოა, ავტორის მიერ ცნობილი აფხაზი მწერლის, ჯუმა ახუბას აფსუარასთან დაკავშირებით მოტანილი მოსაზრების ხაზგასმა: „ის წმინდა ცნებები, რომლებსაც ჩვენ ათასწლეულები ვიცავდით, როგორც ქრისტიანებს ბიბლია, როგორც მუსულმანებს ყურანი, ჩვენი წმინდა სინდისია (ალამისია), აფსუარა ჩვენ იმდენად დავამახინჯეთ, რომ დავიწყეთ მისი ორნაირი წარმოთქმა, არ ექნება პროგრესი არც მშობლიურ ენას, არც ზოგადად ერს, სანამ არ გაიმარჯვებს ალამისი, ჩვენი ბიბლია, ჩვენი წმინდა აფსუარა“⁴.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ოლეგ დამენიას სანკტ-პეტერბურგში 2011 წელს გამოცემული ნაშრომი - „აფხაზები საუკუნეების მიჯნაზე“. ამ წიგნში ავტორი საფუძვლიანად განიხილავს აფხაზთა თვითიდენტიფიკაციის გამოცდილებას, აფხაზთა კულტურის ბუნებრივ გარემოს, აფხაზური სოციუმის სტრუქტურულ ორგანიზაციას და, რაც მთავარია, აფსუარას სისტემის საბაზო პრინციპებს.

ო. დამენიას აზრით, იმისათვის, რომ ადამიანებმა დღეს ჩვენ საზოგადოებაში იცხოვრონ აფსუარას ნორმებითა და კანონებით, უნდა იყოს მისი ერთიანი გაგება და პრაქტიკაში გამოყენება, ეს პირველი. მეორე, აფსუარას ნორმები და კანონები

¹ იქვე, გვ. 345.

² Куправа А. Э., Апсуара. Среда формирования. Духовные и нравственные основы. Сухум, 2000.

³ იქვე, გვ. 46.

⁴ Куправа А. Э., 2000, დასახ. ნაშრ., გვ. 52.

უნდა იქნას შეფასებული თანამედროვე აფხაზის რეალურ მოთხოვნებიდან და იმ პირობებიდან გამომდინარე, რომელშიც მას დღეს უხდება ცხოვრება. მესამე, მნიშვნელოვანია განისაზღვროს აფხაზებს როლი და ადგილი თანამედროვე და მომავალი აფხაზური საზოგადოების ცხოვრებაში, რომელიც ფორმირდება კონსტიტუციისა და ეროვნული კანონმდებლობის საფუძველზე¹.

აღნიშნულთან დაკავშირებით ო. დამენია ხაზს უსვამს, რომ თავის დროზე აფხაზურ ტრადიციულ საზოგადოებაში ძირითადი კანონის (კონსტიტუციის) ფუნქციას **აფხაზობა** ასრულებდა. მისივე აზრით, აფხაზურ სასოფლო თემში და მთლიანად აფხაზ ერში ზემოაღნიშნული პუნქტების განხორციელება შესაძლებელია, საჭიროა აფხაზური ტრადიციული კულტურის, მისი ფასეულობების საზოგადოებაში რაციონალიზაციის გზით, კულტურის, როგორც ადამიანის აღწარმოების, პოტენციალის მოდერნიზაცია².

აფხაზთა ჩვეულებითი სამართლის თანამედროვე პრინციპებზე ბევრ საინტერესო ცნობებს მოიცავს სამეცნიერო კრებული „თანამედროვე აფხაზური სოფელი: სოციალურ-ეთნოგრაფიული და ანთროპოლოგიური კრებული“, რომელიც 2006 წელს მოსკოვში გამოიცა. ამ კრებულის ერთ-ერთი ავტორი ეთნოლოგი ლ. სოლოვიევა განიხილავს თანამედროვე აფხაზეთის საოჯახო და საგვარეულო ტრადიციებს. ავტორის აზრით, დღეს აფხაზეთში სტუმართმასპინძლობა არის „ოჯახის საგარეო კავშირების განახლების, გაფართოებისა და ოჯახის პრესტიჟის, საზოგადოებრივი ავტორიტეტის გაზრდის მექანიზმი“. ამავე დროს, მისივე აზრით, ის არის სოციალიზაციის საესეებით ქმედითი ინსტიტუტი, რომლის მეშვეობითაც ახალი თაობა პრაქტიკაში ითვისებს „აფხაზური ეტიკეტის“ (აფხაზობის) ნორმებს, ყოფაქცევის საზოგადოდ მიღებულ ზნეობრივ ნორმებს (ალამისს)³.

აფხაზთა ჩვეულებითი სამართალი გახდა აფხაზ იურისტ-მკვლევართა ყურადღების საგანიც.⁴ ღია ქაფშია აღნიშნავს, რომ აფხაზეთში ჩვეულებით სამართალს დღესაც უკავია მნიშვნელოვანი როლი აფხაზების ცხოვრებაში. კერძოდ, საოჯახო-საქორწინო, ქონებრივი მემკვიდრეობის, სამოქალაქო და სისხლისსამართლებრივ ურთიერთობებში. აქედან გამომდინარე, მისივე აზრით, შესაძლებელია ჩვეულებითი სამართლის ნაწილობრივი ინტეგრაცია ოფიციალურ კანონმდებლობაში⁵.

მ. ცუგბა კი მიიჩნევს, რომ „ჩვეულებითი სამართალი არ არის წარსულის ატავიზმი, არამედ ის არის საზოგადოების სამართლებრივი განვითარების მუდმივი

¹ Дамения О. Н., Абхазия на рубеже веков. СПб, 2011, с. 169-190.

² Дамения О., 2011, დასახ. ნაშრ., გვ. 44-475.

³ Соловьева А. Т., Семейные и формальные традиции в современной Абхазии//Современная сельская Абхазия: социально-этнографические и антропологические исследования М., 2006, გვ. 173.

⁴ Кавшбая Л. Л., Обычное право абхазов в конце XVIII-XIX вв. (историко-правовой аспект) Автореферат. Н. Новгород, 1999; Цугба М. Э., Регулирование брачно-семейных отношений у абхазов (XIX - нач. XX вв). Соотношение обычного права и законодательства Российской империи. Автореферат М., 2010.

⁵ Кавшбая Л. Л., დასახ. ნაშრ. გვ. 23.

ფაქტორი“, რომ ჩვეულება აფხაზეთში დღესაც ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას და ის კანონმდებლობასთან კონკურირებს¹.

ცნობილი ყაბარდოელი მკვლევარი იურისტი ზ. მისროკოვი აღნიშნავს, რომ XIX ს. რუსეთის იმპერიისა და აფხაზეთა სახელმწიფოს მიერ XX საუკუნეში ადათობრივი და მუსლიმანური სამართლის მოქმედების რეგლამენტაციის განხორციელებას აქვს უნივერსალური თვისებები, რომელთა არსში თუ კარგად ჩაწვდებით, საშუალება მოგვეცემა მისი (გამოცდილების) თანამედროვე პრაქტიკაში ტრანსფორმაციისა².

ამრიგად, დასმული პრობლემის ისტორიოგრაფიული ანალიზი გვიჩვენებს, რომ აფხაზეთის ჩვეულებითი სამართალი დღესაც არ კარგავს აქტუალობას. მეცნიერთა დიდი ნაწილის აზრით, ჩვეულებითმა სამართალმა აფხაზეთში და ზოგადად კავკასიის რესპუბლიკებში, იურიდიული პლურალიზმის ჭრილში, სახელმწიფო-სამართალთან ერთად თავისი ადგილი უნდა დაიკავოს.

საკითხის ისტორიოგრაფიამ ისიც გვიჩვენა, რომ აფხაზეთა ჩვეულებითი სამართალი, რომლის კარგი გამოსატყულებაა აფსუარა, დღესაც აფხაზი ეთნოსის საბაზო ფასეულობების მატარებელია. ის ბევრად განსაზღვრავს ადამიანის ქმედებებს მის ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ამავე დროს აღსანიშნავია, რომ მეცნიერთა მიერ აფხაზეთის ჩვეულებითი სამართალი სსრკ მულტიკულტურალიზმის პოლიტიკის კონტექსტში არ განხილულა. აღნიშნული პოლიტიკა, რომელიც ატარებდა ბრძანებლურ-ადმინისტრაციულ ხასიათს და ებრძოდა ტრადიციული კულტურის ყოველგვარ ფასეულობებს წინააღმდეგობრივი და ფორმალური ხასიათისა იყო. აფხაზეთში ჩვეულებითი სამართალი არალეგიტიმური, მაგრამ საკმაოდ სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა.

ვფიქრობთ, რომ თანამედროვე ქართველი ერის ფორმირებისათვის მულტიკულტურალიზმის რეალურ პოლიტიკას დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ პოლიტიკის რეალიზება აფხაზეთში დაკავშირებული იქნება აფხაზი ეთნოსის კულტურულ, მორალურ-ზნეობრივ აღორძინებასთან. მოდერნიზაციის პროცესში ჩვეულებითი სამართლის შესწავლას უნდა მოყვეს მისი სამოქალაქო მართლწესრიგში ტრანსფორმაციისა და ლეგიტიმაციის პროცესი. ყურადღება გამახვილებულია ადამიანის ღირსების, როგორც ფასეულობის შესწავლაზე. მნიშვნელოვანია, აგრეთვე, ჩვეულებითი სამართლის სოციალური პასუხისმგებლობის კონტექსტში შესწავლა.

ჰუმანიზმის იდეები აფხაზეთურ ჩვეულებით სამართალში

თანამედროვე საქართველოში აფხაზეთის პრობლემამ დაგვიანახვა საზოგადოებაში ჰუმანიზმის ღრმა კრიზისი. ეს კარგად გამოჩნდა ქართულ-

¹ Цугба М. Э., дагъ.б. н.ш.р. გვ. 4.

² Мисроков З. Х., Адат и шариат в российской правовой системе. Исторические судьбы юридического плюрализма на Северном Кавказе. МГУ, 2002, с. 218.

აფხაზურ კონფლიქტის დროს 1992-93 წწ. და ჩანს დღესაც, როდესაც ორასზე მეტი ათასი ადამიანი საკუთარ სამშობლოში ღტოლვილია, ილახება მათი საკუთრების, გადაადგილების უფლებები...

წარსულში, ტრადიციულ საზოგადოებაში, სოციალური ფორმის წარმომქმნელი სუბიექტები – ადამიანი, ოჯახი, გვარი, სასოფლო თემი, სუბეთნოსი და ეთნოსი – უზრუნველყოფდა ადამიანის უსაფრთხოებასა და ქმნიდა მის კვლავწარმოების პირობებს. აფხაზეთში, როგორც მთლიანად საქართველოში და კავკასიაში, ტრადიციულ კულტურაში კოლექტიურობის პარალელურად ადამიანის ინდივიდუალობაც იყო წარმოჩენილი. სამწუხაროდ, ისტორიული, სოციალურ-კულტურული პროცესის დინამიკის მემკვიდრეობის გაწვევებამ რეგიონში მოიტანა ჯერ რუსეთის ცარიზმის, შემდეგ საბჭოთა სახელმწიფოს გაფეტიშება და ადამიანის, მისი სულიერების მეორე პლანზე გადაწევა, რასაც, სამწუხაროდ, დღესაც აქვს ადგილი. ცხადია, ხდება ისიც, რომ ამგვარი პოლიტიკის გაგრძელება რეგიონში შეუძლებელია თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიები ყოველდღე ახსენებენ ადამიანს, რომ ის თავისი უფლებებისა და ღირსების დაცვაში მარტო არ არის.

ცნობილი გერმანელი მეცნიერის ჰანს იოასის აზრით, დღევანდელ მსოფლიოში ლიბერალიზმი ორიენტირებულია მოქალაქია თავისუფლებაზე და ტოლერანტული ფასეულობების შესაძლო აღქმაზე მშვიდობიანი თანამშრომლობისა და ურთიერთობისათვის. მისივე აზრით, დასავლურ ქვეყნებში ათწლეულობის მანძილზე ფართო გავრცელება პოვა „პოსტმატერიალისტურმა“ ფასეულობებმა და რომ მათი აღმოცენება ბევრად დაკავშირებულია ადამიანური ქმედების ჩვენი გაგების შეცვლასთან¹. ამრიგად, ფასეულობების, ნორმებისა და სურვილების გამორჩევა, მათი როლის გარკვევა ადამიანის ქმედების დინამიკაში დღეს არის აქტუალური ამოცანა.

აფხაზთა ტრადიციულ კულტურაში ერთდროულად ადამიანი ჩანს როგორც კოლექტიური, ასევე ინდივიდუალური (პიროვნების) მახასიათებლების მატარებელი. რა კულტურული ფასეულობები განაპირობებდნენ აფხაზის, როგორც პიროვნების გამორჩევას?

აფხაზეთში პოსტსაბჭოურ მოდერნიზაციულ პროცესებთან დაკავშირებით მკვლევარი ოლეგ დამენია მიიჩნევს, რომ თანამედროვე აფხაზის კულტურული გარემო, ცნობილი მიზეზების გამო (ომი, გარდამავალი პროცესი, შიდა მიგრაცია და სხვ.), დღეს დანგრეულია. მის აღდგენას მეცნიერი უკავშირებს აფხაზური სოფლის მოდერნიზაციასა და გათანამედროვეობას, სხვა ფორმის მიცემას².

თანამედროვე სოფლის საწყისები უკავშირდება ტრადიციულ აფხაზურ სასოფლო თემს. იგი იყო თვითმმართველური ორგანიზაცია, რომელიც გამოხატავდა როგორც კოლექტიურ, ასევე თითოეული ადამიანის ინტერესებს. საუკუნეების მანძილზე

¹ Ханс Йоас, Возникновение ценностей. Перевод с немецкого К. Г. Тимофеевой, СПб, 2013, с. 34.

² Дамения О. Н., 2011, დასახ. ნაშრ., გვ. 474-475.

თემამაც განიცადა სოციალურ-კულტურული ტრანსფორმაციები. ო. დამენია ხაზს უსვამს, რომ სასოფლო თემი ფუნქციონირებდა როგორც თვითმმართველობითი ორგანიზაცია, სადაც ხელისუფლება არსებითად ეკუთვნოდა თვით თემს (თემის წევრთა კრებას), რაც საფუძველს იძლევა, ვილაპარაკოთ მასზე, როგორც სამოქალაქო თემზე¹.

თემის როლი აფხაზის ცხოვრებაში ძალზე დიდი იყო. თემში, კონკრეტული ადამიანის როლი მდგომარეობდა ეთიკური ნორმების დაცვაში, სულიერი და ზნეობრივი საფუძვლების გარემოს ფორმირებაში, რომელიც აფხაზს სხვისგან გამორჩეულ ადამიანად აყალიბებდა. შემთხვევითი არ არის, რომ აფხაზის აღზრდაში ერთ-ერთი მთავარი ელემენტი, აფხაზების წარმოდგენაში, ტრადიციებისა და ჩვეულებების ათვისებაა. ამ აზრმა თავისი გამოხატვა ჰპოვა ხალხურ ანდაზებში: „ერთი ადამიანის აღზრდა მთელ ადამიანს უდრის“ (აზე იააზარა აზე ლაპსოუპ). ერთი აფორიზმის თანახმად, ამბობს შალვა ინალ-იფა „ადამიანის ფასს ვერცერთი გემი ვერ დაიტევს (აუა იხუ ბება იტამ)².

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ „აფხაზობა“, რომლის სინონიმი აფხუარაა აითვისებოდა ყოველი ადამიანის მიერ. ამის უზრუნველყოფა კი ხდებოდა როგორც ჩვეულებითი სამართლის ნორმებით, ასევე საზოგადოებრივი აზრით. ამ ნორმებიდან გადახვევისათვის ადამიანი საზოგადოების მიერ მორალურად და მატერიალურად ისჯებოდა. საინტერესოა აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას მიერ აღიღური ეტიკეტის შეფასება, რომელიც მოტანილია შ. ინალ-იპას მიერ. ს. ჯანაშია თვლის, რომ აფხაზური აღზრდის ძველი დადგენილების სისტემაში, რომლებიც „ადამიანს ადამიანად ქმნიან“, დიდ როლს ასრულებს აფხაზური ეტიკეტი, რომლისაც ერთა ლიგის ბევრის მომსწრე დიპლომატებსაც კი შეშურდებოდათ“. ეს ეტიკეტი, რომელიც დაწერილებით დამუშავებულია, წარმოადგენს ადამიანებს შორის ადამიანის ყოფაქცევის კანონების მდიდარ კრებულს. აქვე ხაზს უსვამს შ. ინალ-იფა, რომ არ იცი, რა უფრო გასაკვირია: დაუწერელ კანონთა მრავალფეროვნება, რაც ადამიანის საქციელისა და ყოფაქცევის რეგლამენტირებას ახდენს საზოგადოებაში, ზნეობრივი პრინციპების ზუსტი ცოდნა თუ უბრალო ადამიანების მიერ რთული დახვეწილი მანერების „წიგნის“ თავისუფლად ფლობა, რომლებსაც წიგნი ხელში არასდროს აუღიათ³.

ადამიანის მიერ ჩვეულებების აღსრულებაზე კონტროლი იმდენად მკაცრი იყო, რომ აფხაზური ალამისის თანახმად, რაც „ხალხის ნამუსს“ ნიშნავდა, ადამიანი შეიძლება ჯერ კიდევ სიცოცხლეში მკვდრად ჩათვლილიყო, თუ ის დაარღვევდა ალამისის კანონებს. აფხაზეთში არსებობს ასეთი გამონათქვამები: „შვიდი ჯორი ვერ აწევს აფხაზის ალამისს“ (აფსუა ადამის ბჟ-უჟუკ ისზის შტის უამ); „აფხაზის

¹ Дамения О. Н., 2011, დასახ. ნაშრ., გვ. 477.

² Инал-Ипа Ш.Д., 1984, გვ. 47.

³ Инал-Ипа Ш.Д., 1984, გვ. 47.

სიკვდილი მისივე ალამისშია“ (აფსუა იპსირტა ალამის აუბ). ადამიანის მორალური სიკვდილი ფიზიკურზე ასჯერ მეტად საშინლად ითვლებოდა.

ადამიანის აღზრდის მნიშვნელობაზე წერს აფხაზი ეთნოლოგი ა. კუპრავა. ის აღნიშნავს აღმზრდელის განსაკუთრებულ მორალურ როლზე და დასძენს, რომ აკაკი წერეთლის „აღმზრდელს“ საფუძვლად დაედო აფხაზური ხალხური თქმულება. ამგვარი სიუჟეტი გვხვდება მიხეილ ლაკერბაიას ნოველაში „არგუნ საიდიკი“. აღმზრდელმა, განაგრძობს ა. კუპრავა, ყურადღებით რომ მოუსმინა თავის აღზრდილს, რომელმაც გააუბატოურა თავისი მეგობრის ცოლი, ხანგრძლივი დუმილის შემდეგ თქვა: „სწორად მოიქცა ჯარნაზი, რომელმაც შენ ჩემთან გამოგზავნა, ჩემთან, რომელმაც შენ აღგზარდე. იმაში, რომ შენ შექმელი ჩაგედინა შეუფერებელი, უღირსი საქციელი, დამნაშავე არა მარტო შენ ხარ. ამაში, პირველ რიგში, დამნაშავე მე ვარ, ჩანს, მე ვერ შევქმელი შენგან კეთილშობილური ადამიანის აღზრდა... არგუნ სედიკმა იარაღი საფეთქელში ისროლა. ახალგაზრდა მივარდა თავის მასწავლებელს, მაგრამ უკვე გვიანი იყო¹. ამრიგად, აფსუარას ტრადიციული კანონების მიხედვით, ადამიანი ვალდებულია ნამუსიანად ატაროს თავისი დანიშნულება ღმერთისა და ხალხის წინაშე.

„ადამიანურობა, ხაზს უსვამენ მეცნიერები ი. ანჩაბაძე და ი. არგუნი. აფხაზურ ეტიკეტში წარმოადგენს კატეგორიას, რომელიც დაკავშირებულია ეთიკურობის განსაზღვრასთან „აფსუა უაარა“ (აფხაზური ადამიანურობა)“. მათივე აზრით, „ეს კატეგორია ადამიანს აყენებს აფსუარას სისტემის ცენტრში, რაც გამოსატყულებას პოულობს ადამიანის ზნეობრივი ურთიერთობების სფეროში, აფხაზების საზოგადოებრივ ყოფაში“. „ფრაზეოლოგიზმი „აუადი მყდჷ“ („ადამიანი არის ადამიანი“) ასახავს ადამიანის უმაღლეს სასტატუსო პოზიციას, რომელიც ტრადიციული აფხაზის გაგებაში უკავია ადამიანს, მის პიროვნებას. თავაზიანი, ღირსეული, ისეთივე, როგორც საკუთარი თავის მიმართ დამოკიდებულება ნებისმიერ ადამიანთან შედის აფხაზური ეტიკეტის აუცილებელ ნორმებში“².

დღესაც აფხაზებს ადამიანის მიმართ გამორჩეული ყურადღებიანი დამოკიდებულება გააჩნიათ. ასეა ნათესაეების მიმართაც. ეთნოლოგი ლ. სოლოვიოვა აღნიშნავს, რომ 2000-იანი წლების დასაწყისში ერთ-ერთ აფხაზურ სოფელში ინფორმატორმა, რომელიც ცდილობდა აეხსნა მისთვის აფხაზური სოციუმის სპეციფიკა, ყველას კავშირი ყველასთან, თქვა: „ჩვენ ვცხოვრობთ, ასე ვთქვათ, ჯგუფურად“, ანუ ყოველი ადამიანი ცხოვრობს არა ინდივიდუალურად, არამედ მჭიდრო უწყვეტ კავშირში გარშემო მყოფ ადამიანებთან, რომელიც ჯაჭვის დაუსრულებელ რგოლს წარმოადგენს“³. აღნიშნულ ვითარებაში, აფხაზური ჩვეულებითი სამართლის თანახმად, ყოველ ადამიანს გააჩნდა და გააჩნია უფლებები

¹ Куправа А.Э., 2000, დასახ. ნაშრ., გვ. 41.

² Абхазы, 2007, დასახ. ნაშრ., გვ. 341.

³ Соловьева Л., 2006, დასახ. ნაშრ., გვ. 178.

და მოვალეობები. საოჯახო, საგვარეულო, სათემო ტრადიციები მკაცრად აფასებდნენ ნებისმიერი ადამიანის ყოფაცხოვრებას, მის როლსა და ადგილს საზოგადოებაში. რწმენას, რომ ერთი ადამიანის ცოდვებს შეუძლია უბედურება მოუტანოს მთელ ოჯახს, გვარს, თემს უფროს თაობას აძლევდა საფუძველს, მკაცრად მოეთხოვათ ახალგაზრდებისაგან დაეცვათ „აფსუარას“ და „ასამისის“ ნორმები. ლ. სოლოვიოვა აღნიშნავს, რომ უფროსებისაგან შეიძლება ხშირად გაეგონოთ გამაფრთხილებელი სიტყვები: „თუ ჩვენ შეგვარცხვენ - ცოცხალი შენ არ გვინდისარ, მოკვდები - ასე იყოს, დაგმარხავთ“¹.

აფხაზურ საზოგადოებაში, წერს ო. დამენია, დიდ პატივს სცემდნენ იმ ადამიანს, რომელიც არა მატერიალური სიმდიდრით, როგორც ეს დღეს არის, არამედ დიდი სულიერი პოტენციალიც გამოიჩინებდა. ადამიანის სულიერი პოტენციალით განისაზღვრებოდა მისი ადგილი საზოგადოებაში. ადამიანის სულიერი პოტენციალი, განაგრძობს ო. დამენია, ფასდებოდა მისი „აზროვნებისა და ყოფაქცევის კულტურის დონით“².

ამასთან დაკავშირებით ადამიანი უნდა ყოფილიყო ინტელექტუალურად განვითარებული და მორალურად მოწესრიგებული. ინტელექტუალური ადამიანი აფხაზურ კულტურულ სივრცეში იმდენად მომზადებული, მობილიზებული, კონცენტრირებულია, რომ უნდა ჩასწვდეს, გაიგოს კულტურული კონტექსტები და შეითვისოს თავისი ქმედებები.

„ადამიანის თავმდაბლობაც კი, ხაზს უსვამს ო. დამენია, აფხაზური ტრადიციული კულტურის პირობებში შეიძლება ყოფილიყო მისი შინაგანი სიამაყის გამომხატველი“. მისივე აზრით, ზუსტად რომ ამაში გამოიხატებოდა აფხაზური კულტურის ერთ-ერთი თავისებურება. მისივე აზრით, ადამიანს, რომელსაც შეუძლია სხვა ადამიანი დააფასოს საზოგადოების მიერ აღიქმებოდა სათნო ადამიანად. ითვლებოდა, რომ თუ შენ იყავი სათნო, ადამიანი თავს ანებებს იყოს თავისი სუბიექტური „ეგოს“ ბრმა ტყვე³.

ამრიგად, ჰუმანიზმის იდეებითაა გამსჭვალული აფხაზების ტრადიციული კულტურა. ის ადამიანს, მიუხედავად მისი სოციალური წარმომავლობისა, მიიჩნევს უზენაეს ფასეულობად საზოგადოებაში. მისი როლი და ადგილი უზრუნველყოფილი იყო ადამიანის შესაბამისი სოციალიზაციით და სოციუმში მისი ურთიერთობების პრაქტიკის რეგლამენტაციით. აფხაზური ჩვეულებებითი სამართალი და აფსუარას მორალურ-ზნეობრივი კოდექსის მოთხოვნები ამის კარგი მაგალითია.

¹ იქვე, გვ. 180.

² Дамения О., 2011, დასახ. ნაშრ., გვ. 254.

³ იქვე, გვ. 229.

ჩვეულებითი სამართალი და აფხაზური თემის სოციალური პასუხისმგებლობა

აფხაზურ ტრადიციულ კულტურაში კარგად ჩანს, რომ ადამიანი ცხოვრობს არა იმისათვის, რომ მარტო ჭამოს და ჩაიცვას. ის ჭამს და იცვამს იმისათვის, რომ იცხოვროს. ადამიანი ცხოვრობს არა იმდენად როგორც ბიოლოგიური, არამედ როგორც სოციალური არსება.

ამიტომ აფხაზურ ჩვეულებით სამართალში და აფხაზობა - „აფსუარაში“ კარგად ჩანს ადამიანის სოციალური პასუხისმგებლობის საკითხი. პირველ რიგში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს იყო ადამიანის თავის თავთან და სხვა ადამიანებთან დამოკიდებულება, რომელიც გაწერილი იყო ტრადიციული ადათ-წესებით. ადამიანის უფლება-მოვალეობების რეალიზაცია უზრუნველყოფილია შესაბამისი ინსტიტუტებითა და მექანიზმებით, აფხაზური თემის სოციალური უნივერსალურობით.

აფხაზური სასოფლო თემი, თავისი დემოკრატიული ტრადიციებით ფაქტიურად წარმოადგენდა თანასწორუფლებიან ადამიანთა გაერთიანებას. ის საშუალებას იძლეოდა, თითოეულ ადამიანს მონაწილეობა მიეღო ამ გაერთიანების ყველა მნიშვნელოვან სასიცოცხლო საქმეში. აქ კანონის შექმნა, მისი აღსრულება და კონტროლი კანონის აღსრულებაზე ხდებოდა ერთი და იმავე პირის მიერ.¹ საზოგადოებრივი აზრი გამოარჩევდა ადამიანის ღვაწლსა და ნიჭს თემის კოლექტიურ საქმიანობაში და სხვადასხვა ფორმებით (მორალური თუ მატერიალური) მის წახალისებას ახდენდა. ადამიანს შეეძლო გმირი გამხდარიყო და მასზე ლექსებსა და ლეგენდებს თხზავდნენ. საზოგადოების აზრის მნიშვნელობა კარგად ჩანს აფხაზურ ფოლკლორში, ეთიკურ ნორმებში და ა. შ.

იყო პირიქითაც, თუ ადამიანი დანაშაულს ჩაიდენდა, მისი ოჯახის, გვარის, თემის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება სხვადასხვა ფორმით დაუყოვნებლივ აისახებოდა. ყველაზე საშინელი იყო თემიდან ადამიანის მოკვება, რაც მისი სიკვდილის ტოლფასი იყო.

აფხაზეთში ბოლო ორასი წლის მანძილზე მომხდარმა ისტორიულმა მოვლენებმა – რუსული კოლონიალიზმი, სოციალიზმის მშენებლობა, პოსტსაბჭოურმა პერიოდმა „დაანგრია ტრადიციული კულტურის ძირითადი საფუძვლები და ელემენტები, დეფორმირება დაიწყო კანონებმა, აფსუარას პრინციპებმა და ნორმებმა. ბევრი ზნეობრივი ფასეულობები შეიცვალა, რომლებსაც ხშირად ვერც იცნობთ, გამოიცვალა ფუნდამენტური ეთიკური წესების შინაარსი (აფხაზური სტუმარმასპინძლობა, ქორწილი, დაკრძალვის ტრადიციული რიტუალი, ალაპის გადახდა და სხვ.)².

¹ Дамения О., 2011, დასახ. ნაშრ., გვ. 235.

² Куправа А., 2000, დასახ. ნაშრ., გვ. 49.

ეთნოლოგი ა. კუპრავა ამის მიზეზებს ხედავს აფხაზეთის „უპირველესწილად ცხოვრების პატრიარქალური წყობიდან სოციალიზმში გადასვლასთან და ამჟამად სოციალიზმიდან კაპიტალისტურ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლაში“. მისივე აზრით, „ეს გარდაქმნები ხალხისათვის გარედან იქნა თავსმოხვეული, ისინი არ შეესაბამებოდნენ მის მენტალიტეტს“¹.

ჩვენი აზრით, აქ სოციალურ ფორმაციებთან არა ხალხის მენტალიტეტის შეუსაბამობაზე უნდა იყოს საუბარი, არამედ ადამიანების მიერ თავისუფლების თავიანთი თავისა და სხვის წინაშე პასუხისმგებლობის აღდგენის საჭიროებაზეა აქცენტი გასაკეთებელი.

თავის კულტურულ ფესვებს მოწყვეტილი ადამიანი, აფხაზი იქნებოდა ეს თუ ქართველი, ნებისმიერი სხვა, „სხვის“ მიერ შემოთავაზებულ ცვლილებებს ვერ მოერგო. ხშირად ეს მათ სპეციფიკურადაც უყურებდა, რადგან ეს რეფორმები და ე. წ. რევოლუციები მისი არ ყოფილა. მათ მიმართ ადამიანს ხშირად ზერელე უპასუხისმგებლო დამოკიდებულება ამოძრავებდა.

ამავე დროს აფხაზეთის ჩვეულებითი სამართალი და აფხუარა მთელი თავისი არსით მიმართულია ადამიანის, როგორც პიროვნების, მაღალი სოციალური პასუხისმგებელი პირის ჩამოყალიბებაზე. მიუხედავად იმისა, რომ ამ ინსტიტუტებს ორი საუკუნის მანძილზე ლეგიტიმაცია არ ჰქონია, მათ გამოავლინეს შესაშური სიცოცხლისუნარიანობა. ამის კარგი დასტურია აფხაზური ენის, ცალკეული ჩვეულებების, აფხუარას ეთიკური ნორმების შენარჩუნება.

სამწუხაროდ, პოსტსაბჭოურ პერიოდში აფხაზები დადგნენ ახალი გამოწვევების წინაშე.

აფხაზი მეცნიერები დღეს ხაზს უსვამენ, რომ თანამედროვე აფხაზის კულტურული გარემო, ცნობილი მიზეზების გამო (ომი, გარდამავალი პროცესი, შიდა მიგრაცია და სხვ.), დღეს დანგრეულია (ი. ანჩაბაძე, ი. არგუნი, ო. დამენია, და სხვ.). მისი აღდგენა ბევრად დაკავშირებული იქნება საზოგადოდ ერის თვითგამორკვევის რომელ ფორმას აირჩევენ აფხაზები. ძალზე მნიშვნელოვანია მათთვის ქართულ კულტურულ სივრცეში დაბრუნება. სამართლიანად მიიჩნევენ ეთნოლოგი ლ. სოლოვიევა, როდესაც ის უჩვეულოს უწოდებს ქართველებთან აფხაზების მიერ მყისიერად და ხელოვნურად გაწყვეტილ მრავალსაუკუნოვან ეთნიკურ კონტაქტებს². აფხაზეთში, ამჟამად არსებული სოციალურ-კულტურული, ეკონომიკური მდგომარეობა, აფხაზი მეცნიერების შეფასებით, საგანგაშოა. ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობამ 1989 წელთან შედარებით ორჯერ იკლო და ვიკიპედიის მონაცემებით 2011 წელს იგი 240705 ადამიანს შეადგენს. განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს აფხაზური სოფელი, რომელიც იყო და არის აფხაზური ეთნოსისა და ტრადიციული კულტურის აღწარმოების სივრცე. ო. დამენიას მიაჩნია, რომ

¹ იქვე.

² Соловьева Л., 2006, დასახ. ნაშრ., გვ. 179-180.

აფხაზურ სოფელში ამჟამად მიმდინარე პროცესები ატარებს სტიქიურ ხასიათს, რაც, მისივე აზრით, ნიშნავს იმას, რომ არსებული რესურსები (კოლექტიური სოციალური სუბიექტის ამ პროცესებზე შეგნებული გავლენა) თითქმის არ გამოიყენება¹.

აფხაზეთში, 90-იან წლებში, თავისი მასშტაბების თვალსაზრისით და სამომავლოდ სახალხო საყოფაცხოვრებო კულტურაზე გავლენის მოხდენით, წამყვანი სოციალური პროცესი იყო ურბანიზაცია. პირველად თავის ისტორიაში აფხაზების უმრავლესობა გახდა ქალაქის მცხოვრები.

ამ პროცესის შედეგად სოფელში დაიწყო სოციალურ-დემოგრაფიული ცვლილებები. ი. ანჩაბაძე და ი. არგუნი მიიჩნევენ, რომ XX ს. „შეიქმნა შებრუნებული და ამიტომ თვისობრივად უნიკალური სიტუაცია – შობადობამ სოფლად 2004 წ. შეადგინა 3,3 პრომილე, ქალაქში კი – 5,6 პრომილე... ასეთი მდგომარეობა სოფლად, მათივე აზრით, შენარჩუნებულია იმით, რომ რესპუბლიკის სოფლის შემადგენლობაში შედარებით დიდ ნაწილს წარმოადგენენ გალის რაიონში მცხოვრები ქართველები².

აფხაზეთში პოსტსაბჭოური ურბანიზაციის ფენომენის უნიკალურობას წარმოადგენს ის, რომ ქალაქში გადასახლებული აფხაზები მჭიდრო კავშირებს ინარჩუნებენ მშობლიურ სოფელთან, იქ მცხოვრებ ნათესავებთან. ი. არგუნის აზრით, ამგვარ მდგომარეობას „ნახევრად-ურბანიზაციული“ შეიძლება ეწოდოს. ის ხაზს უსვამს ქალაქისა და სოფლის მოსახლეობას შორის პირობითად არსებულ ზღვარს, რადგან ბევრი ადამიანი, რომელსაც ძირითადი საცხოვრისი ქალაქში აქვს, თავისი შრომის დიდ ნაწილს სოფლის მეურნეობაში თავიანთი ნათესავების საკარმიდამოში აწარმოებენ და აქედან ღებულობენ შესაბამის შემოსავალს. მეორე მხრივ, აფხაზეთის სოფლიდან ურბანიზებული მნიშვნელოვანი ნაწილი ძირითად დროს ქალაქში ატარებენ და იქ აქვთ სამუშაო და შემოსავლის წყარო. სოფლად ისინი ინარჩუნებენ სახლ-კარს ოჯახებისათვის საკვები პროდუქტების საწარმოებლად³.

ურბანიზაციამ, მათივე აზრით, არა მარტო შეამცირა ზოგადად აფხაზეთის სოფლის მოსახლეობა, არამედ შეცვალა მათი ასაკობრივი შემადგენლობა და ამით მოახდინა სერიოზული სტრუქტურული ტრანსფორმაცია საოჯახო სასოფლო მეურნეობაზე, რადგან ქალაქში, პირველ რიგში, გადასახლდნენ ახალგაზრდები და საშუალო ასაკის ადამიანები. ამიტომ სოფლებში, პირველ რიგში მნიშვნელოვნად გაიზარდა წილი იმ მეურნეობებისა, სადაც ძირითადად მუშაობენ საპენსიო ასაკის ადამიანები. პარალელურად, მკვეთრად შემცირებულია რაოდენობა საოჯახო მეურნეობებისა სრული ოჯახის წარმომადგენლებით⁴.

¹ Дамения О., 2011. დასახ. ნაშრ., გვ. 482.

² Абхазы, 2007, დასახ. ნაშრ., გვ. 493-494.

³ იქვე, გვ. 499.

⁴ იქვე, გვ. 494.

ამრიგად, აფხაზეთში შექმნილ ვითარებაში, სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობები უფრო მეტად უფროსი ასაკის ადამიანების ქცევებში პოვებს გამოვლინებას, ვიდრე ეს არის ახალგაზრდებში. თუ პირველნი ლაპარაკობენ აფხაზური სულიერების, კულტურის გადარჩენაზე, მეორენი – ურბანიზაციის პროცესში ხელავენ „პროგრესს“ ან „აფხაზების „კულტურულ განვითარებას“, ასევე ცხოვრებაში „მატერიალური წარმატების სიმბოლოს“¹.

ამავე დროს აღსანიშნავია, რომ აფხაზები კარგად აცნობიერებენ, რომ ამჟამად უკვე მათ ინდივიდუალურ და კოლექტიურ ქმედებებზე ბევრადაა დამოკიდებული ქვეყანაში შექმნილი სიტუაცია, ამ ქმედებების პასუხისმგებლობა სულ უფრო გაიზრდება. ამას განაპირობებს დემოკრატიზაციის პროცესი, როდესაც იზრდება ადამიანის რეალური ჩართულობა ქვეყნის მართვაში, ადამიანის უფლებების დაცვაში, კერძო საკუთრების ხელშეუხებლობის ხარისხის ზრდაში, თავისუფალ კულტურულ განვითარებაში და სხვ.

დემოკრატიული გარდაქმნები ხელს შეუწყობს აფხაზების „დაბრუნებას“ თავის ბუნებრივ გარემოში, სადაც დიალოგურ კავშირში იქნებიან ტრადიციული და თანამედროვე კულტურები. მაგალითად, ეთნოლოგ ი. არგუნის მიერ ხალხურ ტრადიციებზე დაფუძნებული სპეციალურად შექმნილი სცენარით იმართება ამჟამად დღესასწაული „ლიხნაშთა“.

ეს დღესასწაული 1983 წლიდან ტარდება გუდაუთის რაიონის სოფ. ლიხნში. გუდაუთის ყველა სოფლისათვის გამოყოფილია მიწის ნაკვეთი, რომლის დობის მიღმა შენდება დროებითი ფაცხა-პავილიონი. აქ მზადდება აფხაზური საჭმელი, ეწყობა ხალხურ ოსტატთა ხის, ტყავის, რკინის, კერამიკის ნაკეთობების გამოფენა. იქვე გამოიფინება ახალი მოსავლის სოფლის ნობათი, ხილი, ბოსტნეული. „ლიხნაშთა“-ზე აუცილებლად იმართება ხალხური სპორტული თამაშები – ქვის სროლა, ბოძზე (სვეტზე) აცოცვა, ცხენურთი, სხვადასხვა დისტანციებზე დოღი და ა. შ.

ამგვარი დღესასწაული 1991 წლიდან იმართება ოჩამჩირის რაიონის სოფ. მოქვშიც „აბჟუიზარას“ სახელწოდებით. ამჟამად უკვე ეს დღესასწაულები გადაიქცნენ „ეთნიკურ სიმბოლოებად“, რომლებიც შეიცავენ აფხაზების ეთნიკური ისტორიის მნიშვნელოვან ინფორმაციას. აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ ისინი ასრულებენ კომუნიკაციურ, ძველ დროიდან ადამიანების გამაერთიანებელ ფუნქციას.

ამგვარად, აფხაზეთში მოდერნიზაციულ პროცესში წამოჭრილმა მთელმა რიგმა გამოწვევებმა აფხაზი ერის წინაშე, აფხაზი ერის ყოფნა-არყოფნის საკითხი დასვა. საზოგადოებისა და ყოველი ინდივიდის წინაშე დრო სვამს პასუხისმგებლობის საკითხს. ინდივიდის მიერ ხდება გაცნობიერება და ამ პროცესში ადამიანის რეალური ჩართვა. ეს უკანასკნელი ხდება მისი პასუხისმგებლური ქცევების,

¹ Абхазы, 2007, დასახ. ნაშრ., გვ. 497.

მოტივაციის შინაგანი საფუძველი. ქცევების რეგულატორი კი ადამიანის სინდის-ნამუსია.

დასასრულს, აღსანიშნავია, რომ თანამედროვე აფხაზეთში ტრადიციული კულტურის მახასიათებლები შემონახულია ჩვეულებითი სამართლისა და მორალურ-ეთიკური კოდექსის (აფსუარას) ფორმით, მათში ჩადებული ფასეულობების (ადამიანის სოციალური პასუხისმგებლობა, ღირსება და სხვ.) სინთეზირება-ტრანსფორმირება თანამედროვეობასთან შესაძლოა, მოხდეს მათი ლეგიტიმაციის საშუალებით.

ჩვეულებითი სამართლის სახელმწიფო სამართალთან პარალელურად და მასთან თანამშრომლობით (იურიდიული პლურალიზმი) რეალურ განხორციელებას პოვნებს მულტიკულტურულ საზოგადოებებში. საქართველოში სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი, საკანონმდებლო რეფორმები მიმართულია რეორგანიზაციისა და თვითმმართველობების ევროსტანდარტების საპასუხოდ. ამგვარი პოლიტიკა შესაძლებელს გახდის აფხაზეთში ეთნიკურობის დეპოლიტიზაციისა და მისი პოლიტიკურ-სამართლებრივი სიბრტყიდან სოციალურ-კულტურულ სიბრტყეში „გადატანას“.

აფხაზეთში მულტიკულტურული საზოგადოება კი რეალურ საშუალებას იძლევა შენარჩუნდეს და განვითარდეს აფხაზეთში და აქ მცხოვრები სხვა უმცირესობების ტრადიციული კულტურა. აფხაზეთში ჩვეულებითი სამართალი და მორალურ-ზნეობრივი კოდექსი „აფსუარა“ პარალელურად სხვებთან უნდა გახდეს სამოქალაქო მართლწესრიგის მნიშვნელოვანი ფაქტორი. ყოველივე ამით შესაძლებელი იქნება აფხაზეთში აშენდეს არა ეთნოკრატიული არამედ სამოქალაქო საზოგადოება.

Дж. Квициани (Тбилиси)

Обычное право как фактор гражданского правопорядка в Абхазии

В процессе мировой глобализации этнос и его традиционная культура становятся предметом все более интенсивного изучения. Эта тенденция особенно заметна в постсоветских странах.

На пути строительства советского социализма СССР отмежевывался от этнической, традиционной культуры, ставя своей целью формирование новой культуры и, соответственно, нового-советского человека. Как показало время, развал Союза был обусловлен именно разрывом последовательной связи между культурами.

На постсоветском пространстве Кавказа идет процесс формирования либерально-демократического общества, в связи с чем возникла необходимость обновленного изучения и осмысления традиционной культуры Кавказа. В представленном труде заострено внимание на вопросах социальной универсальности абхазской общины, как то: ответственность индивида, основы мотивации, связанной с коллективным и индивидуальным поведением и т. д.

В настоящее время для кавказского региона становится актуальным изучение проблем трансформации существующих в аграрную эпоху общей традиционной культуры и универсальных принципов цивилизационного единства в современном дифференцированном, плюралистическом и мультикультурном обществе.

Свобода, честь, совесть, толерантность и другие универсальные человеческие ценности, которыми представлена традиционная культура кавказцев, и поныне во многом обуславливают действия человека, его отношение к самому себе и окружающему миру.

Сегодня в центре внимания ученых оказались обычное право кавказских народов и связанные с ним этические нормы. Обычное право и современная культура по сей день сосуществуют на Кавказе. В XX в. Грузии, в силу проводимой политики, традиционная культура и обычное право, особенно в отношении народов, входящих в «советские автономии», как правило, игнорировались. Поэтому изучение абхазского обычного права, его актуализация с общественной точки зрения, трансформация и легитимация в гражданском правопорядке окажут содействие современным социально- культурным процессам в Абхазии, ее интеграции в гражданском обществе Грузии.

Историография проблемы

Исследователь обычного права И. Бабич отмечает, что сегодня на Западе (Европа, США, Канада) сформировалось право, которое имеет мало общего с системой государственного права. По его же мнению, это, в свою очередь, обусловлено с возникшими в последние годы в

мире тенденциями (рост международного разделения труда, глобализация в сфере производства и торговли, крупномасштабные миграции), что побудило западную общественность к усилению альтернативных институтов для разрешения конфликтов и спорных вопросов, созданию новых правовых систем (Бабич 2009, 49). Здесь же подчеркнута, что в этих же странах антропологи изучают именно это негосударственное правовое поле с целью использования его плюрализма для решения конфликтов и спорных вопросов.

В Кавказском регионе, так же, как и в других мультикультурных обществах мира, в связи с этноправовой тематикой все чаще используют понятие «правовой плюрализм». В условиях Российской империи практика «правового плюрализма» была узаконена в быту кавказских народов. И в советский период, при том, что официально господствовала система государственного права, обычное право все же продолжало функционировать и функционирует по сей день.

В процессе демократического строительства необходимо учесть соотношение внешних процессов и внутри-правовой ситуации.

Абхазское обычное право все еще не изучено должным образом, не создано монографического труда о нем, хотя об общественно-политическом устройстве этого края, его традициях и обычаях написано немало трудов на рубеже XIX-XX вв. (Н. Джанашиа, С. Званба, К. Мачавариани и др.). Представляет интерес описание обычного права абхазов в работах европейских исследователей и путешественников (Дж. Белл, И. Бларамберг, К. Главани, Дж. Интериано и др.).

Большое место нормам обычного права уделено в многочисленных русскоязычных историко-этнографических трудах XIX в. (С. Броневский, Ф. Завадский, Ф. Торнау, Г. Новицкий, Н. Дубровин, Л. Люлье, К. Сталь).

Отдельные вопросы обычного права абхазов затронуты в трудах советских историков и этнографов (И. Аджинджал, З. Анчабадзе, С. Ашхацава, Ц. Бжания, Д. Гулиа, Г. Дзидзария, Ш. Инал-Ипа, Р. Харадзе и др.).

Из вышеперечисленных авторов следует выделить труды Ш. Инал-Ипы (Инал-Ипа 1984), в которых, исходя из социально-политической ситуации в Абхазии XIX- XX вв., отчетливо отображено понятие правового плюрализма в классическом его понимании. Как известно, последнее характерно для колониальных и постколониальных стран и не имеет ничего общего с новым правовым плюрализмом, который, как было отмечено, формируется в современных западных странах.

Ш. Инал-Ипа считает, что в обычном праве и других компонентах традиционно-бытовой культуры абхазов отражена этническая специфика. Автор уделяет большее внимание такому общественному явлению, как «апсуара». По его мнению, возникновение и развитие принципов «апсуары» обусловлены особенностями исторической жизни народа, связаны с продолжительным формированием и развитием абхазского этноса. По его же мысли, в «апсуаре» заложены демократические принципы. Автор подчеркивает, что это были не столько различные правила поведения для феодалов и крепостных, сколько степень выполнения этих

правил. Автор считает также, что широко распространенный в Абхазии институт аталычества носил демократический характер, являлся составным элементом, «апсуары» и просуществовал в Абхазии вплоть до начала XX в. Согласно этим обычаям дети феодалов с самого рождения и зачастую вплоть до достижения совершеннолетия воспитывались в крестьянских семьях, где они проходили полный курс «апсуары» (Инал-Ипа 1984, 46). Ш. Инал-Ипа заключает, что понятие «апсуара», которое терминологически охватывает весь этнос (абхазов вообще), представляет собой единый и обязательный для всех кодекс этикета и морали. По мнению автора освоение «апсуары» как одного из главных элементов воспитания по представлениям абхазов означает усвоение традиций и обычаев собственного народа. Эта мысль ясно выражена в следующей формуле: «Если ты с почтением относишься к тому, что имеешь, приобретаешь и то, чего не имеешь»

Однако нередко представителями привилегированных классов нормы «апсуары» нарушались в отношении представителей низших слоев. В таких случаях, отмечает Ш. Инал-Ипа, нарушители подвергались общественному порицанию (Инал-Ипа 1984, 43).

Исследуя абхазско-адыгейские параллели этикета, ученый заключает, что «апсуара» по своему содержанию аналогична общему адыгейскому этикету «адыгегеге» (адыгейство) и грузинскому «картвелоба» (грузинство). Таким образом, по мнению ученого, «апсуара» отражает не только особенности традиционной бытовой культуры абхазского народа, но содержит морально-психологические категории и нормы человеческого поведения - совесть, честь, смелость, благородство, учтивость, гостеприимство, уважение старших, милосердие по отношению слабым, сдержанность, скромность и т. д (Инал-Ипа 1984, 150).

В постсоветской Абхазии ученые считают необходимым внедрение морально-нравственных и социально-культурных ценностей традиционной культуры в современную культуру (О Дамения, А. Куправа, Ю. Анчабадзе, Ю. Аргун и др.).

Монография «Абхазы», изданная под редакцией Ю. Анчабадзе и Ю. Аргуна, целиком посвящена изучению социально-культурной жизни современного абхазского села. Итоги работы, проведенной ими в абхазских селах в 2003-2006 гг., позволили выявить как можно управлять процессом трансформации традиционных правовых норм в современной культуре (Абхазы 2007).

Ю. Анчабадзе и Ю. Аргун отмечают, что сегодня, когда говорят о моральных ценностях и традиционной культуре, желая подчеркнуть лучшие качества личности, широко используют слово «апсуара». По их мнению, «апсуара» развилась на абхазской почве на основе эволюции внутренних канонов традиционной культуры. Поэтому, считают они, неслучайно требование обществу создать кодекс «апсуары» - оригинал истинного текста. Авторы отмечают также, что многие считают нужным внести в учебные программы общеобразовательных школ изучение основ «апсуары» (Абхазы 2007, 345).

О значении «апсуары» говорит и этнолог А. Куправа в изданной им в Сухуми книге (2000 г.), подчеркивая, что воспитание будущих поколений абхазов должно быть проникнуто духом «апсуары» и что воспитанный в таком духе человек всегда будет выделяться среди прочих. Как

бы подтверждая свою мысль, автор приводит следующий факт: в соседней Мегрелии, с которой Абхазию связывают многовековые исторические и культурные связи, о воспитанном человеке, считающемся эталоном для подражания, говорили «вежлив, как абхаз», «человек, как абхаз». По его же словам, в мегрелии желали в невестки абхазку, или в зятя абхаза, воспитанного на традициях «апсуары» (Куправа 2000, 46).

А. Куправа особо заостряет внимание на возрождении тех нравственных ценностей, которые наиболее полно выражают этнический образ абхаза, этническую специфику нации. Автор приводит слова известного абхазского писателя Джумы Ахубы, высказанные им по поводу «апсуары». Ахуба сравнивает «апсуару» с библией для христиан, кораном _ для мусульман, называя ее «святым знаменем» («аламиси»). Он сетует на то, что «апсуару» исказили, что порою это слово произносят с иронией, но, продолжает Ахуба, пока не победит «наша библия, наша святая «апсуара», не будет прогресса ни для родного языка, ни для нации (Куправа 2000, 52).

Привлекает внимание книга О. Дамения «Абхазы на рубеже веков», изданная в 2011 г. в Санкт-Петербурге. Автор основательно рассматривает опыт самоидентификации абхазов, их естественную культурную среду, структурную организацию абхазского социума и, что главное, базовые принципы «апсуары».

По его мнению, для того чтобы человек жил по нормам и канонам «апсуары» в современной жизни, необходимо ее единое понимание и использование на практике - это первое. Второе - нормы и каноны «апсуары» должны быть оценены исходя из реальных требований современного абхаза, из условий, в которых ему приходится жить сегодня. Третье _ необходимо определить роль и место «апсуары» как в современной, так и в будущей жизни абхазского общества, которая формируется на основе конституции и национального законодательства (Дамения 2011, 169-190).

В связи с отмеченным выше О. Дамения подчеркивает, что в свое время в абхазском традиционном обществе функцию основного закона (конституции) выполняла «апсуара». По его мнению, осуществление указанных пунктов в абхазской сельской общине и вообще абхазской нации возможно путем рационализации ценностей абхазской традиционной культуры в обществе, модернизацией культуры как средства воспроизводства человека (Дамения 2011, 475).

О современных принципах обычного права абхазов немало интересных сведений содержит научное издание «Современная сельская Абхазия: социально-этнографические и антропологические исследования», вышедшее в свет в 2006 г. в Москве. Этнолог Л. Соловьева, которая является одним из авторов сборника, рассматривает семейные и фамильные традиции в современной Абхазии. По ее мнению, сегодня гостеприимство в Абхазии является механизмом обновления и расширения внешних связей семьи, роста престижа и авторитета в обществе. В то же время гостеприимство _ вполне действенный институт социализации, посредством которого новое поколение на практике усваивает нормы

абхазского этикета («апсуару»), общепринятые нравственные нормы поведения («аламиси») (Соловьева 2006, 173).

Следует отметить, что обычное право абхазов привлекло к себе внимание и абхазских юристов – исследователей (Кавшбая 1999; Цугба 2010).

Л. Кавшбая отмечает, что обычное право и сегодня играет значительную роль в жизни абхазов, в частности, в брачно-семейных, имущественно-наследственных отношениях, в сфере уголовного, а также гражданского права. Исходя из этого, по его мнению, вполне возможно обычное право частично внести в официальное законодательство (Кавшбая 1999, 23).

М. Цугба считает, что обычное право – отнюдь не атавизм, а постоянный фактор правового развития общества, что обычай и сегодня сохраняет свое значение в современной Абхазии, конкурируя с официальным законодательством (Цугба 2010, 4).

Кабардинский исследователь З. Мисроков отмечает, что осуществленная Российской империей в XIX в. и советским государством в XX в. регламентация действия адатного и мусульманского права имеет универсальные свойства и если вникнуть в их суть, то этот опыт можно использовать в современной практике (Мисроков 2002, 218).

Таким образом, историографический анализ названной проблемы свидетельствует, что абхазское обычное право и сегодня не потеряло своей актуальности. По мнению большей части ученых в Абхазии и вообще в кавказских республиках обычное право, с учетом юридического плюрализма, должно занять свое место наряду с государственным правом.

Историография в вопросе показала так же, что обычное право абхазов, ясным выражением которого является «Апсуара», и сегодня содержит в себе базовые ценности абхазского этноса, во многом определяя поведение человека в его повседневной жизни.

Следует, однако, отметить, что, к сожалению, абхазское обычное право не было рассмотрено в контексте политики советского мультикультурализма.

Эта политика носила административно-приказной характер и боролась с традиционными ценностями, была противоречивой и формальной. Но обычное право в Абхазии, правда, сегодня нелегитимное, однако довольно жизнеспособное.

Думаем, что для представителей разных наций, живущих в современной Грузии, большое значение сегодня имеет политика реального мультикультурализма. Реализация этой политики в Абхазии будет связана с культурным и морально-нравственным возрождением абхазского этноса. В процессе модернизации за изучением обычного права должна последовать его трансформация и легитимация в гражданском правопорядке. Отметим, что большое значение имеет изучение обычного права в контексте социальной ответственности.

Идеи гуманизма в абхазском обычном праве

Абхазская проблема выявила глубокий кризис гуманности в обществе. Это обстоятельство подтвердил и грузино-абхазский конфликт 1992-93 гг., это очевидно и сегодня, когда более 200

тысяч человек оказались беженцами в собственном отечестве, когда ущемляются их права на собственность, передвижение и т. д.

В прежнем традиционном обществе субъекты, образующие социальную форму, – человек, семья, род, сельская община, субэтнос и этнос – гарантировали безопасность человека, создавая условия для его воспроизводства. В Абхазии, как в целом в Грузии и на Кавказе, традиционная культура параллельно с коллективностью имела в виду и индивидуальность личности. К сожалению, разрыв наследственной связи в процессе исторического и социально-культурного развития привел на Кавказе к плачевным результатам – человек, его духовность были отодвинуты на задний план, что, надо признать, наблюдается и сегодня. Ясно, что подобную политику в регионе продолжать уже невозможно – современные коммуникационные технологии каждодневно напоминают человеку, что он не одинок в борьбе за свои права и достоинство.

По мнению немецкого ученого Ханса Йоаса, в сегодняшнем мире либерализм ориентирован на свободу гражданина или возможность восприятия им всеобъемлющих ценностей толерантности для мирного сотрудничества и взаимоотношений. Он выделяет постмодернистов, по мнению которых в западных странах на протяжении десятилетий широкое распространение получили «постматериалистические» ценности и возникновение последних во многих связано с изменением нашего понимания человеческих действий (Ханс Йоас 2013, 34). Поэтому отбор нравственных ценностей и норм поведения, выяснение их роли в динамике человеческих действий в настоящее время является актуальной задачей.

В традиционной культуре абхазов человек предстает как носитель одновременно и коллективных, и индивидуальных (личностных) черт. Но какие культурные ценности отличали абхаза как личность?

В связи с постсоветскими модернизационными процессами в Абхазии О. Дамения считает, что современная культурная среда абхаза, ввиду известных причин (война, переходный период, внутримиграционные процессы и т. д.), на сегодняшний день разрушена. Восстановление этой среды ученый увязывает с модернизацией абхазского села придачей ему новой формы (Дамения 2011, 474-475).

Начала современной деревни связаны с традиционной абхазской сельской общиной. Последняя являлась самоуправляемой организацией, которая выражала как коллективные, так и интересы каждого человека. На протяжении веков и сама община претерпела социально-культурные трансформации. О. Дамения подчеркивает, что сельская община функционировала как самоуправляемая организация, в которой власть по сути принадлежала самой общине (собранию членов общины), на основании чего можно говорить о ней как о гражданской общине (Дамения 2011, 477).

В жизни абхаза община играла очень большую роль. Роль каждого конкретного человека в общине заключалась в организации такой духовной и нравственной среды, которая бы формировала личность абхаза, отличающуюся от прочих. Неслучайно поэтому, что в воспитании абхаза главенствующую роль играло освоение им традиций и обычаев,

свидетельством чему служат поговорки и пословицы, бытующие в абхазском обществе: «Если с уважением отнесешься к тому, что имеешь, приобретешь и то, чего не имеешь», «Воспитание одного человека стоит целого человека». Согласно что одному афоризму и «Цену одного человека не вместит ни один пароход» (Инал-Ипа 1984, 47).

Выше мы уже отметили, что т. н. «абхазство», синонимом которого является «апсуара», осваивалась каждым, чему во многом содействовало общественное мнение. Несоблюдение норм обычного права осуждалось морально и материально. Представляет интерес соображение академика С. Джанашиа, которое в свое время опубликовал Инал-Ипа. С. Джанашиа считает, что в системе старинных установлений абхазского воспитания, которая «делает человека человеком», большую роль играет абхазский этикет, которому могут позавидовать даже выдавшие виды дипломаты Лиги наций. Этот подробно разработанный этикет представляет собой свод канонов человеческого поведения. Здесь же уже сам Инал-Ипа отмечает, что никто не знает, что более поразительно: точное знание нравственных принципов и многообразие неписаных законов, регламентирующих поведение человека в обществе, или естественная изысканность манер простого человека, не прочитавшего в своей жизни ни одной книги (Инал-Ипа 1984, 47).

В абхазском обществе отправление канонов обычного права контролировалось так строго, что, согласно «аламиси» (совесть народа), человек мог считаться умершим еще при жизни в случае нарушения заповедей «аламиси».

Абхазский этнолог А. Куправа указывает не особую моральную ответственность воспитания, напоминая, что в основу поэмы А. Церетели, «Воспитатель» было положено абхазское народное сказание. Подобный сюжет использован в новелле Михаила Лакербая «Аргун Сайдик». Сайдик, внимательно выслушав своего воспитанника, изнасиловавшего жену своего друга, после долгого молчания произнес: «Правильно поступил Джарназ, послав тебя ко мне - ко мне, который воспитал тебя. В том, что ты совершил безнравственный, недостойный поступок, виноват не только ты, но в первую очередь я. Видно не сумел я вырастить благородного человека...» Аргун Сайдик достал пистолет и приложил дуло к виску. Юноша подскочил к своему учителю, но было уже поздно (Куправа 2000, 41).

Таким образом, по традиционным канонам «апсуары» человек обязан с честью выполнять свои обязанности перед богом и людьми.

Ю. Анчабадзе и Ю. Аргун отмечают, что человечность в абхазском этикете является категорией, связанной с определением этичности - «апсуа уаара» (абхазская человечность). По их мнению, эта категория ставит человека в центр системы «апсуара», что находит выражение в сфере нравственных взаимоотношений людей, общественном быту абхазов. Авторы полагают, что фразеологизм «человек есть человек» отражает высшую статусную позицию человека, которую в традиционном понимании абхаза занимает человек, его личность. Учетливое, достойное отношение как к самому себе, так и к другим, входит в обязательные нормы абхазского этикета (Куправа 2000, 41).

Исключительно внимательное отношение к людям вообще и особенно к родственникам отличает абхаза и сегодня. Этнолог Л. Соловьева отмечает, что в начале 2000-ых годов в одном из абхазских сел информатор, пытавшийся объяснить ей специфику абхазского социума, сказал: «Мы живем, так сказать, как кольца, нанизанные на одной цепи», т. е. каждый живет не для себя, а в тесной связи с остальными, являясь непрерывным кольцом цепи (Соловьева 2006, 180). При данных обстоятельствах, согласно абхазскому обычному праву, каждый имел свои права и обязанности. Семейные, родовые, общинные традиции строго оценивали быт любого человека, его роль и место в обществе.

Абхазы веровали, что грех одного человека может принести несчастье всей семье, роду или общине, поэтому требовали строгого соблюдения молодыми людьми норм «апсуары» и «аламиси». Л. Соловьева отмечает, что старшие часто повторяли молодым: «если опозорить нас, ты нам не нужен, умрешь — так и быть, похороним».

Как отмечает О. Дамения, в абхазском обществе «ценили у уважали человека, который отличался большим духовным потенциалом, но не материальным достатком. Именно духовность определяла его место в обществе. Духовный потенциал человека оценивался уровнем мышления и культуры поведения» (Дамения 2011, 254).

Таким образом, человек должен быть обладать развитым интеллектом и современным мышлением. В абхазской культурной среде он должен быть подготовленным, мобилизованным и концентрированным человеком, контролирующим свое поведение и действия.

Далее О. Дамения подчеркивает что даже скромность человека в условиях абхазской традиционной культуры могла быть выразителем его внутренней гордости. По его же мнению, именно этим выражалась одна из особенностей абхазской культуры. Человек, умеющий оценить другого человека воспринимался обществом как добродетельный. Считалось, что такой человек не мог быть слепым рабом своего субъективного эго (Дамения 2011, 229).

Таким образом, абхазская традиционная культура проникнута идеями гуманизма. Она полагает человека как высшую ценность невзирая на его социальное происхождение. Место и роль человека определялись его соответствующей социализацией и регламентацией практики его взаимоотношений в социуме, примером чего служит абхазское обычное право и морально-нравственные требования «апсуары».

Обычное право и социальная ответственность абхазской общины

Итак, по абхазской традиционной культуре человек не столько биологическое, сколько духовное существо. Поэтому в абхазском обычном праве, в частности в «апсуаре», заметное место отводится вопросу социальной ответственности человека. В первую очередь, как было отмечено, вопрос касается отношения человека к собственной персоне и к окружающим, что

было зафиксировано в традиционных адатах и обычаях. Реализация прав и обязанностей человека обеспечивалась соответствующими институтами и механизмами, социальной универсальностью абхазской общины.

Абхазская сельская община благодаря общим демократическим традициям представляла собой объединение равноправных членов. Она представляла возможность каждому человеку принять участие во всех жизненно важных делах объединения. Создание этого закона, его выполнение и контроль над выполнением осуществлялись одним и тем же лицом (Дамения 2011, 235). Общественное мнение выделяло заслуги отдельного человека в коллективной деятельности общины, поощряя его либо морально, либо материально. Человек мог стать героем, которому посвящались стихи, о котором складывались легенды. О значении общественного мнения, в жизни абхаза свидетельствуют местный фольклор, этические нормы и т. д. Но человек, совершивший преступление и опозоривший тем самым семью, род, общину, подвергался порицанию, вплоть до изгнания из общины, что было равносильно смерти.

Исторические события последних двухсот лет (российская колонизация, строительство социализма, постсоветский период) разрушили базовые основы традиционной культуры, претерпели деформацию также принципы и нормы «апсуары». Изменились до неузнаваемости многие нравственные ценности, фундаментальное содержание обрядов (гостеприимство, свадьба, традиционный ритуал похорон, поминок и т. д.) (Куправа 2000, 49).

Этнолог А. Куправа причину всего видит в переходе от патриархального образа жизни к социализму и от социализма _ к рыночной экономике. По его мнению, эти преобразования были навязаны извне и никак не соответствовали менталитету абхазского народа (Куправа 2000,49).

Мы полагаем, что в данном случае было бы более правомерным говорить не о несоответствии менталитета народа социальным формациям, а об осознании человеком собственной свободы как высшего блага и необходимости ответственности перед другими.

Человек, оторванный от собственных культурных корней, будь то абхаз или грузин, остается чужд к навязанным преобразованиям. Зачастую он относится к ним безответственно, скептически, тогда как абхазское обычное право и «апсуара» всей своей сутью направлены на формирование личности, обладающей высокой социальной ответственностью. Надо признать: несмотря на то, что эти институты не имели легитимации в течение двух веков, они все же были удивительно жизнеспособными, о чем свидетельствуют сохранившиеся по сей день отдельные обряды, этические нормы «апсуары» и, что главное, - абхазский язык.

Как подчеркивают абхазские ученые (Ю. Анчабадзе, Ю. Аргун, Д. Дамения и др.), культурная среда современного абхаза, в силу известных причин (война, переходный период, внутримиграционные процессы), разрушена. Ее восстановление во многом будет зависеть от того, какую форму самоопределения нации изберут абхазы. Полагаем, что верным решением этой проблемы явится их возврат в грузинскую среду. Этнолог Л. Соловьева считает необычным столь внезапный и искусственный разрыв многовековых этнических контактов между абхазами и грузинами (Соловьева 2006, 179-180).

По оценкам абхазских ученых, в настоящее время социально-культурное и экономическое положение в Абхазии вызывает тревогу. По сравнению с 1989 г. численность населения уменьшилась вдвое и в 2011 г. составила 240 705 человек. Особую проблему представляет абхазское село, которое было и остается средой воспроизводства абхазского этноса и традиционной культуры. О. Дамения считает, что в настоящее время в сельской Абхазии процессы развиваются стихийно, а это значит, что имеющиеся ресурсы (осознанное участие коллективного социального субъекта в этих процессах и его влияние на них) не используются (Дамения 2011, 482).

В 90-ых годах XIX в. урбанизация, по своим масштабам и воздействию на бытовую культуру народа в будущем, являлась ведущим социальным процессом. Впервые за всю свою историю большинство абхазов стали городскими жителями. В результате в сельской Абхазии начались социально-демографические изменения. Ю. Анчабадзе и Ю. Аргун полагают, что создалась обратная и поэтому качественно уникальная ситуация: рождаемость в селе в 2004 г. составила 3,3 промилле, в а городе - 5,6. По их мнению, такое положение в селах сохранилось в силу того, что большую часть населения сельской Абхазии составляют грузины, живущие в Гальском районе (Абхазы 2007, 493-494).

Уникальность постсоветской урбанизации в Абхазии состоит в том, что поселившиеся в городе абхазы сохраняют тесные связи с родной деревней и живущими там родственниками. По мнению Ю. Аргуна, подобное положение можно определить как «полуурбанизированное». Он проводит условную грань между сельским населением и теми, кто поменял местожительство и стал горожанином, поскольку последний большую часть времени трудится на приусадебных участках своих родственников, добывая тем самым хлеб насущный. С другой стороны, значительная часть урбанизированных сельчан основное время проводят в городе, работают в городе и имеют источник дохода. Однако они сохраняют за собой сельской дом и приусадебные участки, на которых производят продукты питания для своей семьи (Абхазы 2007, 499).

По его же мнению, урбанизация не только сократила сельское население, но и изменила его возрастной состав, структурно трансформировав семейное сельское хозяйство, поскольку в город в основном переселились молодежь и люди среднего возраста. Поэтому в селах, в первую очередь, выросла доля таких хозяйств, в которых трудятся в основном люди пенсионного возраста. Параллельно с этим сильно сократилось число хозяйств, в которых занята семья в полном своем составе (Абхазы 2007, 494).

Таким образом, в сегодняшней Абхазии чувство социальной ответственности сохраняет старшее поколение, которое все еще заботится о духовности и спасении культуры. Что касается молодежи, то она видит в урбанизации «прогресс» и «культурное развитие» абхазов или «символ материального успеха» в жизни (Абхазы 2007, 497).

В то же время абхазы отлично осознают, что в создавшейся ситуации многое зависит от их индивидуальных и коллективных действий и ответственность за эти действия со временем возрастет, что обусловлено демократическим процессом, когда человек реально участвует в

управлении государством, защите прав человека и неприкосновенности частной собственности, свободном культурном развитии и т. д.

Демократические преобразования обусловят «возврат» абхазов в их естественную среду, в которой будут мирно сосуществовать традиционная и современная культуры. К примеру, в селении Лыхни с 1983 г. празднуют «Лыхнашта» - праздник, сценарий которого был специально создан этнологом Ю. Аргунем на основе народных традиций. С этой целью в каждом селе Гудаутского района устанавливают временные пацха - павильоны, где готовят абхазские национальные блюда, выставляют изделия народных умельцев и т. д. Здесь же проводятся соревнования по народным спортивным играм, как то: метание камня, ползание по столбу, скачки и др. Подобный праздник с 1991 г. устраивается и в с. Мокви Очамчирского района и называется он «Абжуизара». Эти торжества уже стали «этническими символами», содержащими значительную информацию об этнической истории абхазов; кроме прочего, с древних времен они выполняют также и коммуникативную функцию.

Итак, модернизационный процесс в Абхазии, наряду с другими вызовами, поставил перед нацией вопрос существования, т. е. общество в целом и каждый отдельно взятый индивид ответственны перед будущим. Индивид, осознавая вызовы времени, реально включается в процесс ответных действий, что становится основой формирования в нем чувства ответственности; регулятором же его действий являются честь и совесть.

В заключение отметим, что характерные черты абхазской традиционной культуры сохранены в виде обычного права и морально-этического кодекса («апсуара»). Синтез заложенных в них ценностей (социальная ответственность, честь, совесть и др.) с современностью может произойти посредством легитимации последних в современной культуре.

Таким образом, обычное право, параллельное с государственным правом и в сотрудничестве с ним (юридический плюрализм), найдет реальное осуществление в мультикультурном обществе. Законодательные реформы в Грузии направлены на реорганизацию самоуправления по евростандартам, а подобная политика обусловит деполитизацию этничности абхазов и «перенесение» ее из политико-правовой плоскости в социально-культурную.

Полагаем, что мультикультурное общество современной Абхазии дает возможность сохранения традиционной культуры с последующей ее трансформацией и легитимацией в современной культуре. Исходя из этого, абхазское обычное право и моральный кодекс «апсуара» должны стать значительным фактором гражданского правопорядка. Это окажет содействие формированию на территории Абхазии гражданского общества.

Литература

Анчабадзе, Аргун 2007 : Анчабадзе Ю.Д., Аргун Ю.Г., Абхазы. Серия «Народы и культуры». Основана в 1992 г. Отв. ред. В.А.Тишков, С.В.Чешко. Москва.
Бабич 1999 : Бабич И. Л., Эволюция правовой культуры адыгов (1960-1990 гг.). Москва.

- Бабич 2009** : Бабич И. Л., Концепция «правового плюрализма»: Теория и практика // Обычное право и правовой плюрализм на Кавказе в XIX - нач. XX века. Карачаевск.
- Бабич 2001**: Бабич И. Л., Механизмы формирования правового плюрализма на Северном Кавказе (на примере Кабардино-Балкарии и Северной Осетии) // Социальная организация и обычное право. Краснодар.
- Дамения 2011** : Дамения О.Н., Абхазия на рубеже веков. Опыт понятийного анализа. СПб.
- Инал-Ипа 1984** : Очерки об абхазском этикете. Сухуми, Йоас Ханс (Hans Joas). Возникновение ценностей. СПб. Сухуми.
- Кавшбая 1999** : Кавшбая Л.Л., Обычное право абхазов в конце XVIII-XIX вв. (Историко-правовой аспект). Автореферат. Новгород.
- Куправа 2000**: Куправа А.Э., Апсуара. Среда формирования. Духовные и нравственные основы. Сухум.
- Мисроков 2002**: Мисроков З.Х., Адат и шариат в российской правовой системе. Исторические судьбы юридического плюрализма на Северном Кавказе. Москва.
- Соловьева 2006**: Соловьева Л.Т., Семейные и фамильные традиции в современной Абхазии // Современная сельская Абхазия: социально-этнографические и антропологические исследования. Москва.
- Хоперская 2011**: Хоперская Л.Л., Модели этнической политики в мультикультурных обществах в Канаде, на Северном Кавказе и в Центральной Азии // Канадский опыт мультикультурализма и Российская политика на Кавказе. Материалы научно-практической конференции. Волгоград.
- Хлынина, Урушадзе 2011**: Показана ли российскому Кавказу политика канадского мультикультурализма // Канадский опыт мультикультурализма и Российская политика на Кавказе. Материалы научно-практической конференции. Волгоград.
- Цугба 2010** : Цугба М.Э., Регулирование брачно-семейных отношений у абхазов (XIX - нач. XX вв.). Соотношение обычного права и законодательства Российской империи. Автореферат. Москва.

J. Kvitsiani (Tbilisi)

The Common Law as a Factor of Civil Law and Order in Abkhazia

S u m m a r y

In the process of reformation of the post-soviet Caucasus it grew necessary to comprehend the traditional culture of its nations, in particular, the social universality of the Abkhazian community, which implies social responsibility of an individual, basis of motivation related to collective and individual behavior, etc.

The authors concludes that both the Common Law and the Civil Law and Orders of Abkhazia can find their way to legitimate implementation in the new Georgian civil community alongside of the State Law of Georgia. Such policy will enable depolitization of the Abkhazians' ethnicity and its "transition" from the political and legal sphere into the socio-cultural one.

ს. ზედელაშვილი (თბილისი)

ქართველი ლეგიონერები I მსოფლიო ომში

(საარქივო მასალების მიხედვით)

XX საუკუნის დასაწყისში ოსმალეთი აღარ წარმოადგენდა ისეთ უძველეს იმპერიას, როგორც იყო ის XXVII, XXIII, XIX საუკუნეებში. თუ ოსმალეთი წინა საუკუნეებში ითხოვდა დასავლეთ საქართველოსაგან მორჩილებას და მისი ტერიტორიებიც ხელში ჩაიგდო (აჭარა, ტაო-კლარჯეთი), XIX საუკუნეში რუსეთმა საერთოდ წაშალა საქართველო მსოფლიო პოლიტიკური რუკიდან და მის ტერიტორიაზე დემოგრაფიული ცვლილებებიც მოახდინა. ე. წ. „ჩამორჩენილი“ დაუმორჩილებელი კავკასიელი და ქართველი „ტუზმცების“ წინააღმდეგ მათ საარსებო სივრცეში მიზანმიმართულად სხვადასხვა ეთნოსები შემოიყვანა, რათა შეეპოკათ და წინააღმდეგობის გაწევა აღარ შეძლებოდათ. თვით გამოჩენილი რუსი ადამიანებიც კი ირონიულად იყვნენ გამსჭვალული ქართველების მიმართ – „გარბოდნენ მშიშარა ქართველები“, – წერდა ლერმონტოვი. თავისი ინტერესებისათვის რუსეთმა გამოსტაცა ოსმალეთს ახალციხე, ახალქალაქი, აჭარა და კავკასიის სხვა ტერიტორიები. კონსტანტინეპოლის ხელში ჩაგდება რუსეთისათვის განსაკუთრებით აქტუალური XX საუკუნის ათიან წლებში, I მსოფლიო ომამდე, დადგა. დიდი დაპირისპირება იყო კავკასიაში რუსეთსა და ოსმალეთს შორის იმ რეგიონებზე, რომელიც დაკარგა ოსმალეთმა რუსეთთან ომების დროს XIX საუკუნეში.

ოსმალეთის გადარჩენისათვის იმპერიაში დაიწყო ახალგაზრდა თურქების პოლიტიკური მოძრაობა, რომელმაც 1909 წლის მეორე ნახევარში მთელი ძალაუფლება თავის ხელში აიღო. მათ კონსტიტუციაში შეიტანეს მნიშვნელოვანი ცვლილებები, რითაც სულთანს ჩამოერთვა მთელი რიგი უფლებები. 1913 წლისათვის ოსმალეთის იმპერიაში დამყარდა ახალგაზრდა თურქების მმართველობა. ოსმალეთის მთავრობაში პროგერმანულმა პოლიტიკამ მოიპოვა უპირატესობა. პირველი მსოფლიო ომის წინ ოსმალეთს განსაკუთრებით უმძიმესი ვითარება შეექმნა. ანტანტის ქვეყნები – ინგლისი და საფრანგეთი – დაინტერესებულნი იყვნენ, ხელთ ეგდოთ ოსმალეთის სამფლობელოები: მესოპოტამია, სირია, პალესტინა, არაბული ქვეყნები და ა. შ. რუსეთს სურდა ასევე, ხელთ ეგდო კონსტანტინეპოლი, შავი ზღვის სრუტეები და თურქეთის აღმოსავლეთი პროვინციები. ქართველ ხალხს, რომელსაც დაკარგული ჰქონდა სახელმწიფოებრიობა, არავინ ეკითხებოდა საკუთარი ტერიტორიების განკარგვას. თურქეთისა და რუსეთის – ამ ორი დიდი იმპერიის – ინტერესები იკვეთებოდა კავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში, რომელიც გუბერნიების სახით შედიოდა რუსეთის იმპერიაში. ამ ორ იმპერიას შორის ტერიტორიების გადანაწილების საკითხი არ ითვალისწინებდა ქართველი

ხალხის ინტერესებს და არც არავინ ჰკითხავდა მას. 1914 წლის 2 აგვისტოს სტამბოლში გერმანიასა და ოსმალეთს შორის დაიდო საიდუმლო ხელშეკრულება, რომელიც მიმართული იყო რუსეთის წინააღმდეგ. როგორც კი ოსმალეთი გერმანიისაგან, როგორც მოკავშირისაგან, მიიღებდა პირველ კრედიტს სამხედრო დახმარების სახით, ოსმალეთი ჩაებმებოდა ომში. 26 ოქტომბერს გერმანიამ ოსმალეთის ბანკში შეიტანა 5 მილიონი ოქროს ლირა; ოსმალეთმაც არ დააყოვნა და 27 ოქტომბერს მოულოდნელად ოსმალეთის ფლოტმა ჩაძირა რუსეთის გემები, 29 ოქტომბერს დაბომბეს ოდესა, 30 ოქტომბერს – სევასტოპოლი, ფეოლოსია, ნოვოროსიისკი, ბათუმი. ოსმალეთმა მესამე არმია განაღვა კავკასიის საზღვართან, შტაბი იყო არზრუმში. ახალგაზრდა თურქები განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ კავკასიის ფრონტს, რაც გერმანიის მთავარსარდლობისათვის მეორეხარისხოვანი იყო.

ენვერ ფაშას დიდი იმედი ჰქონდა, რომ ოსმალები ადვილად დაამარცხებდნენ რუსეთის ჯარებს და მთლიანად აიღებდნენ კავკასიას. 1914 წლის ნოემბერ-დეკემბერში ოსმალეთის არმიამ არზრუმის, ოლთისის, ერევნის, ყარსის, ელიზავეტოპოლის და ბათუმის მიმართულებით შეტევები განახორციელა. დეკემბრის ბოლოსა და იანვრის დასაწყისში რუსეთი კონტრშეტევაზე გადავიდა და სარიყაშიშთან დაამარცხა ოსმალეთის ჯარები, ასევე რუსების მიერ აღებულ იქნა ხოფა და არტაანი.

ოსმალეთი ეკონომიკურად დასუსტდა და გერმანიაზე დამოკიდებული გახდა. კავკასიის ფრონტზე წარუმატებლობამ განაპირობა ის, რომ რუსეთის კონტროლირებად ტერიტორიაზე მოქმედი ქართველებისაგან შექმნილი საბრძოლო ბატალიონი „ტაბურის ლეგიონი“ გამოეყენებინა ოსმალეთს თავისთვის, რომელიც მხარს დაუჭერდა, რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად რუსეთის კონტროლირებად საქართველოს შავი ზღვის რეგიონში.

აღნიშნული ფაქტი ცნობილი გახდა კავკასიის მმართველებისათვის. ვინმე რომანენკო წერილობით მიმართავდა კავკასიის მეფისნაცვალს, თხოვნით, ყურადღებით განეხორციელებინათ თვალთვალი იმ ლეგიონერებისათვის, რომლებიც, სავარაუდოდ, უნდა გამოიხენილიყვნენ მათ კონტროლირებად მხარეში, დაეპატიმრებინათ და გადაეცათ უანდარმერიისათვის. კავკასიაში მოქმედმა რუსულმა უანდარმერიამ წარმატებით განახორციელა მითითება და გამოვლენილი იქნა ბათუმის რეგიონში მოქმედი ქართველი ლეგიონერები; როგორც რუსი სამხედროები აღნიშნავდნენ, ისინი საშიშ ძალას წარმოადგენდნენ რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ ბათუმში. ბათუმში რუსული ადმინისტრაციის ვიცეპოლკოვნიკმა გავრილოვმა ლეგიონერების შესახებ ცნობები მიაწოდა ბათუმის ოლქის გენერალ გუბერნატორს, რომელთა ფოტოსურათებიც მათ მიერ იქნა მოპოვებული და სახეებიც – ამოცნობილი. ადგილობრივი რუსული მმართველობა მათ ყაჩაღებად მოიხსენიებდა. ესენი იყვნენ: სერგო ლაბაძე, ალექსანდრე სურგულაძე, ოსმან-ბეგ-აზაბ-აღა-ზადე მაჭახელაძე, ლეონ კერესელიძე და ა.შ. მაგალითად, ალექსანდრე სურგულაძემ აქტიური მონაწილეობა მიიღო, სხვა ქართველებთან ერთად, სურამში მდგომი რუსთა

როგორც აღნიშნული დოკუმენტის ანალიზით ჩანს, რუსეთის ხელისუფლება ეჭვის თვალით უყურებდა თითქმის ყველა ეთნიკურ ქართველს, მათ მხარეს მყოფი კოლაბორაციონისტების გარდა, ხედავდა მათში კავკასიაში თავიანთი ბატონობის მოწინააღმდეგეს. ქართველებს, რომლებიც გამოყენებულები იყვნენ ოსმალეთის მიერ რუსეთის კონტროლირებად ტერიტორიაზე კავკასიაში რუსების წინააღმდეგ, სჯეროდათ, ოსმალეთი და გერმანია ყველაფერს გააკეთებდნენ I მსოფლიო ომში გასამარჯვებლად; ქართველები კი იდროვებდნენ ამ ვითარებით და იბრძობებდნენ გერმანია-თურქეთის კოალიციის მხარეს, რათა ამით ებრძოლათ საქართველოს გამოსახსნელად რუსეთის იმპერიის კლანჭებიდან. ქართველებს ამგვარი დამოკიდებულების მთავარ არგუმენტად რუსეთის წინააღმდეგ ევროპული ქვეყნის გერმანიის, მონაწილეობა მიაჩნდათ. საარქივო მასალების მიხედვით ირკვევა, რომ რუსეთის ხელისუფლება შემოფოტებასაც არ მალავდა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ლეგიონერების რაოდენობის ზრდით. 1915 წლისათვის რუსეთის კონტროლირებად ტერიტორიაზე მოქმედი ლეგიონერების რაოდენობა 800 კაცს შეადგენდა, მოგვიანებით რაოდენობა გაიზარდა. არ მალავდა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ლეგიონერების რაოდენობის ზრდით 1915 წლისათვის რუსეთის კონტროლირებად ტერიტორიაზე მოქმედი ლეგიონერების რაოდენობა 800 კაცს შეადგენდა, მოგვიანებით რაოდენობა გაიზარდა. რუსული პროპაგანდა აქტიურად მოქმედებდა იმ ლეგიონერებისა და ქართული მოსახლეობის მიმართ, რომლებიც საქართველოს დამოუკიდებლობაზე ოცნებობდნენ. რუსეთის ჯარებმა აიღეს რიზე, დაატყვევეს ნაწილი ქართული ლეგიონერებისა დაუქვემდებარეს გუბერნატორს და მოსთხოვეს გუბერნიის დაცვა „ბანდიტებისა და კრიმინალებისაგან“². რუსეთის კონტროლირებად ტერიტორიაზე მოქმედი ქართველები, რომლებიც მიჩნეულნი იყვნენ რუსეთის პოლიტიკისათვის არასანდო ხალხად, რუსებმა ჯერ დააპატიმრეს ბათუმის ოკრუგის ციხეში, ხოლო განთავისუფლების შემდეგ უნდა განსახლებულიყვნენ ოსმალეთის ტერიტორიაზე. მაგალითად ესეთი ბედი უნდა რგებოდათ მოლა იუსუფ დავაძეს, ისმაილ დავაძეს და ა. შ³. როგორც ვხედავთ, რუსები მზად იყვნენ გაესახლებინათ ბათუმის ოლქიდან მუსლიმი ქართველები, რაც იქნებოდა იმ მუჰაჯირობის გაგრძელება, რომელსაც ადგილი ჰქონდა როგორც XIX, ასევე XX საუკუნის დასაწყისში. კავკასიელი ეთნოსების საკუთარი ტერიტორიებიდან აყრა და განდევნა რუსეთის იმპერიისათვის ჩვეულებრივი მოვლენა იყო. 1900-1907 წლებში 8 ათასი ყაბარდოელი ოსმალეთში გაასახლეს⁴. 1918 წლის ზაფხულში წითელარმიელებმა ჩერქეზული დასახლებული

¹ ბათუმის ცენტრალური არქივი, p 89, ანაწ. 3, საქ. 1, გვ. 10.

² ბათუმის ცენტრალური არქივი, P 89, ანაწ. 3, საქ. 20.

³ იქვე, გვ. 26.

⁴ ჩერქეზული (ადიღეური) კულტურის ცენტრი. ჩერქეზების გენოციდი – პრობლემის ისტორია, მოვლენათა ქრონიკა, სამეცნიერო დასკვნა. გვ. 76. თბილისი, 2012.

პუნქტი კომპაბლი ერთიანად ამიწვიტეს ¹. მსოფლიო ომის დროს ქართული საზოგადოება გაყოფილი იყო ორ ნაწილად: კოლაბორაციონისტები და რევოლუციონერები, რომლებიც საქართველოს მომავალს მხოლოდ რუსეთში ხედავდნენ და ეროვნული ძალები, რომლებისთვისაც საქართველოს დამოუკიდებლობა მთავარი იყო. 1918-1921 წლებში კოლაბორაციონისტებმა და რევოლუციონერმა ქართველებმა დიდი როლი ითამაშეს საქართველოს სახელმწიფოებრიობის მოსპობაში.

¹ იქვე, გვ. 77.

ლიტერატურა

1. სვანიძე მ., ოსმალეთის ისტორია (1600-1923). II ნაწილი. თბილისი, 2002.
2. დონაძე ვ., საზღვარგარეთული აღმოსავლეთის ქვეყნების ახალი ისტორია. I ნაწილი. თბილისი, 1969.

С. Зеделашвили (Тбилиси)

Грузинские легионеры в первой мировой войне (по архивным материалам)

В начале XX века Османская империя не была уже такой сильной державой, какой она была в XXVII, XXVIII и XIX вв. Если Османская империя в прежнее время требовала от Западной Грузии, территории которой были под ее властью (Аджария, Тао-Кларджети), подчинения, то в XIX в. Россия вообще стерла Грузию с мировой политической карты, осуществив на ее территории демографические изменения. Земли «отсталых» и непокоримых «туземцев» Россия целенаправленно заселила различными этносами. Даже видные представители русского народа с иронией смотрели на грузин: «Бежали робкие грузины», – писал Лермонтов. В своих интересах Россия отвоевала у османов Ахалцихе, Ахалкалаки, Аджарию и другие территории Кавказа. Завоевание Константинополя стало актуальным для России в десятых годах XX века до начала Первой мировой войны. Особенно острой оказалась борьба между Россией и Османской империей за те регионы, которые османы потеряли на Кавказе в XIX в. во время русско-турецких войн.

Для спасения Османской империи началось политическое движение младотурок, которые во второй половине 1909 года полностью захватили власть в свои руки. Они внесли в Конституцию значительные изменения, отнявшие у султана ряд прав. К 1913 году в Османской империи началось правление младотурок. В правительстве империи стала господствовать прогерманская политика. Перед Первой мировой войной в Османской империи было особо тяжелое положение. Страны Антанты, Англия и Франция, были заинтересованы завоевать принадлежавшие османам территории: Месопотамию, Сирию, Палестину, арабские страны и т.д. Россия стремилась захватить Константинополь, заливы и восточные провинции Турции. Грузинский народ, утративший свою государственность, не мог распоряжаться своими территориями. Интересы России и Турции пересекались на Кавказе, в частности в Грузии, которая в виде губерний входила в состав России.

2 августа 1914 года между Германией и Османской империей в Стамбуле был подписан тайный договор, направленный против России. После получения от Германии первого кредита в виде военной помощи, Османская империя была обязана ввязаться в войну. 26 октября Германия внесла в банк Османской турции 5 миллионов лир золотом. 29-30 октября германо-турецкий флот нанес артиллерийский удар по Севастополю, Одессе, Феодосии и Новороссийску.

Третью армию Османская империя расположила на границе Кавказа, штаб находился в Арзруме. Особо важное значение младотурки придавали Кавказскому фронту, что для командования Германии было второстепенным. Энвер-паша надеялся, что османы смогут разбить русские войска и полностью захватить Кавказ. В ноябре-декабре 1914 года османская

армия осуществила наступление на Арзрум, Олтис, Ереван, Карс, Елизаветполь и Батум. В конце декабря – начале января Россия перешла в контрнаступление и разгромила османскую армию под Сарикамишем, русские также взяли Хопу и Артаан.

Упадок военного и экономического могущества Османской империи обусловил тот факт, что она стала зависеть от Германии. После поражения на Кавказском фронте Турция стремилась использовать в своих интересах против России *сформированный в Турецкой армии грузинский батальон «Легион Табур»*¹, действовавший на контролируемой Россией территории. Это стало известным руководству Закавказья. Некий Романенко письменно обратился к наместнику Кавказа с просьбой внимательно следить за легионерами, которые, предположительно, должны были появиться на контролируемой ими территории, арестовать их и передать в жандармерию². Следуя этому указанию, действовавшая в Закавказье русская жандармерия обнаружила в батумском регионе грузинских легионеров. Русские военные считали, что они представляли собой угрозу для России. Гаврилов, вице-полковник русской администрации, передал сведения о легионе генерал-губернатору Батумского округа. Были найдены и опознаны фотографии легионеров. Местные русские власти говорили о них, как о разбойниках. Среди легионеров были Серго Лабадзе, Александр Сургуладзе и др. Например, вместе с другими грузинскими легионерами Александр Сургуладзе принимал активное участие в борьбе против русских сил, размещенных в Сурами³. Как видно из данного документа, кроме бывших на их стороне коллаборационистов, правительство России с подозрением относилось ко всем этническим грузинам и видело в них противников против своего господства на Кавказе. Грузины, которых Османская империя использовала в борьбе против России на контролируемой ею территории, верили, что Османская Турция и Германия сделают все, чтобы победить в Первой мировой войне, а грузины, воспользовавшись этим, смогут бороться на стороне коалиции Германии и Турции с тем, чтобы освободить Грузию от российского господства. Такой настрой грузин был обусловлен участием европейских стран, в частности Германии, в борьбе против России.

Из архивных материалов выясняется, что правительство России не скрывало своего беспокойства по поводу роста численности легионеров на территории Грузии. К 1915 году на контролируемой Россией территории находилось 800 грузинских легионеров, в дальнейшем их численность возросла⁴. Русская пропаганда активно действовала против легионеров и всего грузинского населения, мечтавшего о независимости Грузии. Русские войска заняли Ризе, взяли в плен часть грузинских легионеров, подчинив их власти губернатора и приказав им охранять губернию от «бандитов и криминалов»⁵. Грузины, действовавшие на контролируемой Россией территории и признанные противниками русской политики, были арестованы и посажены в

¹Центральный архив Батуми, Р 89, опись 3, дело 1, с. 2.

² Там же, с. 2.

³ Центральный архив Батуми, Р 89, опись 3, дело 1, с. 10.

⁴ Центральный архив Батуми, Р 89, опись 3, дело 1, с. 20.

⁵ Центральный архив Батуми, Р 89, 3, опись, дело 1, с. 20.

тюрьму Батумского округа, а после освобождения им грозило переселение в Турцию. Такая участь постигла Мола Юсупа Давадзе, Исмаила Давадзе и др.¹. Как видим, русские были готовы выселить из Батумского округа грузин-мусульман, что стало бы продолжением того мухаджирства, которое имело место как в XIX в., так и в начале XX в. Для России было привычно сгонять кавказские этносы с собственных территорий и насильственно переселять их в чужие земли. В 1900-1907 гг. 8 тысяч кабардинцев было переселено в Османскую империю². Весной 1918 года красноармейцы полностью истребили мирных жителей черкесского аула Кошехабль³. Во время первой мировой войны грузинское население было разделено на две части: это были коллаборационисты и революционеры, которые связывали будущее Грузии с Россией, и национальные силы, для которых свобода Грузии была превыше всего. В 1918-1921 гг. грузинские коллаборационисты и революционеры сыграли большую роль в том, что Грузия утратила свою государственность.

Источники

1. Центральный архив Батуми, Р 89, опись 3, дело 1.
2. Центральный архив Батуми, Р 89, опись 3, дело 3.

Литература

1. **Сванидзе М.**, История Османской империи (1600-1923 гг.). II ч. Тбилиси, 2002.
2. **Донадзе В.**, Новая история восточного зарубежья. I ч. Тбилиси, 1969.

S. Zedelashvili (Tbilisi)

Georgian Legionaries in the World War I

Summary

According to archival materials the article discusses the history of one part of Georgian legionaries, in particular, the legionaries, who considered that the Georgian side should have its benefits during the World War, and should have capitalized on the situation to get rid of the Russian Empire's clutches. The article deals with the ongoing processes in the Caucasus front during the World War, the alliance of Ottoman and German and their confrontation with Russia.

¹ Там же, с. 26.

² Центр черкесской (адыгской) культуры, геноцид черкесов – история проблемы, хроника явлений, научное заключение. С. 76, Тбилиси, 2012.

³ Там же, с. 77.

The archive materials contain the noteworthy facts about one part of Georgian legionaries. Their name was "Legion of Taburi", which operated against Russia in western Georgia, and particularly in Ajaria. Turkey wanted to use them for its interests. The goals of the Georgian legionaries became known for the Russian Empire. Russia was trying to use them for its interests. Obviously, due to its scale the actions of legionaries could not have changed the political picture of the Caucasus, but it was interesting in the sense that Georgians tried to open the way to Europe via Turkey and Germany. It was another stage on the European way of Georgia, which then was impossible to be realized.

ქ. ქუთათელაძე (თბილისი)

**ჯავახეთი შუა საუკუნეების სომხურ წერილობით წყაროებში და მათი
შედარებითი ანალიზი ქართულ წყაროებთან**

საქართველოს ისტორიის სრულყოფილი შესწავლისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს უცხოურ საისტორიო წყაროებს. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა სომხური წერილობით წყაროები, რომლებიც ფაქტების სიუხვით და მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ქართულ-სომხური პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობიდან გამომდინარე, სომეხი ისტორიკოსები აღწერს მრავალ საქართველოსთან მიმართებაში სხვადასხვა სახის ინფორმაციებს.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ჯავახეთის შესახებ ინფორმაცია შუა საუკუნეების სომხურ წყაროებში არც თუ ისე ბევრი აღმოჩნდა, მაშინ როდესაც იმავე პერიოდის ქართული წყაროები საქართველოს ამ კუთხის შესახებ საკმაოდ უხვ ინფორმაციას იძლევა, იქნება ეს ნარატიული წყარო თუ დოკუმენტური მასალა, ეპიგრაფიკა თუ ლინგვისტური მონაცემები. შუა საუკუნეების სომეხი ისტორიკოსები (მოვსეს ხორენაცი, „აშხარაცუცი“, უხტანესი, ვარდანი, ასოლიკი, XII ს-ის მცირე სომხური ქრონიკა, სტეფანოს ორბელიანი და სხვ.) ქრონოლოგიური სიზუსტით არ იძლევიან ცნობებს ჯავახეთთან მიმართებაში. შუა საუკუნეების სომხურ ისტორიოგრაფიაში, რომელიც ისტორიკოსთა მრავალრიცხოვნობით გამოირჩევა, რამდენიმე ისტორიკოსი თუ მოიხსენიებს ამ მხარეს. ამათგან შედარებით გვიანდელი წყაროები იმეორებენ წინა საუკუნეების ისტორიკოსთა ცნობებს. გარდა ამისა, ნაკლებად არის ცნობები კონკრეტულად მხარის შესახებ. გამონაკლისის სახით უნდა დავასახელოთ „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანი, რომელიც, ბუნებრივია, იმეორებს ქართული წყაროს მონაცემებს. არ არის გამორიცხული, რომ XI-XII სს-ის ზოგიერთი სომეხი ავტორიც ეყრდნობოდეს ქართულ წყაროებს, სადაც ერთი და იგივე კონკრეტული ფაქტებია დაფიქსირებული. აქედან გამომდინარე, ჯავახეთის შესახებ გადავწყვიტეთ სომხურ წყაროებში მოხსენიებული კონკრეტული ცნობის პარალელურად ქართული წყაროს მონაცემებიც მომეხმო და მათი შედარებითი ანალიზი მოგვეხდინა.

ზემოაღნიშნული ისტორიკოსებიდან მოვსეს ხორენაცი ასახელებს „ნახევარ ჯავახეთს“, რომელიც წილად ერგო შარას ნაშიერ გუშარს : „შარას ნაშიერს გუშარს ერგო მთინის მთა, ანუ კანგარქი, ნახევარი ჯავახეთი, კოლბი, წოფი და ძორი ჰნარაკერტის ციხემდე“ (მოვსეს ხორენაცი 1984 : 106). მოვსეს ხორენაცის ამ ცნობას ვარდანიც იმეორებს: „გუშარელებს შარას დარჩენილი შვილებიდან მისცა დაბურული მთა კანგარი და ჯავახეთის ნახევარი“ (ვარდანი 2006 : 57). „ნახევარ ჯავახეთს“ მოიხსენიებს ასოლიკიც, რომელიც, ალბოთ, იმეორებს მოვსეს ხორენაცის ცნობას (ასოლიკი 1885 : 35).

იბერიის აღწერისას სომხური გეოგრაფია – „აშხარაცუიცი“ ჯავახეთს ერთ შემთხვევაში მის შემადგენლობაში განიხილავს: „1. კლარჯეთი, 2. არდაგანი, 3. შავშეთი, 4. ჯავახეთი, 5. სამცხე, 6. აჭარა, 7. გორგოვათის ან გორთის ხევი, 8. ტორნის ხევი, 9. მანგლუაცფორი, 10. ქვეშაფორი, 11. ბოლნოფორი, 12. თრელი, 13. კანგარი, 14. ტაშირი, 15. აჩაი, 16. გუანი, 17. ერისხი, 18. კულიტი, 19. კოსხი, 20. საცხუმეთი, 21. ხანციხე. ქალაქები: თბილისი, სამშვილდე და მცხეთა, სადაც ინახება წმ. ნინოს ჯვარი“ (პატკანოვი 1877 : 39–40, სომხური ტექსტი, 17), მეორე შემთხვევაში კი ე.წ. „დიდი არმენიის“ მე-13 პროვინციაში - გუგარქში შემავალ მხარეებში ასახელებს: 1. ძოროფორი, 2. წობოფორი, 3. კოლბოფორი, 4. ტაშირი, 5. თრელი, 6. კანგარი, 7. არდაგანი, 8. ჯავახეთი, 9. კლარჯეთი“ (პატკანოვი 1877 : 52). გუგარქთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია სომხურ ტექსტში დაფიქსირებული ინფორმაცია, როდესაც წყაროს შემდგენელი აღნიშნავს, რომ „გუგარქს აქვს მხარეები, რომლებიც იბერიას ეკუთვნის“ და ჩამოთვლილია გუგარქთან დაკავშირებით ზემოთ მოხსენიებული მხარეები (პატკანოვი 1877 : სომხური ტექსტი, 20). ეს ფაქტი მიუთითებს იმის შესახებ, რომ სომხურ წყაროებში გუგარქი იგივედებოდა ქართლთან და ქართლის სამეფოს ნაწილად იყო აღიარებული. „აშხარაცუიცი“ მონაცემი ასახავს იმ ფაქტს, როდესაც სომხეთს ვასალურად ექვემდებარებოდა ქართლის სამეფოდან ჩამოჭრილი ტერიტორია გუგარქის საპიტიახშოს სახით (ქუთათელაძე 2001 : 155-16).

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ჯავახეთი წუნდის საერისთავო ქვეყანაში შედიოდა, რომელიც ქართლის სამეფოს შემადგენელი ნაწილი იყო. ამ ინფორმაციას იმეორებს „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანიც, რომელიც „ქართლის ცხოვრებიდან“ გამომდინარე, ჯავახეთის შესახებ ყველაზე მეტ ცნობებს გვაწვდის. იგი ასახელებს ჯავახეთის (ფართო გაგებით) საზღვრებს: „ფარავნიდან მდინარე მტკვრის თავამდის, რომელიც არის ჯავახეთი“ (აბულაძე 1953 : 34). ეს ტერიტორია „მეფეთა ცხოვრების“ მიხედვით, ქართველთა ეთნარქის ქართლოსის შვილიშვილის ჯავახოსის წილხვედრი ქვეყანაა, რომელმაც „აღაშენა ორი ციხე ქალაქნი: წუნდა და ქალაქი არტანისა, რომელსა მაშინ ერქუა ქაჯთა ქალაქი, ხოლო აწ ჰქჳან ჰური“ (ყაუხჩიშვილი 1955 : 10). მას ფარნავაზის დროიდან წუნდის მე-5 საერისთავო შეესაბამება - ფარნავაზმა „მეხუთე გაგზავნა წუნდის ერისთავად, და მისცა ფანვართთან ვიდრე თავადმდე მტკურისა, რომელ არს ჯავახეთი და კოლა და არტანი“ (ყაუხჩიშვილი 1955 : 24). მართლაც, ძველი სომხური თარგმანიც აღნიშნავს, რომ ფარნავაზმა V ერისთავი გაგზავნა წუნდის (ხოწნდის), ფარავნიდან მდინარე მტკვრის თავამდის, რომელიც არის ჯავახეთი და არტაჰანამდის“ (აბულაძე 1953 : 34). ამ შემთხვევაში ბუნებრივია, არტაანში კოლაც იგულისხმება (იხ., აგრეთვე, ქვემოთ). საინტერესოა ის ფაქტი, რომ ქართველთა ერთ-ერთი ეთნარქის ჯავახოსის მიერ, რომელშიც ქართული ან ქართველური მოდგმა იგულისხმება, წუნდისა და არტაანის დაარსების შესახებ „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანი არ

აღნიშნავს.

„ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანი ჯავახეთის საერისთავოს ცენტრს „წანდა/წუნდა/წონდა“-ს ფორმით მოიხსენიებს (აბულაძე 1953 : 12,13,24,49,54,61). წუნდის ერისთავს მთავარს (IĖxan) უწოდებს (აბულაძე 1953 : 61). ამ ისტორიულ-გეოგრაფიულ ქვეყანაში ჯავახოსის მიერ დაარსებულ ორი მნიშვნელოვანი ქალაქიდან მთარგმელი წუნდას „ქაჯატუნად“, ხოლო არტაანს „ქაჯთა ქალაქად“ მოიხსენიებს. „ტუნ“/„სახლი“ ამ შემთხვევაში აიხსნება, როგორც სავანე, ტაძარი, ადგილსამყოფელი, სასახლე. არ არის გამორიცხული, რომ ორივე სახელწოდებას რელიგიურ-მისტიკური ელფერიც დაჰკრავდეს და რაიმე წარმართულ კულტს უკავშირდებოდეს. შესაძლოა, ორივე ქალაქი ერთ ღვთაებას ან კერპს სცემდა თავიანთს.

ქართულ და სომხურ ისტორიოგრაფიაში მიჩნეულია, რომ ჯავახეთი არის „ზემო“ და „ქვემო“. ჯავახეთის ასეთ გაგებასთან დაკავშირებით ქართველი და სომეხი მკვლევრები განსხვავებულ მოსაზრებებს გამოთქვამენ:

დ. ბერძენიშვილს „ზემო ჯავახეთი“ და სომხურ წყაროებში მოხსენიებული „ნახევარი ჯავახეთი“ მიაჩნია ქართულ წყაროში მოხსენიებული „ჯავახეთი ფარვანითგან მტკვრამდე“ (შდრ. „ფარავნის დასავლეთი და მტკვრის აღმოსავლეთი“), რომელიც ვახტანგ გორგასლის ძემ დაჩიმ თავის ნახევარძმას გაუცვალა – „ამას მირდატს დაევაჭრა ძმა მისი დაჩი: მეფემან გაუცვალა ქუეყანა, და აღიღო მირდატისაგან ეგრის-წყალსა კლისურასა შუა მირდატის დედული საზღვარი საბერძნეთისა და მისცა ნაცვლად ჯავახეთი ფარვანითგან მტკვრამდე“ (ყაუხჩიშვილი 1955: 205). ამ ცნობას არ იმეორებს „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანი. ეს ტერიტორია მკვლევარს მტკვრის მარჯვნივ მიაჩნია. მის პარალელურად „ქვემო ჯავახეთი“ კი უნდა იყოს „მტკვრის ნაპირიდან სამცხემდე და ნიალის ველი“ (ბერძენიშვილი 1985: 78). უფრო კონკრეტულად დ. ბერძენიშვილი აღნიშნავს: „შეიძლება ვიფიქროთ, რომ გამყოფი ხაზი გადიოდა ჯავახეთის ზეგნის პირზე და რომ მტკვრის კანიონის მარჯვენა სანაპირო (აქ იყო წუნდაც) „ქვემო ჯავახეთს“ ეკუთვნოდა“ (ბერძენიშვილი 1985: 78). მ. სანაძის აზრით, „ზემო ჯავახეთი“ შედიოდა მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ქართლში, ანუ ე. წ. „არმაზელის წილ ქართლში“ (სანაძე 2001 : 63), ხოლო „ქვემო ჯავახეთი, ანუ მტკვრის მარცხენა სანაპიროს ჯავახეთი“ შედიოდა მცხეთის საგამგეოში და მას, სავარაუდოდ, „ოძრხის ერისთავი განაგებდა“ (სანაძე 2001 : 62). „ქართლის ცხოვრების“ მონაცემების მიხედვით, აშკარაა, რომ წუნდის საერისთავოს ტერიტორია რაღაც დროიდან დანაწევრებულია და მას მთლიანად ვეღარ აკონტროლებს წუნდის ერისთავი. როგორც სამართლიანად შენიშნავს დ. ბერძენიშვილი, „გამოდის, რომ წუნდის საერისთავო აქ ორადაა გაყოფილი და ქართლის მეფის საკუთრებაა ჯავახეთი

ფარავნითგან წუნდამდე. დანარჩენი ჯავახეთი არტანი და კოლა ნასარის ერისთავობით ნახევარძმებს შერჩათ“. მკვლევარი მიიჩნევს, რომ „აქ ერთხელ კიდევ ხასგასმულია ჯავახეთის მნიშვნელობა ქართლის სამეფოსათვის, კერძოდ მისი იმ ნაწილისა, რომელიც დაჩის დაუტოვა ვახტანგმა, ვითარცა უძველესი დროიდან მნიშვნელოვანი საძოვარი სამეფო დომენისა“ (ბერძენიშვილი 1985 : 77).

არ გამოვრიცხავ, რომ „ფარავნიდან წუნდამდე“ ტერიტორია უფრო ადრე უნდა ჩამოშორებოდა წუნდის საერისთავოს, რომლის საზღვრებია „ფანვართგან ვიდრე თავადმდე მტკურისა, რომელ არს ჯავახეთი და კოლა და არტანი“ (ყაუხჩიშვილი 1955 : 24). კერძოდ, როდესაც სომხეთის მეფემ წაართვა ქართველებს „ქალაქი წუნდა და არტანი მტკვრამდე“, აქ არ ჩანს წუნდიდან ფარავნამდე ტერიტორია, რომელიც, ალბათ, ქართლის მეფეებმა შეინარჩუნეს და ისინი აკონტროლებდნენ მას. საზღვრის აღდგენის და მიტაცებული ტერიტორიის დაბრუნების შემდეგ, როგორც ჩანს, „ფარავნიდან წუნდამდე“ ტერიტორია წუნდის ერისთავებს აღარ დაბრუნებიათ. შესაძლოა, სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა ის, რომ ჩვენამდე მოღწეული ქართული წყაროს ისტორიულ ცნობებში წუნდის ერისთავები, მცირე გამონაკლისის გარდა, ყოველთვის ქართლის მეფის მოწინააღმდეგეთა ბანაკში დგანან. ისინი ყოველთვის ქართლის მეფის იმ კანდიდატურას უჭერდნენ მხარს, რომელსაც სომხეთის სამეფო კარი ედგა მხარში. არ არის გამორიცხული, ამ პოზიციით მათ იმედი ჰქონდათ, რომ ახალი მეფე აღადგენდა წუნდის საერისთავოს ძველ საზღვრებში. საინტერესოა, რატომ ხდებოდა ასე? შესაძლებელია, სომხეთის მეფესთან დაპირისპირების დროს, თვითონ ქართლის მეფეებს ჩამოეჭრათ წუნდის საერისთავოს ეს ნაწილი, რომელიც სტრატეგიული იყო და სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა შიდა ქართლისთვის. აქ იგულისხმება ჯავახეთზე გამავალი უმოკლესი გზები, რომლებიც ქართლის შიდა რეგიონებს დააკავშირებდა ტაო-კლარჯეთთან, აგრეთვე, საზაფხულო საძოვრები. ბუნებრივია, საერისმთავროს გამგებელი გარეშე ძალის დახმარებით ეცდებოდა პოზიციების აღდგენას. ამას თან ხვდებოდა სომხეთის მეფის ინტერესი, რომელმაც ქართლის სამეფოს სასაზღვრო მხარე მიიტაცა. ბუნებრივია, სომხეთის მეფე ეცდებოდა ჯავახეთის საერისთავოს „წუნდიდან ფარავნამდე“ ტერიტორიაც დაეპყრო და იგი ერთი მისდამი დაქვემდებარებულ ხელისუფლის ქვეშ გაეერთიანებინა. წუნდის საერისთავოს ამ მონაკვეთის შემოერთებით სომხეთის მეფე ადვილად შეძლებდა ქართლის სამეფოს შიდა რეგიონებისკენ სვლას. წუნდის ერისთავი სწორედ ამიტომ იყო სომხეთის მეფის ან ქართლის მეფის იმ კანდიდატურის მხარეს მდგომი, რომელსაც სომხეთი უჭერს მხარს (ქუთათელაძე 2014 : 284). მთელი ამ ხნის მანძილზე „დასავლეთის ერისთავებიდან“ (წუნდის, ოძრხისა და კლარჯეთის) წუნდის ერისთავი და სამცხეში დემოთის ციხე, რომელიც სამხედრო აგრესიის შედეგად აშენდა წუნდელთა დასახმარებლად და ოძრხის ერისთავის წინააღმდეგ საბრძოლველად, მხარს უჭერს

სომხებს, დანარჩენი ერისთავები – კლარჯეთის და ოძრჯის კი – ქართლის მეფე არმაზელს (ყაუხჩიშვილი 1955 : 47-48).

ს. ერემიანს „ზემო ჯავახეთი“ მიაჩნია ის, რასაც ქართულად ჯავახეთი ეწოდება, კერძოდ დღევანდელი ახალქალაქის რაიონი. მკვლევრის თქმით, იგი მოიცავს 2 675 კმ და იგი 387 წლიდან შესულა ქართველთა სამეფოს შემადგენლობაში. „ზემო ჯავახეთი“ გუგარქის საპიტიახშოს მე-8 გავარი იყო. იგი ამ ჯავახეთის ცენტრად წუნდას ასახელებს, რომელსაც ქაჯატუნად მოიხსენიებს. „ქვემო ჯავახეთად“ ს. ერემიანი მიიჩნევს ერუშეთს, დღ. არდაგანის ჩრდილოეთ ნაწილს. იმავე მკვლევრის თქმით, „ქვემო ჯავახეთი“ 338 წლის შემდეგ ქართლის სამეფოს შემადგენლობაში შესულა. იგი 1400 კმ-ზეა გადაჭიმული. კონკრეტულად სახელწოდება „ქვემო ჯავახეთი“ წყაროებში არ მოიხსენიება. უბრალოდ, მოვსეს ხორენაცთან მოხსენიებული „ნახევარი ჯავახეთი შეესაბამება „აშხარაცუიცის“ „ზემო ჯავახეთს“. ბუნებრივია, მეორე ჯავახეთს „ქვემო“ დაერქმეოდა. ორივე – „ზემო და ქვემო ჯავახეთი“ მკვლევარს ე. წ. „სომხურ მესხეთში“ (Haykakan Mosxika) შეჰყავს შავშეთ–კლარჯეთთან და არტაანთან ერთად (ერემიანი 1963: 119). ს. ერემიანის მოსაზრებებს ქართული წყაროს მონაცემები ეწინააღმდეგება. აღნიშნული მხარეები, რომლებიც კლარჯეთის და ჯავახეთის საერისთავრო ქვეყნებში შედიოდა (ყაუხჩიშვილი 1955 : 24), ქართლის სამეფოს მეფეს ექვემდებარებოდა. გარდა ამისა, ლეონტი მროველის ცნობის საფუძველზე – კონსტანტინე იმპერატორის მიერ სომხეთისა და ქართლის სამეფოს შორის საზღვრის დაწესების შესახებ – ფიქსირდება, რომ მტკვრის აუზის მხარეები ქართლის სამეფოს შემადგენლობაშია, არაქსის კი –სომხეთის: „რომელთა ქუეყანათა მდინარენი დიან სამხრეთით და მიერთვიან რაჭსსა, ესე ქუეყანანი თრდატის (სომხეთის მეფე – ქ. ქ.) კერძად დაყარნა; და რომლისა ქუეყანისა მდინარენი ჩრდილოთ დიან და მიერთვიან მტკუარსა, ესე მირიანის (ქართლის მეფე – ქ. ქ.) კერძად დაყარნა“ (ყაუხჩიშვილი 1955 : 24). სამწუხაროდ, ამ ინფორმაციას არ აფიქსირებს „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანი (აბულაძე 1953 : 74).

წუნდის, ანუ ჯავახეთის, საერისთავოში შემავალ სხვა მხარეებთან, კერძოდ, არტაანთან, ერუშეთთან და კოლასთან დაკავშირებით, დ. მუსხელიშვილი ფიქრობს, რომ გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში მოხსენიებული „დიდი არტაანის ლივა“ გულისხმობს არტაანს ერუშეთიანად, ხოლო „დიდი არტაანის“ პარალელურად არსებულ „პატარა არტაანში“ მკვლევარი კოლას გულისხმობს (დ. მუსხელიშვილი 1977 : 160).

ს. ერემიანი წუნდასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ იგი ქაჯატუნის სახელით მხოლოდ ქართულ წყაროებში მოიხსენიება და მას სომხურ თარგმანს უკავშირებს. მიუხედავად იმისა, რომ ჯავახეთის ტოპონიმია ფაქტიურად ქართულ/ქართველურია,

დ. ბერძენიშვილი ლეონტი მროველის ცნობიდან გამომდინარე, როდესაც სომეხთა მეფე იარვანდმა „ მიუღო საზღვარსა ქართლისასა ქალაქი წუნდა და არტანი მტკურამდე. დასხნა წუნდას შინაკაცნი მხეცნი, ნათესავნი დევთანი, და უწოდა წუნდასა ქაჯატუნი, რომელი-ესე ითარგმნების დევთა-სახლად“ (ყაუხჩიშვილი 1955 : 44), მიიჩნევს, რომ აქ ადგილი ჰქონდა არაქართული მოსახლეობის ჩამოსახლებას. კერძოდ, „აშკარაა ეს წუნდას დასმული ხალხი ეთნიკურად განსხვავებულია როგორც ქართველთა, ისე სომეხთაგან, ხოლო მათი მოყვანა და აქ დასახლება ნიშნავს სომეხთ მეფისათვის დასაყრდენის გაჩენას, მოკავშირეთა შექმნას“ (ბერძენიშვილი 1985 : 125). „ქართლის ცხოვრების აღნიშნულ ცნობას ბუნებრივია, მისი ძველი სომხური თარგმანიც იმეორებს, როდესაც აღნიშნავს, რომ ერვანდ დიდმა „... წაართვა ქართველთ არტაჰანი მდინარე მტკვრამდის და ქალაქი წონდა. დაასახლა მასში ეშმაკებრ მეტყველი კაცები და უწოდა მას ქაჯატუნი“ (აბულაძე 1953 : 49). თუმცა ვახუშტი მხოლოდ აღნიშნავს, რომ სომეხთა მეფემ „მოუღო საზღვარი ქართლისა წუნა და არტანი მტკურამდე და უწოდა წუნას ქაჯთა-ტუნ“ („რომელ არს დევთა სახლი“) და არაფერს ამბობს ვინმეს დასახლების შესახებ (ყაუხჩიშვილი 1973 : 63).

გ. მამულიას მოსაზრებით, „იარვანდმა წუნდას ქაჯატუნი იმიტომ შეარქვა, რომ ავესტური *aurand* (*aurvant*), ფალ. *aurand*, სომხ. ერვანდ, ბერძნ. ორონტ, ქართ. იარვანდ „ძლიერს“, „მამაცს“, „სწრაფს“ ნიშნავს, რაც სომხური „ქაჯის“ შესატყვისია. ამრიგად, წუნდა, როგორც „ქაჯატუნი“ იგივე იარვანდის სახლია, ანუ ზოგადად იარვანდის ქალაქია“ (მამულია 1968 : 213). მ. ანდრონიკაშვილი არვანდ/იარვანდთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ „უძველესი ფორმა ამ სახელისა არის ავესტური აღუქტივი *aurvant*, სწრაფი, მამაცი, შდრ. *eurvant*, *aurvataspa* „ცხენსწრაფი“ (მზის ღმერთის ეპითეტია). ფალაურში დადასტურებულია *arvand* და *arvandasp* საკუთარ სახელებად, ახ. სპარსულში *arvand* (ლოჰრასპის მამა შაჰნამეში), სომხ. ერვანდ (ანდრონიკაშვილი 1966 : 428-429). მკვლევარი ფიქრობს, რომ ქართული „არვანდი“ (არვანდ გუშნასპი – ქართლის მარზპანი) უშუალოდ სასანური ფალაურიდან არის შემოსული, ხოლო რაც შეეხება იარვანდს, იგი „სომხურ ერვანდის გადმოცემას წარმოადგენს“ (ანდრონიკაშვილი 1966 : 429).

გ. მამულია ზემოაღნიშნულ ცნობაში გულისხმობს აქემენიდური ირანის სომხეთის სატრაპის „იარვანდის მიერ სამხრეთ-ქართული სახელმწიფოებრივი ერთეულის უშუალო დაპყრობას“, რომელსაც „არიან-ქართლთან“ აიგივებს (გ. მამულია 1968 : 225). უფრო კონკრეტულად მკვლევარი აღნიშნავს, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ „არიან-ქართლი“ იგივე სამხრეთ ქართული სახელმწიფოებრივი ერთეულია, რომლის მეფე ფარსმანი აქემენიდური ირანის იმპერიის მიწურულს თავის „სამეფოსათან ერთად აქემენიანთა სახელმწიფოს სომხეთის სატრაპის –

იარვანდის ვასალი იყო“ (გ. მამულია 1968 : 224). „იარვანდის სახლის“ ან „იარვანდის ქალაქის“ შესახებ გ. მამულიას მოსაზრების გათვალისწინებით, გ. მაისურაძეს მიაჩნია, რომ იარვანდს უნდა ჩამოესახლებინა „მისი ერთგული, მისი სახლის ხალხი, გვიანდელი ტერმინით მისი მოკიდებულები, ე.ი. სომხები, რომელთაც უფრო საიმედო დასაყრდენი შეეძლოთ შეექმნათ თავისი მეფისათვის, ვიდრე უცხოტომელებს. ერთი სიტყვით, ძველი დროიდან ამ რეგიონში სომხური მოსახლეობის არსებობა ეჭვს არ უნდა იწვევდეს“ (მაისურაძე 1999 : 16-17).

პრინციპულად ვერ გავიზიარებთ ზემოაღნიშნულ მკვლევართა მოსაზრებებს, რომლებიც „დევს“ და „ქაჯს“ ეთნიკურ შინაარსს აძლევენ. დ. ბერძენიშვილის მოსაზრებით, მხოლოდ „ნათესავნი დევთან“-ს მიხედვით სხვა ეთნიკური ელემენტის განსაზღვრა ხელოვნურად უღერს და წუნდის სომხური სახელწოდებიდან გამომდინარე (ქაჯატუნს გულისხმობს – ქ. ქ.) ჯავახეთში აუცილებლად ძველთაგანვე სომხური მოსახლეობის არსებობის მტკიცებაც რამდენადმე გაზვიადებულია და მოკლებულია მეცნიერულ საფუძველს, რომ არაფერი ვთქვათ გ. მაისურაძის დასკვნაზე, რომელიც მხოლოდ გ. მამულიას მოსაზრებაზე დაყრდნობით არასწორ ინტერპრეტაციას აძლევს საკითხს და ეთნიკურ სომხურ მოსახლეობაზე აპელირებს, რომლის საფუძველს წყარო ნამდვილად არ აძლევს. ლეონტი მროველის ზემოაღნიშნულ ცნობაში იარვანდ მეფის მიერ სომხური მოსახლეობის ჩამოსახლების შესახებ მსგავსი არაფერია თქმული. ასეთი ხელოვნური მსჯელობა, რომელიც არ ეყრდნობა წყაროს მონაცემებს, ვერ ასაბუთებს ჭეშმარიტებას და ისტორიის გაყალბებას უწყობს ხელს, იგი განსაკუთრებით სახიფათოა ისეთი საკითხებისთვის, როგორც ჯავახეთის პოლიტიკური ისტორიის საკითხების კვლევაა. აღნიშნულ ინტერპრეტაციებს ეწინააღმდეგება ის ფაქტი, რომ კვლევებმა აჩვენა, ჯავახეთის უძველეს ტოპონიმთა უდიდესი უმრავლესობა ქართულ/ქართველურ ძირებს ეყრდნობა (ბერიძე 2012 : 263-345). ეს ფაქტი დააფიქსირა და შემოინახა თურქულმა წყარომ – „გურჯისტანის ვილაიეთის დიდმა დავთარმაც“ – სადაც ჯავახეთის გეოგრაფიულ სახელწოდებათა უმრავლესობა ქართულია (ჯიქია 1941 : 13-20). როგორც ცნობილია, სომხური მოსახლეობის ჩამოსახლებას უფრო გვიანდელ პერიოდში ჰქონდა ადგილი. ვერც გ. მამულიას მოსაზრებას გავიზიარებთ, თითქოს წუნდა „იარვანდის ქალაქია“, რადგან წყაროებიდან ჩანს, რომ სომხეთის მეფე იარვანდმა უკვე არსებულ „წუნდას“, ქართველთა ერთ-ერთი ეთნარქის ჯავახოსის მიერ აშენებულ ქალაქს, საერისთავოს ცენტრს, დაპყრობის შემდეგ უწოდა „ქაჯატუნი“, რომელიც „წუნდას“ თარგმანია. ამიტომ პირველ რიგში უნდა გაირკვეს წუნდის ეტიმოლოგია, რომელიც არ არის შესწავლილი. „ქაჯატუნში“, შესაძლოა, უფრო „მამაცთა“, „მხნეთა“, „ძლიერთა“ (შდრ. ზებუნებრივი ძალების მქონე), „მებრძოლთა“, „უშიშართა“, „მტკიცეთა“ სახლი/სამყოფელი იგულისხმებოდეს, რადგან სომხურად „ქაჯ“ (Qaj) მამაცს,

ვაჟკაცურს, ძალიან ძლიერს, მტკიცეს, გმირს, დიდებულს და სხვ. ნიშნავს (ხუდაბაშიანი 1987 : 484). ამ მნიშვნელობით საინტერესოა აგრეთვე ისეთი სიტყვები, როგორც არის „ქაჯაზუნ“ (Qajazown) - გმირი და „ქაჯათოი“ (Qajaioi) - სწრაფმფრენი (ხუდაბაშიანი 1987 : 485). მსგავსი მნიშვნელობის სიტყვა დაფიქსირებულია ქართული ენის ფშაურ დიალექტში - „დეჟკაუი“, რაც გმირ კაცს ნიშნავს (ღლონტი 1984: 204).

არ არის გამორიცხული, რომ სომხური სიტყვის „Qaj“-ის მნიშვნელობის არცოდნის გამო ისტორიკოსმა იგი ქრისტიანული მსოფლმხედველობით გააიგივა ეშმაკისა და დევის აღმნიშვნელ „ქაჯთან“ და იარვანდთან მყოფნი „ნათესავი დევთან“ და „ეშმაკებრ მეტყველებად“ გამოაცხადა. აქ კი უბრალოდ მხნეთა, მამაცთა, ძლიერთა, უშიშართა, გმირთა, მებრძოლთა ჯარი ან რაზმი უფრო იგულისხმება, რომელიც იარვანდმა, ალბათ, წუნდაში ჩააყენა საკუთარი პოზიციების დაცვის მიზნით. „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხურის თარგმანი ქართულ წყაროში ნახსენებ „დასხნა“-ს უსადაგებს Bnake Arm. vert, რომელსაც ილ. აბულაძე თარგმნის, როგორც „დასახლა“ (აბულაძე 1953: 49). ძველ ქართულ ენაში ამ სიტყვას სხვა მნიშვნელობაც აქვს. „ძველი ქართული ენის“ განმარტებით ლექსიკონში „დასხნა“ განმარტებულია, როგორც „დანერგვა“, „დათხევა“, „ინაწ-დგმა“, „დაწყობა“, „დამარხვა“, „დადგმა“, „ლაშქრობა“, დადება, დაყრა, დაღვრა, შეკაზმვა, დასმა, თავს-დასხმა (აბულაძე 1973 : 187). სულხან საბა ორბელიანის განმარტებით, „დასხნა“ ნიშნავს „დადგა“ (ორბელიანი 1991 : 203). საკუთრივ „დადების“ ახსნისას, რომელსაც სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს, მკვლევარი ერთ მეტად საინტერესო განმარტებას იძლევა: „დადება არს საფუძვლის დასხმა საზღვრისა და ძეგლის განგება“ (ორბელიანი 1991 : 187). ამრიგად, ლოგიკურად, წყაროდან გამომდინარე, უფრო სწორი იქნებოდა, „დასხნა“-ში ვიგულისხმით არა დასახლება, არამედ სასაზღვრო ზოლში, ან სასაზღვრო პუნქტში სპეციალურად გაწვრთნილი, განსაკუთრებული სიმამაცით გამორჩეული რაზმის ან ჯარის ჩაყენება.

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, „ქაჯი მაცთურთა რასმე იტყვიან საეშმაკოთა“, კერძოდ ჭინკა, ალი, „ჰაერის მცველი“ (ორბელიანი 1993 : 219). „ჰაერის მცველთან“ დაკავშირებით კი მკვლევარი აღნიშნავს, რომ მაჰმადიანთგან იგი წოდებულია როგორც „ჰური“ (ორბელიანი 1993 : 466). იგი, ასევე, აღნიშნავს, რომ დევი სომხურად ეშმაკსა ჰქვია“ (ორბელიანი 1991 : 215). ამრიგად, როგორც ვხედავთ, ქაჯი, დევი, ჰური ეშმაკეულის, ბოროტი ძალების აღმნიშვნელია. ჩვენს ერთ-ერთ წერილში „ქაჯთა ქალაქად“ და „ჰურად“ წოდებულ არტაანთან მიმართებაში ყურადღება მივაქციეთ სულხან-საბა ორბელიანის მიერ განხილულ სიტყვას „არტვაზი“, რომელიც მისი განმარტებით ნიშნავს „ბებლთ უფროსს“ (ორბელიანი 1991 : 66), „ბებლი“ კი განმარტებულია, როგორც კუდიანი, „გრძნების მოქმედი“

(ორბელიანი 1991: 99) „არტ“ ფუძით ეს სიტყვა შინაარსობრივად, მართლაც, შეიძლება დაგუკავშიროთ „ჰურს“, რომელიც, როგორც ვნახეთ, ქაჯს, ეშმაკეულს ნიშნავს (ქუთათელაძე 2014 : 274). მაგრამ საინტერესოა, რა უნდა დასდებოდა „არტ“ სიტყვას საფუძვლად? ამასთან დაკავშირებით ძალზე საინტერესოა ვახუშტი ბატონიშვილის განმარტება, როდესაც იგი არსიანის ქედს ახასიათებს. ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ „არსიანის მთას უწოდებს არტანს - ქვაყრილს“ (ყაუხჩიშვილი 1973 : 68), რომელიც დიდრონ ქვებთან ასოცირდება (შდრ. მეგალითური ძეგლები, ციკლოპური ნაგებობები - გოხნარი, ქვაფნარი, ლოდოვანი, კარკნალი). ამ მთას ვახუშტი სწორედ არტანის მხარეში აღწერს (ყაუხჩიშვილი 1973 : 74). ფორმები არტან/არტანი ამ სიტყვის მრავლობით ფორმაზე მიუთითებს. ამრიგად, „არტ“ უკავშირდება ქვაყრილს, დიდრონი ლოდების გროვას, აქედან გამომდინარე, არ არის გასაკვირი, რომ მისთვის „ქაჯთა ქალაქი“ ეწოდებინათ, როგორც დიდრონი ქვებით ნაშენი, რომლის ძალა მხოლოდ ზებუნებრივი ძალის მქონე „გმირებს“, „დევეებს“, ან „ქაჯებს“ შეეძლოთ. ვახუშტი ბატონიშვილი ჯავახეთში, ფარავნის ტბის ახლოს, ასახელებს აგრეთვე, შაორის მთის თხემზე ციხეს, რომელიც იყო „დიდროვანის ლოდითა ნაშენი“ (ყაუხჩიშვილი 1973 : 320). აღნიშნულთან მიმართებაში სწორად შენიშნავდა ს. ჯანაშია, რომ „ქაჯთა ქალაქებს“ (ციხეებს) და გმირთა ნაკვეთებს ძველ საქართველოში უძახდნენ უძველეს ცენტრებს, კერძოდ ციკლოპურ ნაგებობებს“ (ჯანაშია 1952 : 12).

ჯავახეთის ქვეყნის ცენტრების წუნდისა და არტანის მოხსენიება „ქაჯატუნად“ და „ქაჯთა ქალაქად“ გულისხმობს წარმართული მენტალობის გმირთა, დევთა, ზებუნებრივი ძალების მპყრობელთა ადგილსამყოფელს, რომელთაც მიაწერდნენ ამ ქალაქების თუ ციხე-სიმაგრეების აშენებას. როგორც ლ. მელიქსეთ-ბეგი შენიშნავს, ასეთ „ნაციხარ-ნაქალაქეთაგანს, როგორც ეტყობა, საკმაო საბუთი მიუცია ხალხისთვის, რომ ის „ქაჯებისაგან“ და არა ადამიანთა მიერ ნაშენად ეცნო და ამიტომაც ამ ხალხს მის აღსანიშნავად სპეციფიკური სახელწოდებაც შეუთხზავს“ (მელიქსეთ-ბეგი 1938 : 8). ქრისტიანული მსოფლმხედველობით კი ისინი გააიგივეს ეშმაკეულებთან და ქაჯებთან. მსგავსი შინაარსის ტოპონიმები სხვაგანაც გვხვდება საქართველოში, მაგ.: „დევის ნამუხლარი“, „გმირთ ნაკვეთი“. გვხვდება ასევე ისეთი ფორმები, როგორიცაა „გმირთ კვეთილი“, „გმირთ ნასახლარი“, „გმირთ ნაციხარი“, „გმირთ ნაშენი“ (მელიქსეთ-ბეგი 1938 : 8, 10). ლ. მელიქსეთ-ბეგი განმარტავს, რომ „გმირთ-ნაკვეთი//„გმირთ-კვეთილი“ ნიშნავს იმას, რომ შესაფერი შენობები, ხალხის რწმენით, თითქოს ადამიანის ნაშენი კი არ უნდა იყოს, არამედ მეტაფიზიკური „დევ-გმირებისა“ (მელიქსეთ-ბეგი 1938 : 10). ვახუშტი ბატონიშვილი ალგეთის ხეობაში არსებულ „გმირთ-ნაკვეთთან“ (ჩხიკეთის სამება) დაკავშირებით აღნიშნავს: „არამედ საკურველი, რამეთუ დიდროვანითა ლოდითა შენი, რომელი კაცთაგან არა

შესაძლებელ არს მისი ქმნა, რომელი აგლია ზღუდედ...ძუელად იწოდა გმირთ ნაკუთი, და იყო ციხე, ხოლო აწ ეკლესია“ (ყაუხნიშვილი 1973: 326). ვახუშტი ბატონიშვილი წუნდასაც ასახელებს, როგორც ციხე-ქალაქს, „მტკიცედ მოზღუდვილს“ (ყაუხნიშვილი 1973 : 670). „ქაჯატუნ/ქაჯთა ციხე/ ქაჯთა ქალაქის“ გარდა, ვახუშტი წერს, რომ ჩაქვის წყალზე „არს ციხე ქაჯეთისა, მაგარი, მაღალს კლდესა ზენა შენი. აქუს გვირაბი კლდე გამოკვეთილი მზად“ (ყაუხნიშვილი 1973 : 792). „ქაჯის ციხეს“ მოიხსენიებენ, აგრეთვე, ჩილდირის ტბასთან (ბერძენიშვილი 1985 : 126). ამრიგად, ზემოაღნიშნული ნამდვილად ცხადყოფს, რომ „ქაჯ“ სიტყვაში ეთნიკური შინაარსი არ იგულისხმება. ასეთი „ქაჯთა სახლები“ და „ქაჯთა ქალაქები“ ყველგან შეიძლება შექმნილიყო, სადაც მიუვალ კლდეზე დიდრონი ლოდებით ნაშენი, რთული კონსტრუქციული ნაგებობა იქნებოდა. მით უმეტეს შეუწინარებელია, რომ შესაბამისი წყაროს ინფორმაცია ეთნიკურად სომხური მოსახლეობის ჩამოსახლების არგუმენტად გამოვიყენოთ ჯავახეთში უძველეს დროს.

საკითხის უკეთ გარკვევისთვის აუცილებელია, შეძლებისდაგვარად, გაირკვეს წუნდის ეტიმოლოგია. როგორც დავრწმუნდით, „ქაჯატუნ“ მისი სომხური თარგმანია, ამიტომ კვლევაც ამ მნიშვნელობით უნდა წარიმართოს. წონ/წუნ ძირით ქართულ წყაროებში მოიხსენიება წუნარი – ხევი შიდა ქართლში, სადაც არის წუნარის ეკლესია, ასევე, წონა, ცუნქის (ცუნ/წუნ) ხევი (ცუნქის ხევის უერთდება ღრეღის ხევი, რომელთა შორის მდებარეობს თმოგვი, ცუნქის ხევის უერთდება, ასევე, ჭობარეთის ხევი, სადაც მდებარეობს საფარის მონასტერი) (ყაუხნიშვილი 1973 : 665, 666), რომელიც გამოდის ერუშეთის მთას და მტკვარს უერთდება ახალციხის წყლისა და მტკვრის შესართავს ზევით. „წუნდის“ ეტიმოლოგიისათვის საინტერესოა „წუნტა“, რომელიც მხარის სახელწოდებაა დაღესტანში. ხუნძურად იგი მაღალ ადგილს, არწივთა საბუდარს ნიშნავს. არის თუ არა ქართული წუნდა დაღესტნურ წუნტასთან კავშირში, ჯერ-ჯერობით თქმა ძნელია, ამის დასადგენად სპეციალური კვლევა უნდა ჩატარდეს. „წუნ“ ძირს უნდა უკავშირდებოდეს მდიდარი ქართული ენის გურულ დიალექტზე შემორჩენილი სიტყვა „წუნ-წუნა“/„წუმწუმა“, რომელმაც განსაკუთრებით მიიპყრო ჩემი ყურადღება. გადატანითი მნიშვნელობით იგი ყოჩაღს, მამაცს და საქმიანს ნიშნავს (ღლონტი 1984 : 713). გარკვეულ სიყოჩაღესთან, გამბედაობასთან და მოხერხებულობასთან უნდა იყოს დაკავშირებული „წინტა“, რაც ინგილოურ დიალექტზე რაიმე თამაშობაში „ყოველივეს თითო-თითოდ მოგებას“ ნიშნავს (ღლონტი: 1984, 703). მას უნდა უკავშირდებოდეს სიტყვა გა-წინ-კვა, რაც ასევე ინგილოურ დიალექტზე ნიშნავს: „თითო-თითოდ მოგება და ხელცარიელი დასმა კაცისა“ (ღლონტი 1984: 145). საინტერესოა, ასევე, მეგრული სიტყვა წურწუფა, რაც ფიცხელს ნიშნავს. წუნდის ეტიმოლოგიის განსაზღვრისათვის, შესაძლოა საინტერესო და გამოსადეგი იყოს სახელწოდება „აწანგვარა“ (აფხაზურად-აწან გუარა - წან-თა (დასავლური ქართული ტომის სადგომი), რომელიც არის ბრინჯაოს

ხანის არქეოლოგიურ ძეგლთა – ნახევრად მეგალითურ ნაგებობათა სახელწოდება, რომლებშიც ზაფხულობით მწყემსთა და საქონლის სადგომები იყო მოწყობილი. ვფიქრობთ, პირიქით, ქაჯატუნი უნდა იყოს წუნდის თარგმანი და ეტიმოლოგიურად წუნ-და უნდა უკავშირდებოდეს ყოჩაღთა, მამაცთა, მხნეთა, გმირთა და დაუმორჩილებელთა ადგილსამყოფელს. ეს საკითხი ლინგვისტურადაც სიღრმისეულ მიდგომას საჭიროებს, ამიტომ მასზე ცალკე კვლევა უნდა ჩატარდეს.

„ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანის ავტორი წუნდის, ანუ ჯავახეთის, საერისთავოში შემავალ არტაანს მოიხსენიებს როგორც ქალაქსა და ქვეყანას, მხარეს: „მიასწრო აზონს არტაჰანის ქალაქსა და ქვეყანაში, რომელსაც მაშინ ქაჯთა ქალაქი ეწოდებოდა“ (აბულაძე 1953 : 33). ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრების“ ცნობისგან განსხვავებით, რომელიც ჯავახეთის წილხვედრი ქვეყნის და წუნდის საერისთავოს შემადგენლობაში საკუთრივ ჯავახეთის გარდა ასახელებს არტაანსა და კოლას, ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი ამ საერისთავოში ასახელებს მხოლოდ „ჯავახეთსა და არტაჰანს“ (აბულაძე 1953 : 34), რაც იმაზე მიუთითებს, რომ კოლა არტაანში იგულისხმება. დ. ბერძენიშვილი მიიჩნევს, „რომ კოლა–არტანი ჯავახეთს მოკიდებული ქვეყნებია, მისი უპირატესობით გაერთიანებული, რადგანაც არც კოლას, არც არტანს მამამთავარი (შდრ. ჯავახოსი – ქ. ქ.) საკუთარი არ გააჩნიათ და ჯავახოსის სამფლობელოში შედიან“ (ბერძენიშვილი 1985 : 75).

ლეონტი მროველის ცნობას ალექსანდრე მაკედონელის მიერ ქართლის ქალაქების აღების შესახებ, სადაც იხსენიება ჯავახეთის ცენტრი წუნდა, ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანიც იმეორებს – „წუნდა დაიპყრო ალექსანდრე მაკედონელმა“ (აბულაძე 1953 : 34).

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ფარნავაზ მეფე ზაფხულს წუნდაში ატარებდა. ძველ სომხურ თარგმანში წუნდის მაგივრად ჯავახეთია აღნიშნული: „ფარნავაზი ატარებდა ზაფხულს ჯავახეთს“ (აბულაძე 1953: 36), რაც გულისხმობს, რომ წუნდის საერისთავო იგივე ჯავახეთია. წუნდა რომ მართლაც, ქართლის მეფეთა საზაფხულო რეზიდენცია იყო, ქართველი ისტორიკოსის ჯუანშერის ცნობაც ადასტურებს, რომელიც წუნდას მოიხსენიებს, როგორც „ქალაქსა ზაფხულის“ (ყაუხჩიშვილი 1955 : 205). დ. ბერძენიშვილი მიიჩნევს, რომ ფარნავაზის მიერ ზაფხულის გატარება წუნდაში მარტო დასვენებით არ უნდა ყოფილიყო განპირობებული, არამედ იგი „ხემო ქართლის ადგილზე მართვა-განგებას ნიშნავდა“ (ბერძენიშვილი 1985 : 76-77). „ქართლის ცხოვრებისა“ და მისგან გამომდინარე ძველი სომხური თარგმანის ზემოაღნიშნულ მონაცემებს თუ გავითვალისწინებთ, ნ. ბერძენიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, ჯავახეთი „ყოველ ქართლშია“ (ბერძენიშვილი 1990 : 258).

„ქართლის ცხოვრების“ შესაბამისად, ძველ სომხურად მთარგმნელიც გადმოგვცემს, თუ როგორ მიმდინარეობდა ბრძოლა წუნდის, ანუ ჯავახეთის საერისთავოს სასაზღვრო მხარის, თაობაზე სომხეთისა და ქართლის სამეფოებს შორის. თავდაპირველად არშაკმა, რომელსაც ცოლად ჰყავდა ქართლის მეფის მირვანის ასული – „ააშენა მრავალი სიმაგრე და გაამაგრა ჯავახეთის ზღუდე, წუნდელთა ქალაქისა“ (აბულაძე 1953 : 41), ეს ზღუდეც ვფიქრობ, დიდრონი ღოდებისგან უნდა ყოფილიყო აგებული.

„ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანი ზოგჯერ არ მისდევს „ქართლის ცხოვრების“ სრულ ტექსტს. მაგ., „მეფეთა ცხოვრების“ მიხედვით, როდესაც არტაბან მეფემ უფლისწული ზარენი გამოგზავნა, „ხოლო შეკრბეს ქართველნი და ოვსნი და მიეგებნეს ქუეყანასა ჯავახეთისასა. ეწყუნეს და სძლეს ზარენს და აოტეს იგი და მოსრეს სპა მისი ყოველი და სდევნეს საზღვართამდე სომხითისა, და შეიპყრნეს ზარენ, ძე მეფისა, ტბისა პირსა, რომელსა ცელი სახელედების, და უკმოიყვანეს“ (ყაუხჩიშვილი 1955 : 49). „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანი არ ახსენებს ჯავახეთში შეტაკების ამბავს, არამედ პირდაპირ წერს, რომ ზარენი, „როგორც ბავშვი შეიპყრეს ადგილას, რომელსაც ეწოდება ცილხ ტბა“ (აბულაძე 1953 : 53). „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანი აღნიშნავს, რომ ზარენის გასათავისუფლებლად წამოსული სუმბატ ბიერიტიანი და მეფის ძენი არტავაზი და ტიგრანი სომხეთის ჯარით წავიდნენ „თრიალეთის ქვეყანაში“ (აბულაძე 1953 : 53-54). ანალოგიურ მონაკვეთთან „ქართლის ცხოვრება“ თრიალეთს ასახელებს, სადაც, რა თქმა უნდა მხარე იგულისხმება. იგი ქართლის მეფეთა მფლობელობაშია. ბუნებრივია, სომეხთა ჯარი თრიალეთში ჯავახეთიდან გადავიდოდა, სადაც სომეხებს მიტაცებული ჰქონდათ ქართლის სამეფოს საზღვარი. სწორედ თრიალეთზე გადიოდა უმოკლესი გზა შიდა ქართლში მოსახვედრად, აქედან კი ქართლის მთიანეთში, სადაც დარიალის ციხეში ქართველებსა და ოსებს გამომწვევდელი ჰყავდათ ზარენი (ყაუხჩიშვილი 1955 : 49). ზარენის დაბრუნების შემდეგ, გარკვეული შეთანხმების შედეგად, „...სომეხთა უკუმოსცეს საზღვარი ქართლისა, ქალაქი წუნდა და ციხე დემოთისა, ჯავახეთი და არტანი“ (ყაუხჩიშვილი 1955 : 49). „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანიც აღნიშნავს, რომ, როდესაც ქართველებსა და სომეხებს შორის დაზავება მოხდა, სომეხებმა „ მაშინვე დააბრუნეს ქართლის წადებული საზღვარი: „წონდა, დმუხისი (დემოთის ციხე – ქ. ქ.), ჯავახეთი და არტაჰანი“ (აბულაძე 1953 : 54). კონსტანტინე იმპერატორის მიერ ზემოთ აღნიშნული საზღვრის დაწესების მიუხედავად, როდესაც მირიანი და თრდატი დაზავდნენ და ურთიერთობა დინასტიური ქორწინებით (მირიანის ძე რევაზი ცოლად შეირთო თრდატის ასული სალომე) განიმტკიცეს, შემდგომ პერიოდში, ბაქარ მირიანის ძის მეფობის დროს, ადგილი ჰქონდა დინასტიურ ბრძოლას, შეტაკების ადგილი კი ჯავახეთი იყო. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, სომეხები ბაქარის

ძმისწულის, გარდაცვლილი რევის ძის, გამეფებას ცდილობდნენ, რომელიც დედის მხრიდან უკავშირდებოდა სომეხთა სამეფოს ტახტს, რადგან იგი თრდატ სომეხთა მეფის შვილიშვილი გამოდიოდა. ბაქარმა დახმარება სთხოვა თავისი დის ქმარს – ფეროზს, რომელთან ერთად, სპარსელების დახმარებით, ჯავახეთში სასტიკად დამარცხეს სომეხები (ყაუხნიშვილი 1955 : 130-131). ამ შეტაკებას ვახუშტიც აღნიშნავს, თუმცა, მისი თქმით, მოკაშირეებს თრიალეთში დაუმარცხებიათ მტერი (ყაუხნიშვილი 1973: 95). ამ ამბავს „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანი შემდეგნაირად გადმოგვცემს: „მაგრამ არ აძლევდნენ [საშუალებას] სომეხნი, რომ ემეფა ბაქარს, რადგან უნდოდათ გაემეფებინათ ტრდატის (თრდატი – ქ. ქ.) ქალის შვილი. ხოლო ბაქარი მიენდო სპარსეთს და მისცა მას ქვეყანა. ფეროზს მისცა შამშუი[ლ]ტიდან აშოცის თავამდის. აგრეთვე თხოვნით მიმართა საბერძნეთს, და ყოველი მხრიდან შეკრიბა ლაშქარი. გაუმართეს ბრძოლა ჯავახეთში და განდევნეს ისინი“ (აბულაძე 1953 : 131). როგორც ვხედავთ, ბაქარი ყველა ღონეს ხმარობს, რომ განიმტკიცოს პოზიციები. მის მოწინააღმდეგეს, ბუნებრივია, სომხეთის სამეფო კარი უჭერს მხარს, რომელსაც თავისი მიზნები ექნებოდა მოსაზღვრე ტერიტორიებთან დაკავშირებით. ჯავახეთში შეჭრილი სომხური ჯარი, ბუნებრივია, მის დაკავებას შეეცდებოდა, რომელსაც სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა ქართლის სამეფოსთვის. ჯავახეთ-თრიალეთის დაკავებით სომეხებს შეეძლოთ ქართლის სამეფოს შიდა რეგიონებში და მცხეთაში შეჭრილიყვნენ, ასევე ქართლის სამეფოსთვის მოეწვევებინათ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მხარეები, ამიტომ, არ არის გამორიცხული, რომ ჯავახეთის გარდა შეტაკება თრიალეთშიც მომხდარიყო, რაც კონფლიქტის უფრო მეტ სიმწვავეზე მეტყველებს.

ძალზე საინტერესოა „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანის ცნობა წმ. ნინოს ჯავახეთში შემოსვლის შესახებ: „ივნისის თვეში მოვედი ჯავახეთის მთაში. მოვედი ფარავნის ტბას და დავინახე იქ მეთევზურნი ტბაში და მწყემსები ზღვის ნაპირზე. მესმა, რომ ფიცულობდნენ არმაზსა და ზადენს, რადგანაც მცოდნე ვიყავ სომეხთა ენისა, [რომელი] დვინელი ნიაფორის სახლში ვისწავლე. ვკითხე სადაურობა და მითხრეს: დარბიდან, [ე]ლარბინიდან, საფურცლიდან, ქინწერიდან, რაპატიდან და დიდ ქალაქ მცხეთიდან [ვართო], სადაც ღმერთნი იდიდებიან და მეფენი მეფობენ“ (აბულაძე 1953: 80–81). ამ ცნობაში საინტერესოა, გაირკვეს, რა კონტექსტში იგულისხმება წმ. ნინოსა და ფარავნის ტბასთან მოსული მწყემსების სომხურ ენაზე საუბარი. ცნობა, ბუნებრივია, მომდინარეობს „ქართლის ცხოვრების“ კრებულში შემავალი „ნინოს მიერ ქართლის მოქცევიდან“, სადაც ზემოაღნიშნული ცნობის შესახებ ვკითხულობთ: „და თუესა მეოთხესა, რომელ არს ივნისი, წარმოემართა და მოიწია მათთა ჯავახეთისასა, სადა-იგი მიემთხვა ტბასა დიდსა გარდამდინარესა, რომელსა ჰქვან ფარავნა ... და დაყო მუნ ორი დღე და ითხოვა საზრდელი მეთევზურთაგან, ტბასა მას შინა მონადირეთასა. და მწყემსნიცა იყვნეს მასვე ადგილსა და ჯუმილვიდეს საჯუმილაგსა ღამისასა სამწყსოსა მათსა ზედა; და

ხალოდეს ღმერთთა მათთა არმაზს და ზადენს, და აღუთქმიდეს მათ შესაწირავთა: ოდეს მოვიდეთ მშვიდობითო“. ხოლო წმიდა ნინო მეცნიერ იყო მცირედ ენასა სომხურსა, რამეთუ პირველ ესწავლა ნიაფორისგან, და ჰპოვა მწყემსთა მათ შორის სომხურად მზრახველი და ჰკითხა მას, ვითარმედ: „რომლისა სოფლისანი ხართ?“ ხოლო მან მიუგო და რქუა, ვითარმედ: „დაბით ელარბინით და საფურცლით, და ქინძარელნი, რაბატელნი დიდისა ქალაქისა მცხეთისანი, სადა ღმერთნი ღმერთობენ და მეფენი მეფობენ“. მწყემსმა ისიც მიასწავლა წმინდა ნინოს თუ როგორ უნდა მოხვედრილიყო მცხეთაში (ყაუხჩიშვილი 1955 : 85–86). ამ ცნობიდან არ ჩანს ფარავნის ტბასთან ჩასული მწყემსები სომხურ ენაზე ადიდებდნენ თუ არა არმაზსა და ზადენს, როცა ძველ სომხურად მთარგმნელი ამ ფაქტს არ აკონკრეტებს. ქართული წყაროს და მისგან მომდინარე ძველი სომხური თარგმანის მონაცემებით ჩანს, რომ ფარავნის ტბასთან მყოფი მწყემსები არ მიეკუთვნებიან ადგილობრივ მოსახლეობას, არამედ ქართლის სამეფოს სხვადასხვა ადგილებიდან, მათ შორის მცხეთიდანაც, არიან ჩამოსულნი. ცნობა წმ. ნინოს მიერ სომხურ ენაზე საუბრის შესახებ გულისხმობს მხოლოდ კონტაქტის დამყარებას, როდესაც ამ მიზნით, უცხო მხარეში მოხვედრილი ადამიანი, მისთვის ცნობილი ენების გამოყენებას ცდილობს. მაშასადამე, წმ. ნინო ეძებს ადამიანს, რომელმაც შეიძლება სომხური იცოდეს და შემდეგ ეკონტაქტება მას. ამის პარალელურად შეიძლება ქართული წყაროს „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ერთი ცნობა გამოვიყენოთ, რომლის მიხედვით, სანამ წმ. ნინო მცხეთაში ჩავიდოდა, „ურბნისში დაჰყო ებრაელთა ბაგინსა ენისათჳს ებრაელთასა“, სადაც ერთი თვე გაუტარებია. ბუნებრივია, წმ. ნინო საკონტაქტო ენად ებრაულს იყენებდა. ამის შემდეგ წამოჰყვა იგი მცხეთაში სავაჭროდ და არმაზის მოსალოცად წამოსულ ხალხს (აბულაძე 1963 : 118). ებრაულ ენაზე მოხდებოდა კონტაქტი მცხეთელ ებრაელებთანაც. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ მოხმობილი ცნობის (წმ. ნინოსა და ფარავნის ტბასთან ჩამოსული მწყემსების სომხურად საუბრის შესახებ) თაობაზე მსგავსი არაფერია თქმული „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში, რომელიც ქართლის ცხოვრების ერთ-ერთ პირველწყაროდ არის მიჩნეული ქართულ ისტორიოგრაფიაში: „და თუესა მეოთხესა წარმოვემართე მათთა ზედა ჯავახეთისათა, რათა ვცნა თუ სადა[დ]თ არს მცხეთაჲ, და მივემთხვე მათთა ზედა ტბასა დიდსა გარდამდინარესა, რომელსა ერქვა ფარავნაჲ და დავდეგ მუნ ორ დღე. ვითხოვე საზრდ[ე]ლი მეთევზურთაგან და განვძლიერდი ძალითა მით საზრდელის[ა]თა, და მადლი შევსწირე ღმერთსა. და მწყემსნი იყვნეს მასვე ადგ[ი]ლისა და ჴუმიღვიდეს საჯ[უ]მილაგსა დამის[ა]სა სამწყსოთა შინა მათთა. და ხალოდეს ღმერთთა მათთა დაწყეულთა არმაზს და ზადენს და უთქუმიდეს შესაწირავთა, რაჟამს მოვიდეთო. დილ[ა]სა ადრე მივე[დ] და ვკითხე ერთსა მათგანსა, თუ რომლისა სოფლისანი ხართ თქუენ. ხოლო მან მომიგო მე: „ზოგნი დაბით და ზოგნი საფურცლით და ზოგნი ქინჯარელნი და რაბატელნი დიდისა ქალაქისა მცხეთისანი, სადა ღმერთნი ღმერთობენ და მეფენი მეფობენ“ (მოქცევაჲ

ქართლისად 1963 : 115–116). ბუნებრივია, სომხურ ენაზე საუბრის შესახებ ცნობა გვიანდელი ჩანამატია, ან კიდევ ქართლის ცხოვრების გადამწერმა იგულისხმა, რომ სომხეთიდან შემოსულ წმ. ნინოს, რომელიც ასევე იზრდებოდა დვინელ ქალთან, სომხური ეცოდინებოდა.

ჯავახეთის, ანუ წუნდის, საერისთავო ქართლის სამეფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარეა რელიგიური თვალსაზრისითაც. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ქრისტიანობის მიღების შემდეგ ბიზანტიიდან გამოგზავნილმა იოანე ეპისკოპოსმა და მისმა თანხმლებმა პირებმა „და ვითარ მოიწივნეს ადგილსა რომელსა ჰქვან ერუშეთი, და დაუტევნა ხურონი საქმედ ეკლესიისა: დაუტევნა განძი და სამსჭუალნი უფლისანი და წარმოვიდა და დაუტევნა წუნდას ხურონი და განძი“ (ყაუხნიშვილი 1955 : 205). „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანი სიწმინდეების დატოვებას ასახელებს მხოლოდ ერუშეთში – „მოვიდა ეპისკოპოსი [ერუშეთის] ქვეყანას, დადვა ეკლესიის საფუძველი, დადვა იქ სამსჭუალეები და დატოვა იქ მამულები და სახარჯო“ (აბულაძე 1953 : 117). „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანი მოიხსენიებს, ასევე, ეპისკოპოსების დასმის შესახებ ფაქტს არტაანსა და ჯავახეთში – „ერთი დასვა არტაჰანს, ერთი – ჯავახეთს“ (აბულაძე 1953 : 182), სადაც, ბუნებრივია, წუნდა იგულისხმება. არტაანში ერუშეთიდან რომ იგულისხმება, ქართველი ისტორიკოსები ამტკიცებენ. ჯუანშერი ეპისკოპოსის დასმას მოიხსენიებს „არტანს ერუშეთს“. ვახუშტი ბატონიშვილი მხოლოდ ერუშეთს ასახელებს (ყაუხნიშვილი 1973 : 113). დ. მუსხელიშვილი ფიქრობს, „შესაძლებელია ერუშეთთან ერთად არტაანი ამ შემთხვევაში კოლასაც (მცირე არტაანი) მოიცავდეს“ (მუსხელიშვილი 1977 : 162). ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს, რომ წუნდის საერისთავოს მხარეებში – ჯავახეთში, არტაანსა (კოლათურთ) და ერუშეთში – ქრისტიანობამდელ ეპოქაში მნიშვნელოვანი წარმართული ცენტრები უნდა ყოფილიყო, რასაც ქრისტიანული სიწმინდეებით, ეკლესიების მშენებლობებით და საეპარქიო ცენტრებით ანაცვლებენ. „ქართლის ცხოვრების“ გვიანდელ ნუსხებში (ბროსესეული, ფალავანდი-შვილისეული, თეიმურაზისეული, ბარათაშვილისეული) ერთგან აღნიშნულია, რომ ანდრია პირველწოდებულმა საქართველოში შემოსვლის დროს, სამხრეთ საქართველოს სხვა მხარეებთან ერთად, ქრისტიანობა იქადაგა „არტაჰან კოლას“, სადაც მოციქულს დიდი ხანი დაუყვია „და განანათლა სიტყვითა მოძღურებისა მისისათა, და შეწირნა უფალსა წმიდისა ნათლისღებისა მიერ“ (ყაუხნიშვილი 1955 : 38). ბუნებრივია, „ქართლის ცხოვრების“ ძველ სომხურ თარგმანში ეს ცნობა ვერ მოხვდებოდა, რადგან შესაბამისი ინფორმაცია გვიანდელ ნუსხებშია ჩამატებული.

ქართველი ისტორიკოსი ჯუანშერი ჯავახეთში ასახელებს წყაროსთავს, სადაც მირდატ ვახტანგის ძეს ეკლესია აუშენებია (ყაუხნიშვილი 1955 : 205). ჯავახეთის

საეკლესიო საკითხებთან დაკავშირებით, მეტად საინტერესო ცნობას გვაწვდის „მატიანე ქართლისა“. უფრო სწორად, „ქართლის ცხოვრების“ თეიმურაზისეულ და ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმის XIX საუკუნის ნუსხებში „მატიანე ქართლისაიში“ ჩამატებულია ნაწყვეტი XI ს-ის მცხეთის საბუთიდან, სადაც აღნიშნულია, რომ მელქისედეკ კათალიკოსმა „ჯავახეთს მოიგო [სო]ფელი ტონთი“ და სვეტიცხოველს შესწირა (ყაუხჩიშვილი 1955 : 290). მართლაც, მელქისედეკი მცხეთის საბუთში აღნიშნავს: „და ჯავახეთს მოვიგე სოფელი ტონთიო“ (ქართული ისტორიული საბუთები 1984: 26). ეს ინფორმაცია, ზემოაღნიშნული მიზეზის გამო, ვერ მოხვდებოდა „ქართლის ცხოვრების“ ძველ სომხურ თარგმანში, რადგან იგი მხოლოდ გვიანდელ ნუსხებში მოიპოვება.

ჯავახეთს ქართულ და ქართველებით დასახლებულ მხარედ მოიხსენიებს X ს-ის სომეხი ისტორიკოსი უხტანესი. ჯავახეთი ქართლის სამეფოს ნაწილად არის აღქმული და აქ არ იგულისხმება მხოლოდ პოლიტიკური მხარე, არამედ ის, რომ ჯავახეთი ეთნიკურადაც ქართლის სამეფოს კუთვნილებაა: „ურიცხვია სახელი ... სხვა გავარისა ქალაქ თბილისის გარშემო, რომელთაც ეწოდებათ წანარეთი, ჯავახეთი, თრიალეთი, ითესლეს და გამრავლდნენ და გახდა ტომი, რომელთაც თავის პირველ ქვეყანაში ვერიას უწოდებდნენ, აქ [კი] ქართველნი ეწოდებათ“ (უხტანესი 1975 : 67). უხტანესის ეს ცნობა, ასევე, ამყარებს ინფორმაციას სომხურ წყაროებში გუგარქის, რომლის ერთ-ერთ მხარედაც ითვლება ჯავახეთი, ქართლის ნაწილად მიჩნევის შესახებ. ჯავახეთი ტერიტორიულად და ეთნიკურადაც ქართლის ნაწილი რომ არის, უხტანესის კიდევ ერთი ცნობა ამტკიცებს, როდესაც სომეხი ისტორიკოსი კირონ ქართლის კათალიკოსის წარმომავლობას აღნიშნავს, საიდანაც ჩანს, რომ: „ის იყო ქვეყნით და ნათესავით ქართველთაგან, ჯავახეთის გავარიდან. სოფლიდან, რომელსაც სკუტრი ეწოდება“ (უხტანესი 1975 : 21). ამრიგად, X ს-ის სომეხი ისტორიკოსის უხტანესის ცნობებიდან მტკიცდება, რომ ჯავახეთი ქართლის სამეფოს კუთვნილი ტერიტორია იყო და იგი ეთნიკურადაც ქართულ მხარედ მოიაზრება. ეს ფაქტი შემდგომი პერიოდის ისტორიკოსებისთვისაც მისაღები იყო. ვარდანიც აღნიშნავს, რომ კირონ ქართლის კათალიკოსი „ტომით ქართველი იყო ჯავახეთის სოფელ სკუტრიდან“ (ვარდანი 2006 : 83).

სამწუხაროდ, ჯავახეთს არ მოიხსენიებს იმავე საუკუნის სომეხი ისტორიკოსი ჰოვჰანეს დრასხანაკერტცი (იოანე კათალიკოსი), რომელიც საქართველოს სხვა მხარეების შესახებ მრავალ ინფორმაციას იძლევა. მიუხედავად ამისა, არ გამოგრიცხავთ, რომ უხტანესთან მოხსენიებული „სკუტრი“ იყოს ჰოვჰანეს დრასხანაკერტციან მოხსენიებული „კრუსტი“, რომელიც გურგენ ერისთავთ-ერისთავის სამფლობელოში არსებული ციხე-სიმაგრეა. იგი მას სამშვილდის სანაცვლოდ გნთუნთა ფეოდალური საგვარეულოს წარმომადგენელს ვასაკ გნთუნს უცვლიდა, რომელიც შირაკის მეფეს მოხელე ერისთავად ჰყავდა დაყენებული

ანექსირებული სამშვილდის ციხეში. ეს ციხე მიმდებარე ტერიტორიასაც აკონტროლებდა: „ვასაკ გნუნმა ზურგი შეაქცია აშოტს (აშოტ II ერკათი – ქ. ქ), რომელსაც შაჰანშაჰი ეწოდებოდა და მიენდო ქართველთა მთავარს გურგენს, აღუთქვა მას დიდი სიმაგრის (სამშვილდე – ქ. ქ) მიცემა, ოღონდ [სამაგიეროდ] თავისი ოლქიდან სხვა სიმაგრე კრუსტი დაეთმო მისთვის. მან ვასაკის თხოვნა სწრაფად შეასრულა, ფიცის წიგნი დაბეჭდა და გაუგზავნა“ (იოანე 1965 : 251). ამჟამად ამ ციხე-სიმაგრის ადგილმდებარეობა უცნობია, ამიტომ მეტს ვერაფერს ვიტყვით. თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ გურგენ ერისთავთ-ერისთავს, რომელიც გურგენ დიდის სახელით არის ცნობილი, ესარგებლა ბაგრატიონთა უმცროსი შტოს გადაშენებით და ჯავახეთი თვითონ დაეჭირა, სადაც ჯერ არ ჩანან აფხაზეთის მეფეები (კუმურდოს წარწერის 964 წლის წარწერის მიხედვით). ამ დროს ჯავახეთი გურგენ ერისთავთ-ერისთავის მფლობელობაში უნდა ყოფილიყო.

გვიანდელი ფაქტებიდან „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანი უფრო კონკრეტულად მოიხსენიებს არაბი ამირა ხალილ იეზიდის ძის შემოჭრას, მის მიერ აშოტ კურაპალატის მოკვლას და შემდეგ თავად ხალილის მკვლელობას ჯავახეთში – „ შემდეგ მოვიდა ამირა ხალილი, მოკლა აშოტი და თვითონაც მოიკლა ჯავახეთს“ (აბულაძე 1953 : 214). ამ ფაქტს, უფრო ვრცლად აღნიშნავს „მატიანე ქართლისა“, იგი ხალილის სამ შემოსვლას ასახელებს: „შემდგომად ამისა მოვიდა ხალილ იეზიდის ძე არაბიელი, და დაიპყრა სომხითი, ქართლი და ჰერეთი. და მოკლეს აშოტ კურაპალატი გარდაბანს ეკლესიასა შინა, და სისხლი მისი, რომელი მაშინ დაითხია, აწცა იხილვების ვითარცა ახალი ... ხოლო ხალილ მოვიდა მესამედ და მოკლეს ჯავახეთს“ (ყაუხჩიშვილი 1955 : 253– 255).

ჯავახეთში ხალილ იეზიდის მოკვლის შესახებ XI ს-ის ისტორიკოსი ასოლიკიც აღნიშნავს, რომელიც ამ ლაშქრობის თარიღსაც გვთავაზობს, კერძოდ, 841 (290) წელს, რაც განსაკუთრებით არის საინტერესო: ისტორიკოსი ჯავახეთს ქართულ მხარედ აღიქვამს. როდესაც ხალილ იბნ იეზიდი „შევიდა დიდი მასით იბერიაში, მაშინ მოკლეს“. ასოლიკი ასევე ასახელებს მკვლელობის ადგილს – ჯავახეთში სოფლად, რომელსაც ჰქვია „ხოზაბირი“ (ასოლიკი 1885 : 106). ეს ფაქტი მეტად მნიშვნელოვანია, რადგან ქართული წყარო კონკრეტულ პუნქტს არ ასახელებს. სავსებით სამართლიანად გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეს სოფელი ჯავახეთში არსებული სოფელი ხიზაბავრა უნდა იყოს (ნარკვევები 1973: 498; ს. ჯანაშია 1952 : 406). სომხური ფორმა „ხოზაბირ“ ქართულ ხიზაბავრს შეესაბამება. ამ ცნობიდან მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ უძველესი ქართული სოფელი ხიზაბავრა ჯავახეთში IX ს-დან უკვე არსებობს.

ზემოთ მოხსენიებული XI ს-ის სომეხი ისტორიკოსის ასოლიკის ცნობებიდან მნიშვნელოვანია, ასევე, ინფორმაცია დავით კურაპალატისა და ბაგრატ III-ის

ფარული კონფლიქტის შესახებ, სადაც ფიგურირებს ჯავახეთი. დავით კურაპალატს სომხეთის მეფე სუმბატი ეხმარებოდა. ისტორიკოსის თქმით, „მან მოუწოდა მთელი სომხეთის ჯარს და გაგზავნა თავისი ძმა გაგიკი ჯავახეთში და დაბანაკდა სოფლად, რომლის სახელია დლივი“ (ასოლიკი 1885 : 252). ეს ცნობა ერთგვარად ადასტურებს და ავსებს „მატიანე ქართლისას“ მონაცემებს, რომელიც ეხება, ასევე, ზემოაღნიშნულ კონფლიქტს. როგორც ჩანს, დავითი დლივში იდგა, სადაც გაგიკის გარდა, ბაგრატ III-ის პაპა ბაგრატ II მისულა. მას, ალბათ, საკუთარი შვილისგან – გურგენ მეფისგან – მეფობის წართმევის ეშინოდა: „იგიცა მოვიდა დავით კურაპალატის წინაშე“. გაერთიანებული ლაშქარი „მოვიდეს და დადგეს დლივის სპითა დიდითა, რომელთა არა იყო რიცხვ“ (ყაუხჩიშვილი 1955 : 277). „ქართლის ცხოვრებაშიც“ დაფიქსირებულია, რომ დავით კურაპალატმა „მოუწოდა ლაშქართა თვისსა და უფრო ყოველთა მეფეთა სომხითისათა“ (ყაუხჩიშვილი 1955 : 277). ასოლიკის ცნობაზე დაყრდნობით, ბუნებრივია, დავით კურაპალატის დასახმერებლად მოსული სომეხთა ჯარიც დლივს მოვიდოდა.

ამ ფაქტთან დაკავშირებით, დ. ბერძენიშვილი ფიქრობს, „რომ დლივი და ჯავახეთის რაღაც ნაწილი დავით კურაპალატისაა“ (ბერძენიშვილი 1985 : 93). „მატიანე ქართლისაის“ ამ ცნობიდან არ ჩანს, რომ დლივი დავით კურაპალატის კუთვნილებაა. ისტორიკოსის განაცხადი, რომ „დავით კურაპალატი წარმოვიდა მსწრაფლ“, „მოვიდეს და დადგეს დლივის სპითა დიდითა,“ მიუთითებს, რომ მან უფრო დაიკავა დლივი, რომელიც ბაგრატ III-ის და გურგენის მფლობელობაში უნდა ყოფილიყო. დლივი მეფეთა სამეფო სადგომი გახლდათ. დ. ბერძენიშვილის თქმით, „დლივზე მოდიოდა ძველი გზა, რომელიც სულლა-კარწახის გავლით არტანში ჩადიოდა, საიდანაც კლარჯეთისა და ტაოსკენ მიემართებოდა. ეს გზა ძირითადი უმოკლესი მაგისტრალი იყო ტაო-კოლა-არტანის ქართლთან დამაკავშირებელი ჯავახეთის მეშვეობით“ (ბერძენიშვილი 1985 : 85). არ არის გამორიცხული, რომ ამ მიზეზით დავითსა და ბაგრატს შორის დაპირისპირების ობიექტი ჯავახეთის ეს ნაწილიც ყოფილიყო, რადგან თრიალეთის დაპატრონებით და ჯავახეთის საშუალებით ბაგრატი ქვემო ქართლს და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მხარეებს გააკონტროლებდა. შესაძლოა, სწორედ ამიტომაც დაიკავა დავით კულაპალატმა დლივი. დლივის სტრატეგიულ მნიშვნელობაზე მატიანე ქართლისას ერთი ცნობაც მიუთითებს, როდესაც დლივს მყოფი ბაგრატ III კახეთ-ჰერეთისკენ ილაშქრებს: „და კურაპალატი იყო მას ჟამსა დლივს, რამეთუ განაგებდა საქმეთა ტაოსა და ქართლისათა“ (ყაუხჩიშვილი 1955 : 278). ბუნებრივია, დლივი ბაგრატ III-ს დავით კურაპალატის გარდაცვალების შემდეგ უნდა დაებრუნებინა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჯავახეთისა და თრიალეთის ფლობა გულისხმობს სამხრეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მხარეების გაკონტროლებას,

რადგან მასზე გადიოდა საქართველოს შიდა და გარესამყაროსთან დამაკავშირებელი სტრატეგიული მნიშვნელობის გზები. შესაძლოა, ამანაც განაპირობა ბიზანტიის იმპერატორის ბასილი კეისრის მიერ განხორციელებული მანევრი საქართველოს მეფის გიორგი I-ის წინააღმდეგ. ბიზანტია-საქართველოს ომის დროს ჯავახეთი ბრძოლის ერთ-ერთი უბანი იყო. თრიალეთში წასულ მეფეს ბასილი კეისარი უკან დაედევნა. მან „ასწყადა ქუეყანა ჯავახეთისა და გარდავიდა თრიალეთს“, თუმცა გიორგი I-ს რომელმაც ძალები აღიდგინა, მეორედ შებმა არ ურჩიეს. ამის შემდეგ „შეიქცა ბასილი მეფე თრიალეთით, უკუმოიარა ჯავახეთი და არტანი და კუალად უბოროტესადრე შურის გებით მოაოჲრნა ქუეყანანი იგი“ (ყაუხჩიშვილი 1955 : 285). ამ საკითხს უფრო მკაფიოდ და დაწვრილებით გადმოგვცემს სუმბატ დავითის ძე იგი აღნიშნავს, რომ გიორგი I „... ნიალიდ კერძო სამცხედ, და მიუდგა მას უკანა ბასილი ჯავახეთით კერძო, და მოაოჲრა ყოველივე. გარდავიდა გიორგი თრიალეთად, და მოადგა ბასილიცა თრიალეთადვე. და რა ეახლნეს ერთმანეთსა“, როდესაც ბასილმა გიორგი I-ის ძალთა გაძლიერება იხილა („რამეთუ მოიყვანა წანარნი და შაქნი“), უკან გაბრუნდა და „უკმოვლო ჯავახეთი და არტანი დღეთა შინა ზამთრისათა და კუალად უბოროტოსადრე მოაოჲრა“ (ყაუხჩიშვილი 1955 : 285). ორივე წყარო აფიქსირებს ბასილი კეისრის განაკუთრებულ სისასტიკეს ჯავახეთის მიმართ და ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორ დაარბევდა იგი ამ მხარეს. ჯავახეთ-თრიალეთის დაკავებით ბასილი კეისარი ადვილად შეძლებდა საქართველოს შიდა მხარეებში შეჭრას, რითაც გამანადგურებელ დარტყმას მიაყენებდა საქართველოს მეფეს. მაგრამ, საბედნიეროდ, მან ეს ვერ მოახერხა.

ბუნებრივია, რომ საქართველოს გაერთიანების მოსურნე ყველა მეფე იზრუნებდა ჯავახეთისა და თრიალეთის გაკონტროლებას. ასევე, თრიალეთის მფლობელიც მისი მიმდგომი ქვეყნების შემოერთებას შეეცდებოდა. მართლაც, ამ მოსაზრებას გვიმყარებს მატეანეს ცნობა, რომლის თანახმად, „...დიდებულთა მოეწყინა პატრონობა ლიპარიტისი. სულა კალმახელი და ყოველნი მესხნი გამოექცეს ლიპარიტს და შეიპყრეს დღივს ლიპარიტ და ძე მისი ივანე“ (ყაუხჩიშვილი 1955 : 304). ამ ფაქტთან დაკავშირებით ვეთანხმებით დ. ბერძენიშვილის მოსაზრებას, რომ „1051–1057 წ.წ. ლიპარიტს ეჭირა მთელი აღმოსავლეთ საქართველო და მესხეთ-ჯავახეთი. შეპყრობის მომენტშიც ლიპარიტი მთელ ჯავახეთს პატრონობს, იგი დღივში ზის“ (ბერძენიშვილი 1985 : 101). როგორც ჩანს, დღივი, ზემოთ აღნიშნული სტრატეგიული მნიშვნელობიდან გამომდინარე, დაიკავა ლიპარიტ ბაღვაშიმ. ბაღვაშითა აღზევების დროს ბაგრატიონებმა კვლავ დაკარგეს დღივი. ბუნებრივია, იგი ბაღვაშითა დამორჩილების შემდეგ კვლავ მეფეთა რეზიდენცია ხდება.

XIII ს-ის ისტორიკოსებიდან ვარდანი მნიშვნელოვან ცნობას გვაწვდის XI ს-ის II ნახ-ში აღფ-არსლანის მიერ ჯავახეთის ახალქალაქის დარბევის შესახებ, სადაც სულთანმა 100 000 კაცით მოსულა (ვარდანი 2006 : 124). ახალქალაქი, რომ ქართული

ქალაქია და მას ქართველები იცავდნენ, სადრ ად-დინ ჰუსეინის ცნობებიც ადასტურებს, რომელიც ასევე მოგვითხრობს ალფ-არსლანის მიერ ახალქალაქის აღების შესახებ. ქართველებს სულთნისგან გამოგზავნილი ემირებად დანიშნული პირები დაუხოცავთ. ერთ-ერთი მსახური სავაფი ეახლა სულთანს და აუწყა, რომ „ქართველები თავს დაგვესხნენ და მუსლიმები დაამარცხესო. ალფ-არსლანი „მტრის სასტიკ წინააღმდეგობას მამაცურად გაუმკლავდა, მათ ქვეყანაში შევიდა და მტრებისგან გაათავისუფლა“ (შენგელია 1976 : 190). ისტორიკოსი დასძენს, რომ ალფ-არსლანმა დიდი სისასტიკით აიღო ახალქალაქი. „მატიანე ქართლისა“ აღნიშნავს, რომ სულთნის ლაშქარი „წავიდეს ჯავახეთს და მოადგეს ახალქალაქს ... და ბრძოდეს სამ დღე. ახალქალაქის ზღუდის მშენებლობა დასრულებული არ იყო. მიუხედავად, ქართველთა თავგანწირული ბრძოლისა, თურქებმა მაინც მოახერხეს ქალაქში შესვლა – „აღიდეს განძი და ტყუე ძლიერი, და შეიღება წყალი ახალქალაქისა სისხლითა“ (ყაუხჩიშვილი 1955 : 306). ვარდანი, ასევე, ახალქალაქის სახელწოდების მნიშვნელობაზეც საუბრობს და მას ქართული ენის საფუძველზე ხსნის: „შემდეგ [ალფ-არსლანი] ხელმეორედ მოვიდა 100 000 კაცით, აიღო ახალქალაქი, რომელიც ქართულად „ახალ ქალაქს“ ნიშნავს“ (ვარდანი 2002 : 124). „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანი ალფ-არსლანის ლაშქრობას ასახელებს, მაგრამ, სამწუხაროდ, არ აღნიშნავს ახალქალაქის სისხლიან ბრძოლას, ზოგადად საქართველოს დარბევაზე საუბრობს და სულთნის მიერ ანისზე გალაშქრებას აღნიშნავს: „მოვიდა [ის] და აიღო მთელი ქართლი, ამოწყვიტა და ტყვედ წაიყვანა. დაიძრა [და] წავიდა სომხეთის დედა ქალაქ ანისს, აიღო ის და ამოწყვეტილთა სისხლით აავსო“ (აბულაძე 1953 : 229). „მთელ ქართლში“, რომელშიც საქართველოს სამეფო იგულისხმება, ისტორიკოსი ჯავახეთსაც მოიაზრებს, ანუ მისთვის ჯავახეთი ქართლის ნაწილია, ცალკე გამოყოფს სომხეთს, რომლის დედაქალაქი ანისია. ვარდანიც გადმოგვცემს, რომ ახალქალაქის შემდეგ სულთანმა ანისი აიღო .

„ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანი მიუთითებს გიორგი II-ის მიერ ბიზანტიელებისგან სხვა მრავალ ციხესთან ერთად ჯავახეთის ციხეების განთავისუფლებას: „აიღო გიორგიმ ბერძენთაგან ყველა ციხე, რომლებიც აეღოთ მათ: ანაკოფი[ა], აფხაზეთის თავს, კლარჯეთის ქვეყნის, შავშეთის, ჯავახეთისა და არტაანის მრავალი სიმაგრე, ყარსიცა და ვანანდიც, [და] აგრეთვე შამში[ლ]დე თურქთაგან“ (აბულაძე 1953 : 232).

ისტორიკოსი აღნიშნავს, აგრეთვე, დავით აღმაშენებლის დროს ჯავახეთში თურქთა მიერ ბეშქენ ჯაყელის მოკვლის ფაქტს: „და როცა აღასრულებდა ზატიკის დღესასწაულს ნახედურს დიდი დავით, მოუტანეს მას ამბავი, რომ თურქებმა ჯავახეთს ბეშქენი მოკლეს, მოვიდნენ [და] დასხდნენ რახსის ნაპირსო“ (რახსის პირი - ქ. ქ.), სადაც დავითს სასტიკად დაურბევია მათი ბანაკი (აბულაძე 1953 : 243).

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ ჯავახეთი საქართველოს სხვა მხარეებთან ერთად, „ამათსა მეფობასა შინა აშენდა“ (ყაუხჩიშვილი 1955 : 365). როგორც ჩანს, დავითს, მამის მსგავსად, კვლავ უწევდა ჯავახეთიდან თურქების გაძევება და მისი შენარჩუნება.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს XII ს-ის მცირე სომხური ქრონიკის „მეფენი უკანასკნელ ბაგრატუნთა“ მონაცემები ჯავახეთის აოხრების შესახებ XII ს-ის 70-იან წწ-ში ელდიგუზ ათაბაგის მიერ, რომელიც ახორციელებდა სისხლისმღვრელ ბრძოლებს საქართველოს მეფის გიორგი III-ის წინააღმდეგ ქალაქ ანისისთვის (ქუთათელაძე 2001 : 218). „1174 წელს გიორგი მეფემ კვლავ აიღო ანისი და გადასცა ივანე ორბელს. 1175 წელს მოვიდა ელდიგუზ ათაბაგი, ალყა შემოარტყა ანისს და დაანგრია მრავალი ეკლესია შირაკში, იმავე მიზეზით გააპარტახა ახალქალაქი და ჯავახეთი“, რის შემდეგ დვინში დაბრუნებულა (ქუთათელაძე 2001 : 218). ზემოაღნიშნული ინფორმაცია მნიშვნელოვანია იმით, რომ იგი არ ფიქსირდება ქართულ წყაროებში. ელდიგუზ ათაბაგის მიერ ჯავახეთის გაპარტახების შესახებ არც ვარდანი და არც სხვა სომეხი ისტორიკოსები არაფერს ამბობენ. როგორც ვხედავთ, ელდიგუზ ათაბაგი ფაქტიურად იმეორებს სულთან ალფ-არსლანის სამხედრო მანევრს. როგორც ჩანს, ანისიც და ახალქალაქიც მაჰმადიანური სამყაროსთვის სტრატეგიულ ცენტრებს წარმოადგენდნენ სამხრეთ კავკასიაში გაბატონებისთვის.

სტეფანოს ორბელიანი ჯავახეთში მცხოვრებთ მოიხსენიებს, როგორც ჯავახნი, ჯავახიანნი, ჯავახურნი, რაც ადგილის სახელწოდებიდან, ამ შემთხვევაში ჯავახეთიდან, მომდინარეობს, რადგან, ისტორიკოსის თქმით, „გუართა და გუარის მთავართა ადგილის სახელს უხმობენ“ (ორბელიანი 1978 : 28). ამ წესის მიხედვით გამოჰყავს მას ჯავახეთი. კერძოდ, „ჯავახეთის გამო ჯავახნი, ანუ ჯავახიანნი“ (B ტექსტი) (ორბელიანი 1978 : 28), „ჯავახთა-ჯავახნი“ – (A ტექსტი) (ორბელიანი : 29). გიორგი III-ის წინააღმდეგ მოწყობილ ორბელთა აჯანყებაში მონაწილე პირთაგან ამირსპასალარის მხარეს მდგომნი ტექსტში მოიხსენიებიან როგორც „ჯავახნი“, ტექსტში კი „ქართლიდამ ერისთავნი და ჯავახურნი“, ანუ ჯავახელნი (ორბელიანი 1978 : 45).

ზემოთ განხილული ისტორიული მასალიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ შუა საუკუნეების სომეხ ისტორიკოსთათვის ჯავახეთი არ მოიაზრებოდა სომხეთის ნაწილად ან სომხურ სივრცედ. სომხურ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული მოსაზრება ჯავახეთის სომხეთის ტერიტორიად გამოცხადებისა და ამით საკითხის პოლიტიზირება უფრო თანამედროვე ისტორიკოსთა ხელწერაა და ისტორიის გაყალბებას წარმოადგენს.

ლიტერატურა

აბულაძე 1953: აბულაძე ი., ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი. ქართული ტექსტი და ძველი სომხური თარგმანი გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ი. აბულაძემ. თბილისი.

აბულაძე 1973: აბულაძე ილ., ძველი ქართული ენის ლექსიკონი. თბილისი.

ანდრონიკაშვილი 1966: ანდრონიკაშვილი მ., ნარკვევები ირანულ-ქართულ ენობრივი ურთიერთობიდან. თბილისი.

ასლიკი 1885: Ասևկանոսի Տարոնացոյ Ասևկան պատմութիւն Երևան, Սպ.

ბერიძე 2012: ბერიძე მ., ძიებანი ჯავახეთის ტოპონიმიიდან. ჯავახეთის ეპიგრაფიკული კორპუსი. თბილისი.

ბერძენიშვილი 1985: ბერძენიშვილი დ., ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, ზემო ქართლი – თორი, ჯავახეთი. თბილისი.

ბერძენიშვილი 1990: ბერძენიშვილი ნ., მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისათვის. თბილისი.

ერემიანი 1963: S. Eremyan, Hayastan =st a}xara Arm. Vert. Erevan.

ვარდანი 2006: ვარდან არეველცი, მსოფლიო ისტორია. თბილისი.

მამულია 1968: მამულია გ., „არიან ქართლის“ საკითხისათვის. კრებული „საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები“. თბილისი.

მაისურაძე 1999: მაისურაძე გ., საქართველოს სომხური მოსახლეობის საკითხები (IV-VIII სს.). თბილისი.

მელიქსეთ-ბეგი 1938: მელიქსეთ-ბეგი ლ., მეგალითური კულტურა საქართველოში (მასალები არქაიკული მონუმენტური ხელოვნების ისტორიისათვის). თბილისი.

მოვსეს ხორენაცი 1984: მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ალ. აბდალაძემ. თბილისი.

მოქცევაი ქართლისაი 1963: „მოქცევაი ქართლისაი“. ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წიგნი I (V-X სს). თბილისი.

მუსხელიშვილი 1977: მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. I. თბილისი.

ნარკვევები 1973: საქართველოს ისტორიის ნარკვევები. II. თბილისი.

ორბელიანი 1978: სტეფანოს ორბელიანი, „ცხოვრება ორბელიანთას“ ძველი ქართული თარგამანები. ქართულ-სომხური ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა. თბილისი.

ორბელიანი 1991: სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული. I. თბილისი.

ორბელიანი 1993: სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული. II. თბილისი.

პატკანოვი 1877: Армянская География VII века. Издал К.П. Патканов. Санкт-Петербург.

სანაძე 2001: სანაძე მ., ქართლის ცხოვრება და საქართველოს ისტორიის უძველესი პერიოდი (ქართლოსიდან მირიანამდე). თბილისი.

უხტანესი 1975: ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან. სომხური ტექსტი ქართული თარგმანითა და გამოთქმებით გამოსცა ზ. ალექსიძემ. თბილისი.

ქართული ისტორიული საბუთები 1984: ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. თბილისი.

ქუთათელაძე 2001: ქუთათელაძე ქ., ქვემო ქართლის პოლიტიკური ისტორიის საკითხები. თბილისი.

ქუთათელაძე 2014: ქუთათელაძე ქ., წუნდის (ჯავახეთის) საერისთავო „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით. ისტორიული რეპრეზენტაცია: თეორიული მიმართულებანი და კონკრეტული კვლევები. აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის დაბადების 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციის მასალები. თბილისი.

ღლონტი 1984: ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. შემდგენელი აღ. ღლონტი. თბილისი.

ყაუხჩიშვილი 1955: „ქართლის ცხოვრება“. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბილისი.

ყაუხჩიშვილი 1973: ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. „ქართლის ცხოვრება“. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. IV. თბილისი.

შენგელია 1976: შენგელია ნ., სადრ ად-დინ ჰუსეინი აღფ-არსლანის საქართველოსა და ამიერკავკასიის ქვეყნებში ლაშქრობის შესახებ. ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან. თბილისი.

ხუდაბაშიანი 1987: სოლოფაჯიანი ს., ლაქიძე სერგეი ჩაიკოვი, სტ.

ჯანაშია 1952: ჯანაშია ს., აღმოსავლურ-ქართული სახელმწიფოს უძველესი კულტურულ-პოლიტიკური ცენტრების საკითხისათვის. შრომები. II. თბილისი.

ჯიქია 1941: გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. წიგნი II. თურქული ტექსტი გამოსცა, თარგმანი, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო სერგი ჯიქიამ. თბილისი.

К. Кутателадзе (Тбилиси)

Джавахети в армянском источнике средних веков и его сравнительный анализ с грузинскими источниками

Информации о Джавахети в армянских источниках средних веков оказалось не так уж много, в то время как грузинские источники того же периода дают довольно обильную информацию об этом крае Грузии. В армянской историографии средних веков (Мовсес Хоренаци, «Ашхарацуиц», Ухтанес, Вардан, Асохик, «Малая армянская хроника» XII века, Стефаноз Орбелян и др.) всего лишь несколько историков упоминают этот край. Из них сравнительно поздние источники повторяют сведения историков предыдущих веков. Кроме этого, мало данных конкретно об этом крае. В виде исключения можно назвать древний армянский перевод «Картлис цховреба», который естественно повторяет данные грузинских источников, хотя некоторые факты и там не указаны. Не исключено, что некоторые армянские авторы XI-XII в.в. опирались на грузинские источники, где зафиксированы одни и те же конкретные факты.

Из вышеуказанного Мовсес Хоренаци упоминает «половину Джавахети», которую получил сын Шара Гушар (Мовсес Хоренаци 1984: 106). Эти сведения Хоренаци повторяет и Вардан (Вардан 2006: 57). «Половину Джавахети» упоминает и Асохик, который тоже наверное повторяет сведения Мовсеса Хоренаци (Асохик 1885: 35).

При описании Иберии армянская география «Ашхарацуиц» рассматривает Джавахети в её составе, где он занимает 4-ое место, в другом случае в т.н. «Великой Армении» - краем входящим в её 13-ую провинцию Гугарх, где занимает 8-ое место (Патканов 1877: 52). В связи с Гугархом значительна информация, зафиксированная в армянском тексте, когда составитель источника отмечает, что «Гугарх имеет края, которые принадлежат Иберии» (Патканов 1877: армянский текст 20). Этот факт указывает на то, что, в армянских источниках Гугарх отождествлялся с Картли и признавался частью царства Картли. Данные «Ашхарацуица» отражают тот факт, что Джавахети входил в питахшество Гугарх (территория отрезанная от царства Картли), и который вассально подчинялся Армении (Кутателадзе 2001: 15-16).

For the Problem of Appearance of Metal Vessels in Caucasian Region

Summary

Present article dedicated to the problem of appearance of the earliest metal vessel assemblages in entire Caucasian region. The process of metal vessels producing in northern and southern areas of Caucasus starting in different time, i.e. it is asynchronous. From the point of prior appearance of this kind of the turetic assemblages, it is quite obvious that North Caucasus was ahead than the South. Materials that comes from Maykop-Novosvobodnaya culture demonstrates the impressive number of precious metal vessels which are dated at the beginning of III millennium BC. As concerns the South Caucasus, the first case of existence of metal vessel patterns recorded only from the very beginning of XXI century BC which is coincide with the famous *Trialeti* Culture of Brilliant Kurgans.

At presented article attention is focused to the analyzing of one type of turetics, i.e. metal vessel assemblages of the Trialeti Culture and as well the interpreting of the process of appearance of the above mentioned patterns in southern and northern Caucasus. Trialeti Culture characterized with unacceptable highest level and some unique style items, mainly from the viewpoint of their decoration. Here given an attempt to differ those processes of the start of metal vessel's producing which recorded in two different zones of the Caucasian region.

ლ. ჯიბლაძე (თბილისი)

**კოლხეთის დაბლობის ადრე და შუაბრინჯაოს ხანის კულტურების
გავრცელების არეალები, შეხვედრები და კონტაქტები მეზობელ
არქეოლოგიურ კულტურებთან**

დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე როგორც წინამორბედ ენეოლითურ, ასევე ადრებრინჯაოს ხანაში ერთმანეთისგან განსხვავებულ ორ ლოკალურ რეგიონს გამოყოფენ, რაც გამოწვეული უნდა ყოფილიყო მათი კულტურული ატრიბუციით, ამ კულტურათა თავისებური ხასიათითა და განვითარების განსხვავებული გზებით [ფხაკაძე 1992 : 228-229]. ერთი ლოკალური რეგიონი წარმოდგენილია მდ. რიონ-ყვირილას აუზში, ზემო იმერეთის პლატოზე; მეორე კი – კოლხეთის დაბლობზე და მის ბორცვოვან ზოლში. ვარაუდობენ, რომ ადრე და შუაბრინჯაოს ხანაში ცალკე ლოკალურ მხარედ უნდა გაიმიჯნოს ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის ტერიტორიაც [ბარამიძე 1999: 24; გოგაძე 1997 : 33-34; ჯაფარიძე 2003 : 131-132].

რიონ-ყვირილას აუზში ძვ. წ. III ათასწლეულის კულტურის განვითარებაში გამოყოფენ ადრეულ, განვითარებულ და ფინალური ეტაპის ძეგლებს, რომლებიც ძირითადად მოქცეული იყო მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელების არეალში. ეს მხარე მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარების ფინალურ ეტაპზე წარმოადგენდა კავკასიაში ბრინჯაოს მეტალურგიული წარმოების ერთ-ერთ დაწინაურებულ კერას [ჯაფარიძე 1976 : 111; ფხაკაძე 1993 : 74-75; მახარაძე, ბერიკაშვილი 2004 : 29; ბერიკაშვილი 2006 : 30].

დასავლეთ საქართველოს დაბლობ და ბორცვოვან ზოლში ძვ. წ. III ათასწლეულში და ძვ. წ. II ათასწლეულის პირველ ნახევარში გავრცელებული იყო ადრე და შუაბრინჯაოს ხანის კულტურები, რომლებიც სამეცნიერო ლიტერატურაში უფრო ხშირად ცნობილია პროტოკოლხური კულტურის სახელწოდებით [მიქელაძე 1974 : 49-50]. სადღეისო მონაცემების მიხედვით პროტოკოლხური კულტურის ფორმირების მთავარი ცენტრი უნდა ყოფილიყო კოლხეთის დაბლობის ზღვისპირა სანაპირო ზოლი, სადაც ადრე და შუაბრინჯაოს ხანის ძეგლების ნაწილი, რომლებიც უშუალოდ ზღვის სანაპიროსთან ახლოს მდებარეობდა, განადგურებული და ტორფქვეშ მოქცეული უნდა იყოს პოლოცენის ხანაში მიმდინარე ახალშავზღვეური ტრანსგრესიისა და ფანაგორიული რეგრესიის მიმდინარეობისას (ძვ. წ. III ათასწლეული და ძვ. წ. II ათასწლეულის პირველი ნახევარი) [ხახუტაიშვილი ნ. 1986 : 11]. პროტოკოლხური კულტურის I ეტაპი შეესაბამება ადრებრინჯაოს ხანას, რომლის ადრეული საფეხურის ძეგლები (ისპანის

ქვედა ჰორიზონტი, შემოქმედი, ჭოლიპა)¹ ტრადიციული მეთოდით განსაზღვრულია ძვ. წ. III ათასწლეულის შუა ხანებით. ზოგიერთ ძეგლზე (ისპანის ქვედა ჰორიზონტი) მიღებული C-14 თარიღებით კი ძვ.წ. IV ათასწლეულის დასასრულით [Апакидзе, Бурчуладзе 1987 : 37; ქავთარაძე 1981: 76].

პროტოკოლხური I ეტაპის მოგვიანო საფეხურის ძეგლები (ფიხორის VIII- VI ფენები, ოჩამჩირე, ისპანის ზედა ჰორიზონტი, ანაკლია I-ის ქვედა ფენა და ა.შ.) ტრადიციული მეთოდით თარიღდება ძვ. წ. III ათასწლეულის ფინალური ეტაპით [ჯიბლაძე 2007 : 106]. ეს პერიოდი ზოგიერთი ნამოსახლარიდან (ისპანის ზედა ჰორიზონტი, ფიხორის VIII-VII ფენები) C-14 დათარიღებულია ძვ. წ. XXVIII, XXVII, XXIV სს-ებით [ქავთარაძე 1981 : 76; Апакидзе, Бурчуладзе 1987 : 37].

პროტოკოლხური კულტურის გავრცელების არეალები მოიცავს თითქმის მთელ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიას. იგი განსაკუთრებით მძლავრადაა წარმოდგენილი კოლხეთის დაბლობის ზღვისპირა ზოლში ხელოვნურად გამართულ ბორცვ-ნამოსახლართა კულტურულ ფენებში. უფრო იშვიათად კი მთისწინა და ზღვისპირა ტერასებზე, ბუნებრივ ბორცვებზე, ტორფქვეშა ნამოსახლარებზე და სამაროვნებზე (გაგიდის სამაროვნის მასალები, ბოგრეშის სამარხი, შესაძლოა ეშერის კრომლესის შუაბრინჯაოს ხანის – B ფენა). ამ კულტურას უნდა ეკუთვნოდეს კოლხეთის დაბლობიდან და მისი მთიანი ზონიდან მომდინარე შემთხვევით აღმოჩენილი მრავალრიცხოვანი ბრინჯაოს არტეფაქტები (სპილენძ-ბრინჯაოს ყუამილიან-ყუადაქანებული ცულები და ა. შ.).

კოლხეთის დაბლობის ადრე და შუაბრინჯაოს ხანის კულტურები იზოლირებული არ არის გარე სამყაროდან და გააჩნია შეხვედრები და კონტაქტები მეზობელ არქეოლოგიურ კულტურებთან. მისი რადიაციის ზონაში ექცევა თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაც, უფრო მძლავრად – ქ. სოხუმამდე, შედარებით სუსტად კი – მის ჩრდილოეთით. ვფიქრობთ, რომ მდ. გუმისთასა და მდ. ფსოუს შორის მოქცეული ტერიტორია უნდა წარმოადგენდეს პროტოკოლხურის (I, II ეტაპები), დოლმენურისა და ჩრდილოეთ შავიზღვისპირა ზოლში გავრცელებული სოჭი-ადღერის ტიპის ქვის თოხების მატარებელი კულტურების შეხვედრების ადგილს, საკონტაქტო ზონას [ჯიბლაძე 2007 : 15].

მკვლევართა ნაწილი თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე გამოვლენილ დოლმენებს აკუთვნებს კოლხეთის დაბლობისა და მისი ბორცვოვანი ზოლის ადრებრინჯაოს ხანის კულტურას [ფხაკაძე 1993 : 83, 100]. როგორც ცნობილია, დოლმენური ნაგებობები გავრცელებული იყო შავი ზღვის სანაპირო ზოლის გასწვრივ 480 კმ. სიგრძეზე, მთიანი ტყის მასივებში, დაწყებული ტამანის ნახევარკუნძულიდან ქ. ოჩამჩირემდე (ბედია) [Марковин 1978 : 59, რუკა 20]. როგორც

¹ ზოგიერთი მკვლევრის აზრით (გ. ფხაკაძე), არქეოლოგიურ სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული ტერმინი პროტოკოლხური კულტურა (თ. მიქელაძე) უფრო ისტორიული ხასიათისაა და ეთნიკური დატვირთვაც გააჩნია. ამიტომ უფრო მართებულად მიაჩნიათ მის ნაცვლად გამოვიყენოთ კოლხეთის დაბლობის ადრე და შუაბრინჯაოს ხანის კულტურების სახელწოდება [Пхაკაძე 2009-2010 : 75].

ჩანს, თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე გამოვლენილი დოღმენები საერთო დოღმენური კულტურის შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს. თუმცა ისინი აქ რამდენადმე განსხვავებულ ლოკალურ ხასიათს ატარებს, რომელიც გამოიხატება ტრაპეციისებური ფორმის დოღმენებით, საჩხერული ტიპის ყუამილიან-ყუადაქანებული ცულებით ა. შ. შესაძლოა ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის (თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია) ლოკალურობაზეც მიუთითებდეს დაბლობ და მთიანი ზოლის ნამოსახლარებზე (გუმისთა I, აჩანდარა პალი, ახრა-კაპში, ჯამპალ I, იუპსი, კამან I და სხვა) აღმოჩენილი პროტოკოლხური კულტურისაგან რამდენადმე განსხვავებული კერამიკული მასალებიც.

კოლხეთის დაბლობის ადრე და შუაბრინჯაოს ხანის კულტურები გავრცელებული ჩანს კოლხეთის მთიანეთში. მართალია, ამ მხარეში ამ პერიოდის ნამოსახლარები და სამაროვნები არ დასტურდება, მაგრამ შემთხვევითი მონაპოვარი სპილენძ-ბრინჯაოს ყუამილიან-ყუადაქანებული და ბრტყელი ცულები (სვანეთი) უნდა შედიოდეს პროტოკოლხური კულტურის არეალში [ჩართოლანი 1996 : 52-59, 65-76]. ვფიქრობთ, ბრილის სამაროვნის შუაბრინჯაოს ხანის სამარხების ქვედა ფენებში გამოვლენილი ლითონის მასალები, როგორც ქვიშარის განძის ცულები (ამბროლაურის რ-ნი), ბევრ საერთოს ნახულობს კოლხეთის ბარში გავრცელებულ შუაბრინჯაოს ხანის ანალოგიურ არტეფაქტებთან. ამ სამაროვნის მასალების გარკვეული ნაწილი (სატევრისპირები, შუბისპირები) ასევე მსგავსებას ამჟღავნებს შიდა ქართლის – ნულის, ქვასათალის – სამარხებში მოპოვებულ ამ რიგის ნივთებთანაც [ჯაფარიძე 2003 : 185]. ამასთან ერთად, აღსანიშნავია, რომ ბრილის სამაროვნის (N12 სამარხი და სხვ) ბრინჯაოს ინვენტარის ერთი ნაწილი (შტანდარტები, ყუამილიანი ცულები, სატევრები, პუნქტირებით შემკული დისკოსებრთავიანი საკინძები და საკიდების ზოგიერთი სახეობა) ახლოს დგას ჩრდილო კავკასიის უფრო მოგვიანო ხანის – ფასკაუსა და ზემო რუხთას – ამ კატეგორიის ძეგლების ანალოგიურ არტეფაქტებთან [ფანცხავა და სხვ. 2001 : 39-44; Кореневский 1981 : 27, 30, 31, 37, სურ. 6, 8_{1,3}, ტაბ. II₁₃, 72,73].

ზოგიერთი მკვლევრის მიერ ადრე იქნა შემჩნეული ამ ორი რეგიონის ბრინჯაოს არტეფაქტების ერთი ნაწილის დიდი მსგავსება [გობეჯიშვილი 1952 : 61], რის საფუძველზე გამოიყო კიდევ დიგორი – რაჭის (ა. იესენი) და დიგორიის კულტურის ლოკალური რაიონი (ე. კრუპნოვი). უფრო გვიან კოლხეთის მთიანეთში, ანალოგიური ბრინჯაოს არტეფაქტების აღმოჩენის გამო გარკვეული კორექტივები იქნა შეტანილი ამ სახელწოდებაში. კერძოდ, შემოთავაზებული იქნა რაჭა-დიგორიის კულტურის სახელწოდება (ი. მონცენბეკერი) იმ განსხვავებით, რომ მასში სვანეთის ჩრდილოეთი რაიონებიც გააერთიანეს [ფანცხავა და სხვ. 2001 : 44]. ეჭვგარეშეა, რომ აღნიშნულ რეგიონებს შორის ბრინჯაოს ინვენტარის მსგავსება გამოწვეული უნდა ყოფილიყო ამ ორი მხარის გეოგრაფიული სიახლოვით, გარკვეულ ეტაპზე იქ მაცხოვრებელი ხალხის მჭიდრო კონტაქტების შედეგად. მათ შორის ურთიერთობები, ალბათ, ხორციელდებოდა

კავკასიის მთავარ ქედზე არსებული გადასასვლელით, საუდელტეხილო ბილიკებით, რომელთა ნაწილი ჩრდილოეთ კავკასიაში გადადიოდა [ჩართოლანი 1996 : 20-21]. ამ ორ რეგიონს შორის არსებული ბრინჯაოს მეტალურგიული წარმოების ცენტრი, სავარაუდოდ, უფრო საძიებელია ზემო რაჭის ტერიტორიაზე, რომელსაც ზურგს უმაგრებდა აქ არსებული მდიდარი სამთამადნო წარმოების ძეგლები.

კოლხეთის დაბლობზე და მის ბორცვოვან ზოლში ერთი ფაქტიც არ დასტურდება მტკვარ-არაქსის კულტურის შემოდწევისა, თუ არ ჩავთვლით დაბლაგომის ნასახლარის ქვედა ფენას, სადაც დასტურდება პროტოკოლხურისა (ზედა ჰორიზონტი) და მტკვარ-არაქსის კულტურის (ქვედა ჰორიზონტი) შეხვედრები [ფხაკაძე 1978 : 3-12]. ასევე მხედველობაშია მისაღები მტკვარ-არაქსის კულტურის იერის მქონე რამდენიმე კერამიკის ნატეხის აღმოჩენა ჭოლიპასა და შემოქმედის ნამოსახლარებზე [სადრაძე და სხვ. 1996 : 25].

მტკვარ-არაქსის კულტურა კოლხეთის დაბლობის სიღრმეში, არახელსაყრელი გეოკლიმატური პირობების გამო, ვერ აღწევს. იქნებ ამის გამო ამ კულტურის მატარებელი მცირე ეთნიკური ჯგუფი გვერდს უვლის კოლხეთის დაბლობის ჭაობიან ზოლს. მისი ნაკვალევი უკვე ჩანს მაღალმთიანი სვანეთის ტერიტორიაზე [ჯაფარიძე 1976 : 292]. ეგებ ამ ფაქტს ადასტურებდეს აქ გამოვლენილი მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელი სწორღეროიანი და ღილისებური დაბოლოებიანი შუბისპირები, ასევე ბლადოროსა და იაღბუზის ტიპის სპილენძის ყუადაქანებული ცულები. თუმცა არ არის გამორიცხული ზემო სვანეთში ამ ნივთების მოხვედრა მაიკოპური კულტურიდანაც. მარტყოფ-ბედენურ კულტურასთან (თუ ერთი კულტურის განვითარების ორ საფეხურთან) კონტაქტები უნდა შეინიშნებოდეს ისპანის ნამოსახლარზე აღმოჩენილი ყუადაქანებული ცულის ხის მოდელით (მხედველობაში გვაქვს მარტყოფის N3 და N5 ყორღანებში გამოვლენილი ბრინჯაოს ყუადაქანებული ცულები) [ჯაფარიძე 1998 : 42, 47, სურ. 25⁵⁸, 28¹⁶¹].

მტკვარ-არაქსულ, ბედენურ და თრიალეთურ კულტურებთან ერთად კოლხეთი დაბლობის ადრე და შუაბრინჯაოს ხანის კულტურების ელემენტები დასტურდება ზემო იმერეთის პლატოზე. პროტოკოლხური კულტურის ნიშნებს გამოყოფენ არგვეთის ზედა ჰორიზონტზე¹ – ჯიეთის ნამოსახლარის IV-V კულტურულ ფენებში, ითხვისის ჩილათას ბორცვზე [მახარაძე, ბერიკაშვილი 2004 : 32; ბერიკაშვილი, 2006 : 29; გაგოშიძე და სხვ. 2004 : 79]. მოდინახეს სამაროვნის ადრეული ჯგუფის კომპლექსებში (ძვ. წ. XX-XVIII სს. N7, 9, 21 სამარხები) გამოვლენილი კერამიკითა და ყუამილიანი ცულით ახლო კონტაქტებს ამჩნევენ კოლხეთის დაბლობის ანალოგიურ არტეფაქტებთან [ლომთაძე 2000 : 9;

¹ არგვეთის ნამოსახლარის ზედა ჰორიზონტი, სადაც ერთად გვხვდება მტკვარ-არაქსისა და კოლხეთის დაბლობის ადრებრინჯაოს ხანისათვის (ოჩამჩირე) დამახასიათებელი კერამიკა, ტრადიციული მეთოდით განისაზღვრა ძვ. წ. XXIV სს-ებით [ფხაკაძე 1992 : 268].

ბერიკაშვილი 2006 : 21]. ამ მონაცემების გათვალისწინებით, ფიქრობენ, რომ ზემო იმერეთის პლატოზე, შუაბრინჯაოს ხანის დასაწყისში, მტკვარ-არაქსის ცვლის დასავლეთ საქართველოს ბარში გავრცელებული კულტურა [ფხაკაძე 1992: 268; მახარაძე, ბერიკაშვილი 2004 : 32; ბერიკაშვილი 2006 : 30; გაგომიძე და სხვ. 2004 : 79].

კოლხეთის დაბლობის ადრე და შუაბრინჯაოს ხანის ნამოსახლარების კულტურულ ფენებში გვხვდება შავად და უფრო იშვიათად წაბლისფრად ნაპრიალები კერამიკა. ისინი ფორმებით, ყურების ზოგიერთი სახეობით, ხშირად ბიკონუსური მოყვანილობით, შემკობით, დამზადების ტექნოლოგიითა და სხვა დეტალებით მკვეთრად განირჩევიან ადგილობრივი უხეშფაქტურიანი პროტოკოლხური კერამიკისაგან [ჯიბლაძე 1998 : 3]. ბ. კუფტინმა თავის დროზე ოჩამჩირისა და ანაკლია პირველის შავპრიალა კერამიკა გენეტიკურად დაუკავშირა ამიერკავკასიის ციკლოპური ნაგებობების თიხის ნაწარმს და შორეული პარალელები მოუძებნა მცირე აზიის, ხმელთაშუაზღვისპირეთის, სირიისა და შვეიცარიის ხიმინჯებიანი ნაგებობების მასალებში [Куптин 1950 : 267]. ლ. სოლოვიოვმა ამ ტიპის კერამიკის წარმომავლობა დაუკავშირა წინა აზიას. მკვლევართა დიდ ნაწილს (თ. მიქელაძე, ო. ჯაფარიძე, დ. ხახუტაიშვილი, ა. ინაიშვილი, გ. ფხაკაძე, ე. გოგაძე, ვ. სადრაძე და სხვ.) დასაშვებად მიაჩნიათ შავპრიალა თიხის ჭურჭლის შემოღწევა აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული მტკვარ-არაქსული, ბედენური და თრიალეთური კულტურებიდან¹. ზოგჯერ შავპრიალა კერამიკას ადგილობრივ თიხის ნაწარმად მიიჩნევენ ანდა პარალელებს ნახულობენ ცენტრალური ანატოლიის ზღვისპირა ზოლში (იქიზ-თეფე, ალაჯა-ჰუიუკი, ჰოროზ-თეფე, ალიშარ-ჰუიუკი, ტროა I) არსებულ მასალებთან (ჯ. აფაქიძე). ჩვენთვის ყველაზე მისაღებია კოლხეთის დაბლობზე შავპრიალა თიხის ჭურჭლის გავრცელება ავხსნათ მტკვარ-არაქსულ, ბედენურ და თრიალეთურ კულტურებთან კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობების შედეგად (გაცვლა-გამოცვლა, ტექნოლოგიური გავლენები და ა. შ.) [ჯიბლაძე 1998].

პროტოკოლხური კერამიკის ერთი ნაწილით ახლო კონტაქტები შეიმჩნევა აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებულ ბედენური კულტურის თიხის ნაწარმთან, განსაკუთრებით მის შიდა ქართლურ ვარიანტთან (ბერიკლდეები, ციხია გორა, ნაცარგორა და ა. შ.). ამ კულტურასთან შეხების წერტილები ვლინდება პირთან მიერთებული ფართოღეროიანი ლენტური ფორმის, დერო დადარული, ორღულიანი, ფრინველის მკერდისებური ყურებით [ჯალაბაძე 1998 : ტაბ.I₁₆₋₁₈, IV₅₋₇, VI₁₋₁₉], აგრეთვე, იმ სახეობის ორღულიანი და ფრინველის მკერდისებური ყურებით, რომელთაც პირთან მიერთებისას ზემოდან აზის ვერტიკალური შვერილები. ასევე მსგავსებები შეინიშნება ბადური (რომბული) დეკორით, კერამიკის ზედაპირის ნაფოტისმაგვარი ნივით მოსწორების

¹ შავპრიალა კერამიკაზე გამოთქმულ მოსაზრებებზე და არსებულ ლიტერატურაზე დეტალურად იხილეთ [ჯიბლაძე 1998; ჯიბლაძე 2007 : 48-53].

ტრადიციით, პირამიდისებური ორნამენტით, პატარა ზომის ორყურა კოჭბებით და თიხის ჭურჭლეული მასალის მთელი რიგი ტიპებითა და მათი დეტალებით, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა [გოგაძე 1997 : 33-58; ჯალაბაძე 1998 : ტაბ. IV-4,6,12, V-12; მახარაძე 1994 : ტაბ. IV-467, V- 707, 708, XVIII - 1937, 1938, 1968, 1969, XX-2291]. საყურადღებოა, რომ ბედენურ და პროტოკოლხურ კულტურაში თითქმის ერთ პერიოდში ხდება ზემოთ ჩამოთვლილი კერამიკული მასალებისათვის დამახასიათებელი მთელი რიგი ელემენტების დამკვიდრება, რაც უფრო საინტერესოს ხდის ამ ორი კულტურის ურთიერთმიმართების საკითხების გარკვევას. ეს მოვლენა არც უნდა იყოს გასაკვირი, რადგან შიდა ქართლი ერთ-ერთი ყველაზე ახლოს მდებარე მომიჯნავე რეგიონია კოლხეთთან. ამ მხარეში აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს რეგიონებში არსებულ არქეოლოგიურ კულტურებს შორის მჭიდრო კონტაქტები შეიმჩნევა არა მარტო ადრე და შუაბრინჯაოს ხანაში, არამედ მის მომდევნო გვიანბრინჯაოს ხანის კულტურაშიც.

აღმოსავლეთ საქართველოდან მომდინარე კულტურულ ნაკადებს მნიშვნელოვანი წყვილი უნდა მიუძღოდეს კოლხური კულტურის დასავლური ლოკალური ვარიანტის ჩამოყალიბებაში. ბედენურ და დასავლურ კოლხურ ნამოსახლარებზე მტკვარ-არაქსის კულტურის ტრადიციებს ხედავენ თიხის ჭურჭლის ზოგიერთი ელემენტების მიხედვით [გოგაძე 1997 : 41]. დასავლეთ კოლხური კერამიკის ნიმუშებს, მთელი რიგი ნიშნებით, კონტაქტები აქვს თრიალეთური კულტურის ერთი ჯგუფის მასალებთანაც. როგორც ჩანს, კოლხეთის სამხრეთ-დასავლეთი რეგიონის კავშირები თრიალეთური კულტურის წრის ძეგლებთან საკმაოდ ხანგრძლივი იყო. კერძოდ, ადრეობრივადან შუაბრინჯაოს ხანის ჩათვლით, რასაც ხელს უწყობდა სამხრეთ საქართველოს ზონაში ამ ორ მხარეს შორის უმოკლესი გზების არსებობა [გოგაძე 1997 : 45]. ხდებოდა კულტურული ექსპანსია აღმოსავლეთიდან დასავლეთით.

კოლხეთის დაბლობის ადრე და შუაბრინჯაოს ხანის კერამიკის ერთი ნაწილი შემკულია რელიეფურ სარტყლებზე დატანილი ნათითური და ჭდეული ფოსოებით. შეიძლება ითქვას, რომ შემკობის ეს სახე პროტოკოლხური თიხის ჭურჭლისათვის ერთ-ერთი ძირითადი განმსაზღვრელი ელემენტია. აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ანალოგიური დეკორით გაფორმებული კერამიკა ჩნდება მტკვარ-არაქსული კულტურის გვიანდელ ეტაპზე და ბედენურ კულტურაში [მახარაძე 1994 : 57; ორჯონიკიძე 1992 : ტაბ. I-17, II-3; Дедабришвили 1979 : 50, სურ. 10-11]. ჩრდილოეთ კავკასიაში ორნამენტის ეს სახეობა ფეხს იკიდებს ძვ. წ. III ათასწლეულის დასასრულიდან გვიანბრინჯაოს ხანის ჩათვლით. ამ დეკორს დადესტანში ყველაზე ადრეული ფესვები გააჩნია (ზემო ღუნობი, გინჩი) [Котович 1965 : 158-160, 178, 184-186]. აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე დასაშვებად მიაჩნიათ ამ სახეობის ორნამენტის დანერგვა ჩრდილოეთ კავკასიიდან მიგრაციებისა და კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობათა შედეგად [გოგაძე 1972 : 91].

მტკვარ-არაქსის კულტურის გვიანდელ ეტაპზე შიდა ქართლში რელიეფურჩანაჭდევიანი ორნამენტის გამოჩენას ორგვარი მიზეზით ხსნიან: ან ეს არის მტკვარ-არაქსის კულტურის ჩრდილო-აღმოსავლური ვარიანტის შემოღწევა, რასაც ნაკლებად სავარაუდოდ თვლიან ანდა საქმე გვაქვს მტკვარ-არაქსის ფინალური ეტაპის საერთო მოვლენასთან, უცხო ტაღლის შემოღწევასთან არა მარტო ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში, არამედ ამიერკავკასიაშიც [მახარაძე 1994 : 59]. საინტერესოა, რომ შემკობის ეს სახე კავკასიის ისეთ რეგიონებშია გავრცელებული, რომლებიც ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდებიან კულტურულად და ისტორიულად [Мунчаев 1961 : 96-117]. შესაძლოა, რელიეფურ სარტყლებზე დატანილ ნათითურ-ნაჭდევიან ფოსოებს კავკასიაში ერთი საერთო წარმომავლობის წყარო გააჩნდეს ანატოლიიდან და ბალკანეთის ნახევარკუნძულიდან. ანატოლიაში ამ სახის ორნამენტი ჩნდება ძვ. წ. V ათასწლეულიდან (აღტინოვოს ველზე მდებარე თეფე-ჯიკის ნამოსახლარი) და მთელი ძვ. წ. III ათასწლეულის ჩათვლით ჩანს გავრცელებული (კუმ-თეფე, ტიულონ-თეფე, ქებანის წყალსაცავის ზოლი [ფხაკაძე 1993 : 147-149]. ფიქრობენ, რომ ამ მასალების უკეთ გაცნობა შესაძლებლობას გახდის სხვა რეგიონებთან ერთად ისინი უფრო მყარად დაუკავშირონ კავკასიას [Esin 1980 : 149-161]. ასეთი სახის დეკორით შემკობა შეინიშნება ეგეოსის ზღვის სანაპიროს (ტროა), ბალკანეთის ნახევარკუნძულისა (თრაკიის ველი, ეზეროს ნამოსახლარი) და პალესტინის ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრის ნამოსახლარებზე (ბეისანი და სხვ.) [Schaefer 1948 : 98, ტაბ. 189; 239, 21,25,26; ფხაკაძე 1993 : 149]. შესაძლოა, რელიეფურ სარტყლებზე დატანილ ნათითურ-ნაჭდევიან ფოსოებს კავკასიაში ერთი საერთო წარმომავლობის წყარო გააჩნდეს ანატოლიიდან და ბალკანეთის ნახევარკუნძულიდან.

როგორც ცნობილია, დასავლეთ ამიერკავკასია, მათ შორის კოლხეთის დაბლობი, აქტიურად იყო ჩაბმული ცირკუმპონტური მეტალურგიული პროვინციების განვითარების ორბიტაში, რომელიც სწორედ ამ დროისათვის შავი ზღვის ირგვლივ მდებარე მხარეებს მოიცავდა [Черных 1978 : 53-82]. კონტაქტების ეს საკმაოდ აქტიური ზონა აერთიანებდა უზარმაზარ ტერიტორიას. კერძოდ, ბალკანეთს, ანატოლიას, ამიერკავკასიას, მის დასავლეთ მხარეს, მტკვარ-არაქსის კულტურას და ა. შ. გარდა ლითონის ნაწარმისა, დასავლეთ ამიერკავკასიაში ეს ურთიერთობა აისახა, აგრეთვე, კერამიკაშიც [ჯაფარიძე 2003 : 135]. ფიქრობენ, რომ შესაძლოა ამ პროცესების შედეგად აიხსნას კოლხური ჭურჭლის გარკვეული სიახლოვე ანატოლიასა და ბალკანეთ-დუნაისპირეთში გავრცელებულ კერამიკასთან, განსაკუთრებით ორნამენტაციის ხასიათში [ჯაფარიძე 2003: 135]. შესაძლოა, ეს მოსაზრება საკმაოდ რეალურად ასახავდეს იმ პერიოდში მიმდინარე პროცესებს.

კოლხეთის დაბლობის ძვ. წ. III ათასწლეულით დათარიღებულ ნამოსახლარებზე აღმოჩენილ ბრინჯაოს ლითონჩამომსხმელ სახელოსნოებში (II ეტაპის ადრეული ფაზა – ძვ. წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევარი – ძვ. წ. III

ათასწლეული) ჩანს მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელი ელემენტები. მათ შორის გამლღვარი ლითონის ჩასხმა მუცლის მხრიდან მთლიანად გახსნილ ორსადგულიან ყალიბებში.

კოლხეთის დაბლობი, განიცდიდა რა წინა, მცირე აზიისა და მტკვარ-არაქსის კულტურის ბრინჯაოს მეტალურგიული კერების გავლენებს, შუა და განსაკუთრებით გვინბრინჯაოს ხანაში, თვითონაც ახდენს მძლავრ ზემოქმედებას ჩრდილო კავკასიის მეტალურგიულ ცენტრებზე. კოლხეთის მეტალურგიული ცენტრებიდან ჩრდილო კავკასიაში გავრცელდა საჩხერული, ურეკული, სვანეთის, განთიად-ფიჩორული ტიპის ყუამილიანი ცულები, ქინძისთავები, მედალიონები და ბურთულისმაგვარი საკიდები [Кореневский 1981: 36-38]. ფიქრობენ, რომ ეს უნდა ასახავდეს ამიერკავკასიის მეტალურგ-ჩამომსხმელების შეღწევას ჩრდილო კავკასიის ქედს გაღმა [Кореневский 1981: 36-39]. მიუთითებენ სამხრეთ კავკასიიდან, მათ შორის კოლხეთის დაბლობიდან, ყუბანისპირეთში ცულების იმპორტირებას. როგორც ჩანს, კოლხეთის ტერიტორია, განსაკუთრებით მისი დაბლობი მხარე, მთელი ბრინჯაოს ხანის განმავლობაში კულტურულ-ეკონომიკური თვალსაზრისით, წარმოადგენდა ერთგვარ დამაკავშირებელ რგოლს მცირე აზიასა და ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონებს შორის. ადრებრინჯაოს ხანის დასასრულიდან ამ ტერიტორიის გავლით როგორც სახმელეთო, ასევე საზღვაო გზების გამოყენებით ხორციელდებოდა კავშირურთიერთობები გარე სამყაროსთან. წინა აზიასთან და ეგეოსურ სამყაროსთან კონტაქტები ვლინდება ერთსახელურიანი, სწორმხრიანი, მხარგადაბმული სახვნელებით. შესაძლოა, კოლხეთის დაბლობის გავლით სახვნელის ეს ტიპი გავრცელდა ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში (სიმფეროპოლის სტელაზე გამოსახული ამ სახის სამიწათმოქმედო იარაღის მიხედვით – ადრე კატაკომბური ხანა). შუაბრინჯაოს ხანაში (პროტოკოლხური II ეტაპი) ზედაპირნაპრიალები გრანიტის ქვისგან დამზადებული ყუახვრელიანი ქვის ცულებით ახლო კონტაქტები შეინიშნება საბრძოლო ქვის ცულების მატარებელ კულტურებთან (ჩრდილო კავკასიური, კატაკომბური და სხვ).

როგორც ვხედავთ, კოლხეთი ადრე და შუაბრინჯაოს ხანაში არ არის იზოლირებული გარე სამყაროდან და საკმაოდ მჭიდრო კონტაქტები გააჩნია გარე სამყაროში არსებულ სინქრონულ კულტურებთან. ეფიქრობთ, მომავალში ამ მიმართულებით ჩატარებულმა ახალმა კვლევა-ძიებამ შესაძლოა, უფრო მეტი სიცხადე შეიტანოს აღნიშნულ საკითხებში.

ლიტერატურა

ბარამიძე 1999: ბარამიძე მ., ძვ. წ. III-II ათასწლეულების არქეოლოგიური კულტურები და მათი ეთნიკური ატრიბუცია. საქართველო-ავსტრალიის მოამბე, N2-3, თბილისი.

ბერიკაშვილი 2006: ბერიკაშვილი დ., ზემო იმერეთის ადრე და შუაბრინჯაოს ხანის ძეგლები. ავტორეფერატი ისტორიის მეცნ. კანდ. სამ. ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი.

გაგოშიძე, მახარაძე, ქორიძე, გოგიბერიძე 2004: გაგოშიძე ი.; მახარაძე გ.; ქორიძე ე.; გოგიბერიძე ნ. ითხვისის ნამოსახლარი. აქ III, თბილისი.

გობეჯიშვილი 1952: გობეჯიშვილი გ., არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში. თბილისი.

გოგაძე 1972: გოგაძე ელ., თრიალეთის ყორღანული კულტურის პერიოდიზაცია და გენეზისი. თბილისი.

გოგაძე 1997: გოგაძე ელ., კოლხური კულტურის გენეზისის ერთი ასპექტის შესახებ. გურია. II. თბილისი.

ლომთაძე 2000: ლომთაძე გ., მოდინახეს შუაბრინჯაოს ხანის სამარხები. აქ I. თბილისი.

მახარაძე 1994: მახარაძე ზ., ციხია გორას მტკვარ-არაქსული ნამოსახლარი. თბილისი.

მახარაძე, ბერიკაშვილი 2004: მახარაძე გ., ბერიკაშვილი დ., აღმოსავლეთ და დასავლეთ ქართული კულტურათა შეხვედრა ზემო იმერეთის ტერიტორიაზე. აქ III. თბილისი.

ორჯონიკიძე 1992: ორჯონიკიძე აღ., შერეულკერამიკიანი კომპლექსი შიდა ქართლიდან. თბილისი.

მიქელაძე 1974: მიქელაძე თ., ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ისტორიიდან. თბილისი.

სადრაძე, ძნელაძე, გოგუაძე, დავლიანიძე, მურვანიძე, კალანდაძე, კალანდაძე, ჭანიშვილი, მგელაძე, წერეთელი 1996: სადრაძე ვ., ძნელაძე მ., გოგუაძე ე., დავლიანიძე რ., მურვანიძე ბ., კალანდაძე კ., კალანდაძე ზ., ჭანიშვილი თ., მგელაძე ნ., წერეთელი კ., არქეოლოგიური კვლევა-ძიება გურიაში 1991-1994 წწ. გურია. I. თბილისი.

ფანცხავა, მაისურაძე, გობეჯიშვილი 2001: ფანცხავა ლ., მაისურაძე ბ., გობეჯიშვილი გ., ბრილის სამაროვანზე 1939 წელს გათხრილი N 12 სამარხის დათარიღებისათვის. ძიებანი, N 8. თბილისი.

ფხაკაძე 1978: ფხაკაძე გ., მტკვარ-არაქსისა და დასავლეთ საქართველოს ადრებრინჯაოს კულტურათა ზოგიერთი შეხვედრა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. სას. I. თბილისი.

ფხაკაძე 1992: ფხაკაძე გ., ენეოლითი და ადრებრინჯაოს ხანა დასავლეთ საქართველოში. საქართველოს არქეოლოგია. II. თბილისი.

ფხაკაძე გ. 1993: ფხაკაძე გ., დასავლეთ ამიერკავკასია ძველი წელთაღრიცხვის III ათასწლეულში. თბილისი.

ქავთარაძე 1981: ქავთარაძე გ., საქართველოს ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის არქეოლოგიური კულტურები. თბილისი.

ჩართოლანი 1996: ჩართოლანი შ., ძველი სვანეთი. თბილისი.

ხახუტაიშვილი 1986: ხახუტაიშვილი ნ., სამხრეთ-დასავლეთ საქართველო ადრერკინის ხანაში. სდსდ. XV. თბილისი.

ჯალაბაძე 1998: ჯალაბაძე მ., ბედენის კულტურა შიდა ქართლში. ბერიკლდეების ნამოსახლარი. საკანდიდატო დისერტაცია ისტორიის სამ. ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი (ხელნაწერის უფლებებით).

ჯაფარიძე 1976: ჯაფარიძე ო., ქართველი ტომების ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის. თბილისი.

ჯაფარიძე 1998: ჯაფარიძე ო., ქართველი ტომების ეთნო-კულტურული ისტორიისათვის ძველი წელთაღრიცხვით მესამე ათასწლეულში. თბილისი.

ჯაფარიძე 2003: ჯაფარიძე ო., საქართველოს ისტორიის სათავეებთან. თბილისი.

ჯიბლაძე 1998: ჯიბლაძე ლ., კოლხეთის დაბლობის ადრე და შუაბრინჯაოს ხანის კერამიკის ერთი ჯგუფის წარმომავლობისთვის. თბილისი (პრეპრინტი).

ჯიბლაძე 2007: ჯიბლაძე ლ., კოლხეთის დაბლობის ძვ. წ. III ათასწლეულების ნამოსახლარები. თბილისი.

Апакидзе, Бурчуладзе 1987: Апакидзе А., Бурчуладзе А., Радиоуглеродное датирование археологических и палеоботанических образцов Грузии. Тбилиси.

Дедабришвили 1979: Дедабришвили Ш., Курганы Алазанской долины. Тбилиси.

Корневский 1981: Корневский С., Втульчатые топоры - оружие ближнего боя эпохи средней бронзы Северного Кавказа. Кавказ и средняя Азия древности и в средневековье. Москва.

Куфтин 1950: Куфтин Б., Материалы к археологии Колхиды. Тбилиси.

Котович 1965 : Котович В., Верхнегунибское поселение. Махачкала.

Марковин 1978: Марковин В., Долмены Западного Кавказа. Москва.

Марковин 1978: Марковин В., Древнейшая культура северо-восточного Кавказа. МИА N100. Москва.

Пхакадзе 2009-2010: Пхакадзе Г., Колхидская ранебронзовая культура. Археология Кавказа, N2-3. Тбилиси.

Черных 1978: Черных Е., Металургические провинции и периодизации эпохи раннего металла на территории СССР. СА 4. Москва.

Esin A 1980: Esin A. Tereik excavations Keban. Prosect. Ankara.

Schafer 1948: Schafer Straitgraphfie Comparee et chronologie de l'Asie occidentaie. London.

L. Jibladze (Tbilisi)

The areas of spreading the archeological cultures of early and middle bronze of Kolkhis lowland, meeting and contacts with neighboring archeological cultures

S u m m a r y

The areas of distribution of early and middle bronze age cultures of Colchian lowland includes the territory of the whole west Georgia. During this period the mentioned cultures were not isolated from those of the outer world. In some cases they have enough close relationship with neighbouring archaeological cultures: in north-west Colchis - with Dolmen culture plateau of Zemo Imereti and in lowland (settlement of Dablagomi) with Kuro-Araxes culture.

According to the certain amount of Proto-Colchian artifacts it is revealed interconnection with the Shida Kartli variant of Bedeni culture and as well with the Ivialeteri culture. Metal assemblage demonstrates connections with the contemporary materials from North Caucasus.

Л. Джигладзе (Тбилиси)

**Ареалы распространения археологических культур Колхидской низменности
ранней и среднебронзовой эпохи, встречи и контакты с соседними
археологическими культурами**
Резюме

Ареалы распространения археологических культур Колхидской низменности ранней и среднебронзовой эпохи (протоколхидская культура, I и II этап) занимают всю территорию западную Грузии. В отмеченных периодах эти культуры не изолированы от внешнего мира.

Существуют встречи и тесные контакты с соседними археологическими культурами: В северо-западном Колхиды-с долменную культурой; на верхне имеретинском плато и Колхидской низменности (нижнегомиское поселение) - с Куро-Аракской культурой. Эта культура мощно представлена вплоть до Очамчире, а более к северу она смыкается с несколько иной, хотя и родственной ей, северодольменной культурой. Элементы протоколхидской культуры засвидетельствованы и на поселении Псоу.

К юго- западу границы ее распространения доходят до Испани (возле Кобулети), Намчедури (VI слой). Мы убеждены, что ареал этой культуры были также включены соседние территории на приморской полосе современной Турции. В горной части Колхиды (Сванети, Рача-Лечхуми) поселения протоколхидской культуры не обнаружено. Этот факт невольно рождает сомнение, не приходит ли освоение этой территории на сравнительно позднем этапе. Но в тоже время отдельные находки плоских и трубчатообушных топоров, а также некоторых фрагментов керамики протоколхидского Облика дают возможность предположить, что определенном этапе горный регион Колхиды также был включен в ареал протоколхидской культуры.

Целый ряд артефактами протоколхидской культуры замечаются контакты Беденской культуры с внутрикартлийским вариантом (Цихя гора, Бериклдееби, Нацаргора) и с Триалетской культурой.

На поселениях ранней и средней бронзы Колхиды, наряду с грубофактурной керамикой, реже встречаются чернолощенные сосуды, украшенные различными вариантами процарапанного орнамента, а также шишечками. Большинство исследователей появление этой керамики связывает с культурами, распространенными на территории Восточной Грузии (Куро-Аракс, Бедени, ранняя группа

Триалетских курганов). Интересно, что контакты этих культур прослеживаются и по грубофактурной керамике: Выступы в верхней части ручек (бериклдееби), двухствольные ручки,

Ряды горизонтальных шишечек, бессистемные линии на поверхности сосудов нанесенные щепкой. Большие чернолощенные сосуды с желобчатым орнаментом из Фичори (IV слой), и Намчедури (VI слой), вероятно, указывают и на возможные контакты с Триалетской культурой (поздний этап). Судя по трубчатообушным топорам и мотигами в течении ранней и средней бронзы прослеживаются связи с изделиями металлургических центров Передней и Малой Азии, Балканского полуострова.

Колхидская низменность во второй половине III тыс. до н. э. Испытывала влияния металлургических очагов Передней и Малой Азии, а в период средней и поздней бронзы сама оказывает сильное воздействие на металлургические центр Северного Кавказа. Тесные связи с Северным Кавказом в период средней бронзы прослеживаются по сверленным каменным топорам и бронзового инвентарями. Выемки на рельефных поясах, полукруглые налепы, сосуды с многими ушками, чернолощенные фруктовые вазы говорят о контактах с Передним Востоком и Эгейским миром.

ქ თ ნ ე ჯ თ გ ო ა

Ethnology

Этнология

A. Bobokhyan (Erevan)

Reflections on Public Spaces and Markets as Social Centres in Early Caucasian Societies

Introduction

Terms of local Caucasian origin concerning social center and market such as the Georgian *ubani* and Armenian *hraparak* bear archaic traits signifying in the same time “square, public (meeting) place, place of judgement, urban suburb, street, market”.¹ Meanwhile later terms of the same meaning widely used till nowadays such as *šuka* and *bazar* are Near Eastern (Semitic and Iranian) loanwords.² This is in accordance with the cultural context of early Caucasian societies in which we see the domination of social centre as sacred place and its later transformation into the market as place of profitable exchange. The data also show that both for the Near Eastern and for Caucasian world the formation of market as social center went similar way originating from public space of non-economic nature, however the Caucasian way, being more traditional, kept further archaic traits having been essentially oriented on sacral functions of the central place.

Two Faces of the Market as Public Space

In scientific literature focused on the development of the market we can see two main approaches. One of them creates a framework for comparing ancient and modern markets, looking on them from a merely economic point of view.³ Another one – the substantivist or cultural approach, delimits the mentioned comparison and emphasizes the way economies are embedded in society and culture, praising the economic organization of early societies as less destructive than the market economy which is a modern phenomenon.⁴ The contradiction between these two directions seems to be sometimes very strong. In reality, we think, this should not be the case because the two approaches are interconnected in the common process which brought about the creation of the modern market. We see the result of the process better than its roots which go back into archaic exchange, the traits of which (mainly reflected in the syncretism of exchange) can be seen in modern times.

Archaic exchange is not economic by its nature, however it confronts us with a thing, which is called in anthropological literature “integral social fact” i.e. a fact which is considered to be social and religious, magic and economic, utilitarian and sentimental, juridical and moral at the same time.⁵

¹ Melikishvili 1959, 449-450; cf. also Marr 1934, XVIII.

² Dalalyan 2011; 2014.

³ North 1977; Silver 1983.

⁴ Polanyi 1944; cf. Hann, Hart 2009.

⁵ Ivanov 1972, 108-109.

Exchange in archaic communities took place in public spaces and was directly connected with festival. Symmetry and equivalence were the most important traits of archaic exchange, which, however, always aspired to some kind of asymmetry (typical of communities which pass from clan to early complex societies with traits of social inequality). It was syncretic and timed just to festival and particularly to initiation, orgiastic events and burial ritual. An example of archaic exchange is the well known *potlatch* festival, the main purpose of which is the re-distribution and reciprocity and sometimes destruction of wealth. The celebration of births, rites of passages, weddings, funerals, namings, and honoring of the deceased are some of the many forms the potlatch assumes. The potlatch involves a feast with music, dance, theatricality and spiritual ceremonies.¹

Since the beginning of the 3rd millennium BC, after the so called “Urban revolution”, we can speak within the ancient Near East about complex societies in which the market (both in its abstract sense – as an economic system and in concrete sense – as a place of exchange) played a significant role; however traits of archaic syncretic exchange survived which extended beyond its mere commercial background.² The aforementioned syncretism of market place is present also Classical Greece and in the Medieval World up to the period of the Renaissance and through it to modern times,³ when the market place becomes an arena for the formation of philosophies and religions. From the other hand it is correctly compared with the theatre, because both the market and the theatre have elements of play in common (cf. the mask). Like the theatre, the market was a place for the acting of troubadours, singers, players, story-tellers, dancers, illusionists, etc.⁴ Even today we see both Asian and European markets appearing during festivals or weekends accompanied by dancing, singing, etc., when the market turns out to be an arena of social interaction.⁵ Markets representing a sacral paradise garden symbolizing harmony and plenty⁶ appear in borderlands during special days as not only places of exchange but also as spaces of dialogue between dichotomous communities. Through times we see also the transformation process of the market from cultural space into economic and vice versa, and how this process reflects the ideals of society.⁷

So, the investigations demonstrate clearly that the market is a complex landscape in which many events bear non-economic features and connect at their roots to archaic times. In this respect, both the pre-modern and modern market places are not only places of economic exchange but also thriving microcosms of social relations. Hence the non-profit (archaic) and profit bringing functions of a

¹ Abramian 1983, 5, 170-177, 188.

² E.g. the Euphrates harbors of Mesopotamian cities and the territory around them were called *kar* (in Sumerian) or *kārum* (in Akkadian), a word which meant “market”/“trade organization”. The main trade of Mesopotamian cities took place in *kar*-s. Here would gather also prostitutes which were called in Sumerian *kar-kid-(d)a*, worthy “wanderers through the market”. They worked as hetaras also in the temples, and besides their main job they were also singers, dancers and musicians (Diakonoff 1990, 51, 196-197, 337).

³ Gurevich 1972, 17, 32, 41, 52-54; Witham 2010.

⁴ Hovhannisyan 2007, 340-341.

⁵ The same is relevant for the Iranian *bazar*, denoting a place where mountain and lowland populations were meeting and exchanging information, and where cultural events (singing, dancing, etc.) were taking place (Asatryan 2011, 90).

⁶ For Caucasian context cf. Marr 1934, XVIII.

⁷ Cf. Bobokhyan et al. 2014.

public space are interconnected to each other and they reflect themselves in different ways depending on the level of complexity of any society.

Social Centres in Early Caucasian Societies

How went on the process of transformation of public spaces in early Caucasian societies? Archaeological and historical data on this problem are scarce.¹ However, one thing is clear: in the Caucasus till the Medieval period we do not have data on fixed markets. If we take such societies with high concentration of wealth as Maikop and Trialeti cultures, they seem to be deprived of settlements with organized space. As regards such societies as Kura-Araxes or Lchashen-Metsamor/Tsiteligorebi cultures they seem to have organized settlement system, however no special places for exchange, meanwhile they are rich in sanctuaries. Even in Urartian state, which used typical for the Syrian-Mesopotamian world tools of expressions, the market place in its Near Eastern sense was absent.² Hence the public spaces in early Caucasus, also those where the exchange should take place, seem to be concentrated around sacred places among which around sanctuaries/temples, workshops and burial grounds.³ By the way, the distribution of public spaces coincides with geographical features of the region – vertical zonality, when lowlands, foothills and high altitude landscapes were used to create different types of public spaces, within and beyond inhabited territories.⁴

This situation finds parallels in historical and ethnographical context. So, as the most investigations demonstrate, the temple communities were very important integrals of ancient societies of Armenia, the Caucasus and also Asia Minor, reflected in Hittite and especially in classic and early Armenian sources as well as in Caucasian ethnographic materials. In the mentioned regions during different periods the temples were 1) theocratic communities, 2) public cult buildings, and 3) royal cult buildings. The most ancient and most characteristic form was the theocratic community, from which later different political organizations derived. In the period of breaking down of clan-system and creating of territorial communities in farming regions the organizing center and the cultic centre i.e. the village and the temple communities coincided. The most part of farming population grouped around the local temples. The temple communities were located as a rule in small however fertile river valleys, surrounded by mountains and because of it they were isolated regions, at least in certain seasons of the year, or they were disposed on important trade routes. The temples were not only sacral but also economic centres of the autonomous territorial communities and were engaged in production (they possessed artisans for organization of crafts), creating material values and later minting also coins. Some of them were fortified. The lands of the community were accepted as property of the deity i.e. the sanctuary, which embodied the unity of the community. From temple communities concentrated around the sanctuary these units grew up into political organizations.⁵ This process finds

¹ Cf. Bobokhyan 2008, 158.

² The same concerns the presence of traits of Near Eastern city in Urartu (Biscione et al. 2002, 364-365).

³ It is not an accident that trading implements (such as weights) often appear in sanctuaries, workshops and burials (cf. Bobokhyan, Badalyan 2012).

⁴ Cf. Bobokhyan et al. 2012, 17.

⁵ Perikhanyan 1959, 5-7, 12, 60, 80, 100, 133, 17-181.

finds its best affirmation in ethnographic data from mountainous Georgia, where, due to isolation of different tribes, many peculiarities of earlier developments survived, which can be defined as prehistory of early theocratic organizations of Anatolia and the Caucasian region. So, each of the Georgian tribes of pshavs, chevurs and gudamkars consisted of different patriarchal territorial communities named *sakmo*. The *sakmos* differed from each other according to the name of the deity and location of the sanctuary (*dzhviri, khati*). E.g. the pshavs were divided into 12 *sakmos* to be concentrated around 12 sanctuaries. Besides, existed also an all pshav-sanctuary, which included all 12 *sakmos*. In every *sakmo* were two classes - *irisganni* (full right members – the armed population) and *dzhvarioni* (life and provisional servers of the cult). The elder of *sakmo* was in the same time also the highest priest (*khevisberi*) of the community. There were also other officials (treasurer, shepherd, economist, etc.) in charge of the community.¹

Similar social organizations with their public centres should be reconstructed also for early Caucasian societies on the whole. The centre of such systems was not the market in the ancient Near Eastern sense, but the sanctuary in or around which the exchange took place. The sacred and non-profit oriented exchange gradually turned into the profit-oriented one, signifying the beginning of the market. This event could take place earlier in the South Caucasus and later in the North Caucasus. However, in any case, the mentioned transformation, which should be influenced from the Near East during such events as e.g. the Uruk Expansion (end of the 4th millennium BC) or the presence of Assyrian Colonies in Cappadocia (beginning of the 2nd millennium BC),² was not too strong to change the immanent trait of Caucasian societies (such as Kura-Araxes or Lchashen-Metsamor/Tsitelgorebi cultures), based on traditionality of the value system.

Conclusions

Ethnic groups of the Caucasian cultural world used words of Near Eastern (Semitic and Iranian) origin to describe the market, trade and city life on the whole, while the local terms of the same meaning denominated public spaces of archaic nature oriented on sacral meanings. Meanwhile, if the city/market vocabulary was alien, than the sacral vocabulary was typical and common among the peoples of the Caucasus, independent on linguistic belonging. This is in accordance with historical and archaeological data on immanence of sacral landscapes as social centres in ancient Caucasian societies. In this context the Central Asia Minor seems to be the next territory to the Caucasian region. The appearance of markets can be traced within the sacral places and was the result of growing social complexity which turned archaic social places into places of profit-oriented trade as a result of southern Near Eastern relations. Such transformations are typical for the most societies – taking place in various times and under different circumstances, although everywhere the market continues bearing archaic traits. However, not always this process is interpreted in evolutionary terms.³

¹ Bardavelidze 1949, 92-109; Perikhanyan 1959, 9-10, 83.

² Cf. Bobokhyan 2008, 158.

³ E.g. the transformation of Greek *agora* from public place of citizens into a market place of trade was considered as regressive by Plato and other Greek thinkers (cf. Golosovker 1987, 92, 96).

Bibliography

- Abramian L.A.** 1983, *Pervobytnyi prazdnik i mifologiya* (Archaic Festival and Mythology), Yerevan (in Russian).
- Asatryan G.S.** (ed.) 2011, *Vvedenie v istoriiu i kul'turu talyshskogo naroda* (Introduction to the History and Culture of the Talish People), Yerevan (in Russian).
- Bardavelidze V.V.** 1949, *Zemel'nye vladeniya gruzinskikh svyatilishch* (Landownings of Georgian Sanctuaries), *Sovetskaya Etnografiya* 1, 92-109 (in Russian).
- Biscione R., Hmayakyan S., Parmegiani N.** 2002, *The North-Eastern Frontier: Urartians and Non-Urartians in the Sevan Lake Basin, I. The Southern Shores*, *Documenta Asiana* VII, Roma.
- Bobokhyan A.** 2008, *Kommunikation und Austausch im Hochland zwischen Kaukasus und Taurus, ca. 2500-1500 v. Chr.*, Oxford.
- Bobokhyan A., Abrahamian L., Franklin K.** (eds) 2014, *Market beyond Economy*, Yerevan.
- Bobokhyan A., Badalyan R.** 2012, *Late Bronze Age Balance Weights from Gegharot (Armenia)*, in: **Mehnert A., Mehnert G., Reinhold S.** (Hrsg.), *Austausch und Kulturkontakt im Südkaukasus und seinen angrenzenden Regionen in der Spätbronze-/Früheisenzeit*, Langenweißbach, 195-221.
- Bobokhyan A., Gillibert A., Hnila P.** 2012, *Vishaps of the Geghama Mountains: New Discoveries and Propedeutics to a History of Research*, *Aramazd: Armenian Journal of Near Eastern Studies* VII/2, 7-27.
- Dalalyan T.** 2011, *The Terms Concerning the City Life Borrowed from Armenian and Georgian into Ossetic*, *Revue des études arméniennes* 33, 1-11.
- Dalalyan T.** 2014, *Etymologizing Market Vocabulary*, in: **Bobokhyan A., Abrahamian L., Franklin K.** (eds), *Market beyond Economy*, Yerevan, 119-124.
- Diakonoff I.M.** 1990, *Lyudi goroda Ura* (The People of the City Ur), Moscow (in Russian).
- Golosovker Y.E.** 1987, *Logika mifa* (Logic of the Myth), Moscow (in Russian).
- Gurevich A.** 1972, *Kategorii srednevekovoï kul'tury* (Categories of Medieval Culture), Moscow (in Russian).
- Hann Ch., Hart K.** (eds) 2009, *Market and Society: The Great Transformation Today*, Cambridge.
- Hovhannisyan H.** 2007, *Play as a Formal Background of Theatrical Presence*, in: **Huizinga J.** 2007, *Homo Ludens*, Yerevan, 326-353 (in Armenian).
- Ivanov V.** 1972, *Ob odnom tipe arkhaiskikh znakov iskusstva i piktografii, v kn.: Rannie formy iskusstva* (Towards One Type of Archaic Signs of Art and Pictography, in: *Early Forms of Art*), **Meletinskiy E.** (ed.), Moscow, 105-147 (in Russian).
- Marr N.Y.** 1934, *Ani*, Moscow-Leningrad (in Russian).
- Melikishvili G.A.** 1959, *K istorii drevnei Gruzii* (Towards the History of Ancient Georgia), Tbilisi (in Russian).

North D.C. 1977, Markets and Other Allocation Systems in History, Journal of European Economic History 6, 703-716.

Perikhanyan A.G. 1959, Khramovye ob'edineniya Maloy Azii i Armenii (Temple Unions of Asia Minor and Armenia), Moscow (in Russian).

Polanyi K. 1944, The Great Transformation: The Political and Economic Origins of Our Time, New York.

Silver M. 1983, Karl Polanyi and Markets in the Ancient Near East: The Challenge of the Evidence, The Journal of Economic History XLIII/4, 795-829.

Weinstein J.I. 2009, The Market in Plato's Republic, Classical Philology 104/4, 439-458.

Witham L. 2010, Marketplace of the Gods: How Economics Explains Religion, Oxford.

ა. ბობოხიანი (ერევანი)

საზოგადოებრივი სივრცეები და ბაზრები, როგორც სოციალური ცენტრები

ადრეულ კავკასიურ საზოგადოებებში

რეზიუმე

სტატიაში განხილულია თვალსაზრისი ადგილობრივი კავკასიური სოციალური ცენტრებისა და ბაზრების შესახებ, როგორცაა ქართული *უბანი* და სომხური *პრაპარაკი*. ეს სოციალური ცენტრები არქაული თვისებების მატარებელია და აღნიშნავს ამავე დროს "მოედანს, საზოგადოებრივი (თავშეყრის) ადგილს, საჯარო გადაწყვეტილებათა ადგილს, ქალაქურ გარეუბანს, ქუჩას, ბაზარს". გვიანდელი ტერმინები, როგორცაა *შუკა* და *ბაზარ* ახლო აღმოსავლეთიდან (სემიტური და ირანული) ნასესხები სიტყვები, იმავე მნიშვნელობით ფართოდ გამოიყენება დღემდე. ისინი ასახავენ ადრეული კავკასიური საზოგადოებების კულტურას, როცა სოციალური ცენტრი იყო წმინდა ადგილი და შემდგომ - მომგებიანი გაცვლის ადგილი - ბაზარი. ემპირიული მასალა ასევე აჩვენებს, რომ, როგორც ახლო აღმოსავლეთში, ისე კავკასიაში, ბაზარმა, როგორც სოციალურმა ცენტრმა, ფორმირების მსგავსი გზა განვლო არაეკონომიური ხასიათის საჯარო ადგილიდან დაწყებული, თუმცა კავკასიაში ამ გზამ შემოინახა ტრადიციული, არქაული თვისებები, რომლებიც უკვე არსებითად ორიენტირებულია ცენტრალური ადგილის საკრალურ ფუნქციებზე.

А. Бобохян (Ереван)

**Социальное пространство и рынки как социальные центры в ранних
кавказских обществах**

Резюме

В статье рассматриваются вопросы о кавказских социальных и торговых центрах, таких как грузинское *ubani* и армянское *hraparak*, носящих архаичные черты и обозначающих «площадь», «общественное место», «место принятия решений», «пригород», «улицу», «рынок». Помимо этого, по сей день употребляются поздние заимствованные из преднеазиатских языков (семитских и иранских) термины, такие как *şuqa* и *bazaar*. Эти термины отображают культуру ранних кавказских обществ, когда социальным центром являлось святое место, а позднее – место выгодного обмена и купли-продажи – рынок. Есть данные, свидетельствующие о том, рынок как в Передней Азии, так и на Кавказе был социальным центром, прошедшим путь формирования от общественного неэкономического центра, хотя, необходимо отметить, что на Кавказе были сохранены архаичные черты, подчеркивающие сакральные функции центрального места.

გ. გოცირიძე (თბილისი)

მულტიკულტურული ვარიაციები ქვემო ქართლის აზერბაიჯანულ მოსახლეობაში

ეჭვგარეშეა, რომ მფარველი წმინდანისა და მისი მიწიერი საბრძანისი აღმნიშვნელი სიტყვა „ძუარი“ ოსურ ენაში გაჩნდა ქართული კულტურის გავლენით ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის რელიგიური საზოგადოებების მფარველ წმინდანთა ზოგადი სახელი არის ჯვარი. თუშ-ფშავ-ხევსურეთში ჯვარს მსაზღვრელად ახლავს იმ თემ-სოფლის ან ადგილის სახელწოდება, რომელსაც წმინდანი მფარველობს და მისი მიწიერი საბრძანისი მდებარეობს: გუდანის ჯვარი, კარატის ჯვარი, ხახმატის ჯვარი, ანატორის ჯვარი და სხვ. ქართველ მთიელთა ტრადიციის მსგავსად, ოსურ საკულტო პრაქტიკაშიც ყოველ თემს თავისი მფარველი ძუარი ჰყავს და ზოგიერთი მათგანი ხსენდება ტოპონიმური სახელწოდებით: რექომი ძუარი, ძივლის ძუარი, რეგახი ძუარი და სხვ.

ოსი ხალხის რელიგიურ ყოფაში, ქრისტიანობის პაგანიზაციის უფრო ფართო მასშტაბის მიუხედავად, ძუარს ოსურ ენაში ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც ჯვარსა და ხატს ქართული ენის მთის დიალექტებში, ანუ ძუარს

ისეთივე ფუნქცია აქვს ოსების ტრადიციულ ყოფაში, როგორც ჯვარსა და ხატს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის საყმობებში. საკულტო ნაგებობა, რომელშიც ოსები ძუარს ადიდებენ, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ჯვარ-ხატთა სამლოცველოების ანალოგიურია. გარდა ამისა, ოსური ტრადიციით, ძუარის ადგილსამყოფელი შეიძლება იყოს ეკლესია, ეკლესიის ნანგრევი, წმინდა ხე და სხვ.

ქართული ენიდან არის შესული ოსურში ქრისტიანულ წმინდანთა და ანგელოზთა სახელები: *თარანჯელოზ* (მთავარანგელოზი), *მიქაელგაბრიტა* (მიქელგაბრიელი), *სანიბა* (სამება). ქართული ენის გავლენით დამკვიდრდა ოსების რელიგიურ ყოფაში ძუართა დღესასწაულების ზოგიერთი სახელწოდება: *ქასუთა* (ქაშუეთობა), *ათინავი* (ათენგენობა), *ჯეორგუიბა* (გიორგობა).

ოსური ტრადიციით ძუართა რამდენიმე ჯგუფი გამოიყოფა: 1. ძუარები, რომლებსაც მთელს ჩრდილოეთ ოსეთში იცნობენ და თაყვანს სცემენ (რექომის ძუარი, მიქაელგაბრიტა, ხეთავის ძუარი, ტბაუ ვაცილა); 2. ხეობის მფარველი ძუარები, რომლებსაც ხეობაში შემავალი ყველა სოფლის მცხოვრები ადიდებს (ძივლის ძუარი, სანიბა, ავდ ძუარი...); 3. სასოფლო ძუარები (ფირი ძუარი, რეგახი ძუარი და სხვ.); 4. გვარის მფარველი ძუარები (ჯერიათი ძუარი); 5. ოჯახის მფარველი ძუარები. ოსების რწმენით ყოველ ადამიანს ჰყავს თავისი მფარველი ანგელოზი. ანგელოზურ არსებას ოსურ ენაზე ჰქვია *ზედი* და *დაუავი*. ისინი უფრო ხშირად მრავლობით რიცხვში ხსენდებიან და ანგელოზთა დასს, ანგელოზთა ზეციურ მხედრობას განასახიერებენ. სიტყვა *ზედი* (зѣд, изѣд) მომდინარეობს ირანული ენიდან.

შენიშვნა: შუა საუკუნეებში ცენტრალური კავკასიის მთიანეთში ჯვარ-ხატების თაყვანისცემის საერთო მოდელი ჩამოყალიბდა. ვაინახებში ჯვარ-ხატების თაყვანისცემის კულტი სათანადოდ შესწავლილი არ არის. საკრალური შინაარსის შემცველი ვაინახური ტოპონიმების ნაწილი: *ჯარიახი* (ჯვრის წყალი), *აერდიე წივ* (გიორგის ხატი), *ხუცა ინ* (ხუცესის ხეობა), *თიშუოლ წივ* (ღვთისმშობლის ხატი) და სხვ. – გვიდასტურებს, რომ ჩენები და ინგუშები იქ ისლამის დამკვიდრებამდე ჯვარ-ხატებს (წივ, წიუ, ერდა) ადიდებდნენ. *წივ*, *წიუ*, *წი* ვაინახურ ენებზე აღნიშნავს, ხატს, წმინდანს.

ჩრდილოეთ ოსეთის მთიანეთში, სახელდობრ, ალაგირის, ქურთათის, თაგაურისა და დიგორის ხეობებში, მფარველ წმინდანთა კულტი ვრცელდებოდა როგორც ზეპირი გზით საქართველოს მთიანეთიდან და, მათ შორის, დვალებიდან, ისე ოფიციალური, კანონიკური გზით, საქართველოს სამეფო ხელისუფლებისა და მართლმადიდებლური ეკლესიის მხარდაჭერით.

საქართველოს ერთიანი ფეოდალური მონარქიის დაცემის შემდეგ, მონგოლთა ბატონობისა და თემურ ლენგის შემოსევების პერიოდში, ოსეთში არაერთი ეკლესია და მონასტერი განადგურდა. თუმცა, ქრისტიანული ეკლესიის ნანგრევებზე, მოგვიანებით, ხალხური რელიგიური კულტი აღორძინდა. ადგილობრივი მცხოვრებლები ძუარს, როგორც მფარველ წმინდანს, თაყვანს სცემდნენ და ადიდებდნენ. ოსების უმრავლესობა თავს მიიჩნევს მართლმადიდებელ ქრისტიანად, ნაწილი კი აღიარებს სუნიტურ ისლამს, რომელიც მათ ყაზარდოელებისაგან XVII-XVIII საუკუნეებში მიიღეს.

ძუარები – ქრისტიანული წმინდანები

თანამედროვე მკვლევრების ერთი ნაწილი ძუარებს სამეცნიერო ლიტერატურაში ღვთაებებად მოიხსენიებს. XVIII საუკუნის ქართველი მეცნიერი ვახუშტი ბაგრატიონი თავის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, რომელშიც ოსების ყოფასა და რელიგიურ რწმენას განიხილავს, ძუარებს არ უწოდებს ღვთაებებს. ვახუშტი ოსებზე არსად წერს, რომ ისინი წარმართები არიან. ის გარკვევით აღნიშნავს, რომ „წარჩინებულნი მათნი არიან მაჰმადიანნი და დაბალნი გლეხნი – ქრისტიანნი“ (ვახუშტი 1973: 638).

ძუარების დაყოფა ღვთაებებად, დარგობრივი ფუნქციების მიხედვით, ძირითადად საბჭოთა იდეოლოგიის გავლენით აიხსნება. საბჭოთა კავშირში, როგორც წარმართულ-ათეისტური ტიპის სახელმწიფოში, უფრო მისაღები გახდა, მეცნიერებს ეკვლიათ წარმართული ეპოქის ღვთაებები, ვიდრე ტექსტები გახალხურებულ ქრისტიანულ წმინდანებზე. იდეოლოგიური სტერეოტიპებიდან გამომდინარე, ძუარს ღვთაების სტატუსი ძირითადად საბჭოთა ეპოქის მკვლევრებმა მიანიჭეს. მეფის რუსეთის პერიოდის მეცნიერები ძუარებს არ უწოდებდნენ ღვთაებებს. ვ. მილერის (1848-1913) ცნობით, „ოსები ძუარებს არასოდეს მოიხსენიებდნენ ღმერთის სახელწოდებით. ოსი არასოდეს იტყოდა, რომ ვასთირჯი ან ფალვარა არის ღვთაება“ (მილერი 1882: 239).

შენიშვნა: ოსი ხალხის მითოსს წარმოგვიდგენს ლ. ჩიბიროვი თავის უაღრესად საინტერესო ნაშრომში „ოსი ხალხის ტრადიციული სულიერი კულტურა“ (ჩიბიროვი 2008). ავტორი ძუარებთან დაკავშირებულ ხალხურ ტექსტებს, ოსი ხალხის მითოპოეტურ შემოქმედებასა და ტრადიციულ შეხედულებებს ანიმიზმს, ტოტემიზმსა და მაგიურ რწმენა-წარმოდგენებს უკავშირებს. ძუარების თაყვანისცემას ლ. ჩიბიროვი ოსი ხალხის ცრურწმენის გამოვლინებად მიიჩნევს. თანამედროვე დასავლური მეცნიერება კი (მ. ელიადე, კ. ლევი-სტროსი, რ. გენონი და სხვ.) მითს განიხილავს ტრადიციული საზოგადოების თვალთახედვით,

რომ მითი არის ნამდვილი ამბავი, უფრო მეტიც, ის არის წმინდა გადმოცემა, რომელიც სამყაროზე ან მის ნაწილებზე არსებით ჭეშმარიტებას შეიცავს.

ოსები აღიარებენ ერთ ღმერთს, რომელსაც ოსურ ენაზე ჰქვია „ხუცაუ“. საკულტო ტექსტებში მისი ეპითეტი არის „დიდი“ – „სთირ“ ხუცაუ. მითოლოგიური გადმოცემების მიხედვით, ის არის ერთადერთი და არ ჰყავს თანასწორი. დანარჩენ ზეციურ ბინადრებს კულტმსახურნი მიმართავენ არა როგორც ღვთაებებს, არამედ როგორც მფარველ წმინდანებს, ძუარებსა და ანგელოზებს. არც ერთ მათგანს არა აქვს ხალხურ ტექსტებში ღვთაების სტატუსი.

ძუარი შუამავალია ღმერთ ხუცაუსა და ადამიანებს შორის. ღმერთი ერთია, ძუარები – ბევრი. ისინი ხუცაუმ შექმნა და გამოგზავნა ადამიანთა დასახმარებლად. ოსურ ტრადიციაში ძუართა გავრცელებული სახელწოდება ხუცაუ ძუარ (хуыцау дзуар) – ღვთის ძუარი – მიუთითებს, რომ ძუარები ღმერთის, ხუცაუს შვილები არიან. „ღვთისა (хуыцау) და ღვთისგან შექმნილი ძუარების მაღლი არ მოკლებოდეთ თქვენს ოჯახებს!“ – მიმართავს ძუარლავი მლოცველს და პირველად ხუცაუს ასხენებს (აგნაევი 1999: 172). ანალოგიურია ჯვარ-ხატი შესახებ ქართველ მთიელთა შეხედულებაც. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ღმერთი ერთია, მას ჰქვია მორიგე ღმერთი. ყველა თემს ჰყავს თავისი მფარველი ჯვარი, იგივე მფარველი წმინდანი. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ჯვარის სინონიმი არის **ხატი**, ღვთისშვილი (ღმერთის შვილი), ღვთისნასახი. ისინი ღმერთმა გამოგზავნა ადამიანთა მფარველად და დასახმარებლად.

შენიშვნა: ოსების უზენაესი ღმერთის სახელის „ხუცაუს“ (ღეზგიურ ენაზე – „ხუცარ“) ეტიმოლოგია ირანული და სხვა ენობრივი მონაცემებით ვერ იხსნება. გამოითქვა მისი ქართულ „ხუც“ (ხუცესი <- უ-ხუც-ეს-ი) ძირთან ნათესაობის თვალსაზრისი (აბაევი 1960: 16-17). ჩრდილოეთ კავკასიის მთიელებმა ერთი ღმერთის იდეა, როგორც ჩანს, ქრისტიანული რწმენის მიღების შემდეგ შეიმეცნეს.

ძუარებისადმი ოსების თაყვანისცემა არ არის წარმართობა, ორრწმენიანობა, მრავალღმერთიანობა, მართლმადიდებლურ-წარმართული სინკრეტიზმი და არც ქრისტიანობამდელი რელიგია. ძუარების კულტი სწორედ ქრისტიანობის წიაღში, ოს ხალხში ქრისტიანული რელიგიის გახალხურების შედეგად (რადგან ის ზეპირი სახით ინახებოდა ხალხის მესხიერებაში) ჩამოყალიბდა. ძუარების კულტი თავისი შინაარსით არის გახალხურებული რელიგია და ის ქრისტიანულ ყაიდაზეა აგებული.

ძუარლაგი

ქართველები და ოსები საქართველოს მთიანეთისა და დღევანდელი ჩრდილოეთ ოსეთის მრავალ სალოცავში ბოლო დრომდე ერთად აღნიშნავდნენ რელიგიურ დღესასწაულებს. კულტმსახურება ძუარებში იმავე სახით სრულდება, როგორც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ჯვარ-ხატებში.

ძუარში რიტუალს უძღვება *ძუარლაგი* (□□□□□□ □□□□) – (ძუარ – ჯვარი, ლაგ – კაცი). სიტყვა *ძუარლაგის* აღნაგობას აშკარად ეტყობა ქართული ტრადიციის გავლენის კვალი (ძუარლაგი – ძუარის კაცი ← ხატის კაცი, ჯვარის მსახური). საქართველოში, კერძოდ, ჯავისა და ცხინვალის რაიონში მცხოვრებ ოსებში კულტმსახურის აღმნიშვნელი სიტყვა დეკანოზი, ქართველ მთიელთა (მთიულეთ-გუდამაყარი) საკულტო პრაქტიკიდან უნდა შესულიყო, სადაც ჯვარ-ხატთა მსახური საეკლესიო იერარქიაში უფროსი მღვდლის დეკანოზის სახელს ატარებს.

ძუარლაგს ირჩევდნენ, თუმცა დასტურდება პრეცედენტი, როცა მას მემკვიდრეობით გადაეცემოდა ძუარის სამსახური. ოსური მითოლოგიური ტექსტები მოგვითხრობენ ძუარლაგობის ზეციური წარმომავლობის შესახებ. ძუარლაგი, ისევე როგორც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ხუცესი, ხევისბერი და დეკანოზი, იყო შუამავალი ადამიანებსა და მფარველ წმინდანებს (ძუარებს) შორის. ხუცესის მსგავსად ძუარლაგიც საგანგებოდ მარხულობდა და იწმინდებოდა დღესასწაულის დაწყებამდე.

ოსები და ქართველი მთიელები მფარველ წმინდანთა განდიდებისა და თაყვანისცემის მიზნით, კულტმსახურების დროს იყენებენ ერთსა და იმავე საკრალურ საგნებსა და სიმბოლოებს. ძუარლაგი ზარებშებმული საკულტო დროშით ადიდებს ღმერთსა და ძუარებს. ისევე როგორც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, ოსებშიც საკულტო დროშა განასახიერებს აბსოლუტურ სიწმინდეს, მფარველ წმინდანს. თვით დროშის ოსური სახელწოდება, „თრსა“ (тырса), ქართული ენიდან არის ნასესხები.

შენიშვნა: ოსურ ენაში ქართულიდან ნასესხებ დ თანხმოვნით დაწყებულ სიტყვებში ხდება მჟღერობის დაკარგვა და დ ბგერას თ თანხმოვანი ენაცვლება: დროშა → *თრსა*; დვალი → *თუალი*).

ძუარლაგი ლოცავს მახვეწარს, ამწყალობნებს ძუარისთვის შესაწირ კურეტსა და ცხვარს, „სერავს“ სარიტუალო კვერებს, *ხირითებს*. უშუალოდ ძუარლაგის ხელმძღვანელობით ტარდება მსხვერპლშეწირვა. ისევე როგორც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, ოსებშიც რელიგიური რიტუალის აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენს ლუდი (бѣгъны).

რელიგიურ რიტუალს ძუარში იწყებდა *ძუარლაგი* (ძუარის კაცი), რომელიც ადავლენდა ლოცვა-დამწყალობნებას. ძუარლაგი საკულტო ტექსტებში პირველად აღიდებდა დიდ ღმერთს *სთირ ხუცაუს* (Стыр Хуыцау), შემდეგ – *ვასთირჯის* (დივ. ვასკერგი), *ვაცილას*, *მად მაირამს* და დანარჩენ ძუარებს.

ძუარს, როგორც მფარველ წმინდანსა და შუამავალს ღმერთ ხუცაუს წინაშე, ძუარლაგი შესთხოვს მოსავლისა და საქონლის ბარაქას, ვაჟის დაბადებას, შვილების გამრავლებას, ავადმყოფის გამოჯანმრთელებას, შორს წასულის მშვიდობით დაბრუნებას. ოსების რწმენით, ყველაზე დიდი ძალა მიეწერებათ იმ ძუარებს, რომლებიც ქრისტიანული ეკლესიების ნანგრევებთან დაარსდნენ.

მფარველ ძუართა სახელწოდებებისა და საკრალური ლექსიკის გარდა, სავარაუდოდ ოსურ მითორელიგიურ ტექსტებში სხვა ელემენტებიც ქართული ყოფიდან შევიდა და აისახა. ამჯერად მხოლოდ რამდენიმე მათგანზე შევაჩერებთ ყურადღებას. ძუარების შესახებ ოსური მითოლოგიური ტექსტების შინაარსი, სტრუქტურა, სიმბოლიკა, იდეოლოგია და საზრისი ქართველ მთიელთა ანდრეზების ანალოგიურია.

ძუართა დაარსების მითოსი

ოსი ხალხის კოლექტიურმა მეხსიერებამ დღემდე შეინახა სახეცვლილი ქრისტიანული სიუჟეტები, საკრალური სიმბოლოები და საღვთისმსახურო ტერმინოლოგია.

ოსური მითორელიგიური ტექსტები მოგვითხრობენ ძუარების დაარსების საკრალურ ისტორიებს. ძუარები ზეციური სამყაროდან სხვადასხვა სახით ევლინებიან თავიანთ რჩეულებს: ზოგჯერ ადამიანის გარეგნობით, ხან ცეცხლის სვეტის, საკრალური ნივთის, ხანაც მტრედის ან ირმის სახით და თვითონ ირჩევენ მიწიერ საბრძანისს. ძუარი არსდება ადამიანის ნებისაგან დამოუკიდებლად. ზოგიერთი ტექსტი გადმოგვცემს სიწმინდის დაარსებაში ძუარლაგის მონაწილეობას. ოსური მითოსი ჰიეროფანიის ადგილს ძუარის მიწიერ საბრძანისად მიიჩნევს.

საყოველთაოდ ცნობილ ძუარებზე საკრალურ ისტორიებს ჩრდილოეთ ოსეთის ყველა ხეობაში იცნობენ. ძუარების მითოსი იმავე ტიპის სიუჟეტებითაა გადმოცემული, როგორც ანდრეზები ქართველ მთიელთა ჯვარ-ხატების შესახებ.

ძუართა დაარსების ანდრეზებში რამდენიმე მოდელი გამოიყოფა, რომლებიც ასევე დამახასიათებელია ჯვარ-ხატთა საკრალური ისტორიებისთვის. მათგან ყველაზე ნიშანდობლივია ციდან საგნების ცვენა, ხარის მიერ ძუარის მიწიერი საბრძანისის აღმოჩენა, ნანგრევში ჩამარხული საგანძურის ადგილზე

სალოცავის აღმართვა და მტრედის სახით მოფრენილი ძუარისგან სიწმინდის დაარსება.

ჯაჭვ-საკიდელი. *ოსურ ხალხურ ტექსტებში მფარველი წმინდანის დაარსების ერთ-ერთი მოდელს წარმოადგენს ციდან საგნების ცვენა, რომელიც ძუარების ზეციურ წარმომავლობაზე მიანიშნებს. საკრალური ნივთების ციდან ჩამოცვენის მოტივი გვხვდება ჰეროდოტეს სკვითურ ისტორიაში და ქართველ მთიელთა ანდრეზებში. თუმცა ჰეროდოტეს ტექსტში საგნების ციდან ცვენის მითოლოგემა გადმოგვცემს არა სალოცავის დაარსებას, არამედ სკვითებში მეფობის წარმოშობას. საკრალური ისტორია ზოგჯერ მფარველი წმინდანის დაარსებასა და მეფობის წარმომავლობას ერთი და იმავე მოდელით წარმოგვიდგენს. მათ, ორივეს, მეფობასაც და მფარველი წმინდანის კულტსაც, იდენტური ნიშან-თვისებები აქვთ, ორივე მიხნეულია ზეციური წარმოშობის მოვლენად.*

ხევსურული ანდრეზის თანახმად, შიბისა და თასის ციდან ჩამოვარდნის ადგილას დაარსდა კარატის ჯვარი (ანდრეზები 2009: 58-59).

ჩრდილოეთ ოსეთში ქურთათის ხეობის სათემო სიწმინდის – ძივლისის ძუარის დაარსებაც ჯაჭვ-საკიდლის ციდან ჩამოვლევას უკავშირება.

ტექსტი: ქურთათის ხეობაში ერთხელ შუა ზაფხულში უჩვეულოდ დიდი თოვლი მოხუდა. ირგვლივ ყველაფერი თოვლს დაუფარავს. ძივლისელებს დაუნახავთ, რომ სოფლის მახლობლად, ერთ მოშიშვლებულ ადგილას, საერთოდ არ იყო თოვლი. ისინი იმდენად გაოცებულან, რომ გადაუწყვეტიათ ახლოდან ენახათ ეს უცნაური მოვლენა. ძივლისელებს გაუკვალათ თოვლი, მისულან იმ ადგილას, სადაც მიწა თოვლს არ იკარებდა და რას ხედავენ! მიწაზე ბალახი თურმე მწვანედ ბიბინებდა, ორ ჯაჭვ-საკიდელს კი, მწვანე ბალახზე, ჯერ კიდევ ორთქლი ასდიოდა. ხალხი მიხვდა, რომ ეს ჯაჭვები ზეციდან იყო ჩამოცვნილი და იმ ადგილას სალოცავი აუშენებიათ. ასე დაარსებულა ძივლისის ძუარი. იმ დღიდან ქურთათის ხეობის მცხოვრებლები ძივლისის ძუარს ეთაყვანებიან. ის ჯაჭვები კი, როგორც ღვთიური სასწაულის დადასტურება, კვლავაც ძივლისის ძუარში ინახება. მისი დღესასწაულის დღეს (15 ივლისს) ჯერ ძუარლაგი ადიდებს ღმერთსა და ძუარებს, ხოლო შემდეგ მლოცველები, ერთი ჯაჭვით – მამაკაცები, მეორე ჯაჭვით – ქალები, მადლს გამოხთხოვენ მფარველ წმინდანს (ძივლისის ძუარი).

ჯაჭვ-საკიდელსა და შიბს ქართველი მთიელებისა და ოსების საკულტო პრაქტიკაში აქვს საკრალური დანიშნულება. ის ცისა და მიწის კავშირს გამოხატავს. ხალხური ლექსის მიხედვით, ღაშარის ჯვრის მუხა, სანამ ზურაბ ერისთავი მოჭრიდა, ცას ოქროს შიბით უკავშირდებოდა: „წმინდა გიორგი მეც

ვიყავ, ცას ვები ოქროს შიბითა“: – აცხადებს ლაშარის ჯვარი ერთ-ერთ საკულტო სიმღერაში.

ოსურ თქმულებაში ძუარი ზეციური ჯაჭვების გამოჩენით ნიშანს აძლევს საზოგადოებას და მყარდება კომუნიკაცია ზებუნებრივ ძალებსა და ადამიანებს შორის. ჯაჭვ-საკიდლის დაცემის ადგილას სალოცავის დაარსების აუცილებლობა ცის ბინადართა საკრალური ქმედებებითა და ავტორიტეტით არის გამყარებული. იმ საზოგადოებამ, რომელმაც ძივლისში ციდან ჩამოვდებული ჯაჭვები იხილა, იცის, რომ პირველი ჯაჭვ-საკიდელი ვასთირჯის თხოვნით ზეციურმა მჭედელმა ქურდალაგონმა გამოჰქედა და კერიის მფარველმა საფამ ზეციდან მიწაზე ჩამოაგდო, როგორც კერიის ჯაჭვის ნიმუში. ახლა კი მათ თვალწინ ხდება საკრალურის განახლება.

თქმულების მიხედვით, ძივლისელებმა გაცხელებული ჯაჭვ-საკიდლები იხილეს, რაც იმის ნიშანია, რომ ეს ნივთები ცეცხლმოდებული უნდა წამოსულიყო ციდან, როგორც ცეცხლის სვეტი, სვეტი ნათლისა. მაგრამ მას შემდეგ, რაც ძუარმა თავისი ნებით თავისი მიწიერი საბრძანისი აირჩია, ცეცხლი ჩაქრა და ჰიეროფანიის შემსწრეებს თოვლის სიახლოვეს მხოლოდ გაცხელებული საკიდლები დახვდათ. ამით ძუარმა ხალხს მიკარების საშუალება მისცა, რათა ამიერიდან იქ, იმ ადგილას, ძივლისში ვასთირჯის კულტს დასდებოდა საფუძველი. ხევსურული ანდრეხის თანახმად, „ცითავ ცეცხლი ჩამოხნდავ შიბის აღითაო, ხატის აღე კი ყოფილიყვაო“ (ოჩიაური 1967: 180),

ოსურ ტექსტში ძუარის მიერ თავის მიწიერ საბრძანისად ზეციური ჯაჭვებით „შემოხაზული“ ადგილი, ძივლისის დათოვლილ ლანდშაფტზე გადარჩენილი მწვანე ბალახი, სიწმინდის, მარადიული გაზაფხულისა და სამოთხის ნიშან-სიმბოლოს წარმოადგენს.

ქართული ანდრეხების მიხედვით, ჰიეროფანიის ყველაზე გავრცელებული ნიშანი არის კერიაზე, ჯაჭვ-საკიდლის ქვეშ ამოსული იფანი და მასზე შემოხვეული გველი. მეორე ვარიანტით, გველი ჩამოჰყვება ჯაჭვ-საკიდელს, ჩაძვრება კერიაზე შემოდგმულ ქვაბში და წამლავს საჭმელს, რომლითაც თითქმის მთელი ოჯახი იღუპება. გადარჩებიან მხოლოდ ოჯახის რძალი და პატარა ბავშვი. ჯვარი იკავებს ამოწვევტილი ოჯახის ფუძეს და იქ, კერიაზე, შუაგულში, როგორც საუკეთესო ადგილზე, მისი სახელობის სალოცავი აღიმართება.

ზეციური წარმომავლობის ჯაჭვ-საკიდლის თემაზე ოსმა ხალხმა არაერთი გადმოცემა შემოინახა. მათ შორის საყურადღებოა „ჯერიათების რახისი“ (ჯაჭვ-საკიდელი), რომელიც ერთი საგვარეულოს მფარველი ძუარის დაარსებას გადმოგვცემს.

ტექსტი: სოფელ კადგარონში ჯერიათებს ერთ წვიმიან საღამოს თავიანთი სახლიდან დაუნახავთ, რომ მათ სათიბში დადგმულ თივის ზვინზე რაღაც ბრიალებდა. ჯერ უფიქრიათ, ალბათ მეხი დაეცა ზვინს, თივა სადაცაა ჩაიწვებაო და ზვინთან მისულან. ყველანი გააოცებულან, როცა ზვინის თავზე წითელი, კაშკაშა, გავარვარებული რახისი – ჯაჭვ-საკიდელი უნახავთ, მაგრამ ბალახს თურმე ცეცხლი არ ეკიდებოდა. ჯერიათები მიმხვდარან, რომ ის იყო ზეციური წარმომავლობის ჯაჭვი, ქურდალაგონის გამოჭედილი, რომლებსაც მათი წინაპრები სალოცავებში ინახავდნენ. ჯერიათებმა რახისის ჩამოგდების ადგილას სალოცავი ააგეს და იმ დღიდან ისინი, როგორც ძუარისგან ხელდებულები, ეთაყვანებოდნენ მფარველ წმინდანს (ტუაევა).

კერიის ჯაჭვი ოსურ ტრადიციაში უდიდეს სიწმინდეს წარმოადგენდა. ოსები კერიის ჯაჭვთან დებდნენ ფიცს, კერიის ჯაჭვთან ლოცულობდნენ, კერიის ჯაჭვთან მიჰყავდათ ოჯახის ახალი წევრი დასალოცად. ციდან ჩამოგდებული ჯაჭვ-საკიდელი, როგორც უმაღალესი საკრალური სტატუსის მქონე საგანი, სალოცავის დაარსების მიზეზი ხდება.

ღვთაებრივი წარმოშობის ჯაჭვებს ოსებიცა და ქართველი მთიელებიც ზეციურ სამყაროსთან კომუნიკაციის საშუალებად იყენებდნენ. რელიგიური რიტუალის დროს მლოცველები მას ხელში იჭერდნენ და მფარველ წმინდანს დახმარებას შესთხოვენ. ასეთივე საიდუმლო წარმოშობის ჯაჭვი ღომისის ჯვარში დღემდე ინახება. ჯალაბაურების ჯაჭვს, რომელსაც საკრალურ ნივთად მიიჩნევენ და ღაშარის ჯვარში ინახებოდა, მორჩილების ნიშნად ფშავლები კისერზე იდებდნენ და მფარველ წმინდანს ავადმყოფობისგან განკურნებას შესთხოვდნენ (ბარდაველიძე 1974: 24).

ხარი. ზოგიერთი ძუარის მიწიერი საბრძანისის აღმოჩენა, ოსური გადმოცემების მიხედვით, ხარს უკავშირდება. ოსების ტრადიციულ ყოფაში, ისევე როგორც სხვა მიწათმოქმედი ხალხების სამეურნეო ცხოვრებაში, ხარს მნიშვნელოვანი როლი ენიჭებოდა. ცნობილია ხარის მონაწილეობა პირველი ხნულის გავლების საკრალურ რიტუალში. რელიგიურ დღესასწაულზე მლოცველები საუკეთესო ხარებს ძუარებს სწირავდნენ. განსაკუთრებით მაღალი საკრალური ავტორიტეტი ჰქონდათ თუთირის თვეში დაბადებულ ხარებს. ნართების ეპოსის მიხედვით, თუთირის დღესასწაულზე დაბადებულმა ორმა მოზვერმა აიტანა სოფიოს აკლდამამდე ბათრადის ცხედარი.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში უძილაურთ თემის მფარველ წმინდანს, კოპალას, ჰყავდა კურეტები, რომლებიც გათავისუფლებული იყვნენ ყოველგვარი სამიწათმოქმედო საქმიანობისგან.

ოსური გადმოცემების მიხედვით, საკუთარი ხარები ჰყოლია, აგრეთვე, ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ წმინდანს ვასთირჯის, რომლის ნება-სურვილით, ადამიანის ხელის გარეშე, აგებული პირველი სალოცავი – რექომი ძუარი. რექომი ძუარის აგება ვასთირჯის ჯერ კიდევ მაშინ გადაუწყვეტია, როცა მთებზე თოვლი არ მოდიოდა და ყინულის ნაცვლად მწვერვალებზე ბალახი მწვანედ ბიბინებდა. თქმულება მოგვითხრობს რექომი ძუარის დაარსებაში ვასთირჯის ხარების მონაწილეობის შესახებ, რომლებიც მფარველი წმინდანის დავალებით მოქმედებდნენ.

ტექსტი: ერთხელ ვასთირჯიმ გადაწყვიტა ოსებისთვის ისეთი ხისგან აეშენებინა სამლოცველო, რომელიც სამუდამოდ იქნებოდა და არასოდეს დაღუპებოდა. ასეთი ხეები კი მხოლოდ მთის მეორე მხარეს იზრდებოდა. ვასთირჯიმ უბრძანა თავის ხარებს, რომ გადმოეზიდათ იქიდან მორები იმ მთაზე, სადაც ახლა მყინვარია, რექომის პირდაპირ. ურემი ტყეში ხეებით თავისით დატვირთულა და ხარები მითითებული გზით, გამცილებლის გარეშე, წამოსულან. ერთ ადგილას, სადაც ხარები გაჩერებულან, ხეები ურმიდან გადმოცლილა და ხარებიც ისევ ვასთირჯისთან დაბრუნებულან. მორებისგან თავისით აგებული სალოცავი, ადამიანის დახმარების, ადამიანის ხელის გარეშე (მილერი 1882: 256).

ურემში შებმული ვასთირჯის ხარების მიერ სალოცავის ასაშენებლად წმინდა ხეების გადახიდვა და ძუარის მიწიერი საბრძანისის აღმოჩენა გვაგონებს ბიბლიურ მოთხრობას უფლის კიდობანზე, რომელიც ურემში შებმული უღელდაუდგმელი ძროხებით გადაიტანეს ფილისტიმელთა ქვეყნიდან ისრაელთა სასახლევრო დაბაში. ბიბლიის მიხედვით, ისინი „გზას მიჰყვებოდნენ და ზმუოდნენ, არც მარჯვნივ გადაუხვევიათ, არც მარცხნივ. ყანაში, სადაც ძროხები გაჩერდნენ, „ურმის ხეები დაჩხეს, ფურები კი აღსავლენ მსხვერპლად აღუვლინეს უფალს“ (1 მეფ. 6: 1-14).

ურემში შებმული ხარებით სიწმინდის გადატანა ერთი ადგილიდან მეორეზე და საკრალური ცენტრის აღმოჩენა გავრცელებული მითოლოგემაა ქართულ ზეპირსიტყვიერებაშიც. ამ მითოლოგემაზე აგებული ლომისის, წმინდა მაქსიმესა და ძარწემის წმინდა გიორგის დაარსების ტექსტები. ძველი ბერძნული მითი მოგვითხრობს, რომ ძვირფასი დის, მშვენიერი ევროპას საძებნელად წასული კადმოსი, წინასწარმეტყველების თანახმად, გაჰყოლია ძროხას და სწორედ იმ ადგილას, სადაც პირუტყვი დაწოლილა, ქალაქი თებე დაუარსებია. ქართულ ანდრეზებშიც ხარები ზებუნებრივი ძალების ბრძანებით მოქმედებენ და ადამიანებს მფარველი წმინდანის ნებას უცხადებენ.

ოსები ხარებშეშულ ურემზე დებდნენ ასევე მეხისაგან გარდაცვლილის ცხედარს, ხარებს უშვებდნენ და სადაც ისინი გაჩერდებოდნენ, მიცვალებულს იქ მარხავდნენ. იმ ადგილზე კი ხეს რგავდნენ და სალოცავ ნიშს აარსებდნენ. ყოველწლიურად ვაცილას პატავსაცემად ისინი ხესთან მსხვერპლს სწირავდნენ.

მეხდაცემულის დაკრძალვას უკავშირდება ოსური რიტუალი ცოფაი, რომელზეც ქვემოთ საგანგებოდ ვისაუბრებთ.

ირყაუ ხუცაუ ძუარის დაარსებაც, ოსური მითოსის თანახმად, ხარს უკავშირდება. ვასთირჯის ბრძანებით სოფლის მლოცველი ხელწმინდა მოხუცი მიჰყვება ნახირიდან გამორჩეულ ქორა ხარს, რომელიც უჩვენებს, თუ სად უნდა აღიმართოს სამლოცველო (კუვანდონი).

ტექსტი: ერთხელ თურმე ირყაუში შავი ჭირის ეპიდემია მძვინვარებდა. ხალხი წყდებოდა, ოჯახები იღუპებოდა. სოფლის ერთ-ერთ უხუცესს, პიპო გურციევს, რომელიც ხალხის გადარჩენისთვის ლოცულობდა, სიზმარში ვასთირჯი გამოსცხადებია და უთქვამს, რომ მეორე დღით მისულიყო სამწყემსურში, ნახირიდან გამოსულ თეთრ ხარს გაჰყოლოდა და, სადაც ის დაწვებოდა, იმ ადგილზე აღმართა კუვანდონი – ძუარის სამლოცველო, მისთვის ხარი შეეწირა და ლოცვა აღველინა, რის შემდეგაც შავი ჭირი შეწყდებოდა.

დღით რომ გაუღვიძია, პიპო გურციევს ყველაფერი ისე გაუკეთებია, როგორც ვასთირჯიმ უბრძანა. ხალხი მართლაც გადარჩენილა, ეპიდემია შეჩერებულია, მაგრამ თვითონ პიპო იმავე საღამოს გარდაცვლილა (ირყაუ ხუცაუ ძუარ).

მითოლოგიური გადმოცემების მიხედვით, ძუარები სიზმარში ევლინებიან თავიანთ რჩეულებს და უცხადებენ საიდუმლოს. ირყაუ ხუცაუ ძუარის დაარსების ტექსტი გადმოგვცემს არქეტიპულ ქმედებას, რომელმაც სოფელში ახალ ყოფას დაუდო სათავე.

განძი. ოსური მითოსის თანახმად, განძს ძუარი იცავს და პატრონობს, ან ძუარი თავის ყმებს განძის სახით ეცხადება. განძის მოტივით განსაკუთრებით მდიდარია ქართული მითოსი, რომელიც მოგვითხრობს საიდუმლო საგანძურებზე. განძის ფუნქციები და საკრალური ნიშნები, განძისა და ჯვარ-ხატების, განძისა და ადამიანების ურთიერთობა საფუძვლიანად შეისწავლა ზ. კიკნაძემ (კიკნაძე 1996: 151-168).

ანდრეზების მიხედვით, ყველაზე პოპულარული ადგილი, სადაც განძი შეიძლება აღმოჩნდეს, არის ნანგრევი. საიდუმლო საგანძურებში აღმოჩენილ ნივთებს შორის მითოსი განსაკუთრებულ მნიშვნელობას თასს ანიჭებს. ხევსურული ანდრეზის თანახმად, ციდან ჩამოცვენილი შიბისა და თასის მიწაში დამარხვის ადგილას აღმართეს კარატის ჯვარი (*ანდრეზები 2009: 58-59*). ოსურ ტრადიციაში თასი განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობს, რომლის არქეტიპად შეიძლება ნართების ვაცამონგა მოვიჩინოთ.

ერთ-ერთი ოსური გადმოცემის მიხედვით, მივიწყებული ძუარი ხალხს განძის სახით ეცხადება. სოფელ რეგახში ძუარის კულტის განახლებას გადმოცემა ეკლესიის ნანგრევში ჩამარხულ განძს უკავშირებს. რჯულისა და წმინდანის მფარველობის გარეშე დარჩენილმა სოფლის მოსახლეობამ რელიგიური კულტის აღორძინებით განსაცდელს თავი დააღწია. კულტმსახურების აღდგენით სოფლის წინაშე რწმენის, გადარჩენისა და ბედნიერი მომავლის პერსპექტივა იშლება.

ტექსტი: ერთხელ სოფელ რეგახის მცხოვრებლებს შავი ჭირი დარევათ. ეპიდემია ხალხს თურმე მუსრს ავლებდა, როცა ბრძენი მოხუცის რჩევით რეგახელებს ერთი ადგილი გაუთხრიათ. მიწის ქვეშ ეკლესიის კედლები გამოჩენილა, რომლის შუაგულშიც უნახვთ საიდუმლო სამალავი. სამალავში ისეთი ნივთები ყოფილა ჩამარხული, რომლებსაც უწინ რელიგიურ დღესასწაულებზე ღვთისმსახურების დროს იყენებდნენ. იქ უნახავთ, აგრეთვე, სალუდე თასი. როგორც კი ძველ ნასაყდრალთან პირველი ლოცვა აღუსრულებიათ, ეპიდემია სოფელში მაშინვე შემწყდარა. ხალხს იქ დაუწესებია ხუცაუ ძუარის თაყვანისცემა, რომელსაც სოფლის სახელის მიხედვით რეგახი ძუარიც ჰქვია. ამჟამად რეგახი ძუარში რელიგიურ დღესასწაულზე იმ სოფლიდან წასული ყველა გვარი მიდის და მფარველ წმინდანს ეთაყვანება. სამალავში აღმოჩენილი სალუდე თასი სასწაულმოქმედი ყოფილა: ძუარის პატივსაცემად გამართულ ტრაპეზზე რამდენი კაციც უნდა ყოფილიყო, იმ სალუდე თასში ჩასხმული ღუდი მაინც ყველას ჰყოფნიდა. მოგვიანებით თასი ვიღაცას მოუპარავს. ოღონდ ამის შემდეგ თასს უწინდელი თვისება დაუკარგავს (რეგახის ძუარი).

საყოველთაო განსაცდელი, რომელიც რეგახს დაატყდა, ძუარის გამოჩენის მოახლოებაზე მიანიშნებს. ისევე როგორც მიწაში ჩაგდებული თესლიდან უნდა ამოიზარდოს მცენარე და მოისხას ნაყოფი, მიწაში ჩამარხული განძიც უეჭველად გამოავლენს თავის საკრალურ ბუნებას. საიდუმლო საგანძურში თასის გამოჩენა საკულტო ცხოვრების დასაბამზე მიანიშნებს. ხეცსურული ანდრეზის თანახმად, შუბნურის ჯვარი დაარსდა იმ კერიასთან, სადაც საიდუმლოდ თუშეთიდან წამოდებული საკულტო თასი ჩაფლეს. შუბნურის ჯვარი, კერიასთან ჩამარხული თასიდან ამოზრდილი წმინდა ხის - იფანის ან მასზე შემოხვეული გველის სახით ეცხადება ოჯახის წევრებს და განსაცდელს მოუვლენს. ჯვარი განდევნის ყველას, უკლებლივ, და იმ დღიდან თავის მიწიერ საბრძანისად დაიჭერს გათავისუფლებულ ადგილს (ანდრეზები 2009: 61-62).

ხეთაგის ტყის სასწაული. ჰიეროფანია, როგორც ზებუნებრივი სასწაული, სხვადასხვა სახით ვლინდება და მისი მომსწრე, როგორც წესი, ძუარის ერთგული ყმა ხდება. თქმულება, რომელიც ხეთაგი ვასთირჯის დაარსებას გადმოგვცემს, თითქოს სრულიად რეალურ ვითარებას ასახავს. გმირის სამოქმედო ასპარეზიც არ სცილდება კონკრეტულ გეოგრაფიულ სივრცეს. თქმულების მთავარი პერსონაჟი არის ყაბარდოში მცხოვრები თავადის უმცროსი ვაჟი ხეთაგი. უფროსმა ძმებმა

გაქრისტიანებული ხეთაგის მოკვლა გადაწყვიტეს. ვასთირჯი, მგზავრთა და მეომართა მფარველი წმინდანი, ღვთაებრივი ძალით იცავს განსაცდელში ჩავარდნილ, დევნილ ხეთაგს. ის ადგილი, სადაც ზებუნებრივი სასწაულით გადარჩა ჭაბუკი, იქნეს საკრალურ სტატუსს და ხდება ხეთაგი ძუარის საბრძანისი.

ტექსტი: ყაბარდოში უცხოვრია მოხუც თავადს – ინალს. მას სამი ვაჟი ჰყოლია: ბიასლანი, ტასოლთანი და ხეთაგი. როცა უფროს ძმებს შეუტყვიათ ხეთაგის გაქრისტიანება, მისი მოკვლა განუზრახავთ. ხეთაგი მშობლიური სოფლიდან გაქცეულა. ძმები დადევნებიათ. ოსეთში, სოფელ სუადაგის მახლობლად, ისინი დასწევიათ. ხეთაგს გარდაუვალი სიკვდილი ემუქრებოდა უფროსი ძმებისგან და საშველად მას დახმარება ვასთირჯისთვის უთხოვია. განსაცდელის უამს ხეთაგს ციდან ხმა ჩამოესმა: „ხეთაგ, ტყისკენ!“ რადგან ტყემდე ჯერ კიდევ დიდი მანძილი იყო დანარჩენი და ჭაბუკი მტრებს ტყეში ვეღარ შეასწრებდა, სირბილისაგან არაქათგამოცლილს უთქვამს: „ხეთაგი ტყეში ვერ შეასწრებს, დაე, ტყემ მოუსწროს ხეთაგს!“ მართლაც, მყისვე ხშირი ტყე ზეაწეულა, ალაგირის ხეობის ფერდობიდან გადმოსულა მდინარე არდონის მეორე ნაპირზე, ხეთაგის გარშემო დაშვებულა და ჭაბუკისთვის საფარველი დაუდგია. მომხდარი სასწაულით თავზარდაცემულ უფროს ძმებს სასწრაფოდ დაუტოვებიათ ის ადგილი. ხეთაგს იმ ტყეში ერთი წელი გაუტარებია, შემდეგ კი გადასულა სოფ. ნარში და იქ თურმე ხეთაგურების გვარს დაუდო სათავე. იმ ფერდობზე, საიდანაც ტყე გადმოსულა, ახლა მხოლოდ ბალახიდა იზრდება. ასე გაჩენილა ხეთაგის ტყე ან, როგორც ქალები ამბობენ, მრგვალი ტყის სალოცავი (Тымылхъæды дзуар). ქალები დღემდე არ ახსენებენ წმინდანის სახელს და მხოლოდ მსაზღვრელი სახელით ან ფუნქციის მიხედვით მოიხსენიებენ: „მამაკაცების მფარველი“. ასევე „მრგვალი ტყის წმინდანში“ ოსი ქალები ხეთაგის ვასთირჯის გულისხმობენ. ოსებში დღემდე ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დალოცვა ასეთია: – „როგორც დიდმა ღმერთმა ხეთაგი გადაარჩინა, ისე თქვენც გიშველოთ!“ (პოპოვი 1995: 70).

ტექსტი მოგვითხრობს, თუ როგორ იხსნა მფარველმა წმინდანმა განსაცდელისგან ხეთაგი, რომელსაც სასწაული მოუვლინა და უჩვენა მფარველი წმინდანის ღვთაებრივი ძლევამოსილება. ხეთაგის ამბავი რამდენიმე მოტივს შეიცავს. თქმულება ტიპოლოგიური სიუჟეტებით გადმოგვცემს ზებუნებრივ სასწაულს, საფარველის დადებას, გვარის წარმოშობას, სალოცავის დაარსებასა და კულტის აღმოცენებას.

ღმერთის სამი ცრემლი. თარანჯელოზის, მიქალგაბირთასა და რექომის სალოცავების დაარსებისა და მათი ზეციური წარმომავლობის შესახებ მოგვითხრობს ნართული თქმულება. ტექსტის მიხედვით, ბათრადის დაღუპვის შემდეგ ღმერთმა ძუარებსა და ანგელოზებს ნართი ჭაბუკის სოფიოს აკლდამაში დაკრძალვა უბრძანა. ძუარებმა და ანგელოზებმა ბათრადის ცხედარი ვერ ასწიეს, ვერც

თორმეტმა უღელმა ხარმა დაძრა გარდაცვლილი. მაშინ ღმერთმა ურჩია, რომ თუთირის დღესასწაულზე დაბადებული ორი მოზვერი შეებათ უღელში ცხედრის წასადებად. შეაბეს ძუარებმა თუთირის დღესასწაულზე დაბადებული ორი მოზვერი და ბათრადი სოფიოს აკლდამამდე აიტანეს, მაგრამ ახლა შიგ შეტანა გაუჭირდათ.

„ანგელოზებმა ისევ ღმერთს მიმართეს, აუხსნეს საქმის ვითარება.

– იგი ჩემგან საჩუქარს ითხოვსო. – თქვა ღმერთმა და ციდან სამი ცრემლი ჩამოავდო.

ეს იყო და ანგელოზებმა თავისუფლად შეიტანეს სოფიოს აკლდამაში ბათრადის ცხედარი და დამარხეს.

იქ, სადაც ღმერთის სამი ცრემლი დაეცა, სამი სალოცავი აღიმართა: თარანჯელოზი, მიქალგაბირთა და რექომი“ (ნართები 1988: 272).

საერთო მოტივები და სიმბოლოები. როგორც ირკვევა, ძუარების კულტის წარმოშობასა და კულტმსახურების წესების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ქართულმა გარემომ. თუმცა ეს პროცესი არ ყოფილა ცალმხრივი. ოსური ყოფიდან შემოვიდა ქართველ მთიელთა ტრადიციაში არაერთი მნიშვნელოვანი ელემენტი. ეს ორი ხალხი მაღალი სულიერი ფასეულობებით ამდიდრებდა ერთმანეთის ტრადიციებს. აღსანიშნავია, რომ ფშავ-ხევსურეთის საყმოების მფარველი წმინდანის სახელი – იახსარი ოსური სიტყვიდან მომდინარეობს და აღნიშნავს გულადს, მამაცს.

ოსური გადმოცემები ძუარებზე და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ჯვარ-ხატთა ანდრეზები ქმნიან საერთო ჰერმენევტულ წრეს. ტექსტებში ძუარები და ჯვარ-ხატები წარმოდგენილია ერთი და იმავე საკრალური სიმბოლოებით, ესენია: ცეცხლის ღრუბელი, წმინდა ფრინველი, ნათლის სვეტი, ზეციური ჯაჭვი, მიწაში ჩამარხული წმინდა თასი, სამსხვერპლო ქორა ხარი.

აღსანიშნავია, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ანდრეზების მსგავსად, ალაგირის ხეობაში სამ ადგილას სალოცავის დაარსება ძუარის მტრედის სახით მოფრენას უკავშირდება.

ოსურ თქმულებებს, რომლებიც საკრალურის დაარსებას გადმოგვცემენ, ყველაზე მეტი სიახლოვე აქვთ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მითორელიგიური შინაარსის ტექსტებთან – ანდრეზებთან. ეს სიახლოვე მხოლოდ საკრალური ნიშნებისა და სიმბოლოების გარეგნული მსგავსებით არ შემოიფარგლება. სახეზეა ცალკეული მოტივებისა და სიუჟეტების კიდევ უფრო სიღრმისეული თანხვედრა. ისევე როგორც ჯვარი, ძუარიც არსდება იქ, სადაც ციდან წმინდა საგნები ცვივა ან წმინდა ფრინველი დაფრინდება; ის ციდან სვეტად ჩამოდის, მოძრაობს ცეცხლის ღრუბლის სახით; მოგზაურობს მეზობელ

თემებსა და ხეობებში. ერთგულ მსახურად და თავის ძუარლაგად „დაიჭერს“ ამორჩეული გვარის წევრს; სჯის მოყმეს, რომელმაც უმნიშვნელო დახმარებისთვის შეაწუხა ძუარი; ძუარი არის ტყვის მსხნელი; ძუარის რჩეული პოულობს წმინდა საგანძურს; ძუარლაგი ხედავს სიზმარში მფარველ წმინდანს, ესაუბრება ძუარს და მისი დავალებით მოქმედებს.

ოსური ძუარებისა და ქართველი მთიელების ჯვარ-ხატთა დაარსების ანდრეზები ერთი საერთო წყაროდან იღებენ სათავეს.

ლიტერატურა

აბაევი 1958: აბაევ В. И., Историко-этимологический словарь осетинского языка. Том 1. Издательство Академии наук СССР. Москва-ленинград, 1958.

აბაევი 1960: აბაევ В. И., Дохристианская религия алан. XXV международный конгресс востоковедов, Доклады делегации СССР. Издательство восточной литературы. Москва, 1960.

აგნაევი 1999: Агнаев Г., Осетинские обычаи. «Урсдон», Владикавказ, 1999.

ანდრეზები 2009: ზ. კიკნაძე, ანდრეზები (აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის რელიგიურ-მითოლოგიური გადმოცემები). ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2009.

ბარდაველიძე 1974: ვ. ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები. ტომი 1, „მეცნიერება“, 1974.

ვახუშტი 1973: ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება. ტ. IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1973.

ირიყაუ ხუცაუ ძუარ: Раздел: Святые места Осетии, Святылище Ирыхъæуы Хуыцауы дзуар, <http://www.osetins.com>

კიკნაძე 1996: ზ. კიკნაძე, ქართული მითოლოგია, I, ჯვარი და საყმო, ქუთაისი, 1996.

კოკიევი 1930: Кокиев Г. А., Святылища Даргавского ущелья, журнал «Схидный свет», Харков. 1930. №12. www.nocss.ru

მამისიმედიშვილი 2012: ს. მამისიმედიშვილი, რეცენზია ლ. ჩიბიროვის წიგნზე „ოსი ხალხის ტრადიციული სულიერი კულტურა“. ჰუმანიტარულ

კვლევათა ჟურნალი „კადმოსი“, №4. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2012.

მილერი 1882: Миллер Вс., Осетинские этюды. II. Москва, 1882.

ოჩიაური 1967: თ. ოჩიაური, მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. „მეცნიერება“, თბ., 1967.

პოპოვი 1995: Попов К. П., Священная роща Хетага // Сев.-Осет. респ. о-во «Памятники Отечества»; Мин-во охраны окружающей среды и природ. ресурсов РСО-Алания. Владикавказ: Ир. 1995.

რეგახი ძუარი: Раздел: Святые места Осетии, Святилище Хуыцауы дзуар в Регахе, <http://www.osetins.com>

ტუაევა: Туаева А., Тайны древней земли Иристон, <http://www.iriston.com>

ჩიბიროვი 2008: Чибиров Л. А. Традиционная духовная культура осетин. РОССПЭН, Москва, 2008.

ცაგარაევი: Цагараев В., Осетинские дзуарлаги. <http://www.anaharsis.ru>

ძივდისის ძუარი: Раздел: Святые места Осетии, Святилище Дзывгъисы дзуар, <http://www.osetins.com>

Х. Мамисимедашвили (Тбилиси)

Грузинский джвари и осетинский дзуар (генезис, функция, типология)

Один из важнейших жанров осетинского фольклора – это тексты мифологического содержания о дзуари. Вера в дзуари имела особое значение для консолидации традиционного осетинского общества и по сей день выполняет важную роль в повседневной жизни осетинского народа.

Традиционная вера осетин в дзуари дошла до наших дней в виде устных текстов и ритуалов.

Грузинский джвари и осетинский дзуар

Известный исследователь осетинского фольклора В. Миллер так истолковывает дзуар: слово `дзуар` заимствовано от грузинского джвари (крест) и означает крест, молельню, святое место, божественную силу и святых (Миллер 1882:240). Происхождение осетинского дзуара из грузинского языка подтверждает и В. Абаев. По его мнению, подобно целому ряду терминов, связанных с христианским богослужением, дзуар вошел в осетинский язык из грузинского языка и имеет такую же семантику, как джвари и хати (икона) в горной части Восточной Грузии (Абаев 1958: 401).

Джвари – это общее название покровительствующих святых религиозного общества горной части Восточной Грузии. В Тушетии, Пшави и Хевсуретии кресту в качестве определителя сопутствует название того села-общины или места, которому покровительствует святой и где находится его земная обитель: Гуданский джвари, Каратский джвари, Хахматский джвари, Анаторский джвари и др. Подобно традициям грузинских горцев, в осетинской культовой практике также каждая община имеет свой покровительствующий дзуар, и некоторые из них упоминаются с топонимическими названиями: Дзивгисский дзуар, Регахский дзуар и др.

В религиозном быте осетинского народа, несмотря на более обширные масштабы паганизации христианства, дзуар имеет ту же функцию, что и джвари в общинах горной части Восточной Грузии. Джвари – не только проявление символа креста, он персонифицирован и олицетворяет покровительствующего святого. Культовое сооружение, в котором осетины прославляют дзуар, аналогично молельням (местам поклонения) джвар-хати (креста-иконы) горной части Восточной Грузии. Кроме этого, согласно осетинской традиции, местонахождением дзуара может быть церковь, развалины церкви, святое дерево и др.

Из грузинского языка в осетинский вошли названия христианских святых и ангелов: *таранджелоз* (мтаварангелози, архангел), *Микелгабирта* (Микел-Габриели, Михаил-Гавриил), *Саниба* (Самеба, Троица). Под влиянием грузинского языка в религиозном быту осетин закрепились некоторые названия праздников дзуаров: *Касута* (Кашуэтоба), *Атинаги* (Атенгеноба), *Джеоргуиба* (Гиоргоба).

Дзуары – христианские святые

Одна часть современных исследователей упоминает дзуары в научной литературе в качестве божеств. В советский период грузинские ученые называли божеством джвари, покровительствующий религиозным обществам горной части Восточной Грузии (Лашарский джвари, Хахматский джвари, Гуданский джвари, Анаторский джвари и др.). Грузинский ученый XVIII века, Вахушти Багратиони в своем историческом труде «Описание Грузинского царства», в котором он рассматривает быт и религиозное верование осетин, не называет дзуары божествами. Вахушти нигде не пишет о том, что осетины являются язычниками. Он четко отмечает, что «их высокопоставленные чины являются мусульманами, а низшие слои, крестьяне – христианами» (Вахушти 1973: 638).

Разделение учеными дзуаров на божества по отраслевой функции объясняется в основном влиянием советской идеологии. В Советском Союзе, как в государстве языческо-атеистического типа, более приемлемым было, чтобы ученые исследовали божества языческой эпохи, чем тексты о христианских святых, ставших народными. Одним словом, исходя из идеологических стереотипов, статус божества осетинскому дзуару и грузинскому джвари в основном был присвоен исследователями советской эпохи. Исследователи периода Царской России не называли дзуаров божествами. По информации В. Миллера (1848-1913), «осетины никогда не упоминали дзуаров под именем богов. Осетин никогда не сказал бы, чтобы Уастырдж или Фалвара – это божества» (Миллер 1882: 239).

Осетины признают одного бога, которого на осетинском языке зовут «Хуыцау». В культовых текстах ему присвоен эпитет «великий» – «стир» Хуыцау. Согласно мифологическим преданиям, он единственный и ему нет равных. К остальным небожителям служители культа обращаются не как к божеству, а как к покровительствующему святому, дзуару и ангелам. Ни один из них не имеет статус божества в народных текстах.

Дзуар – посредник между богом Хуцау и людьми. Бог – один, а дзуаров – много. Их создал Хуыцау и отправил на помощь людям. Распространенное в осетинской традиции название дзуаров – Хуыцау дзуар – Божественный дзуар – указывает на то, что дзуары являются детьми богу, Хуцау. «Пусть ваши семьи не будут обделены божьей благодатью и благодатью созданных богом дзуаров» – обращается Дзуарылаг к молящемуся и в первую очередь упоминает Хуыцау (Агнаев 1999:172). Аналогичны этому и представления грузинских горцев о джвар-хати. В горной части Восточной Грузии бог един, его называют дежурный (Мориге) бог. У каждой общины есть свой покровительствующий крест, он же покровительствующий святой. Синонимом джвари в горной части Восточной Грузии является хати (икона), сын божий, те, которых бог как небесные существа отправил помогать и покровительствовать людям.

Культ поклонения дзуарам среди осетин и джвари среди грузинских горцев сформировался в недрах христианства в результате фольклоризации христианской религии (поскольку он в устном виде сохранился в народной памяти). Культ дзуаров по своему содержанию представляет собой фольклоризованную религию и он сформирован на христианский лад.

Дзуарылаг и служитель культа (хуцеси, хевисбери)

Грузины и осетины до последнего времени во многих молельнях совместно отмечали религиозные праздники. Служение культу в дзуарах происходило в том же виде, что и в джвар-хати в горной части Восточной Грузии.

В дзуаре ритуалом руководит Дзуарылаг (*дзуары лага*) – (дзуар – крест, лаг – человек). В строении слова *Дзуарылаг* явно заметен след влияния грузинской традиции (Дзуарылаг – человек дзуара ← служитель креста). В горной части Восточной Грузии главный служитель культа, который совершает богослужение в джвари, называется хуцеси, хевисбери, деканози. Слово деканози, обозначающее служителя культа должно было войти в язык осетин, проживающих в Грузии, в частности, в Джавском и Цхинвальском районе, из культовой практики грузинских горцев (Мтиулет-Гудамакари), где служитель джвар-хати носит в церковной иерархии имя старшего священника – деканози.

Дзуарылаг а выбирали, впрочем подтверждается прецедент, когда ему по наследству передавалась обязанность служить дзуару. Осетинские и грузинские мифологические тексты повествуют нам о небесном происхождении служителей культа. Дзуарылаг, так же, как и хуцеси, хевисбери и деканози в горной части Восточной Грузии, являлся посредником между людьми и покровительствующими святыми (дзуарами). Подобно хуцеси, Дзуарылаг также соблюдал всякого рода запреты, он специально постился и очищался до начала праздников.

Осетинские и грузинские горцы, с целью возвеличивания и поклонения покровительствующим святым, во время культового служения использовали одни и те же сакральные предметы и символы. Дзуарылаг возвеличивает бога и дзуаров с помощью культового знамени, обвешанного колокольчиками. Так же, как и в горной части Восточной Грузии, у осетин культовое знамя олицетворяет абсолютную чистоту и святость, покровительствующего святого, дзуара. Само осетинское название знамени «тырыса» заимствовано из грузинского языка (Дроша).

Дзуарылаг благословляет молящегося, благословляет теленка и барана для жертвоприношения дзуару, нарезает ритуальную каду, ритуальный пирог (Чиритæ). Непосредственно под руководством Дзуарылага проводится жертвоприношение. Так же, как и в Восточной Грузии, необходимым атрибутом религиозного ритуала осетин является пиво (баганы).

Дзуарылаг просит у дзуара, как покровительствующего святого и посредника перед богом Хуыцау, изобилия скота и хорошего урожая, рождения сына, размножения детей, выздоровления больного, мирного возвращения ушедшего далеко человека. По убеждению осетин, сама большая сила приписывается тем дзуарам, которые были основаны у развалин христианских церквей.

Помимо названий покровительствующих дзуаров и сакрально лексики, по-видимому, и другие элементы осетинских мифологических текстов были сформированы в результате вековых взаимоотношений осетинского и грузинского народов.

Миф об основании дзуаров

Коллективная память осетинского народа по сей день сохранила видоизмененные христианские сюжеты, сакральные символы и терминологию богослужения.

Осетинские мифо-религиозные тексты повествуют нам сакральные истории сотворения дзуаров. Дзуары в различном виде явились с небесного мира своим избранным: иногда в облики человека, иногда в виде огненного столба, сакрального предмета, а иногда и в виде голубя или оленя и сами выбирали себе земную обитель. Дзуар создается (возникает) вне зависимости от воли человека. Некоторые тексты рассказывают нам об участии Дзуарылаг ов в создании (возникновении) святости. Осетинская мифология считает место иерофании земной обителью дзуара.

В сказаниях об основании дзуаров выделяется несколько моделей, которые также характерны для сакральных историй о джвар-хати грузинских горцев. Самая знаменательная из них – осыпание предметов с неба, обнаружение быком места земного обитания дзуара, возведение молитвенного дома на месте сокровищницы, погребенной под развалинами и основание святилище из дзуара, прилетевшего под видом голубя.

Осетинские сказания, повествующие о создании сакрального, наиболее близки к текстам мифо-религиозного содержания горной части Восточной Грузии. Эта близость не ограничивается только лишь внешним сходством сакральных знаков и символов. Налицо еще более глубинное совпадение отдельных мотивов и сюжетов. Так же, как и джвари, дзуари основывается там, где с неба сыпятся святыне предметы или прилетает святая птица; он спускается на землю в виде столба, движется в виде огненного облака; путешествует по соседним общинам и долинам. Своим верным слугой и Дзуарылаг ом (служителем культа) он «держит» члена избранного рода: наказывает молодца, который для незначительной помощи побеспокоил дзуара; дзуар является спасителем пленника; избранник дзуара находит святую сокровищницу; Дзуарылаг видит во сне покровительствующего святого, беседует с дзуаром и действует по его поручению.

Содержание, структура, символика, идеология и смысл осетинских мифологических текстов о дзуарах аналогичен преданиям грузинских горцев.

Сказания об осетинских дзуарах и джвар-хати (святилище) грузинских горцев берут начало из одного общего источника.

Литература

Абаев 1958: Абаев В. И., Историко-этимологический словарь осетинского языка. Том 1. Издательство Академии наук СССР, Москва-Ленинград, 1958.

Агнаев 1999: Агнаев Г., Осетинские обычаи., «Урсдон», Владикавказ, 1999.

Вахушти 1973: Батонишвили Вахушти, Описание Грузинского царства. Жизнь Картли. Том IV. Текст, установленный С. Каухчишвили согласно всем основным рукописям. Изд. «Сабчота Сакартвело», Тбилиси, 1973 (на гр. яз.).

Миллер 1882: Миллер Вс., Осетинские этюды. II. Москва, 1882.

Kh. Mamisimedishvili

Georgian *Jvari* and ossetian *Dzuar*

(Genesis, function, typology)

Summary

One of the most important genres of Osetian folklore is mythic-religious texts about *Dzuars*. The traditional belief of the Osetian people in *Dzuars* has survived as oral texts and rituals to our days.

The word *Dzuar* was borrowed from Georgian *Jvari* and means *Cross, worship house, holy place, divine power and saint*. It has the same semantics as *Jvari* or *Khati* in the mountains of east Georgia.

According to the Ossetian legends, *Dzuar*, like *Jvari*, establishes itself where holy things fall from the sky or holy bird lands. It descends from the sky as a pillar and moves like a fire cloud, and travels to neighboring communities and valleys. It will “catch” a member of a selected family to be its loyal servant, a *Dzuarlag* (cult servant); it punishes a young man, who has disturbed *Dzuar* for minor assistance; *Dzuar* is the savior of a captive; the elect of *Dzuar* finds holy treasure; *Zuarlag* sees his guarding saint in his dream, talks to *Dzuar* and acts on its errand.

The legends about the establishment of Osetian *Dzuars* and Georgian *Jvaris* and *Khatis* come from the same source.

საძიებელი

Index

Указатель

**ჟურნალ “კავკასიოლოგიური ძიებანის” I-V ტომებში (2009-2013)
გამოქვეყნებული წერილების საძიებელი**

1. აბაშია რ. (თბილისი), ბგერათშესატყვისობის ზოგიერთი საერთო წესისათვის იბერიულ-კავკასიურ ენებში. ტ. I. 2009.
2. *აგლაროვი მ. (მაჰაჩყალა), კავკასიური ცივილიზაცია: ისტორიულ-კულტურული კონტექსტი. ტ. III. 2011.
3. ავალიანი ე. (თბილისი), „კავკასიური ძიებანი“: ბრიტანელი მეცნიერის მიერ კავკასიური სასახლერო მიწის ისტორიული მიმოხილვა. ტ. II. 2010.
4. *აიტბეროვი ტ. (მაჰაჩყალა), შიხსაიდოვი ა. (მაჰაჩყალა), დაღესტანში აღმოჩენილი პირველი არაბული ხელნაწერები. ტ. III. 2011.
5. *ამირიანი ვ. (ერევანი), ტრანსფორმაციის ზოგიერთი ასპექტი ხეზე კვეთის სომხურ ტრადიციულ ხელოვნებაში. ტ. II. 2010.
6. ანთაძე-მაღალაშხია ფ. (თბილისი), ოსურ სახელურ ნასესხობათა მორფოსემანტიკური ადაპტაციისათვის ქართულში. ტ. III. 2011.
7. არაბული ა. (თბილისი), ჯაგახიშვილი ნ. (თბილისი), დაღესტნური წარმომავლობის ერთი ქართული გვარის ისტორიიდან. ტ. V. 2013.
8. არდოტელი ნ. (თბილისი), ფარინგალური რიგის თანხმოვანთა (ჰ, ყ) კლასიფიკაციისათვის იბერიულ-კავკასიურ ენებში. ტ. III. 2011.
9. არდოტელი ნ. (თბილისი), ალბანურ ლექციონარში დადასტურებული ლექსიკის გენეზისისათვის. ტ. IV. 2012.
10. ახვლედიანი ნ. (თბილისი), სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე რკინის ათვისების ქვედა ქრონოლოგიური თარიღის შესახებ. ტ. I. 2009.
11. ახვლედიანი ნ. (ბათუმი), კერძო კოლექციაში დაცული რამდენიმე ოსმალური დოკუმენტური წყარო. ტ. II. 2010.
12. ახვლედიანი ნ. (თბილისი), სულთანიშვილი ი. (თბილისი), ე. წ. ურარტული მახვილების შესახებ. ტ. III. 2011.
13. *ახუნდოვი ტ. (ბაქო), ყორღანული სამარხების კულტურა. ტ. V. 2013.

14. ***აჰუნდზადე ჰ.** (ბაქო), თაობათა ურთიერთობის პრობლემა ტრანსკულტურულ ოჯახებში. ტ. V. 2013.
15. ***ბაბაიევა მ.** (ბაქო), ჰუსეინ ჯავიდის როლი კავკასიურ ლიტერატურაში. ტ. IV. 2012.
16. **ბაბიჩი ი.** (მოსკოვი), ინტერვიუ, კავკასიური ემიგრაცია საფრანგეთში. ტ. III. 2011.
17. **ბაბიჩი ი.** (მოსკოვი), ინტერვიუ ნიკო ჭავჭავაძესთან (1920-1980 წწ.). ტ. IV. 2012.
18. **ბარამიძე ც.** (თბილისი), ღვთისმეტყველებითა და ფუნქციონირების საკითხები (ისტორია და თანამედროვეობა). ტ. I. 2009.
19. **ბარამიძე ც.** (თბილისი), შესავალი სიტყვა კავკასიოლოგთა II საერთაშორისო კონგრესზე. ტ. II. 2010.
20. **ბარამიძე ც.** (თბილისი), იბერიულ-კავკასიური ეთნოლინგვისტიკის საკითხები (1. უბიხური აჯენა). ტ. III. 2011.
